კვირის პალიტრა

№26 (211) 24/VI.-30/VI.2004

ფასი 60 თ.

63

1168
2004

„პირველად მამაკაცმა უნდა თქვას ეს ფრაზა...“

...ცნებად ქცეული სურვილი – როგორ მოვხიბლოთ ის

ბოგზაურის დღიურები – ბრაიტონზე ამერიკელ ბოგონებთან „განდაგანას“ იმედით...

მარტივი კითხვები – როგორ მოვარჯულოთ სიდედრი და...

ახალი ქართული მძღვრსიუჟეტები რიმანი – „ველური ინსტინქტი“

ლევან გაჩეჩილაძე: „პრივილეგირებული ბიზნესმენები არ უნდა არსებობდნენ...“



ბაკურიანი

სასტუმრო „მელისი"

ბაკურიანი, აღმაშენებლის ქ. 55

სათაო ოფისი: თბილისი, უზნაძის ქ. 113ბ

ტელ: 94-23-55; 8(99) 24-86-86

№26 (211)
24 - 30 ივნისი 2004
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„ჩვენ ვართ ევროპელები, მაშასადამე, ჩვენ ვართ მძინარები“... 3
ერთი კითხვა 4,7,8
პოზიცია
რევოლუციური დანიშვნა და „პიარაქციები“ ქართულ ეკონომიკაში – ლევან გაჩეჩილაძის ხედვით 5
სასიძო
● „მე ვანილის ნაყინი ვარ, სანამ დავდნები, უნდა შემჭამო, კოტიკ!“ 9
● კაცს, რომელიც გამყიდველებსაც კი აკვირდება, ამჩატება აღარ შეჰფერის... 10
პირველი პაემანი
დიდი მარცხი შეყვარებულის მშობლებთან ანუ პალტოთი დაფარული სისველე 12
კრიმინალი
ბანდიტიზმისა და პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებულს 25-წლიანი პატიმრობა ელის 14
დეტექტორი
შალვა ნათელაშვილის ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვევები, ერთი ნახვით შეყვარება და უბის ჯიბეში დამალული თაიგული 18
თემა
როგორ მოვხიბლოთ მამაკაცი 20
მსახიობი
მედეა ჩახავას ტექნიკური სიცილი ეკა ჩხეიძის შესრულებით დიდმა რეჟისორმა მოიწონა 23
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 25
პრეზენტაცია
ანსამბლ „მადლის“ იდბლიანი პრეზენტაცია 26
გზავნილები
„ჩიხში მოცქეულს უცებ ბონება გამეხსნა...“ 27
კულისები
გარდაქმნები მუსიკალურ თეატრში და ინვესტორის მაძიებელი დრი 30
სახე
გია გაფრინდაშვილი: „ქალბატონებო, იყავით აორთქლებადი... ოღონდ არ გადაჭარბოთ!“ 32
ტაქარი
რა უნდა ვიცოდეთ ნეტარების მცნებებთან დაკავშირებით? 34
ადამიანი
მოხუცი, რომელიც 125 წელს იცხოვრებს... 35

როგორ მოვხიბლოთ მამაკაცი

...მოიქეცით ბუნებრივად. ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ქალი მაშინ ახდენს, როცა ბუნებრივად იქცევა. მამაკაცს საუბარი არ შეაწყვეტინოთ. თუ საუბრისას დიდი სურვილი გაგიჩნდათ, შეეკამათოთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და ნელა ამოისუნთქეთ. ეს ვარჯიში რამდენჯერმე გაიმეორეთ.

20

რევოლუციური დანიშვნა და „პიარაქციები“ ქართულ ეკონომიკაში – ლევან გაჩეჩილაძის ხედვით

...თუმცა, ეს არ არის მთავარი ქვეყანაში სტაბილური საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. მთავარია, ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა...

5

გია გაფრინდაშვილი: „ქალბატონებო, იყავით აორთქლებადი... ოღონდ არ გადაჭარბოთ!“

ალბათ, მაყურებელმა დააფიქსირა ისიც, რომ გადაცემის მთლიანი დრო ეთმობა რესპონდენტთან საუბარს. ანუ მისი საუბრიდან, ყოველგვარი გალამაზების გარეშე, ირკვევა, ვინ არის ის, ვინ არის მისი მეუღლე, რითი სუნთქავს მისი ოჯახი. ამას ხომ დაკითხვის ფორმა არა აქვს...

32

როგორ მოვარჯულოთ სიდედრი და დედამთილი?

უწინარეს ყოვლისა, უნდა გიყვარდეს მისი შვილი და ოჯახს უნდა არჩენდე კარგად. ხუთ მცნებას გასწავლით – სიდედრს რომ უყვარდეს სიძე: 1. არ იმრუშო; 2. არ ილოთო; 3. არ იკაიფო; 4. არ გაღატაკდე; 5. გიყვარდეს სიდედრი შენი, ვითარცა დედა შენი...

37

მარტივი კითხვები

როგორ მოვარჯულოთ სიდედრი და დედამთილი? 37

„ევრო-2004“

იფურთხეთ ტოტისთან ერთად! ანუ დიდი ფეხბურთი ველური ვნებების თანხლებით 38

ავტო 41

რომანი

რუსუდან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (დასაწყისი) 42

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 44

ვარსკვლავი

პირს ბროსნანი: „სამწუხაროდ, ჯეიმს ბონდი საკუთარ გოგონებს მეც კი არ მითმობს!“ 46

ბომონდი 47

მოგზაურის დღიურები

ბრაიტონზე ამერიკელ გოგონებთან „განდაგანას“ იმედით 49

ტესტი

ერთგული მკითხველი 51

მამები და შვილები

ბაღაშვილების ჰარმონიულ ურთიერთობას მხოლოდ ერთი საკითხი არღვევს 52

ნყვილი

ტყუპი ბიჭის დაბადებამ ახალი ჯგუფის ასპარეზზე გამოსვლას დაასწრო 54

პროექტი

„ეტალონი“ სტერეოტიპებს დაამსხვრევს და ახალგაზრდებს წიგნისკენ შემოაბრუნებს 56

საკითხავი ქალებისათვის 57

ჯანმრთელობა

- ზოგი რამ ნაღვლის ბუშტის დაავადებებზე 58
- მზის აბაზანები 59

ჰოროსკოპი

კვირის (28 ივნისი – 4 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რამდენად განვითარებული გაქვთ ინტუიციის გრძნობა? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მოხუცი, რომელიც 125 წელს იცხოვრებს... წარსულისგან თავის დაღწევას ცდილობს

მე ვიცი ისეთი მცენარე, რომლის ფესვი სასწაულმოქმედია და ბევრ დაავადებას კურნავს. ამისათვის არაა საჭირო წამლის დამზადება – უბრალოდ, უნდა იცოდე მისი მოხმარების წესი; არ უნდა იჩქარო და არც ზედმეტი უნდა მოგივიდეს.

35

მედია ჩასვამს ტექნიკური სიცილი მკა ჩხეიძის შესრულებით დიდმა რეჟისორმა მოიწონა

ინდივიდუალური კონტრაქტი მაქვს, ამიტომ არ მკითხო, რამდენს მიხდიან – მაინც არ ვიტყვი. მირჩევნია, ჩემი ხმა ისმოდეს და ის – ვარგა თუ არა სერიალი, – მე არ მეხებოდეს... აღარა ვარ 18-20 წლის, რომ იმაზე ვფიქრობდე, როგორმე ეკრანზე გამოვჩნდე.

23

პირს ბროსნანი: „სამწუხაროდ, ჯეიმს ბონდი საკუთარ გოგონებს მეც კი არ მითმობს!“

უამრავი მამაკაცი არაფერს დაიშურებდა, ოღონდაც კი მომხიბლავი სოფი მარსოს მკლავებში აღმოჩენილიყო, მაგრამ არა პირსი, რომლისთვისაც ამქვეყნად მხოლოდ ერთი ქალი – მეუღლე არსებობს.

46

მცოცავლის ინსტინქტი



ყველაფერი ელვისებური სისწრაფით განვითარდა და სანამ გაოგნებული ანდრო იარაღიანი ხელის ძირს დაშვებას მოიფიქრებდა, რესტორანში იარაღმომარჯვებული პოლიციელები შემოცვივდნენ, ორი მათგანი მაშინვე ანდროს ეცა, ხელები ოსტატურად გადაუგრიხა და იატაკზე პირქვე დასცა...

42

„ჩვენ ვართ ევროპელები, მაშასადამე, ჩვენ ვართ მძინარები"...



ნებისმიერი ადამიანის, საზოგადოების თუ ქვეყნის პირველი მტერი გამოუცდელობაა და გული მეწურება, ამას რომ ვწერ, მაგრამ სწორედ ეს აკლიათ ჩვენს „ვარდ-ბაღჩა-ბაღნარ" ხელისუფალთ: გამოვეყარეთ ქუჩებში და სულ „წაი სახში" ვუძახეთ იმ ბერმუხა გამოცდილ კაცს, რომელიც ყოველთვის გვეუბნებოდა – საათები უკან გადავწიოთ კი არა, ჯობია, დრო საერთოდ გავაჩეროთ და ვიძინოთ მშვიდადო. ახლა კი ვხვდებით, რომ მართალი ყოფილა, მაგრამ უკვე გვიანაა: ახლა მუხლზე დაჩოქილებმაც რომ ვეხვეწოთ, მოდიო, მაინც აღარ დაბრუნდება...

ახალმა და გამოუცდელმა მთავრობამ კი, პირიქით დაგვარიგა ჭკუა: – ახლა ვიწყებთ ქვეყნის მშენებლობას და თუ გვინდა, ძლიერი ეკონომიკა და მყარი ეროვნული ვალუტა გვქონდეს, ძილი გვერდზე უნდა გადავდოთო...

ჩემი უძილობა თუ უშველის ლარის კურსს – კი, ბატონო: იმ საღამოსაც დაღლილი დავბრუნდი, მაგრამ წამოწოლაც ვერ გავბედე, რომ არ ჩამძინებოდა; მივუჯექი მაგიდას და წყლიანი ტაშტი დავიდე წინ: ჩავკრავ თავს – გამეღვიძება, ჩავკრავ თავს – გამეღვიძება და ასე დამათენდა, როგორც იქნა. ინათა თუ არა, გარეთ გავვარდი და „ვალუტჩიკებში" გავერიე – ნეტავ, რამდენით ვუშველე ლარის კურსს-მეთქი? – მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: იმას არაფერი ეტყობოდა...

მოკლედ, მეც მივხვდი და ჩემი გამოუცდელი ხელისუფლებაც, რომ უძინარი და ღამენათევი კაცი ქვეყანას ვერ ააშენებს და თუ ევროპას ვეზმანებით, ჩანგლის მარცხენა ხელში დაჭერა და კომპიუტერის ცოდნა არაა საკმარისი. ცოტა ძილსაც უნდა მივეჩვიოთ და გვიან გაღვიძებასაც, მით უმეტეს, რომ ჩვენს მამა-მარჩენალსაც კი წამოსცდა ერთხელ – დილით ძილი მიყვარსო (იძინოს, რა, მე დავუყენე „ბუდილნიკი" თუ რა?!).

ჰოდა, ახლა გადავწყვიტეთ, დრო ერთი საათით უკან დავწიოთ და ე.წ. ევროპის დროზე დავდგეთ (ან დავწვეთ). 10 საათზე რომ უნდა გავიდეს ეს უმუშევარი ხალხი „ბირჟის" გასამგრებლად ან უბანში დომინოს სათამაშოდ, ის 10 საათი ერთი საათით გვიან მოვა და ძილიც მეტი მოუწევს. ერთ საათში კი იმდენი ტკბილი სიზმრის ნახვას მოასწრებს ყოჩაღი კაცი, რომ იმის ფასს რას გააკეთებ მთელი დღის განმავლობაში?!

მოკლედ, იმდენი დადებითი მხარე აქვს საათის უკან გადაწევას, რომ არც კი ვიცი, საიდან დავიწყო: ამ საცოდავ მინისტრებს წამდაუწუმ რომ ხსნიან, ახლა ერთი საათით მეტხანს მოუწევთ მინისტრობა და ერთი საათით კი არა, 15 წუთით რომ მამყოფა მინისტრად, ავშენდები კაცი!.. პროკურატურაში რომ ორდერი გაიცემა და ვინმეს აყვანის ოპერაცია დაიგეგმება ღამის ორი საათისთვის, სამ საათზე მოუწევს და ეგება, ამასობაში გაქცევაც კი მოასწროს იმ „პატიოსანმა" კაცმა; ყველაზე მეტად კი იმ ქალებს გაუმართლებს, ქმრის შინ მოსვლამდე სხვისი მოყვანა რომ უყვართ სახლში: ქმარი თუ დაადგება თავზე, როცა საყვარელთან ერთად ამოწმებს საწოლის სიმტკიცეს, თავის გასამართლებელი არგუმენტიც ექნება და იქით უსაყვედურებს ქმარს – ერთი საათით ადრე რატომ მოხვედი? რა, სამსახური გააცდინეო?!.

ისე, ქართველებს ყველაფერში გვიმართლებს: აზიელები ძველმოდური ხალხია და უთენია დგება ფეხზე; ევროპელები არისტოკრატები არიან და გამოძინება უყვართ; ჩვენ კი ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, რომ ორნაირი დრო გვეკუთვნის – დილით – ევროპული, საღამოს – აზიური: სამსახურში ევროპულად მივალთ, სამსახურიდან აზიურად წამოვალთ...

მერე კიდევ გადავწევთ საათს უკან, უფრო ცივილიზებულ – ამერიკულ დროზე გადავალთ და მთლად გავშლით ფრთებს: ამერიკასა და საქართველოს შორის ხომ 9-საათიანი განსხვავებაა, აქ რომ დღეა, აშშ-ის დროით ღამეა და უნდა დავიძინოთ; ღამით კი, ისედაც უნდა გვეძინოს და ჩვენც მეტი რა გვინდა? – ვიძინოთ ტკბილად და უდრტვინველად 24 საათის განმავლობაში... ანუ „ჩვენ ვართ ევროპელები (თუ ამერიკელები), მაშასადამე, ჩვენ ვართ მძინარები!.."

P.S. თბილისელი ბიჭი ტელეფონით ესაუბრება სოფლელ ბაბუას:

– მომილოცე, ბაბუ, ცოლი მომყავს!

– ვინაა და სიდოურია?

– ამერიკელი გოგოა, ბაბუ.

– ამერიკა რაია, შე აბდალა?!

– ქვეყანაა ასეთი: აქ რომ დღეა, იქ ღამეა და აქ რომ ღამეა, იქ დღეა.

– მაგფერი ცოლი რად გინდა, ბაბუ? შე რომ დაწობი, მაგი ადგება და შენ რომ ადგები, იი დაწობა...

პროვოკატორი

„ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა, ჩვენი მხრიდან კეთილი ნების გამოხატულებაა“

— საქართველოსა და რუსეთის საგარეო და სამხედრო უწყებების წარმომადგენლები ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის საკითხს განიხილავენ. თქვენი აზრით, რამდენად მისაღები იქნება რუსული მხარისათვის ამ იდეის განხორციელება?

გოგა გოგიაშვილი, *საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე:*

— დაგეგმილია ქართული და რუსული კომისიების თავმჯდომარეებისა და ექსპერტების შეხვედრა, რომელზეც სწორედ ანტიტერორისტული ცენტრის შექმნის საკითხი განიხილება. რუსულ სამხედრო ბაზებს დღეს საქართველოს ტერიტორიაზე არავითარი ფუნქცია არ გააჩნია, ამიტომ მათი გაყვანის საკითხი უპირობოდ უნდა გადაწყდეს, რასაც სტამბოლის შეთანხმებაც ითვალისწინებს. ამ ვითარებაში, ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა, ჩვენი მხრიდან კეთილი ნების გამოხატულებაა. ეს არა მხოლოდ ქართული და რუსული მხარეებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილება იქნება, არამედ აშკარად წინგადადგმული ნაბიჯიც, მიმართული ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე საშიში მოვლენის — ტერორიზმის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები შარშანდელი თებერვლის შემდეგ არ გამართულა, ამდენად, ბევრი საკითხი იქნება შესათანხმებელი და დასაზუსტებელი. ორი ქვეყნის პრეზიდენტებს შორის არსებული კეთილგანწყობა იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ მოვლენები, როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ინტერესების სასარგებლოდ განვითარდება. ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა ბაზების გაყვანის საკითხსაც დააჩქარებს. ჩვენი გათვლებით, ბაზების საკითხი სამ წელიწადში მოგვარდება. თუმცა რუსული მხარე სხვაგვარად ფიქრობს, იმედს არ ვკარგავ, რომ პოზიციების შეჯერება ამ საკითხშიც მოხერხდება. ■

„შესაძლოა, უკანონოდ აშენებული სახლები დაინგრეს“

— რამდენად რეალურია, რომ გადაწყდეს უკანონოდ მშენებარე სახლების დანგრევა იმ შემთხვევაში, თუ ამ ნაგებობების „ლობირებით“ გავლენიანი ფიგურები არიან დაინტერესებული?

ზურაბ ჟიაბერაშვილი, *თბილისის მერი:*

— თბილისში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით, 2 ტიპის დარღვევა არსებობს: პირველი — მიმდინარეობს მშენებლობა, რომელზეც ნებართვა არ არსებობს ან გაცემულია ნებართვა 7-სართულიან შენობაზე და ამ დროს, უკვე 9 სართულია აშენებული; მეორე ტიპს უფრო რთული შემთხვევები მიეკუთვნება: ნებართვა არის გაცემული, მაგრამ ეჭვქვეშ დგას მისი კანონიერების საკითხი. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. ჩვენ უნდა დავიკავოთ მკაცრი პოზიცია და იმის მიუხედავად, დასრულებულია თუ არა სახლის მშენებლობა, შესაძლებელია, მისი დანგრევის საკითხი დადგეს. როცა უკანონო მშენებლობის შეჩერებაზე მუნიციპალიტეტი სასამართლოს მიმართავს ხოლმე, ამ დროს მეპატრონეები დაჩქარებული ტემპით აგრძელებენ მუშაობას... მე უკვე მივმართე მშენებლებს და განვუმარტე, რომ მშენებლობის დასრულება არ წარმოადგენს ნაგებობის ხელშეუხებლობის გარანტიას. ჩვენ შევქმნით იმის პრეცედენტს, რომ უკანონოდ აშენებული სახლები დაინგრევა. გარდა ამისა, უკანონო მშენებლობებისთვის დაწესებული ჯარიმებიც გაიზრდება. არ გამოვრიცხავ იმას, რომ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას შესაძლოა, მოწინააღმდეგეები პარლამენტის დარბაზშიც გამოუჩნდნენ. მიუხედავად ამისა, დაისჯება ყველა ჩინოვნიკი, ვინც უკანონობა ჩაიდინა და მათთან ერთად ასეთი მშენებლობების მესვეურებიც აგებენ პასუხს. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც 100 ლარად ქალაქის ცენტრში ტროტუარები გაყიდეს და დედაქალაქის იერსახე დაამახინჯეს!.. ■

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, იგი მემარჯვენე ოპოზიციურ ძალად მოიაზრებოდა, ნოემბრის მოვლენების დროს განზე გადგა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ფართო აუდიტორიის წინაშე არ გამოჩენილა. ბუნებრივია, რომ მისმა ამგვარმა ქმედებამ საზოგადოებას მითქმა-მოთქმისა და გულისტკივილის საბაბიც მისცა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში მის დაბრუნებას უკვე აღარავინ ელოდა, პარლამენტარის მანდატიც მოიპოვა და მწვავე პოლიტიკურ ბატალიებშიც ჩაება. ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი და კომპანია „ჯი-ვი-ესის“ პრეზიდენტი ლევან გაჩეჩილაძე საზოგადოებისთვის საინტერესო კითხვებს პასუხობს.

რევოლუციური დანიშვნა და „პიარაქციები“ ქართულ ეკონომიკაში – ლევან გაჩეჩილაძის ხედვით

ემა ტუხიაშვილი

— ბატონო ლევან, მიუხედავად იმისა, რომ ნოემბრის ცნობილი მოვლენების დროს, ჩრდილში ყოფნა ამჯობინეთ და მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოჩნდით პოლიტიკურ ასპარეზზე, საზოგადოების კეთილგანწყობა მაინც შეინარჩუნეთ...

— პოლიტიკაში ყოფნისას, არასდროს მითქვამს ტყუილი იმის გამო, რომ რეიტინგი ამემაღლებინა. ალბათ საზოგადოება ხვდებოდა, რომ გულახდილად ვამბობდი მხოლოდ იმას, რასაც ვფიქრობდი. შევარდნაძის ხანის დამთავრება ნოემბრის მოვლენებით არ დაწყებულა, ამიტომ მიმაჩნია, რომ შევარდნაძის და „მოქალაქეთა კავშირის“ ეპოქის დასრულებაში მე დიდი როლი შევასრულე. ეს იყო საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ნოემბრის მოვლენებამდე მზადდებოდა და ვფიქრობ, რომ ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც „მოქალაქეთა კავშირის“ წინააღმდეგ ხმა აიმაღლა. ალბათ საზოგადოება მოითხოვდა ჩემგან, მის გვერდით ქუჩაში დგომას და მეც ვთვლიდი, რომ ასე უნდა ყოფილიყო, მაგრამ პარტიას თავისი დისციპლინა აქვს. გარდა ამისა, არსებობს უდიდესი მეგობრობა ჩემსა და დათო გამყრელიძეს შორის, ამის გამო ვერ ვუღალატე ჩემს პრინციპებს და საზოგადოებას ორგანიზაციის დამშლელად ვერ მოვევლინე. სწორედ ამით იყო განპირობებული ჩემი ჩრდილში ყოფნა, მოგვიანებით კი საერთოდ დავტოვე პარტია.

— რამდენად მისაღებია თქვენთვის დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი?

— კარგია უკვე ის, რომ ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებამ დაიწყო გადაწყვეტილებების მიღება. ეს გადაწყვეტილებები ხან სწორია, ხან კი — არასწორი. არასწორში ვგულისხმობ ადამიანების დაპატიმრებას, იარაღის შეგდების გზით. არასწორია, რომ მხოლოდ ჭორის დონეზე გვაქვს ინფორმაცია ამა თუ იმ ადამიანის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ, ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი კი გამოდის და მას ქურდსა და ღორს უწოდებს. არასწორია ისიც, რომ პარლამენტმა დაკარგა პოლიტიკური აქტიურობა, რის გამოც ხშირად ვხუმრობ — ეს საკანონმდებლო ორგანო პოლიტიკურ სივრცეში „ჭ“ ჯგუფში აღმოჩნდა-მეთქი. ჩვენს მთავრობას არ გააჩნია სახელმწიფოს განვითარების ზოგადი მიზანი. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ რეალურად არ არსებობს ქმედითი ოპოზიციური ნიშა, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლება უფრო მეტ სწორ ნაბიჯს დგამს, ვიდრე არასწორს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ არ მოგწონთ, როდესაც ადამიანებს იარაღის შეგდების გზით აპატიმრებენ, მაგრამ არ გიხსენებიათ ცნობილი მოხელეების დაპატიმრებების სერია, რომელთა ბედი ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანილმა მილიონებმა გადაწყვიტა...

— თუ ჩინოსანმა ფული მოიპარა და ქვეყანაში გაბატონებული კორუფციის მონაწილე იყო, ამისათვის მას პასუხი უნდა აგებინო ისე, რომ იურიდიულ ჩარჩოებს არ გასცდე. მართალია, მე იურისტი არა ვარ, მაგრამ ბევრი პროფესიონალისგან მსმენია, რომ მსგავსი ფორმით განხორციელებული დაპატიმრება იურიდიულ ჩარჩოებში არ ჯდება. ამავე დროს, როდესაც ასეთი პატიმრები მოპარულ თანხებს აბრუნებენ, ეს სასიამოვნოდ მხვდება გულზე. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ „მღვრიე წყალში თევზების ჭერით“, უდანაშაულო ადამიანიც დაიჭირო.

— ახლა ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მოქმედ საგადასახადო რეჟიმში ბიზნესმენებისთვის შეუძლებელი იყო პატიოსნად ეშრომათ, ეი. სისტემა აიძულებდა მათ, დაემალათ გადასახადები. გულწრფელად მითხარით — თქვენ, როგორც მეწარმეს ხშირად გიხდებოდათ ამის ჩადენა?

— მე არ მივეკუთვნები ადამიანების იმ რიგს, ვინც ამბობს, რომ მოქმედი საგადასახდო კოდექსით მუშაობა შეუძლებელი იყო. აბსოლუტურად გულწრფელად გეუბნებით: თუ ვინმე დამიმტკიცებს, რომ ჩემს კომპანიაში ერთი ცენტის ოდენობის გადასახადი იყო დამალული, მე დავტოვებ ჩემს კომპანიას!.. იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც ძირითადად ექსპორტზე მუშაობდნენ და საქართველოს საგადასახადო სივრცეში არ იყვნენ ჩაკეტილნი, შეეძლოთ, აბსოლუტურად ლეგალურად ემუშავათ. თუმცა, გეთანხმებით იმაში, რომ საქართველოში საკმაოდ მძიმე საგადასახადო კანონმდებლობა იყო, რასაც თან ერთვოდა ღარიბი ადმინისტრაცია: რა თქმა უნდა, ადამიანს, რომელიც ასეულობითმილიონიან ბრუნვას ამოწმებს, 80-ლარიანი ხელფასი არ უნდა ჰქონდეს.

— მთავრობამ უკვე წარმოადგინა იმ გადასახადების შემცირებული განაკვეთები, რომლებიც სავარაუდოდ, ახალ საგადასახადო კოდექსში შევა. როგორ ფიქრობთ — ეს მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მეწარმეებს საგადასახადო ტვირთს?

— კარგია უკვე ის, რომ შეინიშნება განაკვეთების კლების ტენდენცია, მაგრამ ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის სფეროდან წამო-

სული ადამიანები, უფრო ახლობელი გახდნენ ხელისუფლებისთვის. მთავრობამ აღიარა, რომ მხოლოდ მეწარმეობასა და ბიზნესზე დგას ქვეყნის ბიუჯეტი. წინა ხელისუფლების დროს, ბიზნესსაზოგადოება საერთოდ არ არსებობდა: გამოვიდოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩამოთვლიდნენ ყველა პროფესიის ადამიანს და ბიზნესმენი სრულიად იგნორირებული იყო... მეტსაც გეტყვით: მაშინ, როდესაც მე ჩემი სტატუსით, სწორედ რომ ბიზნესმენი ვიყავი, მეღვინეს მეძახდნენ. არადა, მეღვინე ნამდვილად არა ვარ და არც ვიცი, რა არის მეღვინეობა... რაც შეეხება უშუალოდ განაკვეთების შემცირებას – რამდენადაც დღევანდელ მთავრობას და ბატონ ზურაბ ჟვანიას ვიცნობ, ამგვარი იდეის პრეზენტაცია ძირითადად, ემსახურება „პიარაქციებს“. ამაზე კომენტარს მხოლოდ მაშინ გავაკეთებ, როდესაც კოდექსის პროექტს დასრულებული სახით ვნახავ.

შედეგებზე, მომავალში კიდევ შეგვიძლია შევხვდეთ და ცალკე ვისაუბროთ...

— ბოლო დროს საქართველოში ინტენსიურად ცდილობენ მოიზიდონ რუსული კაპიტალი. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამას, რუსეთის მხრიდან საქართველოს ეკონომიკური დაპყრობა შეიძლება მოჰყვეს. თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?

– მივესალმები რუსული კერძო კაპიტალის შემოდინებას საქართველოში. მაგრამ ეს პროცესი უნდა იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე, რაც სოლიდური აუდიტორული კომპანიების მეშვეობით უნდა განხორციელდეს. თუმცა, ეს არ არის მთავარი განმსაზღვრელი ქვეყანაში სტაბილური საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. მთავარია, ხელისუფლების სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს კანონის უზენაესობა, არ უნდა არსებობდნენ პრივილეგირებული ბიზნესმენები და შეექმნათ სწორი ეკონომიკური კანონმდებლობა.

— ეკონომიკის მინისტრმა ბრძანა: საქართველოში გაიყიდება ყველაფერი, ნამუსის გარდაო... როგორც ცნობილია, უახლოეს მომავალში, დაიწყება ე.წ. დიდი პრივატიზაცია. თქვენც ხომ არ ფიქრობთ, რომ ქვეყანაში არ არსებობს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები?

– ჩემთვის ფოთისა და ბათუმის პორტები, საქართველოსთვის სტრატეგიული დანიშნულების წერტილებია. ეს ის ობიექტებია, რომლების გადაკეტვითაც შესაძლოა, სერიოზულად შემცირდეს ტვირთბრუნვა, უმთავრესად – საქართველოს მიმართულებით. ჩვენ ჯერ არ ვიცით, როგორი შეხედულება აქვს ხელისუფლებას ამასთან დაკავშირებით ანუ რას ყიდიან ისინი ფოთის პორტში: ბაქანს, ზღვას თუ სარკინიგზო მისასვლელს. ბატონი ბენდუქიძე დაგვპირდა, რომ ეს პროცესი აბსოლუტურად გამჭვირვალე იქნება. რა თქმა უნდა, ძირითადი ბერკეტები სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს.

— როგორც ბიზნესის სფეროს წარმომადგენელს, ბენდუქიძესთან რაიმე შეხება ხომ არ გქონიათ?

– არა, არანაირი ურთიერთობა არ მქონია ბენდუქიძესთან, მაგრამ უახლოეს მომავალში მასთან შეხვედრას და კონკრეტულ თემებზე საუბარს ვაპირებ.

— ეი. როგორც ეკონომიკის მინისტრი, ბატონი კახა თქვენთვის აბსოლუტურად მისაღებია?

– მისი დანიშვნა ამ პოსტზე, რევოლუციაა ქართულ ეკონომიკაში – თუ გავითვალისწინებთ მის გამოცდილებას. ხოლო შედეგებზე, მომავალში კიდევ შეგვიძლია შევხვდეთ და ცალკე ვისაუბროთ...

— ამჟამად მზადდება კიდევ ერთი კანონპროექტი, რომელიც დამალული გადასახადების ლეგალიზებას შეეხება. საზოგადოებაში ეს პროექტი ფინანსური ამინისტიის სახელითაა ცნობილი. რამდენად მისაღებია თქვენთვის ამგვარი ნაბიჯი?

– მიმაჩნია, რომ ესეც ზურაბ ჟვანიას ერთგვარი „პიარაქციაა“, რომლის დანიშნულებაა, აიმაღლოს ავტორიტეტი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში...

— ბოლო პერიოდში, მთავრობა გარკვეული ეკონომიკური ნაბიჯებით ცდილობს, დაანახვოს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, რომ ზრუნავს მასზე, როგორც საკუთარ მოქალაქეებზე. როგორია თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით?

– ეს არის საქართველოს ძირძველი მიწა და ვიცი, რომ იქ მცხოვრები ოსების უმრავლესობა აბსოლუტურად ჯანსაღად აფასებს იმ ნაბიჯებს, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება დგამს. ნურავინ იფიქრებს, რომ რამდენიმე ათეულ სეპარატისტს შეუძლია საქართველოს ძირძველი მიწის პრივატიზება.

— სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენმა მთავრობამ მოახერხა, რომ ერთი მილიარდის ოდენობის ტრანში მიეღო...

– მიმაჩნია, რომ ესეც ერთგვარი „პიარაქციაა“, რადგან ვიცი, რამდენად რთულია ბიზნეს და ეკონომიკური გეგმების იმგვარად პრეზენტირება, რომ ნდობა მოიპოვო და გარკვეული თანხა ისესხო. ერთი მილიარდის სესხებას და შემდგომ, მის სწორად დახარჯვას სჭირდება უდიდესი პროფესიონალიზმი, თორემ, დაგვემართება ის, რაც შევარდნაძის პერიოდში ხდებოდა – არამიზნობრივად იხარჯებოდა ფული. ვფიქრობ, რომ ჯერ მხოლოდ სიტყვაა ნათქვამი; დაკრედიტების მზაობა გარკვეულ წინაპირობას ითვალისწინებს და ეს პირობები ხელისუფლებამ სრულყოფილად უნდა მოამზადოს. ხოლო არსებობს თუ არა რესურსი, რომ ეს პირობები სრულყოფილად მომზადდეს, ამას კიდევ დრო გვიჩვენებს. ისევე, როგორც რუსულ ინვესტიციებთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაშიც ჯერ მხოლოდ საუბრებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ ფაქტი შემდგარი არ არის...

— უკანონო და შეუსაბამო მშენებლობებთან დაკავშირებით გააკეთეთ პარლამენტის სხდომაზე განცხადება. როგორ აპირებთ ამის წინააღმდეგ ბრძოლას?

– პირველ რიგში, მინდა ყველა დავარწმუნო, რომ იმ კორპუსებში, სადაც ადამიანები უკვე ცხოვრობენ, მათ ბინიდან არავინ გამოასახლებს. სამშენებლო კომპანიამ (ეს იქ მცხოვრები ადამიანების ინტერესებშიც შედის), თავიდან უნდა შეამოწმოს მის მიერ აშენებული სახლები (სეისმომდგრადობაზე, კომუნიკაციების თვალსაზრისით) და იქ, სადაც ხარვეზებია, გამოასწოროს. ჩვენი აქცია უმთავრესად ემსახურება იმას, რომ სამომავლოდ ახალმშენებლობები, ამგვარ ბაკქანალიურ პროცესში აღარ აშენდეს, თორემ, ნება რომ მისცე მშენებლებს, ჯარისკაცის საფლავზეც დადგამენ სახლს.

■

„აკადემიის სისტემაში სრული ბალასტია“

— განათლების მინისტრს კახა ლომაიას ანტიერროვნულ ქმედებებში ადანაშაულებენ, გავრცელებული ინფორმაციით, მან აკადემიკოს ელიზბარ ელიზბარაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას ამის შესახებ?

ლევან ბერძენიშვილი, *პარლამენტის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე:*

კახა ლომაია

— მე ძალიან კარგად ვიცი, სად იგეგმება მსგავსი შინაარსის ჭორების გავრცელება... ვერავინ დამაჯერებს, რომ კახა ლომაიამ აკადემიკოსს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მან განათლების სამინისტროს გარდაქმნა დაიწყო, რამაც ზოგიერთ გამომცემელს მუდმივი შემოსავლის წყარო გადაუკეტა. განაწყენებული გამომცემლები კი მის დისკრედიტაციას ცდილობენ. მე ჩემი კომპეტენციის ფარგლებში შემიძლია განვაცხადო, რომ კახა ლომაია კარგი მინისტრია. რაც შეეხება ზოგადად მეცნიერებათა აკადემიას, იქ რომ ძირეული რეფორმებია გასატარებელი, ამაზე კამათიც არ შეიძლება. ლომაიას ამ ინიციატივას გაგებით უნდა მოეკიდონ. აკადემიკოსებს ჩვენ ვთხოვთ, წარმოადგინონ ახლებური მუშაობის პრიორიტეტები, მაგრამ ჯერჯერობით შედეგს ვერ მივაღწიეთ... მე ვფიქრობ, აკადემიკოსებს და განათლების სამინისტროს შორის უნდა გაიმართოს დიალოგი. ჩვენი კომიტეტი მათ პარლამენტში სასაუბროდ იწვევს. აკადემიკოსებმა ლომაიას „აკადემიის მესაფლავე“ უწოდეს. ასეთი რამ საკადრებელი არ არის, რადგან მათ თავადაც მშვენივრად იციან, რომ აკადემიის სისტემაში სრული ბალასტია და ის გარდაქმნას საჭიროებს, ჭორებს კი საფუძვლად პოლიტიკური სარჩული უდევს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ფინანსთა სამინისტრომ ბრმად აფინანსოს საეჭვო პროექტები. განათლების მინისტრმა თავისი მოვალეობა მშვენივრად იცის, იგი აკადემიის წევრებს ხელფასების გაზრდასაც კი შეჰპირდა, მაგრამ ამისთვის დრო და სწორი რეფორმის გატარებაა საჭირო. ■

„კვალიფიციურ კადრებს სტაბილური გარანტიები სჭირდებათ“

— გენერალური პროკურატურა რეფორმისთვის ემზადება, ამბობენ, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი პროკურორებისათვის გამოცდების ჩაბარების დაწესება იქნება. თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ ადვოკატებმა გამოცდები ჩააბარონ. როგორი იქნება თქვენი პოზიცია პროკურორების შემთხვევაში?

ვალერი გელბაციანი, *პარლამენტის წევრი:*

— საჯარო სამსახურის კანონი ითვალისწინებს იმას, რომ სამ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს გამოცდები, მაგრამ პროკურატურას, როგორც სპეციალიზებულ ორგანოს, შეუძლია, შეუცვალოს გრაფიკი ამ პროცედურას. დარწმუნებული ვარ, რეფორმირებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთხ-

ელ მოხდება კადრების საკვალიფიკაციო გადამზადება. მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ რამდენი ახალი პროკურორიც მოვა, იმდენჯერ ჩატარდეს კადრების პროფესიონალიზმის გადამოწმება?! ეს დროის ფლანგვად მიმაჩნია. პროკურატურა ყოველთვის მაღალი დონის იურისტებით გამოირჩეოდა, კვალიფიციურ კადრებს კი სტაბილური გარანტიები უნდა შევუქმნათ. რაც შეეხება ადვოკატებს, დღესაც ვფიქრობ, რომ ისინი თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები არიან, მათ შესაძლებლობებს კლიენტურა თავად ამოწმებს. გამოცდები თვეში ერთხელ ფრიადზეც რომ აბარონ, თუ პროცესის მოგება არ შეუძლიათ, მათ ცოდნასა და კვალიფიკაციას ხაზი აქვს გადასმული. ჩემი აზრით, სახელმწიფოს მხრიდან ადვოკატების მართვა, მათზე ზემოქმედების მცდელობაა, რაც მათ თავისუფლებას შეზღუდავს. ■

„...მოგვესმა საშუალება, დავადგინოთ, რამდენად სწორადაა განსაზღვრული დენის ტარიფი“

— ჰესების რეაბილიტაციისთვის წლების მანძილზე გამოყოფილი 500 მლნ-ის არამიზნობრივად ხარჯვის საკითხს დროებითი საგამოძიებო კომისია შეისწავლის. ამ თანხის ნაწილის ათვისება ბოლო თვეებში მოხდა. ამის გამო ნიკა გილაურის პასუხისმგებლობის საკითხიც ხომ არ შეიძლება დადგეს?

დავით ზურაბაშვილი, *„ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები“:*

— სამწუხაროა, რომ უცხოური კრედიტები, რომლებიც ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა, არამიზნობრივად დაიხარჯა. ამ თანხამ ბოლო 10 წლის განმავლობაში 500 მლნ დოლარი შეადგინა. საბოლოოდ კი, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ჰესები დაშლის პირასაა მისული, რადგან მათი რეაბილიტაცია არავის გახსენებია, არადა, კრედიტები ვალად დაგვაწვა. როგორც გვეუბნებიან, ეს ვალი ასახულია დენის ტარიფში, სწორედ ამიტომ არის გადასახადი საკმაოდ მაღალი. თუ გაირკვევა, მიზნობრივად იხარჯებოდა თუ არა თანხები, კონკრეტული პირების თანამდებობის საკითხი უეჭველად დადგება, ამასთან ერთად, მოგვეცემა საშუალება დავადგინოთ, თუ რამდენად სწორად არის განსაზღვრული დენის ტარიფი. ამ ეტაპზე, კონკრეტული პირების დასახელება გამიჭირდება, მაგრამ დამნაშავეთა გარკვეული ჯგუფი აუცილებლად გამოიკვეთება. შესაძლოა, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებში დღეს მომუშავე ადამიანებიც იყვნენ. რაც შეეხება კონკრეტულად ნიკა გილაურს — მინისტრმა ენერგეტიკის სფეროში შექმნილ სიტუაციაზე დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხები უნდა გასცეს საზოგადოებას. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ხდება ამ სფეროში და სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება, როგორც ნიკა გილაურის, ასევე სხვა პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. ■

„მრავალი ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“

— პროკურატურამ კონტროლის პალატის არქივიდან მასალები ამოიღო და ოპოზიცია აცხადებს, რომ ამით ხელისუფლებაში მყოფი პირების მამხილებელი ოქმების გაქრობაა განზრახული, ამისთანავე, დასაჭერთა ახალი სიაც დადგინდებაო...

ვალერი გრიგალაშვილი, *თბილისის პროკურორი:*

— პროკურატურაში, კონტროლის პალატის ხელმძღვანელთა მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ამის საფუძველზე, სასამართლოს ბრძანებით, დოკუმენტაცია ამოვიღეთ. სულ 187 აქტია, რომლებსაც პროკურატურა შეისწავლის, რის საფუძველზეც კონტროლის პალატის სხვა ხელმძღვანელი პირების მიმართაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. ჯერჯერობით ჩვენი სამსახური მხოლოდ ამ მიმართულებით მუშაობს. როცა საკითხი ბოლომდე ამოიწურება, მერე მივუბრუნდებით სხვა ორგანიზაციებსა და ცალკეულ სუბიექტებს. წინასწარი დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ახლო მომავალში, მრავალი ადამიანის სახელი გაიჟღერებს, რომლის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება. ვიცი, ინტერესს იწვევს იუსტიციის სამინისტროსა და საგადასახადო ინსპექციის შემოწმების აქტები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის მინისტრობის პერიოდს უკავშირდება. ეს ოქმები ნამდვილად ამოღებულია, მაგრამ იუსტიციის სამინისტროს შემოწმების აქტში დანაშაულის ნიშანი არ აღმოგვიჩენია. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ოქმები კონტროლის პალატის ხელმძღვანელ პირთა შესამოწმებლად ამოვიღეთ; საეჭვო გარემოებებმა თუ იჩინა თავი, ჩვენ საკითხს ბოლომდე შევისწავლით. ასე რომ, არავინ არაფრის „გაქრობას“ არ აპირებს, მიმდინარეობს ჩვეულებრივი მუშაობა იმ პირების დასადგენად, რომლებიც ქვეყნისა და ბიუჯეტის საზიანოდ მოქმედებდნენ. ამ ადამიანთა ნუსხა კი მართლაც, საგრძნობლად გაიზრდება. ■

„უხერხულია ასეთი ცილისწამება, მე ამ კუთხით ჩემი აქტიურობა არასოდეს დამიმალავს“

— უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, ლადო ჭანტურიამ, განაცხადა, რომ თქვენ ზეწოლას ახდენდით მოსამართლეებზე და ამიტომ, უფლება არ გაქვთ, სასამართლო სისტემაში გამეფებულ უკანონობაზე ისაუბროთ. თქვენი აზრით, რა უდევს საფუძვლად მის ბრალდებას?

ელენე თევდორაძე, *პარლამენტის წევრი:*

— ლადო ჭანტურიამ თავადაც მშვენივრად იცის, რომ მე არც მასზე და არც სხვა რომელიმე მოსამართლეზე რაიმე ფორმით ზეწოლა არ მიცდია. ჩემი უშუალო მოვალეობაა, დავიცვა პატიმართა უფლებები. ამ მოტივით მოსამართლეებისთვის არაერთხელ დამირეკავს, რათა აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების დროს, მეთხოვა, ამა თუ იმ პატიმართან დაკავშირებით, ჰუმანური გადაწყვეტილება მიეღოთ. არის ცალკეული შემთხვევები, როცა შესაძლებელია, ადამიანი ციხის კედლებში არ გამოამწყვდიო და ისე აწარმოო გამოძიება. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღემდე არინ პატიმრები, რომლებიც წლების განმავლობაში ელოდებიან კასაციას, მაგრამ სასამართლო მათი საქმის გადახედვას არ ჩქარობს. ასეთ დროს მე ყოველთვის ვაძლევ თავს იმის უფლებას, რომ დავურეკო მოსამართლეს და მივმართო შუამდგომლობით, მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება. ასევე არ შემეძლო გაჩუმება, როცა მივიღებდი ინფორმაციას მოსამართლეების მხრიდან ქრთამის აღების ან არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების შესახებ. მე ამ კუთხით ჩემი აქტიურობა არასოდეს დამიმალავს. მაშინ ლადო ჭანტურია ჩუმად იყო და მეთანხმებოდა, ახლა კი ზეწოლაში მადანაშაულებს? მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი, თუ ის ამას უკანონობად თვლის, მისივე პრობლემაა. უბრალოდ უხერხულია, ასეთი ცილისწამება, რასაც ვერანაირი არგუმენტით ვერ დაამტკიცებს. ■

მოამგეადა ხათუნა მაღრაძემ

შ.პ.ს. «დელტა»
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
მაღალი ხარისხი-მისაღები ფასები
მის: მ.ლალიძის ქ.№9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

რა სარგებლობა მოაქვს რუბრიკა „სასიძოს“? — ცნობილი და მოუცლელი ადამიანების პირად ბედნიერებაზე ზრუნავს. კიდევ? — მკითხველებს ეძლევათ საშუალება, თავიანთი აზრი გამოხატონ ამა თუ იმ ადამიანის მიმართ. კიდევ? — რესპონდენტი გამოხმაურებების გაცნობის შემდეგ იგებს მკითხველის აზრს მის შესახებ. კიდევ? — კიდევ, შესაძლოა, დანტისტმა ფოტოზე შენიშნოს „საძიძოს“ დასაპლომბი კბილი და მისი მომსახურების სურვილი გამოთქვას... სწორედ ასე მოხდა თვით კოტეს შემთხვევაში: ახალგაზრდა ქალბატონმა დამირეკა და მითხრა: — იცით, სურათზე ჩანს, რომ კოტეს წინა ორი კბილი დაზიანებული აქვს და გადაეცით, შეუძლია, ჩემთან მოვიდეს, მე სტომატოლოგი გახლავართო... ასე რომ, მომავალმა „სასიძო“-„საპარტარძლოებმა“ ეს გარემოება უნდა გაითვალისწინონ და ყველა ნაკლი დაუფარავად წარმოაჩინონ: იქნებ, კბილის ექიმები, ოფთალმოლოგები, ქირურგები და პლასტიკური ქირურგები გამოეხმაურონ და რაღაც შტრიხი შემატონ მათ გარეგნობას...

ახლა კი, წინა ნომრის „სასიძოს“ — თვით კოტეს სახელზე მოსულ გამოხმაურებებს გავეცნოთ.

„მე ვანილის ნაყინი ვარ. სანამ დავდნები, უნდა შემჭამო, კოტიკ!“

მარი ჯაფარიძე

„კოტე, მიყვარხარ, ძვირფასო. „202“ უშენოდ რა იქნებოდა?.. დედას გეფიცები, მაგრად ალამაზებ ტელევიზიას. ანიზე ნაკლები არც მე ვარ, გამომეხმაურე. ანი-2“.

„ბიჭო, რატომ ხარ ასეთი მორცხვი?.. სამაგიეროდ, მე ვარ თამამი. იქნებ, რაიმე გამოგვივიდეს. მე გასწავლი, როგორ უნდა ქალის შებმა“.

„ვაი, დედავ, სიცილით მოვკვდი. კუნძულზე რამდენიმე ქალს წავიყვანო? ბიჭო, ასეთი გამხდარი და გალეული რომ ხარ, რამდენიმე ქალს როგორ გაუძლებ? ხომ მთლად ნაწუწნ კანფეტს დაემსგავსები?!. ჯერ მოსუქდი, მოღონიერდი და გეფიცები, რამდენიმე ქალის მაგივრობას მე გაგიწევ. სიამოვნებით წამოვალ შენთან ერთად კუნძულზე. „პარასკევა“.

„ანის ჭვრიტინი რას გარგებს? სულაც არაფერს. ეგ ანი დაიჭირე, მაგრად დაბურჯგნე და აკოცე. აუჰ, შენ მაინც ქენი ეგ საქმე, ძმაო, მე ვერ ვახერხებ და... გისურვებ წარმატებას. ჯონი“.

„კოტე, უფროსი ასაკის ქალები არ მოგწონს? ვარ 40 წლის და ძალიან მიყვარხარ. კარგად გავუგებთ ერთმანეთს. გეფიცები, არაფერს მოგაკლებ. მაქვს ჩემი ბიზნესი და საკმაოდ კარგი შემოსავალი. ნანო“.

„ვარ 180 სმ სიმაღლის, ქერა, მწვანეთვალება გოგო. მინდა კოტეს გაცნობა. რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზი არ ვარ, მაგრამ არც დასაწუნი მაქვს რამე. კოტე, ერთგული ცოლი ვიქნები, დამირეკე“.

„ვარ კარგი დიასახლისი, მეხერხება ხაჭაპურის ცხობა და ვაკეთებ უგემრიელეს ხინკალს. ისე, შენ ჭამა მაინცდამაინც არ გეყვარება, თორემ, ასეთი გამხდარი არ იქნებოდი. ლია“.

„მიყვარს სიტყვაძვირი კაცები. მართალია, კოტეზე მაღალი ვარ, მაგრამ მერე რა? სიამოვნებით ვასწავლიდი სექსის ბევრ საიდუმლოს. კოტე, ჰა?..“

„კოტე, გინდა, უბედნიერეს კაცად გაქციო? მაშინ უნდა დამირეკო. გასწავლი ღრუბლებში ფრენასა და შიშის დაძლევას. ოდესმე პარაშუტით გადმომხტარხარ?.. არა?.. მე შემიძლია, ის სიამე გამოგაცდევინო, რაც ასეთ ფრენას თან სდევს. ანძაზე თუ ადიხარ, სიმაღლის შიში არ გექნება. ჰოდა, მეტი არც არაფერია საჭირო. სალო“.

„ჩვენი „სასიძო“ კოტე პასიური ადამიანი ჩანს, მაგრამ მერწმუნეთ, ქართველ გოგონათა ხიბლს ვერ გაექცევა. მაინც შეგაბამთ, კოტიკ! ქეთი“.

„მარი, კოტეს გადაეცი, რომ ჩემი იდეალია. ვაფრენ და ჭკუა მეკეტება მასზე, იცი, რომ მიყვარს მე ეს სიცოცხლე?.. შენ რომ არსებობ და მე რომ გიპოვე. დიკო“.

„კოტიკო, მე შენი ფანი ვარ. მაგრად მევასები, ჩემო ფისო. ერთი ღამე რომ არ გაჩუქო, თავსაც მოვიკლავ. ველი პასუხს“.

„დიდი სურვილი მაქვს, რომ კოტეს შევხვდე. სერიოზული წინადადება უნდა შევთავაზო. როგორ მოვახერხო?“

„კოტე, შენმა პიროვნებამ მომაჯადოვა. შენდამი უსაზღვრო სიმპათია გამიჩნდა. ჩემი ოცნების პრინცი ხარ. გელოდები, შენი ლიკუნა“.

„კოტეს გადაეცით, რომ ვგულშემატკივრობ. ნათია.“

„ყურებას დამიშლი? – თვალები ჩემია. ფერებას დამიშლი? – ხელები ჩემია. კოცნას დამიშლი? – ტუჩები ჩემია. სიყვარულს დამიშლი? არა გრცხვენია?“ Kiss you...“

„კოტე, ეს რა კაცი ყოფილხარ და არ ვიცოდი. აქამდე სად იმალებოდი? მიშველე დროზე, დამირეკე, თორემ... „პინოქიო“.

„აუჰ, რა მაგარი „სასიძო“ „გაიჩითა“! მე ვანილის ნაყინი ვარ. სანამ დავდნები, უნდა შემჭამო, კოტიკ! მერე ველარაფერს მიშველი. გკოცნი, ნინო“.

„ამხელა კაცი ხარ და რაღა დროს შენი მორცხვობაა?! ახლა შენ ქალებს ცხვირსახოცებივით უნდა იცვლიდე, შენ ხომ ასეთი პოპულარული ხარ! ეგ სიმორცხვე დაგლუპავს, იცოდე. ცოტა აზრზე მოდი, ბიჭო, მიიხედ-მოიხედე და შანსს ხელიდან ნუ გაუშვებ...“

„ა-ა, აქტიური ქალები მოგწონს? თანაც, რამდენიმე ერთად? უყურე შენ!.. სწორედ ისეთი ვარ, ჟურნალის გარეკანზე მაგარი ნაშა რომაა შენთან ერთად. მოგწონს ასეთი ქალები?.. აქ ვარ, მაშ,იბრძოლე,ეძიე და მოიპოვე. აი,ჩემი ტელეფონის ნომერიც: XX-35-07“. ■

ჩვენი რუბრიკა თავისი არსებობის ერთ წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში, უამრავი გასათხოვარ-დასაქორწინებელი, ცნობილი პიროვნება წარმოგიდგინეთ. ამ ცოტა ხნის წინ კი, „დავიბოლმე“: ვფიქრობდი — რა მეშველება? საიდან მოვიყვანო ახალი „კლიენტები“? დავიწყებას მიცემული და ჩვენ მიერ „აღორძინებული“ ხანუმობის ტრადიცია იღუპება-მეთქი!.. მაგრამ გაიხაროს ჩვენმა პრეზიდენტმა, რადგან ისეთი ასაკის ახალგაზრდები დანიშნა ამა თუ იმ თანამდებობაზე, ბუნებრივიცაა, მათი უმრავლესობა დასაოჯახებელი რომ იყოს. ამიტომ, არც მე მაქვს შეშფოთების საფუძველი და არც მკითხველს მოაკლდება პერსპექტიული „სასიძო“-„საპატარძლოები“...

მარი ჯაფარიძე

ქალს, რომელიც მამაკაცებსაც კი აკვირდება, ამჩატება ალარ შეჰფერის...

დღეს ამ რუბრიკით თბილისის სანიტარული სამსახურის უფროსს, 25 წლის ***დათო მესხიშვილს*** *წარმოგიდგენთ. განსაკუთრებით ცნობილი ის მას შემდეგ გახდა, რაც საკოლმეურნეო ბაზარში ერთ-ერთი მოვაჭრის, ზორბა მანდილოსნის იერიშის ობიექტი გახდა... ჩვენი საუბარი სწორედ იმ დღეს შედგა, როდესაც აღნიშნული სამსახური ბავშვთა კვებით მოვაჭრე ობიექტებზე „თავდასხმას“ აპირებდა და ღონისძიებაზე მიპატიჟებაც მივიღე, რაზეც თავაზიანი უარი ვთქვი. სამაგიეროდ, ბატონი დათო შემპირდა, რომ აუცილებლად დამასწრებდა მეძავებისთვის ლიცენზიის გაცემის პროცესს...*

— ბატონო დათო, გაგვაცანით თქვენი ოჯახის შემადგენლობა.

— ვცხოვრობ მშობლებთან და ძმასთან ერთად. ძმა ჩემზე უმცროსი გახლავთ და თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის მე-2 კურსზე სწავლობს. მომავალი სტომატოლოგია.

— დაგვიხასიათეთ თქვენი თავი, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხრიდან.

— დავიწყებ იმით, რომ ზოდიაქოთი ტყუპი გახლავართ და ჩემი ხასიათის თვისებები აბსოლუტურად ემთხვევა ამ ნიშნის თვისებებს. მაქვს ცვალებადი ხასიათი: ხან აგრესიული ვარ, ხან დამთმობი, ხანდახან ბრაზიანი, ზოგჯერ — მხიარული. ანუ ყოველთვის, შექმნილი სიტუაციის ადეკვატური განწყობა მაქვს. მაგრამ საქმიანობიდან გამომდინარე, უფრო სტაბილური ვარ. დადებით მხარედ მიმაჩნია ის, რომ მეტისმეტად მკაცრი ვარ. თუმცა, შესაძლოა, სხვები ამას უარყოფით თვისებად მიიჩნევენ. ვერ ვიტან რეჟიმის დარღვევას. მიყვარს წესრიგი. საერთოდ მიმაჩნია, რომ დადებითი პიროვნება ვარ, თუმცა, ჩემი მეგობრები უკეთესი შემფასებლები იქნებიან. არ უარვყოფ, რომ უარყოფითი თვისებებიც საკმაოდ მაქვს.

— მაგალითად?

— მაგალითად ის, რომ ძალზე ფეთქებადი ხასიათი მაქვს. წარმოშობით კახელი ვარ და მოგეხსნებათ, მათ როგორი პირდაპირობა ახასიათებთ. მეც ასე, პირდაპირ, დაუფარავად სიმართლის თქმა მიყვარს და ყველას ვეუბნები — თქვენც ასევე მომექეცით-მეთქი. შორიდან მოვლასა და სიტყვების ნაყვას მირჩევნია, ალალად მითხრან სათქმელი.

— წყენას იოლად ივიწყებთ?

— კი, მალე ვივიწყებ წყენას. მე ვიცნობ ადამიანებს, რომლებსაც გაბრაზებას ვერც კი შეატყობ, მაგრამ იბოღმებიან და წყენას გულში იხვევენ. მე კი იმწუთას ავფეთქდები, სიმართლეს პირში მივახლი და მალევე ვივიწყებ...

— ბუზღუნი თუ გჩვევია?

— არა, რადგან რაც საბუზღუნოა, იმ საქმეს ისე ვაგვარებ, რომ წუწუნისა და ბუზღუნის საბაბი არ მქონდეს.

— რამდენად მოწესრიგებული ადამიანი ხართ?

— ოჯახში, ბავშვობიდან სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, რომ ყველა ნივთი თავის ადგილზე დამედო. ძალაუნებურად, ეს ჩვევა გამომმუშავდა და მოწესრიგებულ ადამიანად ჩამოვყალიბდი. ვიდრე ამ თანამდებობაზე დავინიშნებოდი, ბევრ რამეს ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთ მაგალითს მოვიყვან: წინათ, ჩვეულებრივად შევდიოდი ბაზრობაზე და პროდუქტს ვყიდულობდი. ახლა უნდა ვნახო, როგორ პირობებში აქვთ შენახული, ვარგისია თუ არა, თვითონ გამყიდველსაც კი ვაკვირდები, მოწესრიგებული და სუფთა ადამიანია თუ არა.

— გამოდის, ოჯახს პროდუქტით თქვენ ამარაგებთ, ხომ?

— წინათ მე ვყიდულობდი, მაგრამ ახლა, ბაზარში რომ შევდივარ, მოვაჭრეები პროდუქტს დახლიდან იღებენ, მალავენ და ვერაფრის ყიდვას ვერ ვასწრებ... ამიტომ ჩემი ოჯახის წევრები დადიან ბაზარში პროდუქტის შესაძენად.

— ოჯახის წევრების მიერ ნაყიდ პროდუქტს ენდობით? თუ მაინც კითხულობთ მისი ვარგისიანობის შესახებ?

— ყველა დარიგებული მყავს, როგორ უნდა შეიძინონ ესა თუ ის პროდუქტი. ამიტომ, უკვე ვენდობი...

— გაბრაზებას როგორ გამოხატავთ ხოლმე? გინება თუ გჩვევიათ?

— არა, უწმაწურ სიტყვებს არასოდეს ვამბობ. თქვენ უკვე იცით იმ ინციდენტის შესახებ, ჩემსა და ბაზრობაზე მოვაჭრე ქალბატონს შორის რომ მოხდა. ის არ მოიქცა ქალისთვის შესაფერისად. ასე კაცებიც არ უნდა იქცეოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემკენ საცემრად იწევდა, ხმამაღლა კი არა, გულშიც არ შემიგინებია მისთვის. გინება და ბილწსიტყვაობა მხოლოდ უარესს მოიტანს და კონფლიქტს ამით ვერ დაარეგულირებ. ერთი რამ მაქვს შესისხლხორცებული, რომ ყველა თანამდებობის პირი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ისე, გამოვიტყდებით, რომ ხანდახან, მაგიდაზე მუშტის დარტყმა მიყვარს.

— ნუ გეწყინებათ, თუ ვიტყვი, რომ თქვენი ასაკის ახალგაზრდებს ცოტა „უქრით“ და თვალი გართობისკენ გაურბით. თქვენ არ

გიზიდავთ დისკოთეკები და ღამის გართობა?

— გართობა მიყვარს, მაგრამ ჩემს თანამდებობას არ შეეფერება ამჩატება. მე წინასწარ, ფსიქოლოგიურად ვიყავი მომზადებული იმისთვის, რომ ამ ყველაფერს უნდა დავმშვიდობებოდი. ამიტომ, გართობაზე უარის თქმა სულაც არ მიჭირს. იმის თქმა მინდა, რომ სტრესში არ ჩავვარდნილვარ — ვაიმე, რა მეშველება? ვეღარ ვერთობი-მეთქი!..

— გვითხარით, როგორი ქალბატონები მოგწონთ?.. იქნებ, უფრო შესაფერისი იქნებოდა, ქალბატონის ნაცვლად, გოგონა რომ მეთქვა?

— ძალზე ვაფასებ ისეთ ქალბატონებს... თუ გოგონებს, რომლებსაც გარეგნულ სილამაზესთან ერთად, ინტელექტიც გამორჩეული აქვთ.

— თქვენ მიმართ ოჯახის წევრების დამოკიდებულება თუ შეიცვალა მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე დაინიშნეთ?

— კი, შეიცვალა. უფრო მეტ პატივისცემას ვგრძნობ მათგან, უფრო მორიდებულები გახდნენ და ცდილობენ, ჩემი ყოფითი პრობლემები უსიტყვოდ მოაგვარონ. წინათ თუ რამეზე ჯუჯღუნი მჭირდებოდა, ახლა ყველაფერი ჩემი ჩარევის გარეშე კეთდება. ხელს მიწყობენ, რომ იდეალური სამუშაო პირობები შემიქმნან.

— უცოლო რომ ხართ, ამის გამო არ გსაყვედურობენ?

— ერთხელ ცოლი უკვე მოვიყვანე და გავიყარეთ. ამიტომ ამ საკითხზე ლაპარაკი ყველას აკრძალული აქვს და ვერავინ მისაყვედურებს...

— ბაზრობებზე პროდუქტის ვარგისიანობისა და მისი შენახვის პირობების გარდა, კიდევ რა შედის თქვენს მოვალეობაში?

— ყველა იმ ობიექტისთვის თვალყურის დევნება, რომელთანაც ადამიანს შეხება აქვს. ეს გახლავთ: სილამაზის სალონები, წყალი, ნიადაგი, ჰაერი, აბანო, საუნა...

— საუნაზე გამახსენდა: ქუჩის მეძავების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმებაც თქვენ გევალებათ?

— ჯერ მანამდე არ მივსულვარ. ალბათ, ეგეც შედის... ასეთი რეიდის ჩატარებაზე ჯერ არ მიფიქრია. ვფიქრობ, შევამოწმებთ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ მათ. ალბათ, თუ ექნებათ ხარისხისა და „ვარგისიანობის“ დამადასტურებელი სერტიფიკატი, აქციზური მარკა და გარე ვაჭრობის უფლება, მაშინ სათქმელი რა გვექნება?.. ასეთ რეიდს რომ მოვაწყობთ, აუცილებლად დაგასწრებთ და გაგაშუქებინებთ...

— ქეიფი და დროს ტარება თუ გიყვართ?..

— ძალზე მიყვარს ქართულ სუფრასთან ქეიფი. მე საკმაოდ კარგი მოცეკვავე ვარ და რომ დავლევ, ხელის გაშლაც მიყვარს, რა თქმა უნდა — ქალებიც. თუმცა, როგორც გითხარით, ამ ბოლო დროს ვეღარ ვიცლი გასართობად.

— თქვენი ჰაბიტუსით თუ ვიმსჯელებთ, მაინცდამაინც მაგარი მსმელი არ უნდა იყოთ...

— ჩემმა აღნაგობამ არ მოგატყუოთ, საკმაოდ კარგად ვსვამ. ძალზე ხშირად დამმუქრებია ჩემზე მეტად ზორბა ადამიანი — სასმელში ჩაგახრჩობო! — მაგრამ გარწმუნებთ, ვერავინ „წამაქცია“. სიმთვრალე ძალზე კარგი მაქვს და ხშირად მეუბნებიან — შენ ყოველთვის ცოტა „გრადუსში“ უნდა იყოო.

— ახალ სამსახურში მოსვლისას, პირველ რიგში რას მიაქცევთ ყურადღება?

— წესრიგს. თანამშრომლები საკუთარ ნებაზე იყვნენ მიშვებული — ვისაც როდის უნდოდა, მაშინ მიდიოდა და მოდიოდა... ეს საკითხი მკაცრად დავაყენე და ახლა არავინ აგვიანებს და არც ადრე მიდის სამსახურიდან... და მეორე: როდესაც თანამშრომლები ამა თუ იმ ობიექტს ამოწმებენ და მერე, მე მივდივარ გადამოწმებაზე, ხშირად მხვდება ისეთი რამ, რაც მათ ვერ შენიშნეს და უყურადღებოდ დარჩათ. მკაცრად მოვითხოვ, რომ ყველა თანამშრომელი გულისყურით მოეპყროს დაკისრებულ მოვალეობას.

— როგორ ფიქრობთ — მიაღწევთ იმას, რაც მიზნად დაისახეთ?

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ: რაც ამ სამსახურში მოვედი, ისეთი ობიექტები აღმოვაჩინე, რომლებზეც წინათ, წარმოდგენაც არ მქონდა. ამას წინათ, ვაგზლის ტერიტორიაზე აღმოვაჩინე სარდაფი, რომელიც მაღაზიას ჰგავს, მაგრამ რეალურად, საკმაოდ დიდი თევზის ბაზარია. მოვაჭრეებმა შორიდან თვალი რომ მომკრეს, შესასვლელი კარი შიგნიდან ჩამიკეტეს. ვაკაკუნებდი, ვეძახდი — გამიღეთ, ვიცი, რომ თქვენი თევზებიანად შიგნით ხართ-მეთქი, — მაგრამ იქიდან მხოლოდ ჩურჩული ისმოდა. ძლივს მივაღწიე იმას, რომ კარი გაეღოთ... ჩემ მიერ დასახული მიზნის მიღწევაში უნდა დამეხმარონ თანამშრომლები, მოვაჭრეები და მომხმარებლები. თუ მოვაჭრეებთან ვერ მივაღწიეთ შეთანხმებას, მყიდველი უნდა გააქტიურდეს: არ უნდა იყიდოს პროდუქტი იმ მოვაჭრისგან, რომელსაც პროდუქტი შესაბამის პირობებში არ ექნება შენახული. ის რომ დაინახავს, მისი ბიზნესი საფრთხეშია, იძულებული იქნება, ყველა ნორმა დაიცვას.

აი, ასეთი „სანიტარულ-ჰიგიენური“, მკაცრი და მომთხოვნი „სასიძო“ გვყავს. გოგონებო, ვისაც დათოსთან დაკონტაქტება და მის წინაშე თქვენი ღირსებების წარმოჩენა გსურთ, შეგიძლიათ დამირეკოთ ან „დამიმესიჯოთ“ ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. ■

ვერ იქნა და ვერ ამოხსნეს ფილოსოფოსებმა და მეცნიერებმა სიყვარულის საიდუმლო. ზოგი სიყვარულის ფორმულის გამოგონებას ცდილობს, ზოგი კი ამბობს — თუ კუპიდონის ისარი მოგხვდა, წასულია შენი საქმე, სიყვარულს თავს ვეღარ დააღწევო... სიყვარულის არსის გაშიფვრას ალბათ, ვერც ჩვენ შეგვლებთ და ისღა დაგვრჩენია, ჩვენი მომდევნო რესპონდენტის — ალეკო მახარობლიშვილის პაემნების ამბებს გავეცნოთ. თურმე ნუ იტყვით და, ცნობილი მსახიობი პირველ პაემანზე „სუპზე“ ფიქრობდა. თუ რატომ — ამის შესახებ თავად ბატონი ალეკოს ნაამბობიდან შეიტყობთ.

დიდი მარცხი შეყვარებულის მშობლებთან

ანუ

პირველი ლათვრიალი ცისკენ

მერი კობიაშვილი

— ბატონო ალეკო, პირველად სიყვარულმა რა ასაკში აგიჩქროლათ გული?

— ადვილად მიყვარდება ხოლმე, ამიტომ რაც თავი მახსოვს, სულ შეყვარებული ვარ. შეიძლება, ყველას სახელი და გვარი ვეღარ გავიხსენო, მაგრამ სახე ყველასი მახსოვს...

— შეყვარებული როგორი იყავით?

— ვიბნეოდი ხოლმე. საკმაოდ მორცხვი ადამიანი ვიყავი და ვარ. იმ გოგოს კი, რომელიც მიყვარდა, დაჟინებით ვუმზერდი ხოლმე. ამდენი „სიყვარულებიდან“ სულ რამდენიმესთვის მაქვს ნათქვამი — მიყვარხარ-მეთქი. დანარჩენები ალბათ, თვითონ ხვდებოდნენ; მე ვერ ვბედავდი თქმას და დავდიოდი ჩემთვის გაუბედურებული, დაბნეული და გამოშტერებული. აი, ასეთი ტრაგიკული სასიყვარულო თავგადასავლები მქონდა...

— თქვენს დაჟინებულ მზერაზე გოგონების რეაქცია როგორი იყო?

— ზოგი თვალს თავხედურად მიშტერებდა და უფრო მაგიჟებდა. ეტყობა, მათ არ ვაინტერესებდი. მეც დიდად არ განვიცდიდი, საპასუხო სიყვარულს რომ არ ვგრძნობდი. მაგრამ საქმე სერიოზულად იყო, როცა უფრო ღრმად ვიყავი შეყვარებული. დეპრესიაში მყოფი, მოღუშული დავდიოდი, ვკარგავდი იუმორის გრძნობას, სიცოცხლეც აღარ მინდოდა. როგორც კი ჰორიზონტზე ახალი სიყვარული გამოჩნდებოდა, ყველაფერი დავიწყებას ეძლეოდა და ამ გრძნობისგან, რომ იტყვიან, დავფრინავდი.

— თქვენმა პირველმა პაემანმა როგორ ჩაიარა?

— მე-7 კლასში რომ ვიყავი, ერთი გოგონა მიყვარდა. გადავწყვიტე, კონცერტზე დამეპატიჟა. იმ დროს ფილარმონია არ არსებობდა და უცხოური ჯგუფები რომ ჩამოდიოდნენ, კონცერტები სპორტის სასახლეში იმართებოდა. იმ დროს ძალზე პოპულარული იყო იუგოსლავიელი ჯორჯე მარიანოვიჩი, რომელიც ძალიან უცნაური მომღერალი გახლდათ, სულ სკამების ქვეშ დაძვრებოდა და ისე მღეროდა. მასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა პოლონური ჯგუფი „ჩერვონი გიტარი“. ახლა რომ თბილისში „პინქ ფლოიდი“ ჩამოვიდეს, იმის ტოლფასი იყო მაშინ „ჩერვონი გიტარის“ ჩამოსვლა... მოკლედ, ბილეთები ვიყიდე და ის გოგონა მათ კონცერტზე დავპატიჟე. სპორტის სასახლესთან ახლოს ცხოვრობდა. შემომთავაზა, ჯერ ჩემთან სახლში ავიდეთ და კონცერტზე

დატრიალდა მთელი ოჯახი. ყველა ჩემს წესრიგში მოყვანას ცდილობდა. რომ იტყვიან, მკვდარი გამიტანეს სამზარეულოდან...

იქიდან წავიდეთო. დავთანხმდი. ვეღარ გავთვალე, რომ შინ, მის გარდა, მშობლებიც დამხვდებოდნენ. მეგონა, ყველა მიხვდა, რომ ის გოგო მიყვარდა, თან, ყველა სიკეთესთან ერთად, სამხრის დრო იყო, ოჯახი სუფრას მისჯდომოდა და (დღესაც მწარედ მახსოვს) „სუპს“ მიირთმევდა. რა დროს „სუპი“ იყო?.. ჩემდა ბედად, სუფრასთან მიმიწვიეს. „სუპის“ ჭამა თავისთავად ძნელი არ არის, მაგრამ მე საშინლად ვნერვიულობდი — ალბათ ჩავთვალე, რომ ის ყველაფერი ხელის თხოვნის ტოლფასი იყო... ხელები მიკანკალებდა. სუფრასთან დაჯდომიდან ორი წუთის შემდეგ, „სუპი“ ტანსაცმელზე გადავისხი... დატრიალდა მთელი ოჯახი. ყველა ჩემს წესრიგში მოყვანას ცდილობდა. რომ იტყვიან, მკვდარი გამიტანეს სამზარეულოდან...

— ამის გამო კონცერტზე წასვლა გადაიდო?

— ჩემი ბედი, რომ ზამთარი იყო და პალტო საკიდარზე მქონდა დატოვებული: პალტომ სველი კოსტიუმი დამიფარა. სპორტის სასახლეში მაშინაც ციოდა და პალტოებს არ ვიხდიდით. იმ კონცერტისთვის კი, როგორც თქვენ გიყურებიათ (თუ გისმენიათ), მეც ისე ვუყურე: სულ გოგონას მშობლებსა და „სუპზე“ ვფიქრობდი...

— იმ გოგონამ თქვენი მოუხერხებელი საქციელის გამო დაგცინათ?

— არა. მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ დიდხანს ვიყავით ერთმანეთზე შეყვარებული. მაგრამ მერე, სხვა მოეწონა... სხვათა შორის, ჩემს ახლანდელ მეუღლეს პირველად პაემანი რომ დავუნიშნე, მაშინაც გადამხდა თავგადასავალი. ის დღე საათის გადაწევას დაემთხვა. მე პაემანზე ერთი საათით

ადრე მივედი, ის კი – დათქმულ დროზე ერთი საათით გვიან და ერთმანეთს ორი საათით ავცდით. ვიდექი გმირთა მოედანზე გაჯგიმული და ჩემი ცხოვრების ბოლო დღეებს დეტალურად ვიხსენებდი. ვფიქრობდი – იქნებ, რამე ვაწყენინე და იმიტომაც არ მოვიდა პაემანზე-მეთქი?.. შინ დავურეკე – გასულიაო, მითხრეს. მივხვდი, აღარ მოვიდოდა და წამოვედი. მერე ის მისულა შეხვედრის ადგილას და ალბათ, გულში ისიც მწყევლიდა და მაგინებდა, რომ არ დავხვდი... საღამოს, როცა მივხვდი ჩვენს შეცდომას, ყველა მისი დაქალი მოვიარე, ვისთანაც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. როგორც იქნა, ვიპოვე და ყველაფერი ავუხსენი. საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა...

— ბევრ ადამიანს სიყვარული ლექსებს აწერინებს ხოლმე. მათ რიგს თქვენც ხომ არ მიეკუთვნებით?

– ლექსის დაწერისგან ყოველთვის შორს ვიყავი. ერთადერთხელ, როდესაც ჩემს მეუღლესთან რომანი ახალი დაწყებული მქონდა, გალაკტიონის „დროშები, ჩქარა!“ გადავაკეთე და მივუძღვენი. „დროშები, ჩქარა!“-ს მაგივრად, „თამუნა, ჩქარა!“ ჩავსვი და ისე ავაწყვე ლექსი...

ტელესერიალის – „ძილის წინ“ გადაღების მომენტი

— სასცენო გმირებიდან თქვენთვის შეყვარებულის ეტალონად რომელს დაასახელებდით?

– ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რომეო და ჯულიეტა მომდის თავში. მაგრამ ხომ შეიძლება, იაგოს რომეოზე მეტად უყვარდა?..

— ...ანუ, თქვენი აზრით, სიყვარული ადამიანს არ აკეთილშობილებს?..

– არა მგონია. თუ ბოროტება გიზის სულში ადამიანს, სიყვარული ვერ შეგცვლის. როგორი გარეწარიც არ უნდა იყოს ადამიანი, ცოლ-შვილი მაინც უყვარს.

— იმ ბიჭებს რა რჩევას მისცემდით, ვინც პირველ პაემანზე წასვლას აპირებს?

– ბევრ ბიჭს ვიცნობ, რომელსაც „წამალი“ სიცოცხლეში არ გაუკეთებია და არც პლანი მოუწევია, მაგრამ ისე დადის, ვითომ კაიფში იყოს. ეტყობა, ეს კარგ ტონად მიაჩნიათ... ვურჩევდი, გოგოს, ნურც მართლა და ნურც ვითომ, კაიფში მყოფები ნუ დაენახვებიან. ასეთ სისულელეებს თუ თავს დაანებებენ და ბუნებრივები იქნებიან, კარგი იქნება...

■

ბანდიტიზმისა და პოლიციელის მკვლელობისთვის მსჯავრდებულს 25-წლიანი პატიმრობა ელის

„დედისადმი პირადი შუღლის გამო, შვილი ბანდიტად შერაცხეს“ – აცხადებს ადვოკატი

1998-2003 წლებში, საქართველოს ტერიტორიაზე მოთარეშე ყაჩაღების ათკაციანი ბანდის წევრები, როგორც სამართალდამცავები ამბობენ, შეიარაღებული თავდასხმების გზით, მზად იყვნენ, გაეტაცებინათ ნებისმიერი სახის ქონება: ავტომანქანა, ფული, ძვირფასეულობა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, სხვადასხვა საოჯახო ნივთი, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა, პირადი, არაქონებრივი ხასიათის დოკუმენტები... ბანდიტების მსხვერპლი, ცალკეულ მოქალაქეთა გარდა, ხშირად სამართალდამცავებიც ხდებოდნენ. ყაჩაღები ნივთებს ეუფლებოდნენ ან ასაღებდნენ, ძირითადად, ზემო არცევსა და ცხინვალის რაიონის სხვა სოფლებში. ეს უფრო ხელსაყრელი იყო მათთვის, რადგან სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გამო, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდებოდა. მოპოვებულ თანხას ბანდიტები ერთმანეთში ინაწილებდნენ, ეს კი, სამართალდამცავების თქმით, მათი პარაზიტული ცხოვრების ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ფულის უმეტეს ნაწილს ისინი ნარკოტიკებში ხარჯავდნენ. ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ჩვეულებრივ, უკანონოდ იძენდნენ და შემდეგ, თავადვე მოიხმარდნენ. ბანდის წევრები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ, განაწილებული ჰქონდათ ფუნქციები და დანაშაულის ჩადენისას, წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ.

ბანდის ორგანიზატორები, პროკურატურის ცნობით (ეს ინფორმაცია მოგვიანებით, სასამართლომაც დაადასტურა), გახლდნენ: ზურაბ ელიაური, ვასილ კვირიკაშვილი და ავთანდილ ურიგაშვილი, იგივე თავა. შემდეგ მათ შეურთდნენ გორის რაიონში მცხოვრებნი – მამუკა კვირიკაშვილი, რობერტ ხომასურიძე (აწ გარდაცვლილი), ასევე გიორგი გიკაშვილი და გამოძიებით დაუდგენელი პირები – ვინმე ვადიკა, სლავიკა და გოჩა. ამავე ინფორმაციის თანახმად, ბანდის აქტიური წევრი იყო გორელი, ცოლშვილიანი, წარსულში ორჯერ ნასამართლევი, 32 წლის ალექსანდრე (ლექსო) რაზმაძეც. ზემოთ ხსენებულ პირთა უმრავლესობა ჩადენილი დანაშაულებისთვის უკვე გასამართლებული არიან და ამჟამად საპყრობილეში იხდიან სასჯელს, რაზმაძეს კი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სულ რამდენიმე დღის წინ გამოუტანა განაჩენი. იგი ბანდიტიზმში, ყაჩაღობებში, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ მოხმარებაში, 2001 წლის ნოემბერში დროებითი დაკავების იზოლატორიდან გაქცევასა და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, ახალგაზრდა პოლიციელის – თეიმურაზ ძიძიგურის განზრახ მკვლელობაში ცნეს დამნაშავედ. სასამართლო კოლეგიამ სასჯელის ზომად მას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენის თანახმად, სასჯელის პირველი 5 წელი მსჯავრდებულმა საერთო რეჟიმის, დანარჩენი კი – მკაცრი რეჟიმის საპყრობილეში უნდა მოიხადოს. რაზმაძე და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი პროტესტს გამოთქვამენ აღნიშნული განაჩენის მიმართ და აცხადებენ, რომ იგი უკანონო და უსაფუძვლოა. ადვოკატის თქმით, განაჩენში მოყვანილი არც ერთი ფაქტი სათანადო მტკიცებულებებით გამყარებული არ არის.

ადვოკატი საჩივრის დაწერას აპირებს. თუ რა ბედი ეწევა განაჩენს და შესაბამისად, მსჯავრდებულს, საკასაციო პალატა გადაწყვეტს. ამ ეტაპზე კი განაჩენში ვკითხულობთ: ბანდის მიერ განხორციელებული დანაშაულებიდან, გამოძიებით გამოვლენილი პირველი ყაჩაღობა 1998 წლის 21 იანვარს, გორის რაიონის სოფელ აძვის მახლობლად იქნა ჩადენილი. მაშინ ბოროტმოქმედებმა სოფელ ღრომის ხუთი მკვიდრის ქონება გაიტაცეს. 1999 წლის 30 მარტს, ბანდის სამიზნე გორის რაიონის სოფელ კვარხეთში მცხოვრები ნაზარაშვილების ოჯახი აღმოჩნდა. ამ ოჯახის ქონების შესახებ ინფორმაცია ბანდის წევრებს, როგორც განაჩენში წერია, გიორგი გიკაშვილმა მიაწოდა. მოგვიანებით, დანაშაულში ეჭვმიტანილებმა – ზურაბ ელიაურმა და ავთანდილ ურიგაშვილმა დაკავებისას, ისევე, როგორც ბრალდებულის სახით დაკითხვისას, ჩადენილი ყაჩაღობა აღიარეს. ამ დანაშაულში მათ ლექსო რაზმაძეც ამხილეს და იგი ყაჩაღური თავდასხმების ერთ-ერთ თანამონაწილედ დაასახელეს. თუმცა, მოგვიანებით ყველაფერი უარყვეს და აღნიშნეს, რომ რაზმაძე ზეწოლის შედეგად დაასახელეს. აღნიშნული ჩვენებების მიხედვით, ნაზარაშვილების ოჯახის დაყაჩაღება მათ, ისევე, როგორც ბანდის სხვა წევრებს, სწორედ რაზმაძემ შესთავაზა. ლექსომ ბიჭებს ამის შესახებ სოფლის „ბირჟაზე“ უთხრა, ისიც დასძინა, რომ სახლი მას ნაცნობმა – გოგიამ (გიორგი გიკაშვილმა) უჩვენა. მისი თქმით, იმ ოჯახში „კამაზის“ შესაძენი თანხა – დაახლოებით 10.000 დოლარი ინახებოდა; შეთავაზებულ წინადადებას ყველა დათანხმდა და მოილაპარაკეს, რომ თითოეულ მათგანს სახეზე ნიღაბი ექნებოდა აფარებული, იარაღზე კი ელიაური იზრუნებდა; მოემზადნენ: შავი, ნაქსოვი ქუდებისგან დაამზადეს ნიღბები, შეიძინეს სკოჩი, ელიაურმა რუსული და რუმინული ავტომატები გამოიტანა, ხომასურიძეს ავტომატი „აკაესი“ ჰქონდა, ურიგაშვილს კი – ოსი პიროვნებისგან – ერიკ დუდაევისგან ნათხოვარი „მაკაროვის“ პისტოლეტი, ასევე უხსოვარი წარმოების კიდევ ერთი პისტოლეტი, რომელიც „მაკაროვის“ ტყვიებს ისროდა, დანა – „ბაბოჩკა“ და „ფ-1“ ტიპის ხელყუმბარა; რაც შეეხება რაზმაძეს, იგი ბებუთის ტიპის დანით იყო შეიარაღებული. აღსანიშნავია, რომ ჩვენებაში არაერთი წინააღმდეგობა ფიქსირდება. მაგალითად, ყაჩაღობის თანამონაწილე პირთა შორის ელიაური ვინმე კოტე მოსიძეს ასახელებს. ურიგაშვილი ამ გვარს არ აფიქსირებს, სამაგიეროდ, ახსენებს ხომასურიძეს, რომელზეც ელიაური არაფერს ამბობს.

ჩვენებების თანახმად, სოფელ კვარხეთში ფეხით, ბაღების გავლით ჩავიდნენ; დაახლოებით ღამის პირველი-ორი საათი იყო; წინ ლექსო რაზმაძე მიუძღოდა; მან ისინი ერთსართულიან სახლთან მიიყვანა; ეზოში ძაღლი იყო, მაგრამ არ დაუყეფია. ყველამ გაიკეთა ნიღაბი და წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით ამოქმედდნენ. ელიაური ირწმუნება, რომ სახლში არ შესულა და გარეთ, სათვალთვალოდ დარჩა. ურიგაშვილის თქმით კი, ეზოში სადარაჯოდ ხომასურიძე და მამუკა კვირიკაშვილი დარჩნენ, ხოლო თვითონ, რაზმაძე და ელიაური



პირდაპირ საძინებელში შეიჭრნენ. იქ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ეძინა. „...ბიჭი წამოხტა და ყვირილი დაიწყო. ამის გამო, მე და ლექსომ ხელი გავარტყით, წავაქციეთ და სკოჩით შევუკარით ხელ-ფეხი. მეორე ოთახიდან ერთ-ერთის მშობლები შემოცვივდნენ. კაცს ხელ-ფეხი შევუკარით, მერე ყველა ერთად დავსვით სკამზე, ახალგაზრდა ცოლს საწოლთან ლექსო ჩამოუჯდა, რომ არ გაქცეულიყო. მე დავიწყე ბინის ჩხრეკა. კომოდის უჯრაში, თეთრეულის ქვეშ ვიპოვე ფული – 900 დოლარი და 1.500 ლარი. ახალგაზრდა ბიჭის მითითებით, იმავე კომოდზე დადებული პატარა ყუთებიდან ამოვიღე ოქროული: სამაჯური, ძეწკვი, ხუთამდე თვლიანი ბეჭედი, ორი თუ სამი წყვილი საყურე. საწოლთან სანადირო თოფი იდო, ისიც წავიღე, ლექსომ კი „სონის“ ვიდეომაგნიტოფონი აიღო. ელიაურმა ოდეკოლონები წაიღო, ხომასურიძემ და მამუკა კვირიკაშვილმა თქვეს – ავტომანქანის მაგნიტოფონი მოვხსნათო... ფული სოფელ მეჯვრისხევში გავინაწილეთ. ოქროული თავად გავყიდე თბილისში, ვაგზლის მოედანზე არსებულ „ოქროს ბირჟაზე“ 1.200 ლარამდე ავიღე. ფული ბიჭებს გავუნაწილე, სანადირო თოფი სოფელ ოტრევში, ნარკოტიკებზე გავცვალე“ – წერს **ურიგაშვილი**.

ელიაურის ჩვენების თანახმად, სახლში რამდენჯერმე ისიც შევიდა, იმის გასარკვევად, იპოვეს თუ არა ფული. ოთახში ოჯახის ოთხი წევრი იყო. თავიდან ოთხივე მათგანი უარყოფდა, რომ ფული ჰქონდათ, მაგრამ ცემის შემდეგ ახალგაზდა კაცმა თქვა – ფული კარადაშია შენახულიო... „ბაღების გავლით დავბრუნდით მეჯვრისხევში. ვიდეომაგნიტოფონი მე დავიტოვე, მასში დანარჩენებს 50 ლარი გადავუხადე“, – წერს **ელიაური**. სამართალდამცავებმა ჩხრეკისას აღნიშნული ვიდეომაგნიტოფონი მისი ბინიდან ამოიღეს.

ამირან ნაზარაშვილი, დაზარალებული:

„30 მარტს, დაახლოებით ღამის 3 საათი იქნებოდა, ხმაურზე გამეღვიძა. გარეთ გავედი და ეზოში გაჩერებულ ჩემს მანქანასთან ნიღბიანი ყაჩაღი შევნიშნე. მეორე, მანქანაში იჯდა. ავტომატიანმა ოთახში შემიყვანა, იქ კიდევ სამი ყაჩაღი იმყოფებოდა. ერთი ბებუთით ადგა ჩემს რძალს თავზე, ორნი კი, ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული – ერთი ავტომატით და ხელყუმბარით, მეორე შავტარიანი რევოლვერით. იატაკზე წაქცეულ, შეკოჭილ ნოდარს – ჩემს შვილს სცემდნენ“...

რაზმაძე წინასწარი გამოძიების პერიოდში, გიკაშვილმაც ამხილა, თუმცა, სასამართლოზე ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ნაზარაშვილის სახლი მას არავისთვის უჩვენებია, ყაჩაღობის შესახებ არაფერი იცის და არც რაზმაძის დანაშაულზე შეუძლია რაიმის თქმა. სასამართლომ ჩათვალა, რომ გიკაშვილი ცრუობს. „იგი რაზმაძის ახლო ნათესავია, ამიტომაც შეეცადა პასუხისმგებლობისგან მის დახსნას“, – აღნიშნულია ჩვენებაში.

2000 წლის პირველ მარტს, მორიგი დანაშაული მოხდა. ღამით, დაახლოებით 12-ის ნახევარზე, ბანდის წევრებმა გორიდან კვარხეთისკენ მიმავალ გზაზე „ვაზ-2107“-ს გადაულობეს გზა. მანქანას ზურაბ იჩქითი მართავდა. ნიღბიანმა ბოროტმოქმედებმა იგი იარაღის მუქარით აიძულეს, გადმოსულიყო ავტომანქანიდან. ასეც მოიქცა, რის შემდეგაც, ერთ-ერთი ყაჩაღი საჭესთან დაჯდა და მანქანა მეჯვრისხევის მიმართულებით წაიყვანა. 5 დღის შემდეგ, ბანდიტებმა კვლავ განიზრახეს ავტომანქანის გატაცება. 2000 წლის 6 მარტს, დაახლოებით 22.45 საათზე, ბანდიტები სოფელ ზერტის გადასახვევთან ახლოს, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე ჩაუსაფრდნენ მსხვერპლს. სასამართლომ დაადასტურა ბრალდება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ დანაშაულში რაზმაძე მონაწილეობდა. განაჩენის თანახმად, სახეზე ნიღაბაფარებული რაზმაძე თანამზრახველთან ერთად თავს დაესხა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის კუთვნილ „მიცუბიში-პაჯეროს“. მანქანას ფირმა „აი-ტი-ესის“ თანამშრომელი – რევაზ ბაბუნაშვილი მართავდა; მის გარდა,ჯიპში ისხდნენ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, დიდი ბრიტანეთის მოქალაქე – პოლ ტრიგოლი და სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის კაპიტანი – ბიძინა ნაზარაშვილი.

პოლ ტრიგოლის ჩვენებიდან:

„ქალაქ ჩალი ნაითენიდან გახლავართ. 1999 წლის 15 ნოემბრიდან ხელშეკრულებით ვმუშაობ საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე. 2000 წლის 6 მარტს ვმონაწილეობდი ანტიკონტრაბანდულ პატრულში. ვმოძრაობდით ქალაქ გორის მიმდებარე რაიონებში ავტომანქანა „მიცუბიში-პაჯეროთი“. მას მართავდა რევაზ ბაბუნაშვილი. მე მის გვერდით ვიჯექი, უკანა სავარძელზე კი, ავტომატით შეიარაღებული ბიძინა ნაზარაშვილი იჯდა. დაახლოებით 22.45 საათზე შევნიშნე, რომ ჩვენს მანქანას მოკლე დისტანციაზე მოჰყვებოდა რუსული წარმოების, თეთრი, უნომრო ავტომანქანა. ჯერ გვერდით ამოგვიდგა, შემდეგ გზა გადაგვიღობა და გვაიძულა, გავჩერებულიყავით. მანქანიდან, „კალაშნიკოვის“ ავტომატებით შეიარაღებული ორი მამაკაცი გადმოვიდა, „ბალაკლავის“ ტიპის ნიღბები ეკეთათ. იარაღით ჟესტიკულირების მიხედვით მივხვდი, რომ მანქანიდან უნდა გადმოვსულიყავით. დავემორჩილეთ კიდეც. ავტომანქანის უკან დავდექით. მაშინ ბაბუნაშვილმა დამიყვირა – გაიქეცი! – და თან ხელით მიბიძგა ბუჩქებისკენ. გავიქეცი, მაგრამ იქვე, არხში ჩავვარდი და ფეხი დავიზიანე. სწორედ მაშინ შევნიშნე, მეჯვრისხევის მიმართულებით, დიდი სიჩქარით მოძრავი „მიცუბიში-პაჯერო“, უკან ყაჩაღების ავტომანქანა მიჰყვებოდა“.

ბიძინა ნაზარაშვილის ჩვენებიდან:

„...მე ოფიციალურად მევალებოდა პოლ ტრიგოლის უსაფრთხოების დაცვა, უშუალოდ მაშინ, როცა ის საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდული ტვირთის გამოვლენის მიზნით მოძრაობდა... როცა ყაჩაღებმა გზა გადაგვიკეტეს, ერთ-ერთი ავტომატიანი მოგვიახლოვდა და რუსულად გვიბრძანა, მანქანიდან გადმოვსულიყავით. გადმოსვლისას, ჩემი ავტომატი სალონში დავტოვე, რადგან მის დანახვაზე შესაძლებელი იყო, ყაჩაღებს ცეცხლი გაეხსნათ, ამით კი, ტრიგოლისა და ბაბუნაშვილის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა“...

გატაცებულ „მიცუბიში-პაჯეროში“ კი, ავტომატის გარდა, სახელმწიფო

დაცვის სპეცსამსახურზე რიცხული საბრძოლო მასალა – 60 ვაზნა და საბაჟო დეპარტამენტის კუთვნილი ნივთები: პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა, ციმციმა, ფოტოაპარატები, ლითონის ხელკეტები, დურბინდი, ლითონისა და მუყაოს დაფები, ლითონისა და პლასტმასის ლუქები ეწყო. თავად ჯიპი 30.913 ლარად შეაფასეს, აქედან გამომდინარე, სამართალდამცავთა ინფორმაციით, თავდამსხმელებმა სულ 32.903 ლარის ქონება გაიტაცეს. მათივე ცნობით, გატაცებული ავტომანქანა რაზმაძემ და ელიაურმა ზემო არცევში მიიყვანეს და იქ ოსებს 2.000 დოლარად მიჰყიდეს. მოგვიანებით, სამართალდამცავებმა იგი ვინმე მელს კაზიევის საცხოვრებელ სახლთან, თივის ზვინში ჩამალული აღმოაჩინეს და კანონიერ მფლობელს დაუბრუნეს.

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებში ეჭვმიტანილი ვასილ კვირიკაშვილი, რაზმაძე, ელიაური და ურიგაშვილი დაატყვევეს. თუმცა, 2001 წლის 18 ნოემბერს, მათ გორის შს სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორიდან გაქცევა განიზრახეს და მოახერხეს კიდეც.

როგორც განაჩენშია აღნიშნული, გაცქეული და ოფიციალურად ძებნაში მყოფი რაზმაძე დანაშაულებრივ საქმიანობას განაგრძობდა, ამისთვის სპეციალურად შეიძინა „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, რომელსაც ყოველგვარი ნებართვის გარეშე, მუდამ თან დაატარებდა. გამოძიებით დაუდგენელ ბოროტმოქმედთან ერთად, 2003 წლის 24 აპრილს, მან შეირაღებული, ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ მიხეილ მალანიაზე და მას ძმის კუთვნილი ჯიპი – „ლენდ-კრუიზერი“ წაართვა. საჭეს თავად რაზმაძე მიუჯდა, მეორე ბოროტმოქმედი კი, მის გვერდით მოთავსდა. პირდაპირ გორისკენ აიღეს გეზი. მცხეთის რაიონის ტერიტორიაზე, საგზაო პოლიციის ნატახტრის საგუშაგოს გავლის შემდეგ, 600 მეტრის მოცილებით, გატაცებული მანქანა მოულოდნელად გაჩერდა და მისი სატელიტური სიგნალიზაცია ამუშავდა. ბოროტმოქმედებმა ვერაფერი გაუგეს ჯიპს – ვერც დაქოქეს. ამ მდგომარეობაში იყვნენ, როცა მათ საგზაო პოლიციის თანამშრომლები: თეიმურაზ ძიძიგური, გიორგი მისირელი და გიორგი ირემაშვილი წამოადგნენ თავზე. მათ უკვე მიღებული ჰქონდათ ინფორმაცია აღნიშნული ავტომანქანის გატაცების თაობაზე, ამიტომაც მოსთხოვეს რაზმაძეს და მის თანმხლებ პირს, დაუყოვნებლივ გადმოსულიყვნენ მანქანიდან. განაჩენის მიხედვით, სწორედ მაშინ, პოლიციელთაგან თავის დაღწევის მიზნით, რაზმაძემ პისტოლეტი ამოიღო და მიახლოებულ ძიძიგურს პირდაპირ გულმკერდის არეში ესროლა. ძიძიგური ადგილზე გარდაიცვალა. ამავე დროს, მეორე ბოროტმოქმედმა პოლიციელ მისირელს გაუხსნა ცეცხლი და იგი ფეხში დაჭრა. მისირელის მიერ საპასუხო გასროლისას ტყვია გატაცებული ჯიპის საჭესთან მჯდომ რაზმაძეს მუცლის არეში მოხვდა. დაჭრილმა რაზმაძემ მაინც სცადა გაქცევა, მაგრამ დახლოებით 300 მეტრში იგი საგუშაგოდან მისირელისა და მისი თანმხლებების დასახმარებლად წამოსულმა პოლიციელებმა დააკავეს. მეორე ბოროტმოქმედმა გაქცევა და მიმალვა მოახერხა.

და-ძმას ნარკოტიკების რეალიზაციაში სდებენ ბრალს

20 ივნისს, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლისა და ვაკე-საბურთალოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა ჩიქოვანის ქუჩაზე მცხოვრები და-ძმა – 36 წლის ოთარ და 42 წლის ეკატერინე გარდაფხაძეები დააკავეს. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, და-ძმას სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოაჩნდა. ოთარ გარდაფხაძეს 0,07 გრამი ჰეროინი უპოვეს, მისი დის საცხოვრებელი ბინიდან კი 3,7 მილილიტრი მეტადონის ხსნარი, 0,04 გრამი ჰეროინი, 0,2 გრამი სუბოტექსი და 0,9 გრამი ოპიუმი ამოიღეს. სამართალდამცავთა ცნობით, ეს გარდაფხაძეებისთვის ბრალდებულის სკამზე მოხვედრის პირველი შემთხვევა არ იქნება. ოთარ გარდაფხაძე წარსულში ოთხჯერ გახლდათ ნასამართლევი, ხოლო მისი და – სამჯერ.

მეზობელმა მეზობელი გაქურდა

20 ივნისს, ახალქალაქში ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა. აღნიშნული დანაშაულისთვის სამართალდამცავებმა ახალქალაქში პირველ სამხედრო დასახლებაში მცხოვრები, 1983 წელს დაბადებული ე. სტერნიკოვი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, სტერნიკოვმა მეზობელი ქალის – ოლგა გალიანის სახლი გაქურდა და იქიდან 1.230 დოლარი მოიპარა. სტერნიკოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას საგამოძიებო დეპარტამენტის ახალქალაქის განყოფილება აწარმოებს.

ქუთაისში 25 წლის ახალგაზრდა მოკლეს

18 ივნისს, ქუთაისში მკვლელობა მოხდა. სამართალდამცავთა ინფორმაციით, 32 წლის ნიკოლოზ ლომინაშვილმა, რომელიც „მაგთის“ საბაზო სადგურში ტექნიკოსად მუშაობდა, სასიკვდილოდ დაჭრა თანამშრომელი – „მაგთის“ საბაზო სადგურის ინჟინერი, 25 წლის თორნიკე სვანიძე. მძიმედ დაჭრილი სვანიძე, რომელსაც გულმკერდის არეში აღენიშნებოდა ბასრი საგნით მიყენებული დაზიანება, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დილით, უკვე გარდაცვლილი ნახეს. როგორც სამართალდამცავები ამბობენ, მკვლელობა ქუთაისში, რუსთაველის გამზირზე მოხდა. ეჭვმიტანილი ლომინაშვილი ჯერჯერობით მიმალულია.

ქურდობისთვის ძებნილმა ახალი დანაშაული ჩაიდინა

19 ივნისს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, პოლიციელებმა 23 წლის ვ. რაქვიაშვილი დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, რაქვიაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას, საფანტის პისტოლეტიდან გასროლით ხელში დაჭრა თბილისელი, ტრიკოტაჟის ქუჩაზე მცხოვრები, წარსულში ნასამართლევი, 29 წლის კ. ობგაიძე. პისტოლეტი „გლასს-მაგნუმი“, რომლითაც დანაშაულია ჩადენილი, ამოღებულია. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, ვ. რაქვიაშვილი ყვარლის შს განყოფილების მიერ ქურდობისთვის იძებნებოდა. გამოძიებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური აწარმოებს. ■

გიორგი მისირელის ჩვენებიდან:

„...თემური (ძიძიგური. — ავტ.) ჯიპისკენ წავიდა. მეც უკან გავყევი. ირემაშვილიც გადმოვიდა მანქანიდან. ამ დროს ჯიპიდან მძღოლმა გადმოყო ხელი და პისტოლეტით პირდაპირ ესროლა თემურ ძიძიგურს. თემური ადგილზე წაიქცა. მეც დავიწყე სროლა მანქანის მიმართულებით. სწორედ მაშინ მძღოლის მხრიდან გადმოვიდა ვიღაც და მესროლა, მუხლში დამჭრა... მძღოლის გვერდით მჯდომი გაიქცა, საჭესთან მჯდომი როგორ გაიქცა, არ დამინახავს... ნატახტრის საგუშაგოდან დასახმარებლად მოსულმა ბიჭებმა დააკავეს ის დაჭრილი, რომელმაც მოკლა ძიძიგური. მოგვიანებით, ჯიპის საჭესთან მჯდომი — თემურის მკვლელი ტელევიზორში აჩვენეს, მე მაშინვე ვიცანი იგი“.

მისირელი ბრალდებულ რაზმაძეს დაუპირისპირეს. მან მაშინაც იგივე გაიმეორა. თქვა, რომ ძიძიგურს ნამდვილად მან ესროლა და მოკლა. საინტერესოა ასევე მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამართველოს განყოფილების ინსპექტორის — ჯიმშერ მარგიანის ჩვენება, სადაც აღნიშნავს, რომ პირადად დააკავა გაქცეული, უკვე დაჭრილი რაზმაძე. *„...მან მაშინვე გვითხრა თავისი სახელი და გვარი და იქვე აღიარა, რომ მოკლა პოლიციელი. გვთხოვდა, მეც მომკალითო“*, — განაცხადა მარგიანმა. სასამართლოზე ისიც დააპირისპირეს განსასჯელ რაზმაძეს, რა დროსაც იგივე გაიმეორა.

სასამართლო პროცესზე **რაზმაძემ** კატეგორიულად უარყო მის მიერ ძიძიგურის მკვლელობა. აღნიშნა, რომ არც ზემოთ ხსენებული ავტომანქანა გაუტაცია.

„დიდი ხნის განმავლობაში ვმეგობრობდი ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ყაზბეგ გაბარაევთან. იგი კომერციულ საქმიანობას ეწეოდა და დროდადრო უხდებოდა თბილისში ჩამოსვლა. 2003 წლის 24 აპრილს გაბარაევმა ტელეფონით დამირეკა და მთხოვა, თბილისში ვარ ჩამოსული და გორამდე გამაცილეო. მას გაგარინის მოედანზე შევხვდი, „ტოიოტის“ მარკის ავტომანქანით იყო. როგორც მთხოვა, საჭეს მე მივუჯექი. ნატახტარსა და წეროვანს შორის მდებარე მონაკვეთზე ავტომანქანა გაჩერდა, ვერაფრით შევძელი ძრავას ამუშავება. სწორედ ამ დროს მოგვიახლოვდა სამი პოლიციელი. ერთერთმა მანქანის კარი გამოაღო ჩემს მხარეს და მკითხა — რაშია საქმეო? ამ დროს ავტომანქანის სალონში გასროლის ხმა გაისმა, პოლიციელი, რომელსაც ვესაუბრებოდი, იმავე წამს უკან გადავარდა. ინსტინქტურად გადავხტი მანქანიდან და გავიქეცი. დაახლოებით 300 მეტრში პოლიციელთა მიერ ჩემი მიმართულებით ნასროლმა ტყვიებმა დამჭრა და გონება დავკარგე. საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოვედი გონს“.

განსასჯელმა პოლიციელ მარგიანის წინაშე მკვლელობის აღიარების ფაქტიც უარყო. რაც შეეხება გაბარაევს, რომელიც ძიძიგურის მკვლელობაში ამხილა, აღნიშნა, რომ იმ დღის მერე მის შესახებ არაფერი გაუგია.

იასონ გესელია, რაზმაძის ადვოკატი:

„მაშინ, როცა პოლიციელი „ლენდკრუიზერთან“ მივიდა და რაზმაძეს ჰკითხა — ბიჭებო, რა ხდება, რაიმე ხომ არ გიჭირთო? მოულოდნელად გასროლის ხმა გაისმა. რაზმაძე ვერც მოვიდა აზრზე. მის გვერდით მჯდომი გაბარაევი კი გადახტა და გაიქცა. დაჭრილი პოლიციელი ძირს დავარდა, მაგრამ იმავე წუთს გაისმა საპასუხო გასროლა — მეორე პოლიციელმა გახსნა ცეცხლი. 5 თუ 6 ტყვია მოხვდა რაზმაძეს. გაქცევა დააპირა, მაგრამ 200-300 მეტრის გარბენის შემდეგ დაეცა, მიხვდა, რომ მძიმედ იყო დაჭრილი და ყვირილი დაიწყო, რათა ეპოვათ, იმ დროს ბნელოდა და ვერ დაინახავდნენ. პოლიციელებმა მიაგნეს მას, შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს. რაზმაძეს იქ რამდენიმე ოპერაცია გაუკეთდა და გადარჩა. დაჭრილი პოლიციელი გარდაიცვალა, მის მკვლელად კი რაზმაძე შერაცხეს. ის, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა, არც წინასწარი, არც სასამართლო გამოძიების პროცესში არ დადასტურდა. რეალური მტკიცებულება არ არსებობს. არ შეიძლება, პოლიციელ მარგიანის ჩვენებაზე დავამყაროთ მთელი ბრალდება, რადგან ცხადია, რომ ის ცრუობს — დაჭრილმა რაზმაძემ მკვლელობა ჩემ წინაშე აღიარაო. მოწმის განცხადება ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან დამნაშავე არავითარ შემთხვევაში არ მოუყვება პოლიციელს — ორი წუთის წინ თქვენი მეგობარი მოკალიო“.

ადვოკატის თქმით, რაზმაძე არც ზემოთ ხსენებული ბანდის წევრი ყოფილა და არც ყაჩაღურ თავდასხმებში მიუღია მონაწილეობა. რაც შეეხება ელიაურისა და ურიგაშვილის ჩვენებებს, აღნიშნავს, რომ მათ წინასწარი გამოძიებისას პოლიციელთა და პროკურატურის თანამშრომელთა ფიზიკური ზეწოლის შედეგად დააფიქსირეს რაზმაძის გვარი. *„თავიდან ასახელებდნენ, მაგრამ სასამართლოზე გადათქვეს და განაცხადეს, რომ რაზმაძეს მონაწილეობა არც ერთ თავდასხმაში არ მიუღია. ლექსო რაზმაძე მხოლოდ ნაწილობრივ ცნობს თავს დამნაშავედ. იგი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასა და გორის დროებითი დაკავების იზოლატორიდან გაქცევას აღიარებს“*, — აღნიშნავს ადვოკატი და პრეტენზიებს გამოთქვამს სასამართლო კოლეგიისადმი, რომელიც მისი თქმით, დაცვის მხარის შუამდგომლობებს არ აკმაყოფილებდა. მისივე თქმით, განაჩენი უკანონოა, რადგან ბრალის დასადასტურებლად საქმეში მტკიცებულებები თითქმის არ მოიპოვება და არც არის მითითებული მოსამართლის მიერ. მსჯავრდებულის ადვოკატი იმედებს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაზე ამყარებს, რომელსაც განაჩენის გაუქმების შესახებ საჩივრით უახლოეს დღეებში მიმართავს. ჩვენს კითხვაზე — რატომ უნდა დაინტერესებულიყო პოლიცია ან პროკურატურა რაზმაძის, სრულიად დაუმსახურებლად ციხეში ჩასმით? — ადვოკატმა ბესელიამ განაცხადა, რომ ამის მიზეზი მსჯავრდებულის დედაა.

„გარკვეული დაპირისპირება არსებობს წლების მანძილზე რაზმაძის დედას — ნინო გენგიურსა და გორის სამართალდამცავ ორგანოებს შორის. ნინო გენგიური გორის „ქალაქვაჭრობის“ დირექტორი გახლდათ. სამართალდამცავებთან ურთიერთობა ვერ ააწყო და ამის გამო მის შვილს გადაეკიდნენ. ოთხჯერ დაითხოვეს სამსახურიდან გენგიური, სრულიად უკანონოდ და დაუმსახურებლად, ოთხჯერვე აღიდგინა თავი, მაგრამ ამ დაპირისპირებას ლექსო რაზმაძე მაინც ემსხვერპლა“, — აცხადებს ადვოკატი ბესელია.

■

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ემოციური და ამავე დროს იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანია. უყვარს ცხოველები და ერთგული ადამიანები, არ უყვარს ორპირობა და ღალატი. მას მიაჩნია, რომ პოლიტიკოსი უნდა იყოს ისეთი, როგორიც თავად არის — პირდაპირი და მებრძოლი.

შალვა ნათელაშვილის

ბავშვობიდან გამოყოლილი ჩვევები, ერთი ნახვით შეყვარება და უბის ჯიბეში დამალული თაიგული

ეკა მინდაძე

— ბატონო შალვა, ბავშვობაში ვინ გინდოდათ, რომ გამოსულიყავით?

— ბავშვობაში ექიმობაზე ვოცნებობდი, ამიტომ სულ ოპერაციას ვუკეთებდი წიწილებს. ოჯახში კი ეგონათ, რომ წიწილები მელას მიჰყავდა.

— მერედა, ვინ გაიძულათ პოლიტიკოსობა?

— ცხოვრებამ...

— როგორ სწავლობდით?

— სკოლაში ხუთიც მყავდა და სამიც. ტექნიკური საგნების მიმართ მიდრეკილება საერთოდ არ მქონდა. განსაკუთრებით არ მიყვარდა მათემატიკა. სამაგიეროდ, ძალიან დავინტერესდი იურიდიული საქმით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე.

— ცელქი ბავშვი იყავით?

— ყოველ შემთხვევაში, სიცელქით ჩემს თანაკლასელებს არ ჩამოვუვარდებოდი. ვაბრაზებდით განსაკუთრებით იმ მასწავლებლებს, რომელთაც რაიმე სისუსტეს ვაჩნევდით. მასწავლებლის შესაშინებლად არაერთხელ „დაგვისვამს“ მალულად ბაყაყი მის სკამსა თუ მაგიდაზე.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ?

— დუშეთის ვაჟა-ფშაველას სახელობის პირველი საშუალო სკოლა.

— თქვენს ხასიათზე ალბათ წარმოშობამაც იქონია გავლენა...

— დიახ. მართალია, ხანჯლით არ დავდივარ, მაგრამ მებრძოლი სულის ადამიანი ნამდვილად ვარ.

— რა გიყვარდათ ბავშვობაში ყველაზე მეტად?

— ბავშვობიდან დღემდე ძალიან მიყვარს ცხოველები. პატარაობისას ყოველთვის მყავდა ძაღლი, თევზები, კურდღლები და ზღარბები. ოფისში მყოლია კატებიც და მელიაც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ, ზოოპარკს ჩავბარე.

— ბავშვობიდან გამოყოლილი რაიმე ჩვევა თუ გაქვთ?

— თითქმის ყველა ჩვევა, რომელიც დღეს მაქვს, ბავშვობიდან გამომყვა.

— გაგვაცანით თქვენი ოჯახი.

— მყავს მეუღლე — ბელა ალანია და შვილები — ბექა და დარეჯანი.

— სად და როდის გაიცანით ერთმანეთი?

— ერთმანეთი 1983 წელს მოსკოვში გავიცანით. ბელა იქ ცხოვრობდა და სწავლობდა, მე კი ასპირანტურაში ჩაბარებას ვაპირებდი. ერთი ნახვით შემიყვარდა, მაგრამ გაცნობიდან 10 წლის შემდეგ დავქორწინდით.

— რატომ? ამდენი ხანი გრძნობების გასარკვევად დაგჭირდათ?

— არა, უბრალოდ, არ ვჩქარობდი დაოჯახებას. დავქორწინდი 33 წლის ასაკში. ჩემი მეუღლე ჩემზე 5 წლით უმცროსია.

— როგორ ფიქრობთ — რით მოგხიბლათ თქვენმა მომავალმა მეუღლემ?

— მისმა უბრალოებამ მომხიბლა. არ მიყვარს ძალად „სვეტი“ ქალბატონები.

— როგორი შეყვარებული იყავით?

— ზუსტად ისეთი, როგორიც პოლიტიკოსი ვარ — პირდაპირი და გულღია შეყვარებული, ყოველგვარი ეშმაკობის და მარიაჟობის გარეშე. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბელასთვის სიტყვიერად სიყვარული არ ამიხსნია, ჩემი გრძნობა მხოლოდ მოქმედებით დასტურდებოდა.

— თქვენი მეუღლე რა პროფესიის არის?

— ბელა გამისტუდენტდა — ამჟამად მეორე სპეციალობას ეუფლება. მანაც იურისტობა აირჩია. ეკონომისტი იყო, დღეს კი ჩემს კვალს გაჰყვა.

— როგორი მამა და მეუღლე ხართ?

— მე მგონი, მკაცრი მამა არა ვარ. ბავშვების მიმართ აბსოლუტურად ლიბერალი და დამთმობი ვარ. ხოლო მძიმე დღის შემდეგ, რისხვა, ზოგჯერ სრულიად უსამართლოდ, მეუღლეზე გადადის...

— შეხვედრისას, ქალის აღსაქმელად პირველად, რას აკვირდებით?

— პირველად შემხვედრ ქალს ვცდილობ, რომ დაჟინებით ცქერა არ დავუწყო...

— გიყვართ ქალისათვის ყვავილების მირთმევა?

— ყვავილის ხელში დაჭერა არ მიყვარს. თუ თაიგული უბის ჯიბეში ჩავა, ჩავიდებ და ჩემს მეუღლეს მივართმევ, მაგრამ ხელში საჩვენებლად ვარდის დაჭერის სურვილი არ მაქვს...

— ბოლოს როდის მიართვით ქალს ყვავილი?

— რამდენიმე დღის წინ, მეგობრის ქალიშვილს მივართვი ვარდი. ოღონდ — თეთრი და არა წითელი...

— როცა ქალი გაკრიტიკებთ, თავს როგორ გრძნობთ?

— გააჩნია, რა შემთხვევაში: თუ ქალი სამართლიანია, ეს სავსებით ნორმალურია, ხოლო თუ უსამართლოა, მაინც თავაზიანად მოვექცევი, რადგანაც ის უპირველეს ყოვლისა ქალია!..

— მოგწონთ თუ არა აქტიური — თუნდაც, პოლიტიკაში — ქალები?

— მომწონს, მაგრამ ქალი არ უნდა ცდილობდეს, რომ მამაკაცს თავზე წამოაჯდეს.

— დაასახელეთ ფრაზა, რომელიც თქვენს პოლიტიკურ კრედოს შეეფერება...

— „არ გავცვლი სალსა კლდეებსა სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ *(რაფიელ ერისთავის პერიფრაზი. — ავტ.).*

— თქვენს ოპონენტებს რა შეეფერებათ?

— „გავყიდოთ, გავყიდოთ, ყველაფერი გავყიდოთ“.

— პოლიტიკოსებიდან ვისი გეშინიათ?

— მე არავისი არ მეშინია, მაგრამ ჩემი აზრით, საქართველოსთვის ყველაზე საშიში ძალაა საკაშვილი, ბურჯანაძე, ჟვანია თავისი ოლიგარქებით.

— როგორ რეაგირებთ ოპონენტების მხრიდან თქვენს კრიტიკაზე?

— თავიდან მაღიზიანებდა, ახლა კი, მსიამოვნებს კიდეც: ეს ჩემს რეიტინგზე დადებითად მოქმედებს.

— როგორი უნდა იყოს პოლიტიკოსი?

— პირდაპირი. პოლიტიკოსი არასოდეს არ უნდა იყოს ნახევრად ოპოზიციონერი და ნახევრად „პოზიციონერი“. სწორედ შუალედურ მდგომარეობაში ყოფნა ანგრევს ქვეყანას.

— ვინ მიგაჩნიათ ნამდვილ პოლიტიკოსად?

— ნამდვილი პოლიტიკოსი მე ვარ. სამჯერ არ შემიშვეს გამარჯვებული პარტიის ლიდერი პარლამენტში, მაგრამ ისევ ვიბრძვი ქვეყნის გადასარჩენად.

— ხშირად მოგვისმენია თქვენი მეტისმეტად ემოციური გამოსვლა. ბუნებით ემოციური ხართ?

— სიტუაცია ქმნის ემოციურ ფონს. მე არ შემიძლია, ვილაპარაკო ემოციების გარეშე, როცა ამდენი გაჭირვებულია ქვეყანაში.

— საუბრისას მუდამ ღიმილიანი სახე, საზოგადოების გულის მოსაგებად გამიზნული ხერხია?

— წინასწარ არასოდეს ვგეგმავ არც ჩემი გამოსვლის ტექსტს და არც იმას, თუ როდის გავიცინო ან შევიკრა შუბლი.

— დავუშვათ, ქუჩაში მოულოდნელად ბიჭების ჩხუბს შეესწარით. ჩაერევით თუ არა?

— რა თქმა უნდა, ჩავერევი და ვეცდები, გავაშველო, თუმცა, გამშველებელს ყოველთვის მეტი ხვდება. სხვათა შორის, პარლამენტშიც ძალიან ბევრი მამლაყინწა გამიშველებია *(იცინის)*, ამის ნიჭი ნამდვილად მაქვს.

— თქვენ თვალწინ მკვლელობა რომ მოხდეს, როგორ მოიქცევით?

— თავდაპირველად დაზარალებულს საავადმყოფოში მივიყვან, ხოლო შემდეგ აუცილებლად დავეხმარები პოლიციას დამნაშავის ძებნაში.

— არ შეგეშინდებათ?

— არა, ეს ჩემი მოვალეობაა.

— წარმოიდგინეთ: წვეულებაზე მიდიხართ, გზაში კი აივნიდან ვიღაცამ ჭუჭყიანი წყალი გადმოგასხათ. როგორ მოიქცევით?

— ვინც ასე მოიქცევა, მასთან შელაპარაკებას აზრი არა აქვს... სხვათა შორის, ამას წინათ მეზობელმა აივანზე გაფენილი რამდენიმე პერანგი გამიფუჭა — ზემოდან მელანი გადმოასხა. ეტყობა, მიშა საკაშვილის მომხრეა — აბა, სხვა ამას ვინ იკადრებდა?!.

ბავშვების მიმართ აბსოლუტურად ლიბერალი და დამთმობი ვარ. ხოლო მძიმე დღის შემდეგ, რისხვა, ზოგჯერ სრულიად უსამართლოდ, მეუღლეზე გადადის...

— მილიონი დოლარი რომ იპოვოთ, რას იზამთ?

— ალბათ მთლიანად, გადაუდებელი ოპერაციებისათვის ჩავრიცხავდი.

— გაჭირვებულებს ეხმარებით?

— შეძლებისდაგვარად.

— ბოლოს როდის დაეხმარეთ?

— რამდენიმე დღის წინ, ქალბატონს, რომელსაც მგზავრობის ფული არ ჰქონდა, 10 ლარით დავეხმარე.

— ვთქვათ, ოჯახში სტუმრად ბრძანდებით. დიასახლისმა კერძი მოგართვათ და თეფშში თმის ღერი შენიშნეთ. როგორ მოიქცევით?

— უცხო ოჯახში ნამდვილად არ შევიმჩნევ, მაგრამ თუ შინ კერძში ბეწვის მაგვარი რამ ვნახე, მაშინვე მთელ ქვაბს ფანჯრიდან გადავუშვებ.

— წვეულებაზე ლამაზი ქალის ყურადღების მისაპყრობად რა ხერხს მიმართავთ?

— ალბათ მის სადღეგრძელოს შევსვამ.

— საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვთ?

— ყველა სადღეგრძელო კარგია, შესაფერის დროს წარმოთქმული.

— შრომა და პოლიტიკური მოღვაწეობა კარგია, მაგრამ ქეიფი და დროს ტარება თუ გიყვართ?

— მიყვარდა, მაგრამ ახლა ამის განწყობა და ხალისი არ მაქვს.

— საყვარელი კერძი?

— ზამთარში ძალიან მიყვარს ხინკალი, გაზაფხულზე — ჩაქაფული, ხოლო ზაფხულში — კიტრისა და პომიდვრის სალათა.

— უცხო კერძები თუ გაგისინჯავთ?

— დიახ. ამ მხრივ კარგი „სკოლა გავიარე“ ჩინეთში: ვჭამდი თითქმის ყველა უცხო კერძს. ბოლოს გავარკვიე, რომ თურმე, გველის, კუს და მორიელის ხორცი მიჭამია.

— ნადირობა თუ გიყვართ?

— უფრო ნადირობის პროცესი მიყვარს და არა ცხოველის მოკვლა. მე ვერ მოვკლავ ცხოველს და არც დაკვლის პროცესის ყურება შემიძლია.

— ამჟამად რას კითხულობთ?

— ამჟამად დავინტერესდი ასტრონომიით და სამყაროს შექმნის შესახებ წიგნის კითხვა დავიწყე. ამას გარდა, ყოველდღიურად ვკითხულობ საზღვარგარეთის ქვეყნების საკონსტიტუციო სამართალს.

— ნატვრის თვალი რომ გქონდეთ, რას ინატრებდით?

— ვინატრებდი საკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიასაგან საქართველოს გათავისუფლებას.

— ვინ არის შალვა ნათელაშვილი?

— ამას ისტორია გაარკვევს...

— 10 წლის შემდეგ, თავი როგორ წარმოგიდგენიათ?

— ძნელია, ამ ცხოვრებაში რაიმე ივარაუდო. 10 წლის მერე კი არა, 10 დღის შემდეგ რა მოხდება, ვერ გეტყვით.

— ნუ მიწყენთ და, თავი ისე დამიხასიათეთ, რომ შეიძლება, სამოთხეში მოხვდეთ...

— მართლა?.. იქ მაინც მოვხვდე სამოთხეში, ამ ჯოჯოხეთიდან!..

■

ბევრი ქალისთვის აუხდენელ ოცნებად ქცეულა სასურველი მამაკაცის გულის დაპყრობა. იმედგაცრუებას ქალები საკუთარ უბედობას და უიღბლობას ვაბრალებთ ხოლმე, და ძალზე იშვიათად ვუსვამთ თავს შეკითხვას — დავფიქრებულვართ კი იმაზე, თუ რაა საჭირო იმისათვის, რომ მამაკაცი მოვხიბლოთ? როგორ უნდა ჩავიცვათ, როგორი ვარცხნილობა უნდა გავიკეთოთ, რით მივიქციოთ ჩვენი რჩეულის ყურადღება?.. თუმცა დრომ ბევრი რამ შეცვალა, მაინც საინტერესოა, ისიც ვიკითხოთ — როგორ იქცეოდნენ ჩვენი ბებიები? და კიდევ — თუ არსებობს მამაკაცის მოხიბვლის ტრადიციული და უნივერსალური მეთოდები?..

78 წლის ქალბატონი მარიამ ციცქიშვილი მოგვითხრობს:

როგორ ეოდვხიბლნოდთ მამაკაცს

ლელა ჭანკოტაძე

— მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, 15 წლის ვიყავი. ჩვენი უბნელი ბიჭები ფრონტზე წავიდნენ და ერთი ყმაწვილიღა დაგვრჩა სამიზნედ. მას კორნელი ერქვა. ახოვანი, მხარბეჭიანი იყო, მაგრამ მარჯვენა ხელი ამპუტირებული ჰქონდა. ყველას გვებრალებოდა, თანაგრძნობით შევყურებდით. მალე კი ჩემს მეგობრებს და, ცხადია, მეც მის მიმართ სულ სხვა გრძნობა გაგვიჩნდა... ხშირად ვეკითხებოდით ერთმანეთს: ნეტავ, რომელ ჩვენგანს შეირთავს ცოლად, რომელს გაგვაბედნიერებს-თქო?.. კორნელი ქუჩაში რომ გამოჩნდებოდა, სახლებიდან გამოვეფინებოდით ხოლმე. მაშინ თეთრი, მოკლეყელიანი წინდები იყო მოდაში. ერთი წყვილი ასეთი წინდა მეც მქონდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიცვამდი, თუ ვფიქრობდი, რომ სადმე კორნელის გადავეყრებოდი... თეთრი წინდა დაბრეცილ და უხეშ ფეხსაცმელში ისე მალე ჭუჭყიანდებოდა, რომ ყოველდღე ვრეცხავდი, თან ხელებს ისე მაგრად ვუხახუნებდი ერთმანეთს, რომ წინდის გარეცხვის მერე, ხელისგულები მიწითლდებოდა, თითებიც სულ გადატყავებული მქონდა. მაგრამ იმდენად მინდოდა, რომ კორნელის ჩემთვის შემოეხედა, მეტი თავგანწირვისთვისაც მზად ვიყავი.

— სხვა გოგონები როგორ იქცეოდნენ, კორნელი რომ მოეხიბლათ?

— მაშინ, ყველაზე მეტად, მშრომელ, გამრჯე ქალს აფასებდნენ. ამიტომ დილაუთენია, ჩვენს ქუჩაზე გოგოები ცოცხებით ხელში გამოეფინებოდნენ, დაწკრიალებული გახლდათ მთელი ქუჩა და ყველას კარმიდამო. სარეცხს რომ ვფენდი, თან აქეთ-იქით ვიყურებოდი — კორნელი თუ მხედავს თავისი ფანჯრიდან-მეთქი... მალე, ფრონტიდან მამაჩემის დაღუპვის ცნობა მოვიდა. ორ კვირაში, დედაც წავიდა ფრონტზე — ექთანი იყო. მე და ჩემი უმცროსი ძმა კი, მამიდამ რაჭაში წაგვიყვანა, სადაც ომის დასრულებამდე დავრჩით. იქაური ქალები „ნაცარ-წმენდილს“ აკეთებდნენ: ნაცარს წყალში ალბობდნენ, მერე ადუღებდნენ, ასუფთავებდნენ და მიღებულ მასას საპნად იყენებდნენ. გაუთხოვარი ქალები ათასგვარ ხერხს მიმართავდნენ, სოფლებში დარჩენილი თითო-ოროლა კაცისთვის თავი რომ მოეწონებინათ. ჩემი მამიდაშვილი თმას კაკლის წენგოს ნაყენით იბანდა, ამიტომ სოფელში ყველაზე კარგი ფერის თმა ჰქონდა. ქერტლი მაშინაც აწუხებდათ ქალებს და თავზე ხარის ნაღველსა და ცხარე ძმარს ივლებდნენ. ეს უებარი საშუალება გახლდათ. მამიდა ზეთს, მურს და ფქვილს ურევდა ერთმანეთში, მიღებულ მასას ღამით წარბებზე გვადებდა; დილით პირს რომ ვიბანდით, ზეთის წყალობით მური სახეს არ გვიშავებდა, კანზე ლაქებად არ გვრჩებოდა, სამაგიეროდ, წარბები კუნაპეტივით შავი ხდებოდა...

— თქვენც ხომ რაჭაში იპოვეთ მომავალი მეუღლე?

— ერთ დღეს, ხმა გავარდა — დაჭრილი სამხედროები ჩამოიყვანესო. დიდი თუ პატარა, ყველანი ონში წავედით. სწორედ მაშინ გავიცანი მალხაზ ციცქიშვილი. მძიმედ იყო დაჭრილი. სხვა გოგოებთან ერთად, დაჭრილებს მეც ვუვლიდი; რადგან ექთანები არ ჰყოფნიდათ, ექიმებს ჩვენც ვეხმარებოდით. მალხაზი საწოლიდან ვერ დგებოდა, ალბათ, ჩემში მხოლოდ ექთანს ხედავდა. მე კი მის საწოლთან მაინც აცახცახებული მივდიოდი. ხელით ვაჭმევდი ხოლმე და ზოგჯერ ხელი ისე მიკანკალებდა, რომ კოვზი მის პირთან ვერც მიმქონდა... ჩემმა მამიდაშვილმა შემატყო, რაც მჭირდა და მითხრა, გიშველიო...

— რას გულისხმობდა შველაში?

— გაგალამაზებ, ისეთ მომხიბვლელს გაგხდი, თვალს ვერ მოგწყვეტსო... იმ ღამეს, თავზე ხახვის ფუჩეჩი და დანაყილი ენდრო დამადო, თმა მაგრად შემიკრა, ტუჩებზე კი, კაკლის წენგო წამისვა — ასე ტუჩები გაგიმუქდებაო... დილით თვალებს არ დავუჯერე — ტუჩები ისეთი ყავისფერი მქონდა, თმა კი ისეთი წითელი, რომ ორი დღე სახლიდან არ გავდიოდი, ვინმეს რომ არ ვენახე. ბოლოს, ისევ მამიდამ მიშველა: ტუჩები ცხარე ძმრით გამიწმინდა და ყავისფერი გამაცალა.

— თმას რაღა მოუხერხეთ?

— წითელ თმას რაღას ვუშველიდი?.. თავშალი მოვიხვიე და ჰოსპიტალში ისე გავიქეცი. მალხაზმა გამიღიმა. ორი დღის შემდეგ კი, ხელზე ხელი მომიჭირა. ეს ყველაფერი კარგად მენიშნა... ერთ დღეს, თავშლის ქვეშ წითელი თმა დამინახა და გაოცებულმა შემომხედა. მივხვდი, არ მოეწონა... სახლში ატირებული მივედი. მამიდას ვუთხარი — მიშველე, თორემ, წითელი თმის გამო, მალხაზი უწესო ქალად ჩამთვლის-მეთქი. მამიდამ რჩევა მოხუცებს ჰკითხა და მათი ნაკარნახავი რეცეპტით თმა შემიღება. კუნაპეტივით შავი გამიხდა... მალხაზმა რომ მნახა, ისევ ღიმილით დამაჯილდოვა. იფიქრა — წითელი თმა როგორ ექნებოდა?! — ალბათ, მომეჩვენაო...

— როგორ ფიქრობთ — ბოლოს და ბოლოს, რითი მოინადირეთ მალხაზის გული, შავი თმით თუ თავდაუზოგავი შრომით, რომელსაც ჰოსპიტალში ეწეოდით?

— მაშინ შრომისმოყვარეობა იყო მთავარი, ფერუმარილიან სახეზე მეტად, მზისგან გარუჯული ცხვირ-პირი და შრომისგან დახეთქილი ხელები მოსწონდათ მამაკაცებს. გოგონები მაინც ბევრ რამეს ვაკეთებდით მათ მოსახიბლად, იმას კი ვერ ვხვდებოდით, რომ ერთადერთი ბასრი იარაღი, რომლითაც მამაკაცების გულებს ვჭრიდით, ჩვენი შინაგანი ხიბლი იყო...

„ყველა მამაკაცი — ბავშვია“, — თქვა კოკო შანელმა. — თუ ქალს ეს ესმის, ე.ი. ცხოვრებაში არ დაიკარგება... მამაკაცს ნებისმიერ ასაკში შეუძლია, ისე მოიქცეს, როგორც ჭაბუკები იქცევიან ხოლმე... რას მოიმოქმედებს ამ დროს ნამდვილი ქალი? როგორ შეიძლება მიხვდეს, რომ სწორედ მსგავსი მომენტი დადგა? დამეთანხმებით, იოლია შეცდომის დაშვება — ე.ი. იმ მამაკაცის დაკარგვა, რომლის მოხიბვლასაც ესოდენ ძლიერ ცდილობდით...

სწორედ მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა ანა, რომელსაც ალღომ თუ ინტუიციამ არ უმტყუნა.

ანა, 28 წლის:

— ჩემი დაქალის ბიძა მიყვარდა. მზად ვიყავი, მის გამო შეუძლებელი რამ ჩამედინა. ჩემზე 14 წლით უფროსი იყო. ხშირად მაგრძნობინებდა — ჩემთან შედარებით ბავშვი ხარო, — და სერიოზულად არ აღმიქვამდა. ამიტომ ვუთხარი: მიყვარხარ-მეთქი. — გაიზრდები და გაგივლისო, — მიპასუხა. თუმცა, იმ წუთიდან შეიცვალა. ბევრჯერ დამიჭერია მისი გამჭოლი მზერაც და ჩამითვლია, რომ მისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ ნამდვილი ქალი ვიყავი. ჩემი დაქალი მეუბნებოდა: ნიკოს ისეთი ქალები მოსწონს, ყველა სიტუაციაში რომ გაუგებენ, ასეთი ქალი კი შენ ვერ იქნები, რადგან ჯერ მხოლოდ 20 წლის ხარო... მერე ია გათხოვდა. ქორწილში მისი მეჯვარე უნდა ვყოფილიყავი. ძალიან ვნერვიულობდი, თუნდაც იმიტომ, რომ იქ ნიკოც იქნებოდა. მინდოდა, ყველაზე ლამაზი ვყოფილიყავი. თუ ქორწილში ნიკოს ვერ მოვხიბლავდი, მისი გულის დაპყრობის იმედი აღარც უნდა მქონოდა. ამიტომ მეგობრებისგან ვისესხე ფული და ერთ-ერთი დიზაინერის მოდის სახლში შევიკერე კაბა. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საუცხოოდ გამოვიყურებოდი.

— **ნიკოს თუ მოეწონა შენი ჩაცმულობა?**

— სანამ პატარძლის სახლში სიძე მოვიდოდა, ნიკო არ მინახავს. როგორც კი თქვეს — სიძე მოვიდაო, — ნიკოც გამოჩნდა. ოთახში მე, ია და კიდევ ორი ადამიანი ვიყავით. ნიკომ რომ დამინახა, იყვირა: რა ლამაზი ხარ, რა მაგრად მოგინდომებია, შენი ახალი კაბა არ დავასველოოთო?.. — აიღო შამპანურის ბოთლი და ისე გახსნა, რომ მთელი ქაფი კაბაზე გადამასხა. ყველა აყვირდა. მიკვირს, მოულოდნელობისგან გული რომ არ წამივიდა. მაგრამ მხოლოდ ორი წამის მანძილზე ვიყავი გაოგნებული, მერე დავფიქრდი იმაზე, თუ რა მექნა. მეჩხუბა?.. ნიკოს გაანჩხლებული რომ დავენახე, შეიძლებოდა, სამუდამოდ შევძულებოდი. ამიტომ გავიცინე და ვთქვი: ჩქარა, გამხადეთ, იქნებ, ნიკომ გაბედოს და შამპანურით სხეულიც დამისველოს-მეთქი...

— **რა გიპასუხა?**

— ისეთი სახე მიიღო, თითქოს გამიბრაზდა. თქვა კიდეც: ცოტა მოკრძალება არ გაწყენდაო... — მაგრამ მერე რომ მნახა, პატარძლის გვერდით ჯინსის შარვლითა და მაისურით, საცეკვაოდ გამიწვია. — რატომ არ მიბრაზდები? შენ ხომ ეგ კაბა ასე მოგწონდაო? — მკითხა. — კაბის ჩაცმას მაინც შევძლებ; ცოლად რომ მომიყვან, გპირდები, სწორედ მაგ კაბაში გამოწყობილს მიმიყვან საკურთხეველთან-მეთქი, — ჩავჩურჩულე. — მაშინ წავიდეთ, კაბა გავრეცხოთო, — ჩაილაპარაკა, ხელი მტაცა და გამაქანა. მხოლოდ მის მანქანაში მივხვდი, რომ მისი მოხიბვლა შევძელი და მომიტაცა...

— **ნუთუ, უყვარდი და არ ამჟღავნებდა?**

— როგორც თვითონ მითხრა, გადამწყვეტი როლი კაბამ ითამაშა. თურმე, ყოველთვის მოვწონდი, მაგრამ ეგონა, ვერ გავუგებდი, ხასიათებით ერთმანეთს ვერ შევეწყობოდით, ამიტომ გამოცდა მომიწყო: შამპანურით შენი კაბა რომ გავაფუჭე და მაინც გაიცინე, მივხვდი — ყველა სიძნელის ჩემთან ერთად გადალახვას შეძლებდი და ყველაფერში გამიგებდიო, — მითხრა.

ალბათ, ყველას გახსოვთ მშვენიერი რუსული ფილმი — „ყველაზე მომხიბვლელი და მიმზიდველი“, რომელშიც მეგობარი ფსიქოლოგი ქალი პრაქტიკული რეკომენდაციებით ეხმარება ფილმის გმირს იმაში, რომ გახდეს ყველაზე მომხიბვლელი. შეუმჩნეველი და მოუხეშავი მხაზველი აღწევს კიდეც ამას. ეს — ფილმში, მაგრამ რა ხდება რეალობაში? ნუთუ, ფსიქოლოგებს მზა რეცეპტები აქვთ? გვესაუბრება ფსიქოლოგი ***ძეთინო თავართქილაძე:***

— ინდივიდუალური მომხიბვლელობა ის იარაღია, რომლის მეშვეობითაც, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ადამიანი, გარემომცველთა შორის ყველაზე პრეტენზიული ადამიანის მოჯადოებას თუ არა, კეთილგანწყობის მოპოვებას მაინც შეძლებს. რაოდენ ბანალურად ან დაუჯერებლადაც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტია, რომ ყველა ადამიანი მომხიბვლელია. უბრალოდ, ჩვენი შინაგანი მომხიბვლელობა, გამომზეურებას, „ამოქმედებას“ საჭიროებს.

— **როგორ გამოვამჟღავნოთ ჩვენი ინდივიდუალური მომხიბვლელობა? რა უნდა გარდავქმნათ საამისოდ საკუთარ თავში, საკუთარ ქცევაში?**

— მოიქეცით ბუნებრივად. ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ქალი მაშინ ახდენს, როცა ბუნებრივად იქცევა. მამაკაცს საუბარი არ შეაწყვეტინოთ. თუ საუბრისას დიდი სურვილი გაგიჩნდათ, შეეკამათოთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და ნელა ამოისუნთქეთ. ეს ვარჯიში რამდენჯერმე გაიმეორეთ. ამგვარი ჩვევის განვითარებით, მამაკაცის მოთმინებით მოსმენას ისწავლით. ოღონდ მოზომეთ, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა ღრმა და ხშირ ოხვრა-ქშინვას არ დაამსგავსოთ. შეეცადეთ, მამაკაცს ყოველთვის გაუგოთ. იცოდეთ, ის თქვენგან ითხოვს მხარდაჭერას, გაგებას და თანადგომას, ზოგჯერ — თანაგრძნობასაც. ამგვარი გაგების მიღწევაში დაგეხმარებათ ვარჯიში — „პოზის იმიტაცია“. ხმის გარეშე უყურეთ რაიმე გადაცემას. წარმოიდგინეთ, რაზე შეიძლება, საუბრობდნენ გადაცემის მონაწილენი. პერიოდულად ჩართეთ ხმა და შეადარეთ თქვენი წარმოდგენები იმას, რაც სინამდვილეში ხდება. ამგვარ ვარჯიშთა სერიის შემდეგ თქვენ უკეთ გაუგებთ სხვა ადამიანებს. ხოლო გაგების უნარის დაუფლებით ჭეშმარიტად განუმეორებელი გახდებით.

— უნდა შევაქოთ მამაკაცი, თუ მისი მოხიბვლა გვაქვს განზრახული?

— შექება ნამდვილად გულწრფელი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ლაქუცად, პირფერობად იქცევა, რაც უარყოფით შედეგს გამოიღებს. მამაკაცი არ უნდა მიხვდეს, რომ კომპლიმენტი კონკრეტული მიზნით უთხარით. ზომიერად შეაქეთ მისი აზრები, იდეები, საქმიანობა და აგრძნობინეთ, რომ მის სიახლოვეს თავს მყუდროდ და მშვიდად გრძნობთ.

— საკუთარი პრობლემები უნდა გავუზიაროთ?

— მამაკაცთან არ დაიჩივლოთ. მუდმივი ჩივილები ცხოვრებაზე, წარუმატებლობაზე, უფულობაზე — წამგებიანია. მამაკაცი უიღბლოდ და ხელმოცარულად აღგიქვამთ. თქვენს პრობლემებთან დაკავშირებით აჯობებს, მსუბუქად გაიხუმროთ. რაც ყველაზე მთავარია, აღმოაჩინეთ მსგავსება, რაღაც საერთო თქვენსა და მამაკაცს შორის. როგორც ცნობილია, მამაკაცს შეხედულებათა მსგავსება, საერთო ინტერესები და მსგავსი ბედი იზიდავს. ილაპარაკეთ პირველი პირით. ნაცვლად იმისა, რომ თქვათ: „თქვენ მე პატივს არ მცემთ, თქვენ არასდროს გახსენდებათ ჩემი დაბადების დღე“, ჯობს ასე: „როცა არ გახსენდებათ ჩემი დაბადების დღე, მე მგონია, რომ თქვენთვის არაფერს წარმოვადგენ“. მამაკაცის თანდასწრებით შეინარჩუნეთ თავაზიანობა და კეთილგანწყობა ყველასთან, მაშინაც კი, თუ ვინმემ მუჯლუგუნი გკრათ. უნდა შეძლოთ თქვენი შეცდომების აღიარება. ნუ შეგეშინდებათ, რომ ამით მამაკაცის პატივისცემას დაკარგავთ. პირიქით, მამაკაცებს მოსწონთ ქალები, რომლებსაც საკუთარი შეცდომების დანახვა და აღიარება შეუძლიათ.

მურმან გაგოშიძე, ფსიქოლოგი:

— მამაკაცს ყოველთვის ჰყავს ქალის იდეალი, თუნდაც ეს მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი იყოს. ამიტომ მას გაცნობიერებული აქვს მისი აზრით, ნამდვილი ქალის თვისებები. ნამდვილი ქალი კი, მამაკაცს პირველი არასდროს გამოელაპარაკება, არც სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების ინიციატივას გამოიჩენს. ამიტომ, თუ მისი მოხიბვლა გსურთ, პირველ ნაბიჯს ნუ გადადგამთ, რადგან ის თქვენგან ამას არ ელის. პირველმა არ დაურეკოთ. ჯობს, პირველი სამი ზარი მისგან იყოს. მხოლოდ ამის შემდეგ დაურეკეთ. არასდროს განიხილოთ მისი კანდიდატურა მეგობრებში, დასკვნები დამოუკიდებლად გააკეთეთ. პაემანზე დათანხმდით, მაგრამ არ ჩაეძიოთ. შეხვედრის ადგილი თვითონ უნდა დანიშნოს, ტრანსპორტსა და რესტორანში ფული მან უნდა გადაიხადოს. არც კი შესთავაზოთ ფულის გადახდა, ამით შეიძლება შეაშინოთ.

— როგორ უნდა ჩავიცვათ, მამაკაცი რომ მოვხიბლოთ? ჩაცმულობას ხომ მამაკაცები ყურადღებას აქცევენ?

— მამაკაცს უნდა აგრძნობინოთ, რომ გიყვართ საკუთარი თავის მოვლა და მუდმივად კარგ ფორმაში ხართ, მაგრამ არ დაიწყოთ მასთან ტანსაცმელზე საუბარი, არ უამბოთ, რომელ ბუტიკში რა ფერის კაბა იყიდება და ა.შ.

— სასურველ მამაკაცს გრძნობებში უნდა გამოვუტყდეთ?

— პირველად წარმოთქმა სიტყვის — „მიყვარხარ“ — მამაკაცის პრეროგატივაა. არ უნდა აჩქარდეთ და არ გაუხსნათ გული. ასე იქცევიან ნამდვილი ქალები, რომლებზეც ნამდვილი მამაკაცები ოცნებობენ. თქვენ უნდა იყოთ გულახდილი, მაგრამ იდუმალად მიმზიდველი. მამაკაცს ყოველთვის აინტერესებს იდუმალი ქალი. არასდროს დატოვოთ მისი შემოხედვა უპასუხოდ. ქალისთვის მამაკაცის მზერის დაჭერა ნამდვილი კოზირია. არ აგრძნობინოთ, რომ გარს თაყვანისმცემლების არმია გახვევიათ. მამაკაცი უნდა მიხვდეს, რომ თქვენ ძლიერი დასაყრდენი გჭირდებათ და რომ ასეთ დასაყრდენს მასში ეძებთ. ამ რჩევების გათვალისწინების შემდეგ, ნებისმიერი მამაკაცის მოხიბვლას შეძლებთ.

ასეთია ფსიქოლოგთა რეკომენდაციები, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია მოვხიბლოთ სასურველი მამაკაცები. მაგრამ რა ხდება, როცა არც ფსიქოლოგთა რჩევებს ვითვალისწინებთ და არც გონებას ვძაბავთ, უბრალოდ და მარტივად, მხოლოდ გულის კარნახით ვმოქმედებთ და იმ ერთადერთის მოხიბვლაზე ვოცნებობთ, რომელიც გვგონია, რომ ჩვენი იდეალია?

მაია, 37 წლის:

— ქალების იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელიც დღედაღამ მამაკაცის მოხიბვლაზე ფიქრობს, მაგრამ 37 წლის ისე შევსრულდი, რომ ჩემს მცდელობას შედეგი არ გამოუღია. ბევრი მამაკაცი მოვხიბლე, თუმცა ჩემგან მოხიბლულმა არც ერთმა მამაკაცმა ჯერჯერობით ჩემი ცოლად შერთვა არ მოისურვა. არადა, ნებისმიერი ქალის საბოლოო ოცნება მაინც ერთგული ქმარი და ბედნიერი ოჯახური თანაცხოვრებაა. ისეთ ორგანიზაციაში ვმუშაობ, სადაც თანამშრომელთა უმეტესობა მამაკაცია. ამიტომ ჩემთვის გაცილებით იოლი უნდა ყოფილიყო მიზნის მიღწევა, ვიდრე იმ ქალებისთვის, რომლებიც ისეთი მამაკაცის გულის მონადირებას ცდილობენ, უამრავი ქალი რომ აზვევია გარს. ჩემი რჩეული 45 წლის ყოფილი ფეხბურთელია. უცოლოა. დაქორწინებას არ ჩქარობს.

— იცის თქვენი გრძნობის შესახებ?

— ცხადია, იცის, რომ მის გვერდით თავს მყუდროდ და დაცულად ვგრძნობ. მიყვარხარ-მეთქი, — არ მითქამს, რადგან ვთვლი, რომ პირველად მამაკაცმა უნდა თქვას ეს ფრაზა, მაგრამ ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც მას მოსწონს: თმა გავიზარდე, დავიხვიე და შავად შევიღებე — ვიცოდი, რომ შავთმიანი ქალები მოსწონდა. ერთხელ თქვა: ჭკუა მეკეტება ისეთ ქალზე, რომელსაც ალუბლისფერი მანიკიური უსვია და სიგარეტს მინაბული თვალებით აბოლებსო... ფრჩხილებიც შევიღებე მისი გემოვნებით და სიგარეტის მოწევაც დავიწყე... ვგრძნობდი, მოვწონდი. როცა სადმე მივდიოდით, თავი ამაყად ეჭირა, რადგან გვერდით ლამაზი ქალი მიჰყვებოდა. რამდენჯერმე მითხრა კიდეც: ისეთი მომაჯადოებელი ხარ, ეშმაკს შეაცდენო, — მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ამის იქით არ წასულა.

— იქნებ, პასიურობისთვის თავი დაგენებებინათ და უფრო მეტად გეაქტიურათ? იქნებ, მას აქტიური ქალები ხიბლავს?

— ზოგჯერ, როცა მანქანით სახლამდე მივყავარ, მეუბნება, რომ კარგი იქნებოდა, სადმე ერთად გვევახშა. თუ დავთანხმდები, ამბობს: ვიცი, დაღლილი ხარ, ხათრი ვერ გამიტეხე და ამიტომ დამთანხმდი, ალბათ, გამოძინება ყველაფერს გირჩევნიაო. თუ არ დავთანხმდები, მაშინვე ჩამეძიება: იქნებ, ვახშმად სხვამ დაგპატიჟაო?.. არც კი ვიცი, როგორღა მოვიქცე, მგონია, რომ კაცებს ვერაფერს გავუგებ. ალბათ, არ არსებობს არანაირი მზა რეცეპტი, რომელიც მამაკაცების მოხიბვლაში დაგვეხმარებოდა. ალბათ, ნამდვილი მამაკაცი განსაკუთრებული მამაკაცია, რომელიც ასევე განსაკუთრებულ მოპყრობას იმსახურებს... არადა, სკოლის ასაკიდან დავიწყე იმაზე ზრუნვა, რომ ჩემი კბილა ბიჭებისთვის მომხიბვლელი ვყოფილიყავი. როგორც კი გავაცნობიერე, მათ გამხდარი გოგონები მოსწონდათ, მე კი მსუქანი ვიყავი, შიმშილი დავიწყე. ისე ვიშიმშილე, ცხელი პურის სუნზე მაღაზიის წინ გული წამივიდა. ახლა კი ვგრძნობ, რომ ჩემი ასაკის მამაკაცებს ხორციანი ქალებისკენ გაურბით თვალი, მიუხედავად იმისა, რომ ამას არ აღიარებენ. რას გაუგებ მამაკაცებს?! იქნებ, ნამდვილ ქალებად იბადებიან, ისევე, როგორც ნამდვილ მამაკაცებად?.. ■

ნათია თენიეშვილი

მედეა ჩახავას ჭექიანური სიკვდილი

ეკა ჩხეიძის შესრულებით დიდმა რეჟისორმა მოიწონა

ცნობილი მსახიობის — მედეა ჩახავას შვილიშვილს და ცნობილი რეჟისორის — თემურ ჩხეიძის შვილს ეკა ჩხეიძეს ყოველთვის ეგონა, რომ მსახიობი არ გახდებოდა. სკოლის პერიოდში თურმე, ყველა ეუბნებოდა — შენ ალბათ მსახიობი იქნებიო. თვითონ მაშინ ამაზე პროტესტს გამოთქვამდა და კითხულობდა — რა, მეტი ფანტაზია არა მაქვსო?!. ახლა კი ამბობს: აღმოჩნდა, რომ არ მქონია; ვფიქრობ, სწორი არჩევანი გავაკეთე; აბა, რა მინდოდა სხვაგანო?!.

ეკა კინომსახიობის თეატრის მსახიობია, თუმცა, სხვა თეატრების სცენებზეც გამოდის. როგორც თავად აღნიშნა, რუსთაველის თეატრის გარდა, ყველა სცენაზე მდგარა, ოპერაშიც კი წაუკითხავს ლექსები. სხვადასხვა თეატრში, სხვადასხვა რეჟისორთან მუშაობა და ატმოსფეროს ცვლა მისთვის საინტერესოა. საერთოდ, უყვარს მრავალფეროვნება, როგორც სამუშაო სფეროში, ასევე ყოფაში.

ეკა 15 წელია, გათხოვილია. მისი მეუღლე პროფესიით არქიტექტორი ლევან მუშკუდიანი, ცნობილი საოპერო მომღერლის – თენგიზ მუშკუდიანის შვილია. ჰყავთ ორი შვილი – 14 წლის ინანო და 2 წლის დათა. როდესაც ეკას შვილების ასაკი ვკითხე, მიპასუხა – ოღონდ, ახლა შენც არ მკითხო – მეორედ გათხოვდი და იმიტომ ხომ არაა შენს შვილებს შორის ამხელა ასაკობრივი სხვაობაო?!. თურმე, მასთან მისული ყველა ჟურნალისტი ამ კითხვას უსვამს. „უბრალოდ, აქამდე არ მიფიქრია მეორე შვილის გაჩენაზე. რატომღაც ახლა მომინდა და გავაჩინე... აბსოლუტურად სხვანაირად ვიგრძენი დედობა. ვფიქრობ, მესამეც ხომ არ გავაჩინო-მეთქი?.. ინანო მეუბნება – ოღონდ, ისევ 12 წლის მერე არა, თუ აპირებ – ახლავე გააჩინეო...“

— შენი გათხოვება როგორ მოხდა? ტრადიციულად გათხოვდი თუ გაიპარე და როგორი რეაქცია ჰქონდა ამაზე ბატონ თემურს?

– 23 წლის გავთხოვდი. თემურს და ლევანს გადასარევი დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან. მამაჩემი ამბობს, გამიმართლა სიძეშიო. ოფიციალურად გავთხოვდი. მე უფრო რომანტიკულად მინდოდა. მოდი, გავიპაროთ-მეთქი, – ვუთხარი ლევანს. – რა საჭიროა? ყველა მატანს შენს თავსო, – მიპასუხა. წინააღმდეგი არავინ იყო, რადგან იცნობდნენ მის ოჯახსაც და მასაც; სერიოზული ადამიანი იყო, არქიტექტორი და ა.შ. ოჯახში ვიკითხე – ლევანს უნდა, რომ ცოლად მომიყვანოს და რა აზრის ხართ-მეთქი? დედაჩემმა თვალები ჭყიტა – გვეკითხებიო?!. – მე თქვენი აზრი მაინტერესებს-მეთქი, – ვუთხარი და ამან ყველა საოცრად დააბნია.

— შეყვარებულები დიდი ხანი იყავით?

– რომ გავთხოვდი, მერე უფრო შემიყვარდა... ჩვენ ძალიან დიდი ხნის მანძილზე ვიცნობდით ერთმანეთს. მისი და, ჩემი კლასელი იყო. საერთო სამეგობრო წრე გვყავდა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ადამიანს, რომელსაც ბედს უკავშირებ, ენდობოდე. როცა ცოლობა შემომთავაზა, დავთანხმდი – კარგი, ვსინჯოთ, თუ გამოგვივა-მეთქი, – ვუთხარი. გამოვიდა – უკვე 15 წელია, ერთად ვართ.

— შენს სპექტაკლებზე თუ დადის ხოლმე?

– უნდა მივიყვანო ხოლმე – ისე, თეატრის კარს არ ანგრევს, – გინდა თუ არა, უნდა მოვიდეო. სულ მეუბნება – ჩემს ბიზნესში ჩაგრთავ, მენეჯერად გაგაფორმებ, სერიოზული საქმე აკეთეო... ეტყობა, მაინც ურჩევნია, „ბიზნესვუმენი“ ცოლი ჰყავდეს და არა „აქტრისა“... მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ სადმე თეატრში ერთად წავსულიყავით. არ არის თეატრალი ადამიანი. ჩემს სპექტაკლებზე მოდის და მერე მეუბნება – კარგი იყო, გავერთე, ყოჩაღო, – და ხელს მართმევს.

— ეკა, როგორც თქვი, თეატრალურში ჩაბარება არ გინდოდა. როგორ მოხვდი იქ?

– ალბათ, უფრო თემურმა იქონია გავლენა. იმ წელს, მიხეილ თუმანიშვილს აჰყავდა ჯგუფი. ამ შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება, მისგან ძალიან ბევრ რამეს ისწავლიო, – მითხრა თემურმა. მე უარს ვამბობდი. გადაწყვეტილი მქონდა, უნივერსიტეტში, ხელოვნებათმცოდნეობაზე ჩამებარებინა. იმ ზაფხულს თემური თბილისში არ იმყოფებოდა. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები აგვისტოში იყო დანიშნუ-

უბრალოდ, აქამდე არ მიფიქრია მეორე შვილის გაჩენაზე. რაგომღაც ახლა მომინდა და გავაჩინე...

ლი. თეატრალურში ტურებზე *(შემოქმედებითი ტურები მისაღებ გამოცდებზე. – ავტ.)* დიდი წარმატებით გავედი. თავში ამივარდა და დავრჩი.

— მშობლები რამდენად კრიტიკულები არიან შენი შემოქმედების მიმართ?

– საკმაოდ კრიტიკულები და ძალიან სწორი შემფასებლები არიან, განსაკუთრებით თემური. გაცილებით ლმობიერია სხვა სპექტაკლებისადმი, ვიდრე იმ სპექტაკლის მიმართ, რომელშიც მე ვთამაშობ. ძალიან ნერვიულობს, როცა სცენაზე ვდგავარ. თუ ერთი სიტყვა მითხრა – კარგიაო, – ე.ი. ძალიან კარგია... ჩემი ბოლო ნამუშევარია „ნუგზარი და მეფისტოფელი“ „სამეფო უბნის თეატრში“. მანამდე „თეტრალურ სარდაფში“ ვითამაშე იბსენის „ნორა“. აბსოლუტურად განსხვავებული ჟანრის სპექტაკლები და როლებია. თემურმა მითხრა – იბსენში, იმ დრამატულ როლში რომ გნახე, ცოტა მეშინოდა, იმის მერე, უცებ, ასეთ სახასიათო როლს როგორ შეასრულებდი, მაგრამ კარგად გაართვი თავიო. მისგან ეს დიდი შეფასება იყო.

— შენ თვითონ როგორ გრძნობ თავს სცენაზე, როცა იცი, რომ პარტერში ბატონი თემური ზის?

– ყოველთვის, როცა სცენაზე ვდგავარ და რაღაცას ვამბობ, თითქოს ჩემებს ვუმტკიცებ – ღირსი ვარ, სცენაზე ვიდგემეთქი... ისინი კი, გადმომიგდებენ ხოლმე მხოლოდ ერთ სიტყვას – კარგი იყოო.



მე უფრო რომანტიკულად მინდოდა. მოდი, გავიპაროთ-მეთქი, – ვუთხარი ლევანს. – რა საჭიროა? ყველა მატანს შენს თავსო, – მიპასუხა

— როცა რაიმე როლს გთავაზობენ, ბატონ თემურს ეკითხები ხოლმე რჩევას?

– არა, არასდროს არავის ვუთანხმებ ამ საკითხს. ეს ჩემი გადასაწყვეტია. მე უკეთესად ვგრძნობ, რა მჭირდება. თუ მკითხავენ, მაშინ ვპასუხობ. „ნორას“ როლზე სამი თვე ვმუშაობდი. თემურმა არც იცოდა, რას ვაკეთებდი. მერე მკითხა – მუშაობ რამეზეო? – ერთ თვეში მოდი და ნახავ-მეთქი, – ვუპასუხე.

— შვილები როგორ აღგიქვამენ სცენაზე?

– დათამ მარტო ის იცის, რომ დედა თეატრში მიდის ხოლმე. ინანო დადის სპექტაკლებზე და საკმაოდ მკაცრი შემფასებელია. უკვე ჩამოუყალიბდა გემოვნება და კარგს და ცუდს არჩევს ერთმანეთისგან, არაფერი გამოეპარება. თვითონაც ითამაშა „სამეფო უბნის თეატრში“, დათო საყვარელიძის სპექტაკლში – „სახლის საზღვარზე“. უხაროდა, უფროსი თაობის მსახიობებთან ერთად რომ დადიოდა რეპეტიციებზე.

— მსახიობობას თუ აპირებს?

– მე მგონი, არა. დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ მე თვითონ არ ვურჩევ. ინსტიტუტშიც დიდი არეულობაა. არ მესმის, წელიწადში 100 სტუდენტს რომ ღებულობენ, მერე სად და როგორ უნდა დასაქმდნენ ისინი?!. ჩემს დროს, ორი ჯგუფი იყო, თექვსმეტნი ვიყავით და მიშა თუმანიშვილი იყო ჩემი პედაგოგი. ის რომ არ ყოფილიყო, ალბათ არც ჩავაბარებდი თეატრალურში. ყველა მსახიობს არა აქვს უფლება, აიყვანოს ჯგუფი და ასწავლოს. პედაგოგობა ცალკე ნიჭია. შეიძლება, ძალიან ბევრი იცოდე, მაგრამ სტუდენტს ეს ცოდნა ვერ გადასცე.

— როგორც მსახიობმა, ქალბატონი მედეასგან თუ ისწავლე რამე?

– შინ სამუშაოზე არ ვლაპარაკობთ ხოლმე. მედიკოსგან რაც მაქვს, ის ალბათ სისხლში მაქვს გამჯდარი. ერთადერთი, რაც მისგან ვისწავლე, ტექნიკური სიცილია... პირველ კურსზე მოგვცეს დავალება – ტექნიკური სიცილი და ტირილი. ისე უნდა გადაიხარხარო და იტირო, რომ მაყურებელი დააჯერო. ტირილს ვახერხებდი; არ ვიცი, ცრემლები როგორ და საიდან მომდიოდა ასე უცებ. სიცილი კი – არ გამომდიოდა. ეს ბევრად უფრო რთულია. მივედი მედიკოსთან და ვთხოვე, მასწავლე-მეთქი. ძალიან გემრიელი გადაკისკისება იცის. უცებ, რომ გაიცინებს, ყველა კითხულობს – რა მოხდაო? სჯერათ, რომ მართლა იცინის. მასწავლა, როგორ უნდა დავიყენო სუნთქვა, ვათამაშო ხმა და ა.შ. მთელი საღამო ვიჯექი, მასწავლიდა და ორივენი ვკისკისებდით... მოვიდა დავალების ჩაბარების დღე. ყველამ ვიტირეთ, მერე ვიცინეთ. ბოლოს, ბატონი მიშა გვეუბნებოდა, ვისი რა მოეწონა. მე მითხრა შენი ტირილი კარგი იყო, სიცილიც კარგი იყო, ოღონდ – ეგ მედიკოსიაო...

14 წლის ინანო და 2 წლის დათა მუშკუდიანები

— როდის დააფიქსირე, რომ ასეთი ცნობილი ბებია გყავდა?

– პატარა ვიყავი, როცა მედიკოს რუსთაველის თეატრში პირველი იუბილე გადაუხადეს. მახსოვს, თუ რა პომპეზურად ულოცავდნენ და უძღვნიდნენ უამრავ რამეს... თეთრი ბიუსტი აჩუქეს, მედიკოა პროფილში გამოსახული და ხვეული თმა აყრია მხრებზე... ახლაც აქვს შინ. რომ მოუტანეს, ვუყურე, ვუყურე და მერე ვიკითხე – დედიკო, ეს რანაირი ლენინია-მეთქი? ბიუსტი ჩემთვის ლენინთან ასოცირდებოდა... მახსოვს, როგორ იწესრიგებდა თავს რეპეტიციის წინ; მახსოვს სარკესთან დალაგებული მისი პარფიუმერია და უამრავი ნივთი, რომელიც ძალიან მომწონდა და მახსოვს სუნი იმ პარფიუმერიის თუ რაღაც სუნამოსი... მაშინ ძალიან დიდი ბინა გვქონდა და ყველანი ერთად ვცხოვრობდით. კოტე მახარაძე იყო მაშინ მედიკოს ქმარი, სულ სტუმრიანობა იყო ჩვენთან და ეს მახსოვს...

— ქალბატონ მედეას ბევრი შვილიშვილი და შვილთაშვილი ჰყავს. ყველანი ერთად თავს ხშირად იყრით?

– დღეს ყველანი ცალ-ცალკე ვცხოვრობთ და იშვიათად ვიკრიბებით. იმ შეკრებებსაც ვიღაცა აუცილებლად აკ-

ლია. ძალიან ბევრნი ვართ და ყველანი რომ შევიკრიბოთ, არ ვიცი, სად დავეტევით.

— უკვე დიდი ხანია, რაც „რუსთავი 2“-ზე ტელესერიალებს ახმოვანებ. რამდენად საინტერესოა ეს შენთვის?

— რომ გითხრა, ჩემი ცხოვრების საოცნებო საქმეა-მეთქი, — არ იქნება სიმართლე, მაგრამ... როცა რაღაცას აკეთებ, ან შემოქმედებითი ინტერესი უნდა გქონდეს, ან მატერიალური. იქ ნორმალური სიტუაციაა, კარგი ხალხია ჩემ გარშემო და მათთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. თეატრში დღეს შემოსავალი არ არის, იქ უბრალოდ, იმიტომ ხარ, რომ ამის გარეშე არ შეგიძლია... არ მინდა, ჩემს ქმარს ხელებში ვუყურო, მინდა, ჩემი სახარჯო ფული მქონდეს... „რუსთავი 2“-ის დიდი ხნის თანამშრომელი ვარ. „გვადელუპედან“ მოყოლებული, ყველა ძირითადი სერიალი ჩემი გახმოვანებულია. ახლა „შურისძიებას“ ვახმოვანებ. ამით ფულს ვაკეთებ...

— კარგად გიხდიან?

— კი. ინდივიდუალური კონტრაქტი მაქვს, ამიტომ არ მკითხო, რამდენს მიხდიან — მაინც არ ვიტყვი.

— დღეს ქართულ სერიალებს იღებენ. მასში მონაწილეობის შემოთავაზება არ გქონია?

— კი, მქონდა. მაგრამ არ მხიბლავს ეგ ამბავი. მირჩევნია, ჩემი ხმა ისმოდეს და ის — ვარგა თუ არა სერიალი, — მე არ მეხებოდეს... აღარა ვარ 18-20 წლის, რომ იმაზე ვფიქრობდე, როგორმე ეკრანზე გამოვჩნდე. დღეს ჩემთვის უკვე ხარისხს აქვს მნიშვნელობა და არა რაოდენობას. თუ ის ბრაზილიური სერიალი არ ვარგა — ეს ჩემი ბრალი არ არის, მაგრამ როცა მე გაუთავებლად ვჩანვარ ეკრანზე და დაუსრულებლად გაიძახიან — ფუ, ეს რა საშინელებაო! — გამოდის, რომ ეს უკვე ჩემი ბრალია და ამას ვერიდები.

— საერთოდ, თუ უყურებ სერიალებს?

— არა, მხოლოდ იმ დოზით, რამდენიც საქმიდან გამომდინარე მჭირდება — გახმოვანების დროს... ოჯახის წევრებს შორის მარტო დედაჩემი უყურებს ხოლმე, ისიც — მგონი, ჩემი ხათრით.

— როგორც გავიგე, ბატონ თემურს პეტერბურგში დიდი დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორის თანამდებობა შესთავაზეს. უკვე დაიწყო იქ მუშაობა?

— დიდი ხანია, იქ ყოველ წელიწადს დგამს სპექტაკლებს. მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდა მთავარ რეჟისორობაზე. ახლა კირილ ლავროვი წავიდა და თემურს შესთავაზა ეს ადგილი. ჯერჯერობით იქაც არის და აქაც. არ ვიცი, თუ არის შესაძლებელი, რომ ორივე ადგილას იყოს. იქ საორგანიზაციო მხარე უფრო მოწესრიგებულია და მთავარ რეჟისორს მხოლოდ შემოქმედებითი მხარე ეხება. აქ ეს ყველაფერი უფრო რთულად არის, თითოეულ ლურსმანზეც კი მას უწევს ფიქრი. შეიძლება, დადგეს არჩევანის წინაშე. ეს მისი გადასაწყვეტია. ვნახოთ, რა იქნება.

■

დღეს ყველანი ცალ-ცალკე ვცხოვრობთ და იშვიათად ვიკრიბებით. ძალიან ბევრნი ვართ და ყველანი რომ შევიკრიბოთ, არ ვიცი, სად დავეტევით

ტესტი ერუდიციაზე

1. დაახლოებით რამდენი ჯიშის ძაღლია მსოფლიოში დაფიქსირებული?

ა) 2000;
ბ) 350;
გ) 5000.

2. რამდენი ხანი იცოცხლა დიდი რეჟისორის ფედერიკო ფელინის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ ჯულიეტა მაზინამ?

ა) 6 დღე;
ბ) 6 თვე;
გ) 6 წელი.

3. რომელ ქვეყანაში მდებარეობს ძალაძი გადმინტონი, სადაც პირველად ითამაშეს ანალოგიური სახელწოდების სპორტული თამაში?

ა) ინდოეთში;
ბ) ინგლისში;
გ) ჰოლანდიაში.

4. ვინ გამოიგონა სასკოლო ზარი?

ა) პლატონმა;
ბ) არქიმედემ;
გ) ნაპოლეონმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ქალბატონი მაკა ტრაპაიძე

ანსამბლ „მადლის“ იუბილიანი პრეზენტაცია

ხათუნა ჯავახიშვილი

12 ივნისს სახელმწიფო ფილარმონიასთან მდებარე „კლუბ კოტონში“ გაიმართა საესტრადო-ვოკალურ ანსამბლ „მადლის“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია. ალბომისა, რომელშიც შევიდა ნიჭიერი, პერსპექტიული ახალბედა მომღერლების: დავით მიხეილიძის, ქეთი მახათაძის, ტრიო „მადლის“ (დიმიტრი ტატიშვილი, მიხეილ მარკოზია, გიორგი ახალკაციშვილი), ნინო ნიკოლოვისა და რუსუდან გველესიანის სიმღერები.

ლამაზი სალამო ლამაზად დაიწყო და ასევე დაგვირგვინდა. გაჟღერდა ანსამბლის ნიჭიერ მოსწავლეთა მიერ ცოცხლად შესრულებული გემოვნებიანი, დახვეწილი სიმღერები, რომელთა უმრავლესობაც „მადლის“ სამხატვრო ხელმძღვანელისა და კომპოზიტორის ქალბატონ მაკა ტრაპაიძის შექმნილია. პრეზენტაციის კონფერანსიედ ჟურნალ „ულტრას“ კორესპონდენტი და არაჩვეულებრივი იმპროვიზატორი – ლიკა ჯავჯანაშვილი მოგვევლინა. ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმართა მოკრძალებული სია ჭეშმარიტად პროფესიონალი ხელოვნებისაგან შედგებოდა. ხალხურ საკრავთა ანსამბლ „კელაპტარს“ (ხელმძღვანელი ნუკრი კელაპტრიშვილი) ქალბატონ თინიკო ლაზარიშვილის მოსწავლეები ენაცვლებოდნენ.

დარბაზში მსხდომთა გასაოცარი რეაქცია გამოიწვია ახალგაზრდა, საოცარი ხმისა და ტემბრის მქონე პერსპექტიულმა მომღერალმა – ჯაბა მესტვირიშვილმა, რომელმაც აქტიურ რადიომსმენელთათვის კარგად ნაცნობი, კომპოზიტორ მაკა ტრაპაიძის ორი სიმღერა შეასრულა. პრეზენტაცია გაიხსნა და დაიხურა სპეციალურად „ვარდების რევოლუციისადმი“ მიძღვნილი ჰიმნით, რომლის ავტორიც ისევ და ისევ ქალბატონი მაკაა. აღსანიშნავია, რომ ანსამბლი „მადლი“ საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს და სწორი მიმართულებით აკვალიანებს თავის აღსაზრდელებს.

საესტრადო-ვოკალურ ანსამბლ „მადლის“ წევრები

— ქალბატონო მაკა, თუ შეგიძლიათ, გაგვიმხილოთ თქვენთვის დაუვიწყარი და სასიხარულო დეტალები ანსამბლის ცხოვრებიდან?

— უამრავი დაუვიწყარი დეტალისა თუ მომენტის მოყვანა შემიძლია შემოქმედებითი ცხოვრებიდან, თუმცა ამჯერად აქცენტს გავაკეთებ რამდენიმეზე. მინდა შეგახსენოთ, რომ ალბომის პრეზენტაციას კიდევ ერთი საგულისხმო სტუმარი – ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ალვანურის“ ხელმძღვანელი დავით ფცქიალაძე ესწრებოდა. მისი განსაკუთრებული სიმპათიები წილად ხვდა ტრიო „მადლის“ ბიჭებს. ღონისძიების დასასრულს მან შემოგვთავაზა მეორე დღისთვის ანუ 13 ივნისისათვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ, რაგბის ევროპის ჩემპიონატის გახსნაში მონაწილეობა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა ტელეკომპანია „იმედის“ მიერ. ყველაფერი შესანიშნავად წარიმართა. ანსამბლმა „ალვანურმა“ და ტრიო „მადლმა“ სტადიონის მინდორზე, თითო-თითო საჩვენებელი ნომრით გახსნეს ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და უამრავი უცხოელი ესწრებოდა.

ჩემპიონატის შემდგომ მიგვიწვიეს რესტორან „არაგვში“, სადაც ტრიო „მადლი“ და „ალვანური“ მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ნაღდი ქართული ხელოვნების წარმოჩენაში. ცხოვრებაში ეს დღე არ დამავიწყდება, მივიღე უამრავი მადლობა და სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა სავიზიტო ბარათები. ფრანგები, ინგლისელები, უკრაინელები მოდიოდნენ და ხელებს გვიკოცნიდნენ. მათი მხრიდან ფეხზე ადგომითა და ხმის ჩახლეჩამდე „ჯორჯიას“ ძახილით მივხვდით, რომ ბედნიერი ერის შვილები ვართ. ცხოვრებაში ჩემთვის სამაგალითო და სათაყვანო შემოქმედი ოტია იოსელიანია, იმიტომ, რომ მის ბუნებრიობასა და თავმდაბლობაში იკვეთება მისივე ელიტარული პიროვნება და მაღალი კულტურა. აქედან გამომდინარე, შემოქმედებითი ურთიერთობებიც მხოლოდ ნამდვილ, ნაღდ ელიტარებთან, თავმდაბალ მუსიკოსებთან და მომღერლებთან მაკავშირებს. ჯერჯერობით ჩვენს ანსამბლს ორი სიმღერა აქვს ჩაწერილი ცნობილ მომღერლებთან ერთად: „ქრისტეშობის ჰიმნი“ და სიმღერა თბილისზე, რომელშიც უანგარო წვლილი შეიტანეს ნუგზარ ერგემლიძემ, ზურა კობეშავიძემ, ზურა დოიჯაშვილმა, ტრიო „თბილისმა“, ტრიო „სიმმა“, ეკა მამალაძემ, ნუკრი კაპანაძემ, მამუკა ონაშვილმა, მიშიკო ზაქარეიშვილმა, ქეთი მერკვილაძემ, კაკო ვაშალომიძემ. შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ანსამბლი „მადლი“ ერთადერთია საქართველოში, სადაც რეპერტუარის, არანჟირებისა და ჩაწერების თანხებს მოსწავლეები არ იხდიან.

პირველიდან შვიდ ივლისამდე მიწვეულები ვართ ბათუმში სახელმწიფო დონეზე ორგანიზებულ სტუდენტურ დღეებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ყველა პრესტიჟული ტელეკომპანიით გაშუქდება. სასექტემბროდ ვაცხადებთ ახალი თაობის მიღებას ანსამბლში. ასევე ვაპირებთ საკუთარი გაზეთის გამოშვებასა და ტელევიზიაში ოფიციალურად საეთერო დროის აღებას საავტორო გადაცემისა და ანსამბლის პოპულარიზაციისათვის.

დაბოლოს, უღრმეს მადლობას ვუხდი ჩემს საყვარელ მოსწავლეებს:

თეონა შიოშვილს
თეონა მირუაშვილს
ნინო მჭედლიშვილს
ქრისტინე გელანტიას
ირინე და ინგა ზურაბიანებს
ჟოზე ჩიხლაძეს
მარი პავლიაშვილს
ანუკა ივანიშვილს
ია და გოგიტა ნიკოლაძეებს

პრეზენტაციაზე ცოცხლად შესრულებული, ლამაზად ნამღერი ლამაზი სიმღერებისათვის.

ანსამბლ „მადლის“ საკონტაქტო ტელეფონებია: 53-17-42; 899 24-41-20.

მე რომ პრეზიდენტი ვიყო...

„ჩიხში მოქცეულს უცებ გონება გამეხსნა...“

ჩიხში მოექეცით? ეგ არაფერი. ადამიანი ყველაზე უკიდურეს გასაჭირშიც კი პოულობს გამოსავალს. იმედი ხომ სულ ბოლოს კვდება?!. ფსიქოლოგების აზრს თუ დავეყრდნობით, როდესაც ადამიანი გამოუვალ სიტუაციაში ვარდება, გონება თავისთავად იწყებს აქტიურ მუშაობას და შესაძლოა, პრობლემა ისე მოაგვაროს, რომ თვითონაც გაოცებული დარჩეს. თურმე, ისიც დადგენილია, რომ ქალები უფრო იოლად აღწევენ თავს გასაჭირს, ვიდრე მამაკაცები. ამაში მათ გამომგონებლობა და ინტუიცია ეხმარება.

ჩვენი პირველი რესპონდენტიც ქალი გახლავთ, რომელსაც გამოუვალი სიტუაციიდან გამოსვლისას ფორტუნამაც გაუღიმა.

მარი ჯაფარიძე

„სათვალე მოვხსენი და ფანჯრიდან გადავუგდე...“

„სტუდენტობის დროს ერთ ბიჭს ვუყვარდი. გამხდარი, სათვალიანი, მორცხვი ვინმე იყო. მე ერთმანეთზე უკეთესი ბიჭები მთავაზობდნენ სიყვარულს, ამიტომ მისი გრძნობა სასაცილოდაც არ მყოფნიდა. მარტო მე კი არა, ჩემი მეგობრებიც დასცინოდნენ. ის კი თავისას არ იშლიდა: ხან სად დამხვდებოდა, ხან — სად. მისი ძმაკაცები ამბობდნენ ხოლმე — კობა ასე თამამად არასოდეს მოქცეულა, სიყვარულმა ბრძოლის ჟინი გაუღვიძაო. ბიჭები აგულიანებდნენ ხოლმე — თუ „მიაწვები“, აუცილებლად დაითანხმებ, მიდი, არ მოეშვაო. ისიც უჯერებდა და ხან სადარბაზოში მხვდებოდა და უცებ გადამიდგებოდა ხოლმე წინ, ხან ინსტიტუტში, შესვენების დროს, დერეფანში მოულოდნელად დამეტაკებოდა და ლოყაზე მაკოცებდა. ეს საერთო მხიარულებას იწვევდა, მაგრამ კობა მზად იყო, ყველაფერი აეტანა, ოღონდ ჩემი სიყვარული მოეპოვებინა.

ერთხელ სტუდენტებმა შეხვედრა მოვუწყვეთ მუხრან მაჭავარიანს, შემდეგ ბანკეტიც გავმართეთ. უცებ, დარბაზის ცენტრში მიკროფონით ხელში კობა გამოვიდა და ხმამაღლა დაიყვირა — ნინო, მიყვარხარო!.. ყველამ ტაში დასცხო. მე წამოვდექი, მივუახლოვდი, სათვალე მოვხსენი, ფანჯრიდან გადავუგდე და ვუთხარი: თუ კარიდან არ გახვალ და სათვალეს ისე ამოიტან, ცოლად გამოგყვები-მეთქი. მეორე სართულზე ვიყავით. კობა ფანჯარასთან მივიდა, რაფაზე ავიდა, მაგრამ გადახტომა ვერ გაბედა. საერთო ჟივილ-ხივილისა და სიცილის ფონზე შემობრუნდა, ხელები გაშალა და თქვა — არც ერთი ქალი საკუთარი სიცოცხლის ფასად არ მიღირსო, — და ჩამოხტა. მერე დარბაზიდან უკანმოუხედავად გავიდა და ამის შემდეგ ჩემკენ აღარც გამოუხედავს.

გავიდა წლები... მე გავთხოვდი, „გამოვთხოვდი“, მის შესახებ კი შორიდან ვიგებდი, რომ საკმაოდ მომგებიანი ბიზნესი ჰქონდა, ძალზე გამდიდრდა და გარეგნობითაც საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი დადგა. თურმე ქალები ბუზებივით ეხვეოდნენ და მისი ცოლობისთვის საუკეთესო გოგონები იბრძოდნენ. თვითონ კი თავი ღირსეულად ეჭირა, არც დროს ტარებას იკლებდა და არც საქმეს აკლებდა ხელს. მოკლედ, ძველი კობასგან აღარაფერი იყო დარჩენილი. საერთო ნაცნობები ამის შესახებ რომ მიყვებოდნენ, თავს ვაქნევდი და — არ არსებობს, არ არსებობს-მეთქი, — გავიძახოდი...

ქმარს რომ გავეყარე, შვილის რჩენა გამიჭირდა. საკმაოდ ხელმოკლედ ვცხოვრობდი და ვცდილობდი, რაიმე საქმისთვის მომეკიდა ხელი. საზღვარგარეთ დავაპირე წასვლა, მაგრამ აფერისტთან მომიწია საქმის დაჭერამ და ნასესხები 4 ათასი დოლარი დამაწერა... ყველამდე ვალში ვიხრჩობოდი, პროცენტი პროცენტს ემატებოდა და უკვე თავის მოკვლაზე ვფიქრობდი, როდესაც ახლობელი ქალი დამიდგა გვერდით და ბანკში კრედიტი ამაღებინა, თან გზაზეც დამაყენა — მასწავლა, რა უნდა გამეკეთებინა იმ ფულით, რომ მოგება მენახა. ვიქირავე ფართობი და პატარა მაღაზია გავხსენი. ცოტა ამოვისუნთქე, დავიწყე ვალების გასტუმრება და რომ ვიფიქრე, მეშველამეთქი, სწორედ ამ დროს შემატყობინა ფართობის მეპატრონემ, რომ სხვაგან უნდა გადამეტანა ჩემი მაღაზია, რადგან იძულებული გახდა, ეს გაეყიდა, ახალ მეპატრონეს კი იქ კაფეს გახსნა ჰქონდა დაგეგმილი. ბევრი ვირბინე, მაგრამ არც ისე იოლი აღმოჩნდა ახალი ადგილის პოვნა. ვგრძნობდი, რომ ვიღუპებოდი, ახალი მეპატრონის გამოგზავნილი ხალხი კი მემუქრებოდა — ყველაფერს გარეთ გადაგიყრი, დროზე დაცალე მაღაზიაო. გადავწყვიტე, მეპატრონეს დავლაპარაკებოდი, რომ ახალი ფართის შოვნამდე ეცლია ჩემთვის. მისი ტელეფონის ნომერი გავიგე, დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. თავაზიანად დამთანხმდა და ოფისში დამიბარა. რომ მივედი, გრძელფეხება მდივანი ამრეზით შემხვდა და მის კაბინეტში შემიძღვა, იქ კი კობა დამხვდა. დავიბენი. თვითონაც არანაკლებ გაოცებული დარჩა. ძველი წყენა არ შეუხსენებია, მომისმინა და მითხრა: მაღაზიის გასაღები მომეცი, შენ კი ორი კვირის შემდეგ დამირეკე, რა თქმა უნდა, თუ მენდობიო... მეტი რა გზა მქონდა? ჩემი სული ვანდე, გასაღებთან ერთად, თან ეჭვის ჭია მღრღნიდა — სამაგიერო არ გადამიხადოს და ზიანი არ მომაყენოს-მეთქი. სიმართლე გითხრათ, ინტერესი მკლავდა, რა ხდებოდა ჩემს მაღაზიაში, მაგრამ მეშინოდა და იქ გავლასაც ვერ ვბედავდი... ორი კვირა, როგორც იქნა, გავიდა და დავურეკე. მოდი და გასაღები წაიღეო, — მითხრა. მაღაზიისკენ გულგახეთქილი წავედი, რადგან ჩემი მიცემული კი არა, სულ სხვა გასაღები მომცა. ადგილზე მისულს კი პირი ღია დამრჩა. პატარა მაღაზიის ნაცვლად ევრორემონტიანი სუპერმარკეტი დამხვდა, ყველანაირი საქონ-

ლით გამოტენილი... ვიღაც კაცმა გადმომცა საბუთები, რომლებიც ადასტურებდა, რომ მაღაზიის აბსოლუტური, სრულუფლებიანი და ერთადერთი მეპატრონე ვიყავი... სიხარულისგან ლამის გავგიჟდი, კობას დავურეკე, რომ მადლობა მეთქვა, მაგრამ ჩემს ზარს არ უპასუხა. არც მომდევნო დღეებში იღებდა ყურმილს. ოფისში რომ მივედი, მდივანმა მასთან არ შემიშვა... მოკლედ, ჩემი დანახვაც აღარ უნდა, მაგრამ კეთილი საქმე მაინც გამიკეთა... აი, ასე გამოვძვერი გამოუვალი სიტუაციიდან და თქვენი საშუალებით მაინც გადავუხდი მადლობას. ნინო, 37 წლის."

თუ ქალს კომპლიმენტად ეტყვით – შესანიშნავი კაბა გაცვია, ეს „გუჩია"? სად იყიდეო? – ის ალბათ სიამოვნებით განაგრძობს თქვენთან საუბარს დიორისა თუ იამამოტოს ახალი კოლექციების შესახებ, მაგრამ შესაძლოა, ეჭვიც გაუჩნდეს თქვენი სექსუალური ორიენტაციის შესახებ. დამეთანხმებით, რომ ეს არცთუ ისე სასიამოვნოა.

„შენ რა, კაბას იცვამ?.."

„მე ილო ვარ, 50 წლის და მინდა, ჩემი „გონების განათების" შესახებ გიამბოთ. ამ სიბერეში ავცუნდრუკდი კაცი და 23 წლის გოგოს დავადგი თვალი. რა გექალება, შე ბებერო? შვილიშვილები გაზვევია თავს!.. მაგრამ, როგორც ჩანს, გული არ ბერდება. დავიწყე ამ გოგოს მოხიბვლა. რას არ ვაკეთებდი, რომ ხელში ჩამეგდო... თავდაპირველად დამცინოდა, ბებერს მეძახდა, შემდეგ ნელა-ნელა „მოტყდა" და თბილად დამიწყო ლაპარაკი, თუმცა, პაემანზე ვერ ვითანხმებდი. ათას სისულელეს ჩავდიოდი, რომ მისი გული მომეგო. ისიც ვუთხარი – ცოლთან გაცილებული ვარ-მეთქი; 15 წლის ბიჭივით, მისი ფანჯრის ქვემოთ გავაჩერებდი მანქანას და დავურეკავდი ხოლმე, – გამოიხედე და ერთი წუთით მაინც დამენახვე-მეთქი, – ვთხოვდი... მოკლედ, როგორც იქნა, პირველი პაემანი დავუნიშნე. მოვემზადე, დავიბანე, გავიპარსე, სუნამო ვიპკურე და გულაჩქარებული, დანიშნულ ადგილზე მივედი. პირდაპირ რესტორანში ველოდი, ტაქსით უნდა მოსულიყო. ფანჯრიდან დავინახე, ტაქსიდან რომ გადმოვიდა. საგანგებოდ იყო გამოპრანჭული და ისეთი მშვენიერი გახლდათ, რომ სუნთქვა შემეკრა. ძალზე ლამაზი და ძვირფასი კაბა ეცვა... საუბარს შევყევით, შამპანურმაც თავისი ქნა და გადავწყვიტე, კომპლიმენტი მეთქვა, თან ჩემი ცოდნაც გამომემჟღავნებინა მოდის სფეროში და ვუთხარი: ძალზე ლამაზი კაბა გაცვია, უზომოდ გიხდება, ეს „გუჩია", ხომ? მაშინვე მივხვდი, როგორც კი შემოგხედე-მეთქი... აქ დავიბენი და დავამატე: – „სად იყიდე?" – გოგონამ გაოცებულმა შემომხედა და მითხრა: „რაში გაინტერესებს? შენ რა, კაბას იცვამ? გეი ხომ არ ხარ?.." – სახეზე მკვდრის ფერი დამედო. რა უნდა მეთქვა? ცოლისთვის მინდა-მეთქი, – ხომ ვერ ვეტყოდი?!. ჰოდა, უარესი სისულელე წამოვროშე: – არა, მე კაბა რად მინდა?.. მე კაცი ვარ... მე ვაჟკაცი ვარ... მე ქალები მომწონს... მინდა, დედაჩემს ვუყიდო-მეთქი... – და ამ დროს გამახსენდა, რომ ლიზი ნამყოფი იყო მამაჩემის გასვენებაში, ვანის რაიონში და ჩემი 75 წლის, საკმაოდ მოტეხილი დედაც ნანახი ჰყავდა... მოკლედ, ყველაფერი გავაფუჭე. ლიზი ლამის სიცილისგან ჩაბჟირდა, რომ წარმოიდგინა დედაჩემი ზურგამოჭრილ, დეკოლტირებულ, ვერცხლისფერ კაბაში... აი, ასე „გამინათდა" გონება ჩიხში მოქცეულს და შემდეგ, კიდევ ორი თვე დამჭირდა, რომ ლიზი პაემანზე დამეთანხმებინა და დამემტკიცებინა, რომ კაცური კაცი ვარ..."

რძალ-დედამთილის ურთიერთობების შესახებ ახალს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ ოჯახში კაცის სიტყვა ჭრის, მაშინ ქალები ერთმანეთთან სიამტკბილობაში იქნებიან. თუ სიტყვა არ ჭრის, მან გონებას უნდა მოუხმოს და გამოსავალი მოიძებნება...

„დედაჩემიც საგანგებოდ გამოვაწყვე და..."

„ახლა 30 წლის ვარ. ამბავი კი, რომელიც მინდა, მოგიყვეთ, 3 წლის წინ მოხდა. დავიწყებ იქიდან, რომ დედაჩემი და მამაჩემი ერთმანეთს დაშორდნენ და მაშინ მე იმდენად პატარა ვიყავი, რომ არ ვიცი, დამნაშავე რომელი იყო. ფაქტი ერთია – დედამ მარტომ გამზარდა. არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ უმამობა არ მეგრძნო. თავდაუზოგავად შრომობდა, დღისით სამსახურში იყო, მერე კი, გვიან ღამემდე, ტანისამოსს კერავდა და გასაყიდად აბარებდა. დარწმუნებული ვარ, რომ მის გვერდით კაცი არ გაჭაჭანებულა. გარეგნულად მშვენივრად გამოიყურებოდა, თავსაც უვლიდა და ვერასოდეს გამოიცნობდით მის ზუსტ ასაკს, ყოველთვის 8-10 წლით ნაკლებ წლოვანებას მისცემდით. მე და დედა შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით და სერიოზული უსიამოვნება არასოდეს მოგვსვლია. ბევრი შენატროდა – ნეტავ, შენ რომ ასეთი კარგი შვილი გაზარდეო! ხშირად მითქვამს მისთვის – გათხოვდი, პატრონი გჭირდება-მეთქი. მაშინ უფრო ვეუბნებოდი ამას, როცა სადმე ერთად წავიდოდით და ვხედავდი, როგორ „ჭამდნენ" თვალებით კაცები... ანა რომ შემიყვარდა, დედაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ძალზე მოეწონა და ჩემი დაქორწინებაც დროული იყო. მე ბედნიერი ვიყავი, რადგან, ორ ქალს, რომელიც ქვეყანას მერჩია, მე უზომოდ ვუყვარდი და იმ დღეზე ვოცნებობდი, სამივენი ერთად რომ ვიცხოვრებდით, მაგრამ ცოლი რომ მოვიყვანე, ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. ანამ და დედაჩემმა ერთმანეთს ვერ გაუგეს. სულ კამათობდნენ. პატარა მიზეზიც კი საკმარისი იყო, რომ ერთმანეთს დატაკებოდნენ. გამოუვალ სიტუაციაში აღმოვჩნდი და მართლაც, ჩიხში მოვექეცი. ვერც დედას ვაწყენინებდი, ვერც ცოლს. იმ პერიოდში სამსახური გამოვიცვალე. ყოველ დილით შინიდან თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, თან სულ დაბოღმილი ვიყავი... ჩემი ახალი უფროსი შუახნის ქვრივი კაცი გახლდათ, სიმპათიური და შეძლებული. ერთხელ, ცხვირჩამოშვებული რომ მივედი სამსახურში, თავისთან მიხმო და მიზეზი მკითხა... ვიდრე საუბარს დავიწყებდი, გონება სწორედ მაშინ გამინათდა. ამიტომ არაფერი გავუმხილე და შინ დავპატიჟე... გადაწყდა, რომ შაბათს საპატიო სტუმარი გვეყოლებოდა. საგანგებოდ მოვემზადეთ. რძალ-დედამთილმა სულ ერთმანეთის კილვით გაამზადა ვახშამი. მე დედაჩემიც საგანგებოდ გამოვაწყვე და სტუმარიც მოვიდა. მოკლედ, ჩანაფიქრმა გაამართლა. ბატონ ვანოს დედაჩემი მოეწონა, რამდენიმე თვის შემდეგ კი, დაქორწინდნენ და დედაჩემი საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ამის შემდეგ ურთიერთობა საუცხოოდ წარიმართა. ჩვენც მოვისვენეთ და ცხოვრებაც მშვენიერი გახდა".

შეყვარებულს დაბადების დღე აქვს, თქვენ კი უფულოდ ხართ?.. დარდიანი, სასეირნოდ წადით და იქნებ, რამაზისავით გაგინათდეთ გონება...

„ბოთლები მიითვალა, ფული მომითვალა"...

„ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ჩემი სკოლელი გოგონა უზომოდ შემიყვარდა. ეს გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ხდებოდა. მაიას დაბადების დღე ახლოდებოდა, მე მისი გულის მოგება მეწადა, ფული კი არ მქონდა, რომ საჩუქარი მეყიდა. მისი დაბადების დღე რომ გათენდა, დილიდანვე ცუდ ხასიათზე დავდექი. დედას ფული არ ჰქონდა, მეგობრებმაც ვერ გამიმართეს ხელი. არადა, სულ 10-15 მანეთი მჭირდებოდა. შუადღეზე გადავწყვიტე – ქალაქში გავივლი, გულს მაინც გადავაყოლებ-მეთქი, – და სახლის კარი გაბრაზებულმა მოვიჯახუნე. სადარბაზოში რომ გამოვედი და მეზობლების მიერ კიბის ბაქანზე დალაგებულ ცარიელ, მტვრიან ბოთლებს მოვკარი თვალი, გონება სწორედ მაშინ გამინათდა. სასწრაფოდ შევზიდე ეს ბოთლები აბაზანაში და გავრეცხე. შემდეგ ტომარაში ჩავაწყვე და მინის ტარის პუნქტთან რის ვაი-ვაგლახით მივათრიე. კარი დაკეტილი დამხვდა, მასზე

თეონა სურმავა - მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული გოგონა

11 ივნისს ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში თეონა სურმავას შემოქმედებითი საღამო მოეწყო. როგორც მაყურებელი დარწმუნდა, ეს 12 წლის გოგონა მართლაც, მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული. მან შესაშური პროფესიონალიზმით წარმოადგინა 2-საათიანი შემოქმედებითი საღამო. თეონამ თანაბარი წარმატებით შეასრულა, როგორც მოცარტის პირველი კონცერტი და ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოები „ნოკტიურნი", ასევე საბალეტო ნომრები, ესპანური ცეკვა, საესტრადო და ხალხური სიმღერები, ითამაშა რამდენიმე სცენა პანტომიმის თეატრის სპექტაკლიდან – „დუმილის პოეზია". შესვენების დროს, მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, ფოიეში გამოფენილი, თეონას ნახატებიც დაეთვალიერებინათ.

საღამოს დასრულების შემდეგ, თეონას შემოქმედებით მოხიბლული, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი ერთგვარი დილემის წინაშე აღმოჩნდა: როცა რჩევისათვის მიმართეს, მაინც რომელ მუზას უნდა ემსახუროს მომავალში თეონა, მან უპასუხა, რომ მისი აზრით, თეონა სურმავა თანაბარი ძალით ავლენს თავის ნიჭს და ოსტატობას ვოკალშიც, კლასიკურ მუსიკაშიც, ბალეტშიც, საესტრადო ხელოვნებაშიც... მომავლის გზას კი ალბათ დრო გამოაჩენს.

თეონა სურმავა თბილისის 161-ე სკოლის მოსწავლეა და როგორც მისი მასწავლებლები აღნიშნავენ, ხელოვნებით გატაცება სწავლაში ნამდვილად არ უშლის ხელს. წარჩინებულია 28-ე სამუსიკო კოლეჯშიც, სადაც საფორტეპიანო განხრით სწავლობს. ვოკალს ეუფლება კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ მუსიკალურ ათწლედში. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში კი სახვითი ხელოვნებისა და საბალეტო განხრით სწავლობს. თეონა ბავშვობიდანვე დაინტერესდა პანტომიმის თეატრით და მისი დასის წევრიცაა. თუ როგორ ანაწილებს დროს ნიჭიერი გოგონა, ამის შესახებ დედა – ქალბატონი **ლია გველესიანი** გვესაუბრება:

– მე სწორედ იმის გამო ვერ ვმუშაობ, რომ დროის განაწილებაში მას ნამდვილად სჭირდება დახმარება. ამ შემოქმედებით საღამოსაც, მე და რეჟისორმა თამარ ჭკუასელმა გავუკეთეთ ორგანიზება. თეონა ძალიან ბედნიერია, რომ ეს მისი მთელი წლის ნამუშევრის შემაჯამებელ წარმოდგენად იქცა, მაყურებელი მრავლად ჰყავდა და ვგონებ, თეატრის შენობაც კმაყოფილებმა დატოვეს. როგორც დედას, მაწუხებს ის, რომ თავისი ასაკის ბავშვებთან შედარებით, თეონა მეტისმეტად დატვირთულია. თავისუფალი დრო პრაქტიკულად მას მხოლოდ ზაფხულის არდადეგებზე აქვს და იცით, რა არის ამ დროს მისი საყვარელი საქმიანობა?.. ბარბებისთვის კაბების შეკერვა!.. ძალიან მორწმუნეა და განსაკუთრებულად ფაქიზი ბუნება აქვს. თეონას აქვს ნებისყოფა, შინაგანი არტისტიზმი და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. სამომავლოდ იგი მონოსპექტაკლს გეგმავს...

ვერვერობით კი, თეონას წინ ბედნიერი არდადეგები ელის. ველოსიპედით სეირნობა და ცურვა მისი ჰობია.

მიკრული განცხადება კი მამცნობდა, რომ მხოლოდ სამ საათზე გახსნიდნენ. ეს ტომარა უკან წამოვათრიე, რადგან ჯერ მხოლოდ პირველი საათი გახლდათ. 2 საათის შემდეგ კი, ისევ ხვნეშა-ხვნეშით მივადექი ჩამბარებელ პუნქტს. ზორბა კაცმა ბოთლები მითვალა, ფული მომითვალა და მივხვდი, რომ მომატყუა და ცოტა გადამიხადა, მაგრამ რას ვიზამდი?!. 3 მანეთით და 80 კაპიკით 3 ცალი „საცოდავი" მიხაკი ვიყიდე და მაიკოს კარს მივადექი. დასაკაკუნებლად რომ მოვემზადე, კიბეზე ფეხის ხმა გავიგონე. უკან რომ მოვიხედე, ადამიანი ვერ დავინახე – უზარმაზარი თაიგული „მოდიოდა", რომლის ქვემოთაც მამაკაცის შარვალი და გაპრიალებული ფეხსაცმელი ჩანდა მხოლოდ... იძულებული გავხდი, დამეკაკუნებინა, მაგრამ ვიდრე კარი გაიღებოდა, ეს ჩემი „ბუკეტი" ძირს დავაგდე და თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი. აი, ასე დამთავრდა ჩემი „ვონების განათების" ამბავი და მაიკოც იმ კაცს „ხვდა წილად"... რამაზი, 36 წლის".

„გზავნილებში" თემასთან ერთად, დამატებით ერთი კითხვაც შემოგთავაზეთ: მე რომ პრეზიდენტი ვიყო... ახლა ვნახოთ, რას გააკეთებდა ესა თუ ის მკითხველი, სახელმწიფოს მეთაური რომ ყოფილიყო.

მე რომ პრეზიდენტი ვიყო...

„ეჰ, მარი, მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ისეთ კანონს მივიღებდი, რომ უცხოეთში მყოფ ყველა ქართველს დავაბრუნებდი. გაიგე, კუსპარ?".

„პრეზიდენტი ვიყო და მთელი საქართველო მიცნობდეს?.. ჯვარი მწერია! ისიც მეყოფა, მთელი დიდუბე რომ მიცნობს და ყველა ჩემს სახლში შემოღწევაზე ფიქრობს".

„პრეზიდენტი რომ ვიყო, ივანოვს ტყუილად არ გავაწვალებდი და ხვალვე ჩემი ნებით გადავდგებოდი".

„...ჩემს საყვარელ ქალაქს, ქუთაისს ავაყვავებდი. ბოლოს და ბოლოს, მეორე ქალაქია საქართველოში. ასე რომ, პრეზიდენტს უთხარით, მოგვხედოს ქუთაისელებს. მაგდა".

„...ბავშვებს სკოლაში ორი დღე ვასწავლიდი, ხუთი დღე კი დავასვენებდი. სასტუმროების აშენების მაგივრად, ფულს მათხოვრებს დავურიგებდი. ნინო".

„...გადავდგებოდი. აბა, აწყევლინე და აგინებინე თავი, ვისაც არ დაეზარება..."

„უჰ, მე რომ პრეზიდენტი ვიყო, ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას გავატარებდი, რომ უმუშევრობა აღარ ყოფილიყო... ბოლოს და ბოლოს, მომბეზრდა ამ უაზრო საკითხების სწავლა სახელმწიფო გამოცდისთვის. ვერიკო, ბათუმი".

„...30 წელს გადაცილებულ პიროვნებებს დასაოჯახებლად სოლიდური თანხით დავასაჩუქრებდი. სესილი".

„...მხარ-თეძოზე წამოვწვებოდი, დიდ, ფერად ტელევიზორთან და ყურებით „გავძღებოდი". მერე დიდ, თეთრ როიალს ვიყიდდი და მაგარ პიანისტს ფულს გადავუხდიდი, რომ დაუსრულებლად ჩემთვის დაეკრა".

„...ნიაგარის ჩანჩქერს ვიყიდდი და საქართველოში ჩამოვიტანდი. მერე ჩავიდოდი „პატარა" ბუშთან და ვეტყოდი: დახუჭობანა ვითამაშოთ-მეთქი. სადაც დაიმალებოდა, იქ ჩავამწყვდევდი და მერე ამერიკის პრეზიდენტიც მე ვიქნებოდი. ჩანჩქერი კი საქართველოს საჩუქრად დარჩებოდა... კარლო".

დღეს „გზავნილებს" ამით ვამთავრებთ. მომდევნო თემად კი გთავაზობთ: წერილი ჩემს საყვარელ და მონატრებულ ... გამოგზავნეთ „მესიჯები" ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გაუგზავნეთ წერილი სასურველ ადამიანს ჩვენი საშუალებით. გეშშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ცოტა ხნის წინ მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად რეჟისორი დათო დოიაშვილი დაინიშნა. მას სასაუბროდ თეატრში ვეწვიე. იქ უამრავი ხალხი ტრიალებდა: ზოგი საქმიანად მიდი-მოდიოდა, ზოგი მღეროდა, ზოგიც რეპეტიციისთვის ემზადებოდა. თავად დათო კაბინეტში დამხვდა, თუმცა სავარძელში არ იჯდა. როგორც მან აღნიშნა, კაბინეტური ცხოვრებით არასდროს უცხოვრია და თეატრში მისულს ყველაზე მეტად სკამზე ჯდომა გაუჭირდა. „ამას არ ვარ შეჩვეული და ძალიან მტკივა ხერხემალი. ახლა უფრო გამიადვილდება, რადგან დილა-საღამოს რეპეტიციები დამეწყება და აქ 15-20 წუთით თუ შემოვირბენ. დანარჩენ დროს გავატარებ იქ, სადაც ჩემი ადგილია — სცენაზე, პარტერში...“

ვარდაქმნები მუსიკალურ თეატრში და ინვესტორის მაძიებელი დოი

ხათუნა ჯავახიშვილი

— დათო, ახალ თანამდებობაზე თავს როგორ გრძნობ?

— ცუდად!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა. იმდენად ბევრი, რომ ამ ყველაფერს როგორ გავუმკლავდებით, არ ვიცი.

— კონკრეტულად რა პრობლემებია?

— ძალიან ბევრი — დაწყებული იურიდიულიდან, დამთავრებული შემოქმედებითით. თეატრი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შენობა, რომელიც 18 წელია აშენებულია, იურიდიულად დამტკიცებული არ არის. თეატრს აქვს ვალი 4 მილიონი და ა.შ. არ იყო სცენა და დასი რკინიგზელთა კულტურის სახლში თამაშობდა. არ ჰყავდა თავისი მაყურებელი. აბსოლუტურად სხვა სტრუქტურა იყო. ყველაფერი უნდა დაიწყოს ხელახლა. ფაქტობრივად, ვიწყებთ ახალი თეატრის მშენებლობას და ვნახოთ, რა გამოვა.

— წინასწარ იცოდი ამ პრობლემების შესახებ?

— ასე ზედმიწევნით არ ვიცოდი. ამდენს არ ველოდი.

— რომ გცოდნოდა, არ დათანხმდებოდი ამ თანამდებობის დაკავებაზე?

— მაინც დავთანხმდებოდი, რადგან ვფიქრობ, რომ ეს არის ჩემი საქმე და ეს უნდა ვაკეთო.

— ამ პრობლემების მოგვარებას ფინანსები სჭირდება. დახმარებას სახელმწიფო გაგიწევთ?

— გარკვეულ დახმარებას სახელმწიფო დაგვპირდა: ნაწილობრივ, რასაკვირველია, ჩვენი საქმიანობა დამოკიდებული იქნება ბიზნესმენებზე, ინვესტორებზე. ვაპირებთ, შევქმნათ იმ ინვესტორთა ფონდი, რომლებიც ჩადებენ გარკვეულ თანხებს და ამით დაეხმარებიან თეატრს.

— დაახლოებით რა პერიოდი დასჭირდება, რომ შექმნათ ისეთი თეატრი, როგორიც წარმოგიდგენიათ?

— თუ ყველაფერი კარგად იქნა — წელიწად-ნახევარი, თუ ცუდად — არ ვიცი.

— ამ დროის განმავლობაში სპექტაკლები გაიმართება?

— კი, ახლა დავიწყებთ უკვე მუშაობას. აქამდე გარკვეული ტრენინგები, ტრენაჟები მქონდა, რომ დასს გავცნობოდი და გამეგო, ვის რა შესაძლებლობები აქვს. ერთ კვირაში ალბათ უკვე ჩავუშვებთ პირველ ორ სპექტაკლს. ერთი იქნება ოპერეტა, მეორე — დრამატულ-მუსიკალური სპექტაკლი.

— სამხატვრო ხელმძღვანელობას და რეჟისორობას როგორ შეუთავსებ ერთმანეთს?

— ეს იოლად შესათავსებელია. მყავს გენიალური დირექტორი, რომელიც ყოფით პრობლემებს ძალიან კარგად აგვარებს უჩემოდ. თან ვფიქრობ, სავალდებულოც კია, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რეჟისორი იყოს, იმიტომ, რომ გარკვეულად შემოქმედებით პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ის უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ვიქნები მე და პასუხს ვაგებ იმ შემოქმედებით გზაზე, რომლითაც წავიყვან თეატრს.

— სხვადასხვა თეატრში დგამდი სპექტაკლებს. ახლა გექნება ამის დრო და საშუალება?

— რასაკვირველია, არა. ვერანაირად ვერ მოვახერხებ, რადგან თუ ყველაფერი იმ ტემპით და სტრუქტურით წავიდა, აქ როგორც გვაქვს ჩაფიქრებული, წელიწადში მინიმუმ სამი სპექტაკლის დადგმა მომიწევს. დანარჩენი სპექტაკლებისთვის რეჟისორებს მოვიწვევ. თეატრს წელიწადში რვა ან ექვსი სპექტაკლი მაინც სჭირდება. ასე რომ, სხვა თეატრებთან თანამშრომლობას ვერ მოვასწრებ, რაზეც ძალიან მწყდება გული.

— რა რეფორმების გატარებას აპირებ? რაიმე სიახლე ხომ არ შემოგაქვს?

— ვერ ვიტყვი, რომ რაღაც ახალი აღმოვაჩინე, რაც აქამდე არ ყოფილა, ან ახალ ბორბალს გამოვიგონებ. ახლა გამოცხადებული გვაქვს, რომ უნდა ჩატარდეს ატესტაციები ორკესტრისთვის, გუნდისთვის, ბალეტისთვის. ეს ძალიან სპეციფიკური თეატრია. აქედან გამომდინარე, ვიღაც გაივლის ამ ატესტაციას, ვიღაც — ვერა. ოქტომბერში კასტინგი გამოცხადდება და უკვე ახალი ძალებით შევუდგებით იმის კეთებას, რასაც ვაპირებთ.

— დასთან როგორ აეწყო შენი ურთიერთობა? მახსოვს, გარკვეული პრობლემები იყო: ნაწილი ითხოვდა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა კაპანაძე ყოფილიყო...

— კი, ნამდვილად ასე იყო. ყველა ადამიანს აქვს თავისი შეხედულება და ყველას შეუძლია, აირჩიოს თავისი ფავორიტი. ეს ჩვეულებრივი რამ არის. როგორც მე ამიხსნეს, ჩემთან დაკავშირებით პრობლემა ის იყო, თითქოს არსებობდა საშიშროება, რომ მე შეიძლება,

უარი მეთქვა მუსიკალურ ჟანრზე და მხოლოდ დრამები დამედგა – ანუ შემეცვალა თეატრის სპეციფიკა, კურსი და მიმართულება. ისიც გავიგე, თითქოს მე ვებრძვი მუსიკალურ თეატრს... არავისაც არ ვებრძვი. ახლა ძალიან კარგი სიტუაციაა იმ გაგებით, რომ მთელი დასი გადის ტრენაჟს და აქტიურ მზადებაშია. საკმაო პერიოდი გაუცდათ და ცდილობენ, ფორმაში ჩადგნენ.

— ჯერ რაიმე კონკრეტულზე არ მუშაობთ?

– ჯერ არა. დაახლოებით ერთ კვირაში უკვე შევარჩევ, კონკრეტულად რაზე დავიწყებთ მუშაობას. ამ თეატრს ძალზე რთული სპეციფიკა აქვს. ახლა რომ მივადგე და „ოიდიპოს მეფე“ ჩავუშვა წარმოებაში, ვიცი, დასი უბრალოდ ვერ აწევს ამ სიმძიმეს, ვერც ორკესტრი დაუკრავს ამას... ყველანაირი ნიუანსია გასათვალისწინებელი. უნდა მოიძებნოს ისეთი პიესა, რომლის დაძლევასაც მოვახერხებთ ამ ეტაპზე. შემდეგ, როცა დისციპლინა გამომუშავდება, როცა ვიღაცას შეამზადებ, უკვე შეიძლება აიღო რთული თემა და დადგა.

— მსახიობები თუ იღებენ შრომის ანაზღაურებას?

– რასაკვირველია, თუ ეს ანაზღაურებაა... დღესდღეობით გენიალური ტენდენციაა და მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თეატრებს გამოუჩნდათ ინვესტორები, რომლებიც აძლევენ გარკვეულ ფინანსებს. უბრალოდ, ამ თეატრს არ ჰყავდა ინვესტორი და დღესაც არ ჰყავს. ამიტომაც აქვთ მიზერული ხელფასები – 60-დან 95 ლარამდე. დამიჯერეთ, შრომა, რომელსაც ისინი ყოველდღე დებენ, არასდროს იქნება ამ ხელფასის შესაბამისი. ამიტომ ეს ისეთივე მოსაგვარებელი პრობლემაა, როგორიც სხვა დანარჩენი. ვნახოთ, ვეცდები, რომ რაღაცნაირად მივაღწიო ამ შესაბამისობას.

— შენთვის, როგორც რეჟისორისთვის, რით არის საინტერესო ამ ახალ ამპლუაში ყოფნა?

– ბევრი რამით: ჯერ ერთი, თვითონ მუსიკალური ჟანრი, იმ გაგებით, რა გაგებითაც მთელ მსოფლიოშია, საქართველოში ჯერ არ შემოსულა. კი არავის ვლანძღავ – უბრალოდ, იმ სახის მიუზიკლი, როგორიც ვთქვათ, ბროდვეიზე იდგმება, საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა, რადგან სახსრები არ არსებობდა. თუ მსგავსი პროექტის განხორციელება ჩვენში შესაძლებელი გახდება, ეს ძალიან გამიხარდება. მეორე – რაც შეეხება მუსიკალურ-დრამატულ ან მუსიკალურ-კომედიურ სპექტაკლებს – ესეც ძალიან საინტერესოა ჩემთვის, იმიტომ, რომ ცალკე სამუშაოა ორკესტრთან, ცალკე – მომღერალთან და ბოლოს და ბოლოს, მჭირდება უნივერსალური დასი, რომელიც მღერის, ცეკვავს, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი მეტყველება და ამასთან ერთად, კარგი არტისტებითაა დაკომპლექტებული. ეს ყველაფერი ცოტა რთულია, მაგრამ ამის მისაღწევად საჭიროა მუშაობა.

— დაბოლოს: ახლახან გამოვიდა „უცნობის“ ახალი კლიპი, სადაც შენ და შენმა მეულლემ საკმაოდ საინტერესო სახე შექმენით. როგორ მიმდინარეობდა გადაღების პროცესი?

– ბასამ და „უცნობმა“ დამირეკეს და მითხრეს,რომ კლიპს იღებდნენ ოჯახებზე. მივედი და უცებ აღმოვჩნდი შემოქმედებით სიტუაციაში. ბასა არაჩვეულებრივი გოგოა და გარდა ამისა, არაჩვეულებრივი რეჟისორი. ძალიან ზუსტად გაჩვენებს მიზანს, იმდენად ზუსტად, რომ იქვე, უცებ ასრულებ ყველაფერს, რაც საჭიროა. გადაღებამ სულ 15-20 წუთი წაიღო, მეტი არა.

— როგორც ვიცი, შენს ცოლს მსახიობობაზე უარი ათქმევინე. კლიპში მისი გადაღების წინააღმდეგი არ იყავი?

– მე არ ვათქმევინე უარი, თვითონ თქვა... კლიპში კი, მარტო მე არავის ვჭირდებოდი, ორივენი უნდა ვყოფილიყავით – სჭირდებოდათ ოჯახი, თავისი ყოფითი პრობლემებით. წავედით და ვითამაშეთ.

მჭირდება უნივერსალური დასი, რომელიც მღერის, ცეკვავს, რომელსაც აქვს არაჩვეულებრივი მეტყველება და...

■

ბელორუსიის კვების პროდუქტების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის სპეციალისტებმა კარტოფილისგან დამზადებული გამაგრილებელი სასმლის ორიგინალური რეცეპტი შეიმუშავეს, რომლის ანალოგი ჯერჯერობით არ მოიძებნება.

„ვიმედოვნებთ, რომ პროდუქტი მალე გაიყიდება“, – განაცხადა ინსტიტუტის გენერალურმა დირექტორმა ზენონ ლოვკინსმა.

სასმელი შექმნილია კარტოფილის წვენის კონცენტრატებისა და ზოგიერთი სხვა ინგრედიენტების გამოყენებით. როგორც ზენონ ლოვკინსი ამბობს, იგი ფერით ბურახს წააგავს, სასიამოვნო გემოთი გამოირჩევა და ამავე დროს, ძალიან სასარგებლოა.



ქოლგა პარიზტის მაგივრად

დასავლეთჩინელმა მამაკაცმა მერი პოპინსს მიჰბაძა: მაღალი სართულიდან გადახტა და პარაშუტის მაგივრად ქოლგა გამოიყენა. „ჩინელ მერი პოპინსს“ რაღა თქმა უნდა, არ გაუმართლა და ორივე ფეხის მოტეხილობით, საავადმყოფოში მოხვდა.

ამ ფაქტზე არანაკლებ უცნაური, დაზარალებულის ქცევის მოტივი იყო: „ფანჯრიდან იმიტომ გადავხტი, რომ მეგონა, სახლში მიკროტალღოვანი ღუმელი აფეთქდებოდა. გადახტომის წინ კი ვიფიქრე, ქოლგა დაცემის სიმძიმეს, ისევე როგორც მერი პოპინსს, მეც შემიმსუბუქებდა“, – განაცხადა მან.



მერწყულის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული გია გაფრინდაშვილი ტელეგადაცემა „პირველი ნახევრის“ დაბადების შემდეგ თავადაც ერთ-ერთი ცნობილი „ნახევარი“ გახდა. სწორედ მას შემდეგ დაინტერესდა საზოგადოებაც — როგორ და რატომ მოხვდა ბუნებაზე შეყვარებული და, როგორც თვითონ უწოდებს თავს, მაუგლი — „მერიოტში“ მოწყობილ სატელევიზიო სტუდიაში, ვინ არის მისი „პირველი ნახევარი“, რატომ არ საუბრობს არასდროს მასზე და კიდევ, რაზე ან ვისზე ფიქრობდა, როცა საკუთარ ეზოში, გაჩერებულ „პორშეს“ დაეჯახა...

გია გაფრინდაშვილი:

ქალბატონებო, იყავით ორთქლებადი... ოღონდ არ გადაჭარბით!

სოფო ყარალაშვილი

— „ტელეიმედში“ წელიწად-ნახევრის წინ მივედი. თავდაპირველად ორ გადაცემაზე — „კლიპლოტო“ და „ლარის მახე“ — ვმუშაობდი. ერთ მშვენიერ დღეს, ჩემმა კონსულტანტმა ვსევოლოდ ვილჩეკმა თავისი იდეა გამანდო: ისეთი გადაცემის გაკეთება სურდა, სადაც ცნობილი მამაკაცების ცოლები ისაუბრებდნენ. შესაბამისად გადაცემის წამყვანად 40 წლის სიმპათიურ მამაკაცს ეძებდა. არ დავფიქრებულვარ და იქვე საკუთარი კანდიდატურა შევთავაზე. მოკლედ, არხის ხელმძღვანელობასაც არ გაუპროტესტებია ჩემი ასაკი თუ სიმპათიურობა და მუშაობას შევუდექი.

— რატომ მაინცდამაინც „მერიოტი“ და მაინცდამაინც თავისუფლების მოედანი? თქვენს ტელევიზიას კეთილმოწყობილი სტუდიების პრობლემა ნამდვილად არა აქვს...

— თავისუფლების მოედანი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, ის ადგილია, სადაც ყველა თემაზე შეიძლება გულწრფელი საუბარი. გარდა ამისა, ვთვლი, რომ გულწრფელი საუბრისთვის სრული კომფორტიც აუცილებელია, რის საშუალებასაც „მერიოტი“ ნამდვილად იძლევა. ალბათ, მაყურებელმა დააფიქსირა ისიც, რომ გადაცემის მთლიანი დრო ეთმობა რესპონდენტთან საუბარს და არა მისი საოჯახო ალბომის დათვალიერებას. ანუ მისი საუბრიდან, ყოველგვარი გალამაზების გარეშე, ირკვევა, ვინ არის ის, ვინ არის მისი მეუღლე, რითი სუნთქავს მისი ოჯახი. ამას ხომ დაკითხვის ფორმა არა აქვს, შესაბამისად, იბადება კითხვები, რომლებიც მანამდე არასოდეს დაუსვამს საკუთარი თავისთვის.

— ფიქრობთ, რომ ასეთ შემთხვევაში რესპონდენტები გულწრფელნი არიან თავიანთ პასუხებში?

— იცით, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასეთ კითხვებზე ჩემმა რესპონდენტებმა იფიქრონ და უპასუხონ, თუნდაც ჩემი გადაცემის დასრულების შემდეგ. ამ შემთხვევაში მიზანი უკვე მიღწეულია.

— რამდენად ხშირად აღწევთ მიზანს?

— ვთვლი, რომ დღემდე მიმართლებს. ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ყოველდღიური პრობლემა იმდენად მრავლადაა, რომ საკუთარ თავთან საუბრისთვის დროც აღარ რჩება; აღარ იხსენებს ბავშვობას, წარსულს ან თუნდაც გუშინდელ დღეს. არადა, ცხოვრებისეული ანალიზი უფრო მეტად იძლევა საკუთარი თავის ზრდისა და გაცნობის საშუალებას. მიმაჩნია, რომ ადამიანი ხშირად უნდა დარჩეს საკუთარ თავთან მარტო და მსგავს შეკითხვებს გულწრფელად უნდა უპასუხოს. რესპონდენტთან დღემდე მიმართლებს-მეთქი, გითხარით, ხშირად იმდენად გულწრფელნი არიან, რომ მერე ნერვიულობენ — იქნებ, ეს არ უნდა მეთქვა, იქნებ, ეს ადგილი დაამონტაჟოთო და ა.შ.

— პირველ ნახევართან საუბრით, საზოგადოებას მისი მეორე ნახევრის პორტრეტს აწვდით. როგორ გგონიათ, რამდენად ობიექტურები არიან ისინი?

— ვფიქრობ, ქალი ყველაზე ობიექტური შემფასებელია იმ მამაკაცის, ვისთან ერთადაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს. შესაძლოა, ქალმა სცადოს და რაიმე მოიტყუოს ან დაფაროს კამერის წინ საუბრისას, მაგრამ უამრავი ისეთი ნიუანსი ფიქსირდება, რომლის წყალობითაც მაყურებლისათვის ნათელი ხდება, თუ ვინ არის მისი მეუღლე. სხვათა შორის, ჩემმა რესპონდენტმა არასოდეს იცის, როდის ვიწყებთ ჩაწერას — დასაწყისში თუ საუბრის ბოლოს. ეს მათთან მუშაობას მიადვილებს.

ბრტყელი პური	უმაღლესი შეფასება სკოლაში	კავშირებითი სიტყვა	ხილის გაზიანი წყალი	ასაღები თანხის ნაწილი, რომელიც წინასწარ გასცეს	ქართული მითოლოგიის გმირი	ადამიანის თავის უკანა ნაწილი
ეკვეში	ჩიაღი	ესი	ჰორ	ასანსი	ამირანი	ფეხი

ვულკანური მასა	პირობითი ნიშანი საიუბილო წერილისათვის	გერმანული სპორტული ფირმა	რომელი ქალაქი აიღეს ცხენით	მარკო ... ბასტენი	ტაილანდის ძველი სახელწოდება	ეგვიპტელთა ღმერთი	გამარჯვების ქალღმერთი	ბავშ... საჭმ...

— რომელმა რესპონდენტმა დაგამახსოვრათ ყველაზე მეტად თავი?

— იცით, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონებმა იციან, რომ მთელი საზოგადოების გასაგონად საუბრობენ, მაინც გულწრფელები არიან. ქალებს ხომ რამდენიმე სამყარო გაქვთ შექმნილი, აქედან 90% თქვენივე გამოგონილია. ამისდა მიუხედავად, ყველა რეალურია. ერთადერთი რესპონდენტი, რომლის გამოც გული დამწყდა — ნინო, ბატონი ზურაბ ჟვანიას მეუღლეა, რომელიც ცხოვრებაში ძალზე გახსნილია, მაგრამ ტელეეთერში ვერ მოხერხდა მისი პერსონის სრულად წარმოჩენა.

— თქვენ მოწვეული გყავდათ საქართველოს პირველი ლედი, რომლის განცხადებამ — ქართველმა ქალებმა ფუჭი საუბრებისა და სიგარეტის მოწევის ნაცვლად, სპორტს რომ მისდიონ, უკეთესიაო, — ლეიბორისტი ქალბატონების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი პირველ ლედის სასამართლოში ჩივილითაც ემუქრებოდნენ. როგორ ფიქრობთ — მართლა ამ განცხადებამ გამოიწვია მათი აღშფოთება?

— არ ვიცი. რომ გითხრათ — ბატონი შალვა ნათელაშვილი იმან გააბრაზა, რომ მისი მეუღლე არ დავპატიჟე ჩემს გადაცემაში-მეთქი, — არა მგონია, მართალი ვიყო. თუმცაღა, არც ლეიბორისტი ქალბატონები იყვნენ ობიექტურები, როცა პირველი ლედის სიტყვებზე ასეთი რეაქცია გამოხატეს, რადგან ქალბატონმა სანდრამ იქვე აღნიშნა, რომ ქართველი ქალებისგან მან ბევრი რამ ისწავლა, ბევრჯერ მოხიბლულა მათი შარმითა თუ სინაზით.

— ბატონო გია, თქვენ რესპონდენტებს პირად ცხოვრებაზე ესაუბრებით, მაგრამ თავად არასოდეს საუბრობთ თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ...

— უბრალოდ ვთვლი, რომ ამის დრო ჯერ არ მოსულა. ალბათ, ეს დროც დადგება და თუ ჩავთვლი საჭიროდ ჩემი ცხოვრების გამომზეურებას, ამას გავაკეთებ კიდეც. ისე, დასამალი არაფერი მაქვს...

— შეყვარებული თუ ხართ? თქვენი გადაცემის წაყვანას ხომ ქალების დიდი სიყვარული სჭირდება.

— მთელი ცხოვრება შეყვარებული ვარ, ხან რაზე, ხან რაზე...

— კითხვას თავს არიდებთ?

— არა, რატომ? ქალზეც!

— შეგიძლიათ თქვენს რჩეულში „საკუთარი თავის პოვნა“?

— რჩეულში საკუთარ თავს ვერასდროს იპოვი. ჩემი ცხოვრების მანძილზე დავრწმუნდი, რომ ადამიანს შენნაირი არასოდეს შეგიყვარდება. პირიქით, ის შენგან სრულიად განსხვავებული უნდა იყოს. არასოდეს მოვითხოვ ქალისგან იდეალურობას, მაგრამ საინტერესო და აორთქლებადი კი ნამდვილად უნდა იყოს — ე.ი. ყოველთვის უნდა არსებობდეს მისი წასვლის საშიშროება. ამიტომ, ქალბატონებო, ეცადეთ, ყოველთვის აორთქლებადები იყოთ: დღეს აქ ხართ, ხვალ — აღარ. ამ შემთხვევაში მამაკაცს მეტი ინტერესი უჩნდება. თუმცა, მაინცდამაინც არ უნდა გადააჭარბოთ.

— ბატონო გია, თქვით მაუგლი ვარო. რაში გამოიხატება ეს?

— გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს ტყეში, ბუნებასთან ახლოს. ამ დროს ადამიანი ყველაფრისაგან თავისუფალი ხდება. იქ სრული იდილია და ჰარმონიაა.

— და არც ისეთი ავტოავარიები ხდება, თქვენ რომ შეგემთხვათ ახლახან, ხომ? მაინც როგორ მოახერხეთ გაჩერებული „პორშეს“ დამტვრევა?

— ამას თავადაც ძალიან განვიცდი. ჩვენს ეზოში დგას „პორშე-944“. არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ჩემი მანქანით დავეჯახე და კარი შევუჭყლიტე... სხვა მანქანა მაინც ყოფილიყო: „პორშე“ ჩემთვის უბრალო მანქანა კი არა — ხელოვნების ნიმუშია.

— თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ გადაცემაში რიგითი მოქალაქე ქალი მოგეწვიათ? ისიც ხომ „სამყაროს მიკრომოდელია“ — ასე ხომ თავად აფასებთ ქალებს?

— კი, მაგრამ ამას ჩვენი გადაცემის ფორმატი არ ითვალისწინებს. შესაძლოა, ეს მომავალში გავაკეთო კიდეც, მაგრამ ეს უკვე სხვა გადაცემა იქნება...

■

საუბრიდან, ყოველგვარი გალამაზების გარეშე, ირკვევა, ვინ არის ის, ვინ არის მისი მეუღლე, რითი სუნთქავს მისი ოჯახი. ამას ხომ დაკითხვის ფორმა არა აქვს...



...რაიმის ...რებულება	მიმართვა გათხოვილი ქალისადმი აშშ-ში	ძველ თბილისური მიმართვა	თამაში მომგებიანი ბილეთებით	მიმართვა იაპონელისადმი	ხელის მტევნის ნაწილი	ერთგვარი ნამცხვარი	რბილი ...ი

ნეტარების მცნებების — ანუ ცხრა ნეტარების შესახებ საუბარია მათეს სახარების მეხუთე თავში, რომელსაც ეწოდება „ქადაგება მთაზე“. ნეტარების მცნებებში უფალი იმ სულიერ თვისებებზე მიუთითებს, რომელნიც ცათა სასუფევლის მისაღწევადაა საჭირო: „ისინი ერთდროულად არიან ჭეშმარიტი ცხოვრების როგორც ნაყოფნი, ასევე ნიშნები; მათში და მათი მეშვეობით უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებაში წინასწარ ვუგებთ გემოს მომავალი ცხოვრების ნეტარებას“ — განმარტებულია „მართლმადიდებლურ კატეხიზმოში“.

რა უნდა ვიცოდეთ ნეტარების მცნებებთან დაკავშირებით?

მორენა მერკვილაძე

პირველი ნეტარება: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5; 3).

სულით გლახაკნი ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც შეცნობილი აქვთ საკუთარი ცოდვები და სულიერი უღირსება ღვთის წინაშე. ამასთანავე ესმით, რომ ღვთის შეწევნის გარეშე ვერანაირ სიკეთეს ვერ აღასრულებენ, ამიტომ არ არიან ქედმაღალნი და ამპარტავანნი — არც ადამიანთა და არც ღმერთის წინაშე. ე.ი. გლახაკნი სულითა არიან თავმდაბალი ადამიანები. როგორც წმინდა მამები ბრძანებენ — სიმდაბლე არის დასაწყისი ქრისტიანის სულიერი ცხოვრებისა. სიმდაბლის მაგალითი არის მეზვერე (მეზვრისა და ფარისევლის იგავზე საუბარია ლუკას „სახარების“ მე-18 თავში: ტაძარში სალოცავად ორი კაცი შევიდა — ფარისეველი და მეზვერე. ფარისეველი შემდეგი სიტყვებით ლოცულობდა: „ღმერთო! გმადლობ შენ, რომ მე არა ვარ ისეთი, როგორიც ეს მეზვერეა — მტაცებელი და ცრუ. მე კვირაში ორჯერ ვმარხულობ და ათისთავს ვწირავ ყოველი ჩემი მონაგარებისაგან“. მეზვერე კი იდგა, მკერდში ხელს იცემდა და ამბობდა: „ღმერთო, მილხინე მე ცოდვილსა ამას“... როდესაც იესო ქრისტე მეზვერისა და ფარისევლის იგავის თხრობას მორჩა, მოწაფეებს უთხრა: „გეტყვი თქვენ, რომ ეს მეზვერე უფრო გამართლებული დარჩა, ვიდრე ის ფარისეველი, რამეთუ ვინც აიმაღლოს თავი თვისი, ის დამდაბლდეს, და ვინც დაიმდაბლოს, იგი ამაღლდეს“.

მეორე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშისცემულ იქმნენ“ (მათე 5; 4).

ეს ნეტარება გვასწავლის, რომ ნეტარნი არიან ის მართლმადიდებელი ადამიანები, რომელნიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გულით მგლოვარებენ და დასტირიან თავიანთ მიერ ჩადენილ ცოდვებს. ცოდვათა გამო ტირილს და გლოვას კი, ადამიანი მაშინ იწყებს, როდესაც საკუთარ სულიერ უძლურებასა და სიღატაკეს შეიცნობს. ასეთი ადამიანები მთელი არსებით ტირიან საკუთარ ცოდვათა გამო და ღმერთისგან შემწეობას ითხოვენ. მათ უფალი ამქვეყნად სულის მშვიდობას, ზეცაში კი მარადიულ, ნეტარ ცხოვრებას მიანიჭებს.

მესამე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანაი“ (მათე 5; 5).

მესამე ნეტარება უპირველესად გვასწავლის, რომ ყოველთვის ვავლენდეთ სიმშვიდესა და მორჩილებას ღვთისა და მოყვასის წინაშე. ასეთ ადამიანებს ყოველგვარი განსაცდელი მშვიდად გადააქვთ — არასოდეს გამოთქვამენ საყვედურს უფლის მიმართ, არ აყენებენ ზიანს ადამიანებს, არავის შეურაცხყოფენ და არ განიკითხავენ მოყვასს, ადვილად მიუტევებენ სხვებს შეცოდებებს და გულით გლოვობენ საკუთარი ცოდვების გამო. ისინი თავიანთ კეთილ საქმეებსაც ნაკლებმნიშვნელოვნად მიიჩნევენ. მაგალითი სიმშვიდისა არის მაცხოვარი, რომელმაც ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად, ყოველგვარი შეურაცხყოფა და ვნება მშვიდად აიტანა. ამ სათნოების ე.ი. სიმშვიდის მომპოვებელი ადამიანები, უფლის აღთქმისამებრ — მიწიერ ცხოვრებაში, ღმერთის კეთილმოქმედებათა სიმდიდრით დატკბებიან, ამასოფლიდან გასვლის შემდეგ კი, დაიმკვიდრებენ მარადიულ ნეტარ ცხოვრებას — ცათა სასუფეველს.

მეოთხე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ, რომელთა ჰშიოდის და სწყეროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ“ (მათე 5; 6).

სიმართლისათვის მშიერნი და მწყურვალნი, ისეთი ადამიანები არიან, რომელნიც მთელი გულით მიილტვიან ჭეშმარიტებისაკენ, ანუ სიმართლისკენ. ასეთი ადამიანები ისე ეძიებენ ღვთის სამართალს, როგორც მშიერი პურს და მწყურვალი წყალს, მათ სურთ, რომ მათი ყოველგვარი საქციელი ღმერთის ნებას ემთხვეოდეს. სიმართლისათვის მშიერმწყურვალთ ღმერთი აღუთქვამს განძღომას ე.ი. სრულ დაკმაყოფილებას.

მეხუთე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“ (მათე 5; 1).

მოწყალენი არიან კეთილი გულის ადამიანები, რომელთაც შესწევთ თანაგრძნობის ძალა და მზად არიან დაეხმარონ გაჭირვებაში მყოფთ, როგორც შეუძლიათ — რჩევა-დარიგებით, ქონებით, ცოდნით თუ სხვა სახით. არსებობს მოწყალების ორი სახე: სულიერი და ხორციელი. სულიერი მოწყალებაა — დამწუხრებულთა ნუგეშისცემა; შეცდომილ ადამიანთა ჭეშმარიტების გზაზე დაყენება; კეთილი რჩევის მიცემა იმისათვის, ვისაც ეს სჭირდება; ლოცვა ღმერთის წინაშე ჩვენი მოყვასისათვის და სხვა. ხორციელ მოწყალებად კი ითვლება — შიშველის შემოსვა; მშიერთათვის საზრდოს მიცემა; სნეულთა მიხედვა; მიცვალებულთა დამარხვა; უცხოს (მწირის) შეყვანა საკუთარ სახლში და სხვა. მოწყალე ადამიანებს, ღვთის განსაკუთრებული წყალობა მოევლინებათ, მათ უფალი შეიწყალებს როგორც ამქვეყნად, ასევე ამასოფლიდან გასვლის დროსაც და მიაგებს მარადიულ ნეტარებას, ანუ დაუმკვიდრებს ადგილს ზეციურ სასუფეველში. მოწყალების მაგალითი მაცხოვარმა გვიჩვენა მოწყალე სამარიტელის შესახებ იგავით.

მეექვსე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“ (მათე 5; 8).

წმინდანი გულითა არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გულში არავითარ ბოროტებას არ ჩაიდებენ. ე.ი. ამ ნეტარებაში მაცხოვარი მიუთითებს, რომ ადამიანი უნდა იყოს უმანკო და კეთილკრძალული. ვისაც სურს ღმერთი იხილოს, იგი წმინდა უნდა იყოს როგორც სხეულით, ასევე სულით და ყოველი აზრით, რადგან არაწმინდა ზრახვები შებილწავენ ღმერთის ხატს და სულიდან საღმრთო მადლს განდევნიან. წმინდა გულის მქონე ადამიანები აქვე, უახლოვდებიან უფალს (სულით გამუდმებით გრძნობენ მას), ხოლო

მარადიულ ცხოვრებაში საუკუნოდ უფალთან იქნებიან და მისი ჭვრეტის საშუალება ექნებათ.

მეშვიდე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“ (მათე 5; 9).

მშვიდობისმყოფელნი ისეთი ადამიანები არიან, რომელთაც სძულთ შუღლი, ცდილობენ, თვითონაც მშვიდად იცხოვრონ და სხვებიც ერთმანეთს შეარიგონ. მშვიდობისმყოფელი ადამიანები მიემსგავსებიან ძე ღვთისას, რომელიც დედამიწაზე მოვიდა, რათა ცოდვით დაცემული კაცობრიობა ღმერთთან შეერიგებინა, ამიტომაც იწოდებიან მშვიდობის მოსურნე ადამიანები ღმერთის ძეებად (შვილებად). მშვიდობის მსურველი ადამიანები ღმერთთან განსაკუთრებულად ახლოს დაიმკვიდრებენ ადგილს, ე.ი. მარადიული ნეტარებით დატკბებიან.

მერვე ნეტარება: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაი“ (მათე 5; 9).

სიმართლისათვის დევნულნი ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც ქადაგებენ სიმართლეს და ამხელენ უკეთურთა და უსჯულოთა მანკიერებებს, რისთვისაც მათ ხშირად სდევნიან და ავიწროებენ. სიმართლისათვის დევნილ ადამიანებს იმდენად უყვართ მართალი ცხოვრება ე.ი. საღმრთო სული, რომ ამ სიმართლისთვის ყოველგვარ განსაცდელს ადვილად იტანენ. სიმართლისათვის დევნილებში, ასევე იგულისხმებიან ეკლესიის მოძღვრები, რომელნიც ქრისტიანული სწავლებისათვის და მაცხოვნებელი დამოძღვრისათვის, ხშირად საყვედურსა და სიძულვილს იმსახურებენ. სიმართლისათვის დევნულობის სანაცვლოდ, ასეთ ადამიანებს, მაცხოვარი ცათა სასუფეველს აღუთქვამს.

მეცხრე ნეტარება: „ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდნენ და გყვედრიდნენ და სთქუან ყოველნი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის: გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელ თქუენი დიდ არს ცათა შინა“ (მათე 5; 10).

ამ ნეტარებაში უფალი მიგვითითებს, რომ უდიდესი ნეტარება მოელით იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველივეს ითმენენ ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის – დევნას, საყვედურს, შეურაცხყოფას, ცილისწამებას და სხვა.

ასეთ ადამიანებს უფალი უდიდეს ჯილდოს ჰპირდება – ისინი მარადიული ნეტარების უმაღლეს საფეხურზე ავლენ, რამეთუ ტანჯვა ქრისტესთვის უდიდესი ღვაწლია, ხოლო უარყოფა მისი – უდიდესი დაცემა. უფალი ბრძანებს: „რომელმან უარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაისა“ (მათე 10; 33). ■

მოხუცი, რომელიც 125 წელს იცხოვრებს...

წახსულისგან თავის დაღნევას ცდილობს

„როდის მელირსება გაგრაში დაბრუნება, ბაბუ?“ — მკითხა თეთრწვერა, სანდომიანი სახის მოხუცმა, რომელიც კოსტავას ქუჩაზე დგას და ყვავილებს ყიდის. გვერდს ვერ აუვლი ამ ადამიანს: მის ცრემლიან თვალებში უთქმელადაც, მის თავს გადახდენილი ამბავი იკითხება... ბიორგი ბერძენიშვილს, სიზმარში გამოცხადებული, თეთრსამოსიანი მამაკაცი შეეპირდა, რომ იგი 125 წელს იცხოვრებს. 77 წლის კაცს სულაც არ უნდა, რომ კიდევ 48 წელი იცოცხლოს. ოღონდაც საყვარელ ქალაქს — გაგრას დაუბრუნდეს და მერე — თუნდაც მოკვდეს...

ლიკა ქაჯაია

ორსართულიანი, ვეებერთელა სახლიდან გამოძევებული, ის დღეს სასტუმრო „ივერიის“ ერთოთახიან, ვიწრო ნომერში ცხოვრობს და ამას ძალიან განიცდის. საყვარელი მცენარეებით გარშემორტყმული ეზო, რომელიც ერთ სიცოცხლედ უღირდა, ხელიდან გამოაცალეს. თბილისში ჩამოსულს კი, მეუღლეც წაართვა მუხთალმა ბედმა. ახლა მხოლოდ შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების სიყვარულითა და გაგრაში წასვლის იმედით ცოცხლობს. მანამდე კი... ყვავილების მესაიდუმლეს, მანქანები გზას უთმობენ: თითქოს, ჩემი უფრო ეშინიათ, ვიდრე საგზაო ინსპექტორის, ალბათ, გიჟი ან ლოთი ვგონივარ ხალხს და გზას მითმობენო, – მითხრა...

– დაახლოებით 45 წელი, გაგრის ციტრუსების სანერგეში ვმუშაობდი. იქაურები, სოფლის მეურნეობის რეჟიმის უფროსს მეძახდნენ... გაგრაში დავიბადე. ჩემი მშობლები მშრომელი ადამიანები იყვნენ. მათ შემაყვარეს შრომა და მასწავლეს მისი ყადრი. ბავშვობიდანვე ვუვლიდი მცენარეებს. თავისუფალი დრო არასოდეს მქონია. უსაქმურად ვერ ვჩერდებოდი, თითოეულ ნერგს ბავშვივით დავფოფინებდი. მერე მშობლებმა სასწავლებლად ციხისძირში გამაგზავნეს, სადაც საფუძვლიანად შევისწავლე სუბტროპიკული კულტურების მოშენებისა და მოვლის საიდუმლო. 21 წლისამ ვარდყვავილების მესაიდუმლე, ცხონებული მიხეილ მამულაშვილი გავიცანი. მან მეტსახელად თხუნელა შემარქვა, რადგან ძირითადად ხელით ვჩიჩქნიდი მიწას.

— სად გაიცანით თქვენი მეუღლე?

– ჩემი მეუღლე, თამარი რკინიგზის სადგურში გავიცანი. ისიც აგრონომი იყო. მან თავისი სილამაზით, სიმღერის სიყვარულითა და შრომისმოყვარეობით შემაყვარა თავი. 21 წლის ვიყავი, როცა მამამისს მისი ხელი ვთხოვე. ამაყად გადმომხედა და მკითხა: ხარ კი მზად,

ოჯახის შენახვისათვისო?! რა ვუპასუხე, აღარ მახსოვს, მაგრამ თამარი გამომაყოლეს. მე და ჩემმა მეუღლემ მყუდრო ოჯახი შევქმენით. ქალი კი იყო, მაგრამ მუშაობისას ტოლს არ მიდებდა. სიმინდის თოხნაში მჯობნიდა კიდეც. მეუბნებოდა: ჩემ გვერდით დადექი, ხელს წაგიკრავო. ორ-სამ მეტრს რომ გაივლიდა, მობრუნდებოდა და მეხმარებოდა. მეზობლად სომეხი კაცი ცხოვრობდა. არ ვიცი, ჩვენი შურდა თუ მართლა უკვირდა, იტყოდა ხოლმე – ეს ქალი ტრაქტორია თუ რობოტიო?! დაუღალავი იყო თამარი...

— როგორ უნდა მოვუაროთ ოჯახის პირობებში სუბტროპიკულ მცენარეებს და შეიძლება თუ არა თბილისში ლიმონის მოშენება?

– სუბტროპიკულ მცენარეებს, მაგალითად, გვიმრას, ტენიანი ადგილი უყვარს. იგი მშრალ ნიადაგს ვერ იტანს, ამიტომ ყოველ საღამოს მორწყვა სჭირდება. თუ ასეთ მცენარეს მზეზე დადგამ, ის წითლდება. ამიტომ მას ადგილი უნდა შეურჩიო... ლიმონს შუა აზიაში ახარებენ. მისი მოშენება აქაც შეიძლება, მაგრამ თბილისელები ამბობენ: ამ მცენარეს მოვლა უნდა და ვერ ვიყიდითო... მე ისეთ ქართველს რა ვუთხარი, რომელიც ნერგის გახარებას ვერ შეძლებს. ცოტა ტვინის განძრევაა საჭირო ამ საქმიანობისათვის, მაგრამ ესეც ეზარებათ. მათ ჰგონიათ, რომ ცხოვრება მარტო ქეიფი და დროს ტარებაა. 10 წლის წინ, საქართველოში ყველაფერი ყვაოდა. დღეს კი ქართველები გადაჯიშდნენ. ის, რითიც ამაყობდა ჩვენი ერი – ვენახი, ბაღი, ხილი, სარწყავი – გააჩანაგეს!.. რა მოხდა? ჩვენ თვითონვე გავაფუჭეთ ყველაფერი, ბუნება დავასახიჩრეთ... ერთმა პროფესორმა, რამდენიმე წლის წინ, უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა მთხოვა, მაგრამ უარი ვთქვი: შეაყარე კედელს ცერცვი!.. თუ ვინმეს აინტერესებს დასავლეთის კულტურული მცენარეების მოშენება, მათ ისედაც მივცემ რჩევა-დარიგებას.

— შვილებსა და შვილიშვილებს თუ გადასცემთ თქვენს ცოდნას?

– მე 4 შვილი, 11 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი მყავს. მათ იციან ყვავილების და მცენარეების მოვლა. სასტუმრო „ივერიის“ ერთოთახიან ბინაში, ჩემთან ერთად ჩემი ორი შვილიშვილი ცხოვრობს (ისინი სტუდენტები არიან). ოთახის ძირითადი ნაწილი, ყვავილებს უკავია. გოგონები, მათ მოვლაში მეხმარებიან. ისინი არიან ჩემი იმედი... მე ვიცი ისეთი მცენარე, რომლის ფესვი სასწაულმოქმედია და ბევრ დაავადებას კურნავს. ამისათვის არაა საჭირო წამლის დამზადება – უბრალოდ, უნდა იცოდე მისი მოხმარების წესი; არ უნდა იჩქარო და არც ზედმეტი უნდა მოგივიდეს. „სალხინოს“ დიდ რეკლამას უკეთებენ. არ გამოვრიცხავ მის შესაძლებლობებს, მაგრამ ჩემს მცენარეს სულ სხვა ძალა აქვს...

— გაგრა თქვენი ტკივილია. მასზე ფიქრისას უპირველესად რა გახსენდებათ?

– ეჰ, ჩემი ქალაქი... ორმა ხელისუფლებამ ერთმანეთის ჯიბრით ხალხი გაანადგურა. მე ვუყურებდი, როგორ თამაშობდნენ ქართველი კაცის მოჭრილი თავით ფეხბურთს!.. ვნატრობდი: გიორგი სააკაძე ვიყო, რომ სისხლისმსმელებს თავები წავაწყვიტო-მეთქი... აქ რომ გადმოვედით, 3 თვე ვერ ვლაპარაკობდი. სასტუმრო „ივერიის“ ერთოთახიან ბინას ვერ ვეგუებოდი, ჩემი „ბუდე“, ჩემი მცენარეები მენატრებოდა. ის სითბო, რომელიც გაგრას ახასიათებდა... უბედურებას, უბედურება დაერთო და მეუღლეც წამართვა მუხთალმა ბედმა, მაგრამ კაცი ყველაფერს ეგუება: ფეხზე დავდექი, ყვავილები დავთესე, გავზარდე და წარსულისაგან თავის დაღწევას მათი მოვლითა და ჭიქა არყით ვცდილობდი... ახლა კი,,,ივერიიდანაც“ გვიპირებენ გაყრას. ალბათ ჰგონიათ, რომ ფული მართლაც ანათებს ჯოჯოხეთს. შემიქმნან პირობები, დამაბრუნონ გაგრაში და არ მინდა არც თბილისი, არც მათი ფული. ახალი მთავრობა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას გვპირდება. იმედი გამიჩნდა: იქნებ, ახალგაზრდულმა ენერგიამ ეს შეძლოს-მეთქი?! ვნახოთ, რა იქნება... 11 წელია, რაც აქ ვარ, მეტი კი არა... კაცი ჭაში იხრჩობოდა, შველას ითხოვდა. გამვლელმა გაიგო და ჩასძახა: დამელოდე, დაგეხმარებიო!.. სად წავიდოდა?! ისეა ჩემი საქმეც – წყალწაღებული ხავსს ვეჭიდები. გაგრა დამანახვა და მერე, თუნდაც ადგილზე დამხვრიტონ. უკან არ დავიხევ.

— თქვენ თქვით, რომ სიზმარში თეთრსამოსიანი მამაკაცი გამოგეცხადათ, რომელმაც 125 წლის სიცოცხლის გარანტია მოგცათ...

– ღამის 3 საათამდე ვმუშაობდი. დაღლილს ტანზე არ გამიხდია, ისე წამოვწექი. თეთრხალათიანი კაცი გამომეცხადა და მითხრა: გიორგი, ამდენს რად მუშაობ? შენ კიდევ 50 წელი უნდა იცხოვრო... გამომეღვიძა, დავითვალე... გამოდის, რომ 125 წლის ასაკში მოვკვდები... მთავარია, ავად არ გავხდე-მეთქი. ყოველ დილით, შვიდ საათზე ვიღვიძებ, რადგან ვიცი, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მართალია, ქვეყანა არ ამიშენებია, მაგრამ ჩემს ცხოვრებას უქმადაც არ ჩაუვლია... კოსტავას ქუჩაზე, ყოველი მეორე ან მესამე გამვლელი მესალმება, ჩემგან თავს დავალებულად გრძნობენ... ვინც ბუნებასთან ახლოსაა, მან ცხოვრებაც იცის... მე მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: მინდა, გაგრაში დავბრუნდე! ის ყვავილები კი, რომელიც აქ გავამრავლე, კეთილ ადამიანებს უსასყიდლოდ დავურიგო...

გიორგი ბერძენიშვილი, ახლაც ურიგებს უფასოდ ყვავილებს მათ, ვისაც ის უყვარს, ვინც მოუვლის, მაგრამ მის შესაძენად თანხა არ ჰყოფნის... ის ვერ იტანს ტელევიზორსა და კომპიუტერს, რადგან მიაჩნია, რომ მათ საკმაოდ დიდი გამოსხივება აქვს... კარგი იუმორის პატრონმა, ბატონმა გიორგიმ ჭიქა არაყზე დაგვპატიჟა. შემდეგ კი, სიმღერით – „გოგო მიდის მოხვეულში“ – გამოგვაცილა. თუმცა, ვერ მოითმინა და ისევ მოგვაძახა: იმედი მაინც მომეცით, იმედიო! – და ცრემლები წამოსცვივდა... იმედი კი, ღმერთმა ნუ მოუშალოს მოხუცს, რომელიც წვერს მანამდე არ გაიპარსავს, სანამ გაგრაში არ დააბრუნებენ... ■

თეთრხალათიანი კაცი გამომეცხადა და მითხრა:გიორგი, ამდენს რად მუშაობ? შენ კიდევ 50 წელი უნდა იცხოვრო... გამომეღვიძა, დავითვალე... გამოდის, რომ 125 წლის ასაკში მოვკვდები...

როგორ მოვარჯულოთ სიდედრი და დედამთილი?

მას შემდეგ, რაც გავარკვიეთ, თუ როგორ უნდა მოხიბლოს მამაკაცმა ქალი და პირიქით („გზა“, №24), მგონი, დროული უნდა იყოს, გაგანდოთ სიდედრისა თუ დედამთილის მორჯულების მარტივი ხერხები...

სიმართლე გითხრათ, მამაკაცებს სულაც არ გასჭირვებიათ პასუხის გაცემა. აი, მშვენიერი სქესის წარმომადგენელი რესპონდენტების მოძებნა, არცთუ ის იოლი აღმოჩნდა: ზოგმა გულახდილად მიპასუხა — არ ვიცი, ზოგმაც „რთულ“ შეკითხვას უბრალოდ თავი აარიდა.

სოფო ყარალაშვილი

ვახტანგ რჩეულიშვილი:

— მე სიდედრს ვყავარ მორჯულებული *(იცინის)*... უწინარეს ყოვლისა, უნდა გიყვარდეს მისი შვილი და ოჯახს უნდა არჩენდე კარგად. ხუთ მცნებას გასწავლით — სიდედრს რომ უყვარდეს სიძე: 1. არ იმრუშო; 2. არ ილოთო; 3.

არ იკაიფო; 4. არ გაღატაკდე; 5. გიყვარდეს სიდედრი შენი, ვითარცა დედა შენი...

ავთო ცქვიტინიძე:

— სიდედრი არ მყავს და ისეთი სიდედრი არც მეყოლება, რომელსაც მორჯულება დასჭირდება... ჩემი აზრით, ადამიანი ისე არ უნდა გააღიზიანო, რომ უარყოფითად განეწყოს შენ მიმართ, შესაბამისად, აგრესიაც არ იქნება. საერთოდ, ნებისმიერ ცუდ ადამიანთან, მით უმეტეს — ცუდ სიდედრთან — არ უნდა იკონტაქტო.

გიგა კვენეტაძე:

— მეუბნებიან და მეც ასე ვფიქრობ: უნდა იყო ენატკბილი სიძე, ხშირად უნდა ეფერო სიდედრს... არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუძახო სიდედრს დედა, იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე დედა ერთია... უნდა დაინახოს, რომ მისი შვილი ძალიან გიყვარს, არ უნდა ჩაესიძო და საქმეც მოგვარებულია!

ანი მაღლაკელიძე:

— შეუღლების დროს ერთმანეთისგან განსხვავებული ადამიანები ხვდებიან ერთ ოჯახში, მაგრამ თუ სიყვარულია, ყველა უნდა მოეფეროს ერთმანეთს. „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ — სხვა შემთხვევაში, ურთიერთობა ჯანსაღი ვერ იქნება. ასე მწამს მთელი ჩემი შეგნებით.

ნინო კალანდაძე:

— პირველ რიგში, დედამთილის მიმართ ძალიან თავაზიანი და ყურადღებიანი უნდა იყო. არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეს მისი დაბადების დღე. უნდა იყო კომპრომისული, არ უნდა უსაყვედურო წვრილმანების გამო. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დედამთილთან არ უნდა იცხოვრო. არასოდეს არ უნდა ეკამათო შვილისა და შვილიშვილის აღზრდის საკითხზე და აუცილებლად უნდა დაინტერესდე მისი საქმიანობით.

ნაზი არონია:

— უპირველეს ყოვლისა, ქმარს უნდა მოეფერო დედამთილის თანდასწრებით. უნდა შევეცადოთ დავანახვოთ, როგორ ვუვლით მის შვილს. იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე შინ არ არის, დედამთილმა უნდა დაინახოს, რომ მის შვილს გადავუნახეთ კერძი... ზოგჯერ სიურპრიზის გაკეთებაც კარგია. საერთოდ, დედამთილს წარმატებული რძალი უყვარს.

გია ჯავჯანიძე, ფსიქოლოგი:

— თუ სიდედრი ან დედამთილი ახალგაზრდა და უქმროა, რძალმაც და სიძემაც უნდა იზრუნონ იმაზე, რომ მან იპოვოს მეორე ნახევარი. ხშირად უნდა აღნიშნოთ, რომ სიდედრი (დედამთილი) ძალიან ახალგაზრდაა, ოჯახის უფროსია და მის გარეშე ოჯახი არაფერს წარმოადგენს... რაც არ უნდა ცუდი კერძი გააკეთოს, უნდა შეაქო და უთხრა, რომ ასეთი გემრიელი კერძი არასოდეს გიჭამია. თუ სიდედრი (დედამთილი) სიძეს (რძალს) საჩუქარს გაუკეთებს, იმის მიუხედავად, მოგეწონება თუ არა, უნდა უთხრა, რომ სწორედ ამ ნივთზე ოცნებობდი მთელი სიცოცხლე. და კიდევ, სიდედრი (დედამთილი) ნათესავებთან მიზანმიმართულად უნდა აქო, რათა ნათესავებმა მას ამბავი მიუტანონ...

■

იფურთხეთ ტოტისთან ერთად!

ფტგ ვშვშ აუჩიგკეშ მუდგკშ მტუიუიშთ ეფტჩდუიშე

დასრულდა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი, რომელმაც მრავალი ქომაგი იმედგაცრუებული დატოვა. მესამე ტურის მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა A ჯგუფის შეხვედრები, რომლებშიც ორი მეოთხედფინალური საგზურისთვის პორტუგალია, ესპანეთი და საბერძნეთი ეცილებოდნენ ერთმანეთს, ხოლო რუსეთს, შელახული პრესტიჟის აღსადგენად, ბოლო მატჩი უნდა მოეგო. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ეროვნულმა ნაკრებმა ბერძენთა გუნდის დამარცხება მართლაც შეძლო, მასპინძლებმა კი ესპანელებს სძლიეს, რის შედეგადაც ელინებთან ერთად მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ცხადია, ამ გამარჯვების შემდეგ, მთელი პორტუგალია დიდმა ზეიმმა მოიცვა.

მაგრამ „ევრო-2004“-ზე მხოლოდ წმინდა სპორტულმა მოვლენებმა როდი შეიძინა საერთაშორისო რეზონანსი. მაგალითად, ტურნირზე ძალიან აქტუალურია „ფურთხის ეპიდემია“... დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, ფეხბურთელები მოწინააღმდეგის ფსიქოლოგიურად გასატეხად „შეფურთხების ტექნიკასაც“ იშველიებენ. ამ ხერხს პირველად, იტალიელმა ფრანჩესკო ტოტიმ მიმართა, რომელსაც მალე, შვეიცარიელმა ალექსანდრ ფრაიმაც მიჰბაძა, მაგრამ ასეთი ქცევით ყველაზე მეტად თავად ფურთხია მოთამაშეები დაზარალდნენ. ევროპის ჩემპიონატზე აქტუალურია საფეხბურთო ხულიგნობაც, რაშიც ისევე, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ინგლისელები ლიდერობენ. უსაქმოდ არც მკერდსავსე და გრძელფეხება ლამაზმანები დარჩენილან, რომლებიც თავიანთი ფიზიკური მონაცემებით ცდილობენ, საკუთარი ქვეყნის გუნდის მოთამაშეთა გამხნევებას. „ევრო-2004“ კი, დასკვნით ფაზაში შედის, რაც ტურნირს კიდევ უფრო მეტ ინტრიგას სძენს.

როგორც უკვე ვთქვით, პორტუგალიელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს ლუიშ ფელიპე სკოლარის გუნდის ესპანეთის ნაკრებზე გამარჯვება და მეოთხედფინალში გასვლა. ამ მატჩის შემდეგ, ლისაბონის ყველა ცენტრალური მოედანი და ქუჩა ხალხით აივსო. გულშემატკივართა მრავალათასიანმა ტალღამ ქალაქის ძველ, სავაჭრო ნაწილში მოძრაობა გადაკეტა. მათ ეროვნული დროშები და პლაკატები ეჭირათ ხელში. საერთოსახალხო ზეიმისადმი გულგრილი არავინ დარჩენილა – ხარობდნენ, როგორც ახალგაზრდები, ასევე მოხუცები და ბავშვებიც. ანალოგიური ვითარება იყო შექმნილი პორტუგალიის სხვა ქალაქებშიც. მაგალითად, ფარუში, სადაც რუსეთისა და საბერძნეთის გუნდების მატჩები მიმდინარეობდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დიდი მხიარულება ინგლისელმა ფანებმაც გაიზიარეს, რაც სულაც არაა გასაკვირი, რადგან ქვეჯგუფში პორტუგალია ალბიონელთა ნაკრების მეტოქე არ ყოფილა. ლუიშ ფიგუსა და კომპანიის გამარჯვების გამო კმაყოფილება ვერ დაფარა პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა, დურაუ ბაროზუმაც: „აღტაცებული ვარ ამ ურთულეს მატჩში ჩვენი გუნდის გამარჯვებით“, – აღნიშნა მან.

აღსანიშნავია ის, რომ ესპანეთთან მატჩამდე, ლუიშ ფელიპე სკოლარი თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილობას ვერ ფარავდა და პორტუგალიის ნაკრები შეუხედავ ქალსაც კი შეადარა. „როდესაც ფეხბურთელები „ევრო-2004“-სთვის მოსამზადებლად შევკრიბე, მათთან ერთად 2-3 დღე გავატარე, – განაცხადა ესპანელებთან შეხვედრამდე ბრაზილიელმა მწვრთნელმა, – ახლა კი, უკვე 20 დღეა, გუნდთან ვარ და კარგად გავიგე, თუ რა სირთულეები დგას ჩემ წინაშე. ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მზიან დილას, ყოველგვარი კოსმეტიკის გარეშე, საყვარელი გამომეცხადა და მივხვდი, თუ რამდენად შეუხედავი ყოფილა ის... უფრო მეტი სათამაშო პრაქტიკა რომ გვქონოდა, მეოთხედფინალში ადგილი უკვე გარანტირებული გვექნებოდა. თუმცა, ბრძოლას ვაგრძელებთ. ეს ნამდვილი ომია, რომელშიც ან გაიმარჯვებ, ან მოკვდები. მხოლოდ ესპანელებთან ბრძოლას როდი ვგულისხმობ. ჩვენ პორტუგალიისთვის ვიღვწით, ამ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მასზე ვართ დამოკიდებული და მისთვის მოგვიწევს ბრძოლა. ამგვარი მოწოდება ბრაზილიაში სავსებით ნორმალური მოვლენაა“.

აი, ასე ამხნევებდა ფეხბურთის სამხრეთამერიკელი სპეციალისტი გადამწყვეტი მატჩის წინ თავის გუნდს. ლუიშ ფიგუმ კი, სკოლარის მოწოდებას განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცა. როგორც ჩანს, „რეალის“ ნახევარმცველს მაინცდამაინც ჭკუაში არ დაუჯდა ომსა და ბრძოლაზე საუბარი. „მრავალი ფაქტორი მეტყველებს იმაზე,

რომ ეს მართლაც ასეა, – დასძინა შინდისფერმაისურიანთა ლიდერმა, – მაგრამ ომი რა სახსენებელია?! რაც გინდათ, ის დაარქვით – ოღონდ, არა ომი! უმჯობესია, საფეხბურთო ზეიმი იყოს“... საფეხბურთო ზეიმი კი მართლაც, შედგა და პორტუგალიის ყველა ქალაქის ქუჩებს მოედო...

როგორც ცნობილია, დიდი რეზონანსი მოჰყვა იტალიისა და დანიის ნაკრებთა შეხვედრისას ფრანჩესკო ტოტის მიერ ჩადენილ საქციელს: „სკუადრა აძურას“ ნახევარმცველმა, დანიელ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა. ეს ინციდენტი მატჩის არბიტრს არ დაუნახავს, მაგრამ მოგვიანებით, აღნიშნული ეპიზოდი დანიურმა ტელეკომპანიამ – Danish DR1-მა უჩვენა, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ კი უეფას მიმართა და თავხედობისთვის იტალიელის დასჯა მოითხოვა. ტოტის სამატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. დიდ საერთაშორისო ტურნირზე მიღებული ეს სასჯელი ტოტისთვის პირველი როდია. 2002 წლის კორეა-იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატზე მასპინძელთა გუნდთან შეხვედრისას იგი სიმულაციისთვის გააძევეს მოედნიდან.

ფრანჩესკო ტოტის მიმბაძველი გამოუჩნდა შვეიცარიელი ალექსანდრ ფრაის სახით, რომელსაც ანალოგიურ არასპორტულ საქციელში სდებდნენ ბრალს. თუმცა, იტალიელი ვარსკვლავისგან განსხვავებით, იგი სასჯელს გადაურჩა. ინგლისი-შვეიცარიის მატჩის ვიდეოჩანაწერში ასეთი ეპიზოდია დაფიქსირებული: ფრაიმ სტივენ ჟერარდს გვერდით ჩაუქროლა, ალბიონელმა ნახევარმცველმა მას გაოცებულმა შეხედა და კისერი მოიწმინდა... უეფას სადისციპლინო კომისიამ ეს შემთხვევაც გულდასმით შეისწავლა, მაგრამ ბოლოს, ეჭვმიტანილი ფეხბურთელი გაამართლა.

ამასობაში, ვირტუალური გასართობი ინდუსტრიის მესვეურებმა უკვე გაითვალისწინეს „ევრო-2004“-ის საფეხბურთო თავისებურებები და ფურთხებაში დაოსტატებულ ტოტიზე ახალი თამაშიც შექმნეს. „იფურთხე ტოტისთან ერთად!“ – ასე ეწოდება კომპიუტერულ თავშესაქცევს, რომლის მთავარი პრინციპიც იმაში მდგომარეობს, რომ მოთამაშემ „სკუადრა აძურას“ ნახევარმცველს დანიის მოთამაშეებისთვის 11-ჯერ ზუსტად უნდა მიაფურთხებინოს...

„ევრო-2004“-ის დაწყების შემდეგ, ინგლისელები დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებას უჩივიან. ქვეყანაში ჩატარებული ბოლო გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ალბიონელ მამაკაცთა უმრავლესობა მთლიანად საფეხბურთო მატჩების ყურებაზეა გადასული. სტატისტიკური მონაცემებით, ინგლისელთა 59% ევროპის ჩემპიონატის დაწყების დღიდან სექსისადმი სრულ გულგრილობას იჩენს და მეუღლისა თუ მეგობარი ქალბატონის „მარწუხებისგან“ თავის დასაღწევად, საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციის დროს შინიდან გასვლას ამჯობინებს. მაგალითად, ყოველი ხუთი გამოკითხულიდან ორი თამამად აცხადებს, რომ ფეხბურთის ყურება ცოლების გარეშე ურჩევნია. „წარმოიდგინეთ, რაოდენ გამაღიზიანებელია, როდესაც თქვენი რჩეული დაძაბულ მომენტში კისერზე ჩამოგეკიდებათ და უაზრო შეკითხვებს დაგისვამთ, ოფსაიდის ან სხვა სათამაშო სიტუაციის შესახებ“, – ამბობს გამოკითხვის ერთ-ერთი მონაწილე. სუსტი სქესის წარმომადგენლები კი, სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას შექმნილი ვითარების გამო. უფრო მეტიც – ზოგიერთმა მათგანმა განქორწინებაც დააპირა და ამ მიზნით, სასამართლოსაც კი მიმართა!..

ინგლისის ეროვნული ნაკრების მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ, გუნდის ქომაგთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ „სამეფო ლომები“ ფინალამდე მიღწევას და გამარჯვებასაც მოახერხებენ. აქტიურობენ სუსტი სქესის წარმომადგენლებიც, რომლებიც ხშირად, სვენ-გორან ერიქსონისა და კომპანიის გულშემატკივრობისას საკუთარი თავის რეკლამირებას ახდენენ. მაგალითად, ამას წინათ, ცნობილი ბრიტანელი მოდელი, მედი ფორდი საზოგადოებაში ექსკლუზიური თეთრ-წითელი სამოსით გამოჩნდა. „ეს კაბა ძალიან მომწონს, – ამბობს 24 წლის მედი. – თუ ჩვენი ნაკრები „ევრო-2004“-ზე გაიმარჯვებს, მას აუცილებლად დავკიდებ ჩემს გარდერობში. ფრანგებთან მარცხის შემდეგ, ძალიან გაღიზიანებული ვიყავი. ვიმედოვნებ, რომ ჩემი კაბა მომავალ მატჩებში ინგლისელი ქომაგების განწყობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს“.

თავად ინგლისის ეროვნული ნაკრების მოთამაშეებისთვის კი, ყველა პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ მომქანცველი, დაძაბული მატჩების შემ-

დეგ, მათ კომფორტულად იგრძნონ თავი და კარგად დაისვენონ. ლისაბონთან ახლოს მდებარე სასტუმრო Solplay-ში მოთავსებული ალბიონელების განკარგულებაშია გოლფის მოედანი, საბილიარდო მაგიდები და კინოთეატრი. გარდა ამისა, ფეხბურთელებს დაურიგეს პერსონალური კომპიუტერებიც. სპეციალურად მათთვის პორტუგალიაში ჩაიტანეს DVD დისკების დიდი კოლექცია, რომელშიც განსაკუთრებით ბევრი, კომედიური ჟანრის ფილმია. ნამდვილ ჰიტადაა მიჩნეული სერიალი „ოფისი“, რომელშიც მთავარი პერსონაჟი დევიდ ბრენტი ხელქვეითებთან მოპყრობის უცნაური ხერხებით გამოირჩევა. ინგლისის ნაკრების თავკაცი, სვენ-გორან ერიქსონი კი იმედოვნებს, რომ ფეხბურთელების საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად მას ბრენტის მსგავსად სასაცილოდ მოქცევა არ დასჭირდება...

კვლავ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია ვიქტორია ადამსი. მასზე მონადირე პაპარაცებმა უკვე დაადგინეს, რომ იგი პორტუგალიაში მხოლოდ მარწყვს მიირთმევს. Daily Mirror-ის ცნობით, დევიდ ბექჰემის მეუღლე დელიკატესების მირთმევას დიეტას ამჯობინებს და მხოლოდ ახალ ხილს შეექცევა. ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი წევრის ცოლის თქმით, ვიქტორია საუცხოო სალათებისა თუ სხვა ეგზოტიკური კერძებისკენ არც კი იხედება...

„სპაის გელზის“ ყოფილი წევრი არც შვეიცარიელ გულშემატკივრებს დაუტოვებიათ უყურადღებოდ. სტადიონ „კოიმბრა სიტის“ ტრიბუნებზე ინგლისი-შვეიცარიის გუნდების შეხვედრის დროს, მათ გამოფინეს პლაკატები, რომლებზეც ეწერა: „ვიქტორია, უღალატე მას ჩემთან!.. და ჩემთანაც!“ ბუნებრივია, შვეიცარიელებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ ასეთი პრიმიტიული ხერხით მსოფლიოს მილიონობით მამაკაცის სასურველ ქალაბტონს ვერ „შეაბამდნენ“, მაგრამ ამით მათ დევიდ ბექჰემის წონასწორობიდან გამოყვანა სურდათ. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩში ალბიონელებმა მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, თუმცა ბექსს თავი არაფრით გამოუჩენია. იქნებ, მასზე სწორედ შვეიცარიელი ქომაგების უხამსობამ იმოქმედა უარყოფითად?..

მკითხველს უკვე ვაუწყეთ, რომ ჯოვანი ტრაპატონიმ იტალიის ნაკრების ფეხბურთელებს ჩემპიონატის მსვლელობისას მეუღლეებსა თუ მეგობარ გოგონებთან ურთიერთობის უფლება მისცა. ტრაპის აზრით, ეს მოთამაშეებს განტვირთვაში დაეხმარება. თითოეულ მათგანს გამოუცხადეს, რომ საღამოობით, თავიანთ რჩეულებთან ნომერში 60 წუთით განმარტოების უფლება ეძლევათ. მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ კი, „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელებს მათთან ერთად მთელი დღის გატარების უფლება მისცეს.

უფრო თამამი გადაწყვეტილება მიიღო ხორვატიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოტო ბარიჩმა, რომლის გუნდიც უკვე გამოეთიშა ტურნირს. ხორვატთა თავკაცმა მოთამაშეებს, სექსით ტკბობასთან ერთად, თამბაქოს მოწევის უფლებაც მისცა. „მოხარული ვიქნები, თუ მეუღლეები და მეგობარი გოგონები პორტუგალიაში ფეხბურთელების გვერდით იქნებიან. მართალია, მათ საწვრთნელ ბაზაზე ცხოვრების უფლებას ვერ მივცემთ, მაგრამ მატჩების შემდეგ, ფეხბურთელებს ქალბატონებთან შეხვედრის საშუალება ექნებათ“, — უთქვამს „ევრო-2004“-ის დაწყებამდე ბარიჩს.

სანტუ-ტირსუში დაბინავებული, საფრანგეთის ნაკრების წარმომადგენლები ძალზე შეუწუხებია დილით ეკლესიის ზარების რეკვას, რის გამოც მათ ქალაქის მერისთვისაც კი მიუმართავთ. აღსანიშნავია ის, რომ პირველ დღეს ფრანგები ბერძენი დიმიტრის პსარისისა და პორტუგალიელი ალეშანდრა ფიალიუს ქორწინების ცერემონიაზე ზარების რეკვას გაუღვიძებია. წყვილმა დილით იქორწინა, საღამოს კი ცოლ-ქმარი პორტუგალიისა და საბერძნეთის ნაკრებთა მატჩის სანახავად ტელევიზორს მიუჯდა. მართალია, სასტარტო შეხვედრაში ელინებმა მასპინძლებს სძლიეს (2:1), მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც დიმიტრისსა და ალეშანდრას გაუხარდებოდათ — მათი საყვარელი გუნდები ასპარეზობას აგრძელებენ.

85 წლის შვედი ფერმერი ირწმუნება, რომ იგი სიკვდილს მისი ქვეყნის ნაკრების ბულგარელებზე დამაჯერებელმა გამარჯვებამ გადაარჩინა. სერენა გელერსტენდტს მანქანა ქალაქ იოკმოკისკენ მიმავალ გზაზე, უღრან ტყეში გაჰფუჭებია, სადაც მხოლოდ ჩრდილოეთის ირმები ბინადრობენ. ფერმერის ძებნას მაშინვე შეუდგნენ, მაგრამ მხოლოდ სამი დღის შემდეგ მიაგნეს. გელერსტენდტის თქმით, იგი შვედეთ-ბულგარეთის მატჩის რადიოტრანსლაციას უსმენდა, რამაც სულიერი სიმტკიცე შემატა. „ბულგარელებზე გამარჯვებამ სიცოცხლე შემინარჩუნა, — ამბობს მოხუცი, — დასალევიც კი არაფერი მქონდა და წყურვილს წვიმის წყლით ვიკლავდი. მიუხედავად ამისა, შვედეთის ნაკრების გამარჯვებამ სულიერი სიმტკიცე შემინარჩუნა“.

პორტუგალიის პლაჟებზე კი თითქმის დედიშობილა ლამაზმანები გამოჩნდნენ, რომლებიც დამაინტრიგებელი „ეკიპირებით“ თამაშობენ ფეხბურთს: მათ ხშირად მხოლოდ ტრუსი აცვიათ, რაც ცხადია მამაკაცთა ყურადღებას იქცევს. ერთ-ერთი ასეთი მატჩის მომსწრენი, Bild-ის წარმომადგენლებიც გახდნენ. გერმანული ჟურნალის კორესპონდენტის თქმით, პლაჟზე მოთამაშე ინგლისელი გოგონები ბექჰემზე უფრო ოსტატურად ასრულებენ თერთმეტმეტრიან დარტყმას. „დევიდი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ფრანგებთან შეხვედრისას მან თავისი შესაძლებლობები სრულად ვერ გამოავლინა, მაგრამ არა უშავს — აქ, პლაჟზე დღეს, რევანშს ავიღებთ. შეხედეთ, ფრანგები უკვე მოთელვას ატარებენ...“ — უთქვამს Bild-ის კორესპონდენტისთვის ერთ-ერთ მობურთალ ალბიონელ ლამაზმანს. ■

„ახალშობილი“ Toledo

Volkswagen-ის ჯგუფში შემავალმა ესპანურმა კომპანია Seat-მა სულ ახლახან მადრიდში წარმოადგინა Seat Toledo Prototipo, რომელიც ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა, თუმცა მისი ზოგიერთი ელემენტი (მაგალითად, საბარგულის ფორმა) ფრანგი სპეციალისტების მიერ შექმნილ მოდელებს მოგვაგონებს (Renault Megane II, Renault Vel Satis). ახალი კომპაქტური ავტომობილის სიგრძე 4,49 მ-ს, სიგანე – 1,77 მ-ს, ხოლო სიმაღლე – 1,58 მ-ს შეადგენს. საბარგული 500 ლ მოცულობისაა. მანქანა აღჭურვილია სანავიგაციო სისტემით, სავარძლების თავმისადებებში კი, DVD-ის დისპლეებია ჩამონტაჟებული. „ტოლედო პროტოტიპო“ აღჭურვილია 2 ლ მოცულობისა და 150 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი, 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფით, 206 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო 100 კმ/სთ-ს 9,7 წმ-ში აღწევს. საწვავის საშუალო ხარჯი 8,1-8,3 ლ-ს შეადგენს. სერიული წარმოების შემთხვევაში, მწარმოებლები ამ მოდელს სხვა ტიპის აგრეგატებითაც აღჭურავენ. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ყველაზე მძლავრ Toledo-ს 6-ცილინდრიან ძრავას ჩაუდგამენ. ■

Renault-ის მინივენი

წლეულს სექტემბერში, ფრანგული კომპანია ბაზარზე ახალ მინივენს – Modus-ს გამოუშვებს. ეს მოდელი იმავე პლატფორმაზეა აგებული, რომელზეც საქალაქო „ნამცეცა“ Nissan Micra („ნისანი“ და „რენო“ სტრატეგიულ ალიანსში იმყოფებიან და ერთმანეთთან ტექნიკური სიახლეების გაცვლა-გამოცვლას ეწევიან). დიზაინის მიხედვით, „მოდუსი“ იმ იდეების განვითარების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს, რომლებიც ხორცშესხმული იყო ცნობილ ფრანგულ მოდელებში – Renault Scenic და Renault Clio. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს – „მოდუსი“ 1,2 და 1,6 ცხ.ძ-ის, შესაბამისად – 75 და 113 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავებითაა აღჭურვილი. ამას დაემატება კიდევ 1 ბენზინის და 3 დიზელის აგრეგატი. მანქანის სიგრძე 3,79 მ-ს, სიგანე – 1,59 მ-ს შეადგენს და მიუხედავად ამ არცთუ ისე დიდი გაბარიტებისა, მის სალონში ხალვათად იგრძნობს თავს 5 მგზავრი (ცხადია, მძღოლის ჩათვლით). Renault Modus-ის მინიმალური ფასი ევროპაში 12.500 ევრო იქნება. ■

Opel Astra – უნივერსალური „ჯენტლმენი“

კომპაქტური ავტომობილების კლასში ცნობილი ეს მოდელი მალე ახალი მოდიფიკაციით – Astra Caravan – გამოვა. საავტომობილო დილერები, რომლებიც ამჟამად, საკმაო წარმატებით ვაჭრობენ „ასტრას“ ჰეჩბეკით, ახალ ვერსიას უკვე წლევანდელ შემოდგომაზე მიიღებენ. ამ მანქანის ფიზიკური პარამეტრები ასეთია: სიგრძე – 4,51 მ, სიგანე – 1,75 მ, სიმაღლე – 1,50 მ. საბორბლე ბაზა 2,70 მ-მდეა გაზრდილი, რაც 9 სმ-ით აღემატება „ასტრას“ ჰეჩბეკის ბორბლებს. ამის წყალობით, Astra Caravan-ს გაცილებით ტევადი საბარგული აქვს: მისი მოცულობა 530 ლ-ს შეადგენს, უკანა სავარძლების დაკეცვის შემთხვევაში კი – 1570 ლ-მდე გაიზრდება. ახალი კომპაქტური „ოპელის“ ძრავების პალიტრა ყველაზე მომთხოვნ ავტომოყვარულებსაც კი დააკმაყოფილებს: ის 5 ბენზინის და 4 დიზელის ძრავათი შეიძლება აღიჭურვოს. საბაზო ვერსიის აგრეგატი 1,4 ლ მოცულობისაა და 90 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. მას მოჰყვება: 1,6 ლ-იანი (105 ცხ.ძ.), 1,8 ლ-იანი (125 ცხ.ძ.), 2 ლ-იანი, ტურბოდაბერვიანი (170 და 200 ცხ.ძ.). დიზელის ძრავებს შორის საბაზოს სიმძლავრე 80 ცხ.ძ-ს შეადგენს. Opel Astra Caravan-ის ფასები მწარმოებელს ჯერ არ გამოუცხადებია. რაც შეეხება Opel Astra-ს ჰეჩბეკს – მაგალითად, დსთ-ში General Motors-ის („ოპელი“ ხომ ამერიკულ კორპორაციაში შემავალი კომპანიაა) ხელმძღვანელობამ გამოამზეურა ამ რეგიონისთვის განსაზღვრული ფასები, კერძოდ: მოდიფიკაცია Essentia (1,4 ლ-იანი, 90 ცხ.ძ-იანი ძრავა, უსაფრთხოების ბალიშები მძღოლისა და წინა მგზავრისთვის, გვერდითი ბალიშები, რადიო, გამათბობლებით აღჭურვილი გარე სარკეები) 16.490 დოლარი ეღირება; კონდიციონერის დასაყენებლად, მსურველს კიდევ 1.305 დოლარის გაღება მოუწევს. Opel Astra-ს ყველაზე მაღალტექნიკურად აღჭურვილი ვერსია – Elegance (1,8 ლ-იანი ძრავა, ავტომატური გადაცემათა კოლოფი) 21.990 დოლარი ღირს. ■

(დასაწყისი)

მცოცავლის ინსტინქტი

რუსუდან ბერიძე

გასცდა თუ არა თბილისს, ანდრო სვანიძემ სიჩქარეს ნელ-ნელა უკლო და მალე ცენტრალური გზიდანაც გადაუხვია.

— ჯვარზე ავდივართ? — მაშინვე გამოცოცხლდა ანდროს გვერდით მანამდე მოწყენით მჯდარი მისი საყვარელი, დალი ხაჩიძე. შემდეგ მანქანის უკანა სავარძლის საზურგეზე მისვენებულ, ანდროს ბიზნესპარტნიორ შალვა ოშხერელს გადახედა და ხმას დაუწია: ჩასძინებია ამ უბედურს...

— ჯერჯერობით ტკბილად იძინოს! — მანქანის სარკეში გულგრილად შეათვალიერა მეგობარი ანდრომ.

— რატომ ჯერჯერობით? — დაინტერესდა დალი.

— იმიტომ, რომ მერე ისეთ დღეს დავაყრი, რომ ძილი და მოსვენება კარგა ხნით დაეკარგება, — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ანდრომ.

— კიდევ რამე სისულელე ჩაიდინა?

— ახლა უკვე შეთქმულივით დაუწია ხმას დალიმ.

— ისეთი არაფერი... — უხალისოდ უპასუხა ანდრომ და თან, მზემოკიდებულ სახეზე კუნთები ნერვიულად აუთამაშდა.

— ასეთი?.. — ჩაეძია დალი.

— სულსწრაფი ნუ ხარ! — შეუტია საყვარელს ანდრომ. — ცოტა მოითმინე და ყველაფერს გაიგებ.

— სხვა რა გზა მაქვს?! — მოიღუშა დალი. — შენი ამბავი რომ ვიცი, თუ არ გინდა სათქმელს გაზითაც ვერავინ ამოგგლეჯს...

— თუ იცი, ტყუილად რატომღა იღლები?.. — მოულოდნელად სიჩქარეს მოუმატა ანდრომ და ჯვრის მონასტრისკენ მიმავალ მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მანქანამ უცნაური ტორტმანი დაიწყო.

— რას აკეთებ?!. — კარის სახელურს ჩააფრინდა დამფრთხალი დალი. — გინდა, სადმე გადაგვყარო?!.

— რა მოხდა? — წამოიყვირა უცბად, რყევისგან გაღვიძებულმა შალვამ და სავარძელში წამოიწია: — სად ვართ?

— თითქმის ცაში ხარ, ჩემო შალვა! — მონასტრის ჭიშკარს მიაყენა მანქანა ანდრომ.

— ცაში?.. რომელ ცაში? — ირგვლივ გაოცებით მიმოიხედა შალვამ და შემდეგ, საბოლოოდ გამოფხიზლებულმა, დაუმატა: — კი, მაგრამ აქ რისთვის ამოვედით?

— ღვთის სახლში ადამიანები რისთვის დადიან, არ იცი?.. — მოტორი გამორთო და გასაღებიც მაშინვე გამოაძრო ანდრომ. — სანთლებს ავანთებთ, ცოდვებს მოვინანიებთ და მერე, ახალი ცოდვების ჩასადენად, ისევ დაბლა დავეშვებით...

— ანდრო, ხუმრობ თუ რა არის?!. — გაღიზიანდა შალვა და თან საათს დახედა: — იცი, უკვე რა დროა?

— ცოდვების მონანიების დროა, ჩემო შალვა, ცო-დვე-ბის... — მიაძახა შალვას მანქანიდან გადასულმა ანდრომ და იქვე მდგარ დალის მხარზე ხელი გადახვია: — წამო, თორემ შეიძლება, მართლა დაგვაგვიანდეს!

— არ გადმოხვალ? — მაინც მიუბრუნდა შალვას დალი. — ბარემ ამოსული ხარ და შენც აგენთო სანთლები! გინდა, მე დაგინთებ?

— არა, არ მინდა! — ადგილიდან მაინც არ დაიძრა შალვა. — თქვენ შედით, მე კი ჩემს ცოდვებს როგორმე მარტო მივხედავ... — მანქანიდან ბოღმიანად გამოსძახა მან შემდეგ.

ტაძარში შესულმა ანდრომ სანთლების მთელი შეკვრა იყიდა და ერთის გარდა, ყველა დალის მიაწოდა.

— მიდი, რა, ყველა ხატთან სათითაოდ დამინთე!

— ყველა სანთელი შენ დაგინთო? — გაუკვირდა დალის.

— ჰო, ყველა... დღეს მარტო ჩემი დღე იყოს, კარგი? — მოულოდნელად თვალებში უცნაური სევდა ჩაუდგა ანდროს.

შეფიქრიანებულმა დალიმ ანდროს სანთლები უხმოდ გამოართვა და მართლაც, ყველა ხატს ჩამოუარა. ანდრო კი, მთელი ამ ხნის მანძილზე, ღვთისმშობლის ხატის წინ იდგა და თავი მორჩილად დაეხარა. ბოლოს, პირჯვარი გადაიწერა და ტაძრიდან მხრებში უცნაურად მოხრილი გავიდა...

— აღარ იტყვი, რა გჭირს?!. — მალევე წამოეწია მას შეშფოთებული დალი. — როცა ღვთისმშობელს რაღაცას ევედრებოდი... იცი, როგორი ტანჯული სახე გქონდა?..

— ვიცი... — ამოიოხრა ანდრომ. — მაგრამ ვგრძნობ, რომ მოსახდენი მაინც მოხდება...

— გეხვეწები, ნუ მაშინებ! — ხმა შეეცვალა დალის. — რა მოსახდენი?..

— წუხელ ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე... — ხმადაბლა ჩაილაპარაკა ანდრომ.

— სიზმარი?.. — ისევ შვებით ამოისუნთქა დალიმ. — მეც არა ვთქვი, მართლა რამე მოხდა-მეთქი?!. როდის იყო, სიზმრების გჯეროდა?

— აქამდე — არასოდეს, მაგრამ ახლა ეს ოხერი გულიც მეუბნება, რომ დღევანდელი დღე მშვიდობიანად არ დამთავრდება... ღვთისმშობლის თვალებმაც იგივე მითხრეს...

— რა იგივე?..

— განწირული ხარო...

— ანდრო, გეხვეწები!.. — გულზე ხელი იტაცა დალიმ. — აღარ შემიძლია! მითხ-

არი, ასეთი რა ნახე იმ ოხერ სიზმარში?

— ძალიან ბევრი სისხლი...

— სისხლი?!. შენი სისხლი იყო თუ სხვისი?

— არა, ჩემი — არა... ვიღაც სხვა, სრულიად უცხო ადამიანი დაჭრეს თუ... სულაც მოკლეს... — ამოიოხრა ანდრომ. — მისი სისხლი კი, რატომღაც, მე მეცხო ხელებზე და ვერაფრით ვიშორებდი...

— მერე?.. — შეწუხდა დალი. — მერე რა მოხდა?

— მერე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა...

— ვინ ეშმაკმა დაგირეკა?

— ვინ იქნებოდა?.. სისხამ დილით მხოლოდ ჩემს ყოფილ ცოლს თუ ვახსენდები...

— ახია შენზე! — გააწყვეტინა დალიმ. — გუშინ ხომ გეხვეწე — ჩემთან დარჩიმეთქი!.. გამორთავდი მობილურს და რამდენიც უნდოდა, იმდენი დაერეკა!.. რაო, რა მინდაო, ქალბატონმა?

— რა ენდომებოდა?!. ბავშვს ამ სიცხეში უპირებ მოხარშვასო?! — ამიყვირდა.

— მერე, შენ რა უპასუხე?

— არაფერი. ტელეფონი გავუთიშე. მერე შინ შევუარე და ფული მივუგდე.

— ბევრი?

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

— ჩემთვის არა, შენთვის აქვს მნიშვნელობა! — საბოლოოდ დაიბოღმა დალი. — ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეს უტიფარი დედაკაცი უკვე დაუნდობლად გყვლეფს?!. თანაც...

— ძალიან გთხოვ!.. — ხელის აწევით შეაჩერა ანდრომ დალი. — ნუ დაგავიწყდება, რომ ეს „უტიფარი დედაკაცი“... — სიტყვა „უტიფარს“ ხაზი საგანგებოდ გაუსვა მან. — ...ჩემი ერთადერთი შვილის დედაა!

— გასაგებია, მაგრამ შვილს ხომ ისედაც არაფერს აკლებ! ყოველთვიურად სპეციალურ ანგარიშზეც ცალკე თანხას ურიცხავ და ეს წამდაუწუმ რეკვა და ფულის თხოვნა რაღაა?!. ამდენს, ცოლყოფილს კი არა, ცოლსაც არ უნდა აბედვინებდეს კაცი!

— სად არის, გოგო, შენი ქალური სოლიდარობა?.. — ირონიულად წარმოთქვა ანდრომ და გაგულისებულ დალის მხარზე ხელი მზრუნველად გადახვია. — შენც ხომ ცოლყოფილი ხარ!

— მერე?.. ჰკითხე ერთი ჩემს ყოფილ ქმარს, საკუთარი შვილი ბოლოს როდის ნახა... ფულსა და რაიმე სხვა დახმარებაზე აღარაფერს ვამბობ.

— ო, აი, ეგ კი, უკვე მხოლოდ შენი და შენი ყოფილი ქმრის საქმეა... — სასწრაფოდ ცივი წყალი გადაასხა ანდრომ.

— მაინც რა დაუნდობელი ხარ!.. — ხმა აუკანკალდა დალის.

— არც შენ ხარ თაფლი და შაქარი... — ბოლომდე აღარც ანდრომ დაუთმო...

ჯვრის მონასტრიდან მანქანა სწრაფად დაეშვა და მალე მცხეთის მახლობლად, პატარა რესტორნის წინ გაჩერდა.

— ჯერ მე გადავალ და ვნახავ! — სასწრაფოდ დაფაცურდა შალვა. — შეიძლება, ის ხალხი უკვე წასულიცაა...

— არის და იყოს! — ძვირფას საათს უგულოდ დახედა ანდრომ. — სულ რაღაც ათი წუთით დავაგვიანეთ, მეტით ხომ არა! თანაც, მაგათ აქვთ ჩვენთან სალაპარაკო, ჩვენ ხომ არა?!. ასე რომ, კეთილი ინებონ და...

— მარტო მაგათ — რატომ? — გააწყვეტინა შალვამ. — რაღაც საქმეები ჩვენც გვაქვს გასარკვევი...

— რა-ა? — ხმას აუწია ანდრომ. — რა საქმეები?!. მსგავს ახვრებთან გასარკვევი არასდროს არაფერი მქონია და არც მექნება!

— ჰო, კარგი, კარგი! — სასწრაფოდ უკან დაიხია შალვამ. — ახლა შენებურად კი ნუ გადაირევი! მარტო მე მაქვს გასარკვევი, დამშვიდდი?.. — ამის შემდეგ შალვა მანქანიდან სასწრაფოდ გადახტა, თუმცა, რამდენიმე წუთში, ისევ უკან მოქაქანდა: — მადლობა ღმერთს, აქ არიან!.. გადმოდით.

— იცოდე, სუფრასთან შენებურად არ გაუტიო... — თავიდანვე გააფრთხილა ანდრომ შალვა. — ხომ იცი, აქედან ისევ ოფისში უნდა მივბრუნდეთ!

— ვიცი, ბატონო, ვიცი! — გაღიზიანდა შალვა. — დიდი-დიდი, ნახევარი საათი ვილაპარაკოთ... შეიძლება, მაგდენიც არ დაგვჭირდეს...

— ჰოდა, ძალიან კარგი! შედი და ჩვენც ახლავე შემოვალთ.

— ხომ იცი, რომელი მაგიდაა? — მაინც ჩაეკითხა შალვა.

— ვიცი. ხის კედელთან, სულ ბოლოში რომ დგას... თანაც, შენც იქ არ იქნები?..

— ჰო, მაგრამ შეიძლება, ერთი-ორი წუთი „კუხნაში“ შევირბინო: ამათი „შეფპოვარი“ ჩემი ძველი ნაცნობია და რაიმე „ასობი“ უნდა შევუკვეთო...

როგორც კი შალვა თვალს მიეფარა, ანდრომ „ბარდაჩოკიდან“ ლამაზ ტყავის ბუდეში ჩასმული „მაკაროვის“ პისტოლეტი გამოიღო.

— გეხვეწები, ეგ საშინელება არ წამოიღო! — მაშინვე მხარში ჩააფრინდა ანდროს დამფრთხალი დალი.

— რას ამბობ?! — დალის ხელი ფრთხილად მოიშორა ანდრომ და იარაღი ქამარში გაირჭო. — იცი, ამ პისტოლეტში რამხელა ფული მაქვს მიცემული?!.

— ვიცი, მაგრამ ხომ შეიძლება, ვინმე აგიხირდეს, რესტორანში იარაღით რატომ შემოხვედიო?! — მაინც არ მოეშვა დალი.

— ამიხირდეს, თორემ, ყურებზე ხახვი არ დამაჭრას!.. დღეს ყოველი მეორე, იარაღით დადის და რაღა ჩემი „მაკაროვი“ გადარევს ვინმეს! თანაც, სხვებივით მოპარულ-ნაყაჩაღარი კი არაა, ოფიციალურად მაქვს გაფორმებული...

რესტორანში შალვას მიერ წინასწარ შერჩეულ მაგიდას ორი მოსული მამაკაცი ეჯდა, თავად შალვა კი არსად ჩანდა.

— მგონი, ეს ნაგიჟარი მართლა მზარეულს აშტერებს... — გაეღიმა ანდროს, შემდეგ დალის ხელკავი გამოსდო და სუფრასთან მიიყვანა.

დალის დანახვაზე მამაკაცები ფეხზე ზლაზვნით წამოიმართნენ და თავი უხერხულად დაუკრეს, ანდროს კი ხელი თამამად ჩამოართვეს და მაშინვე დაჯდომა შესთავაზეს. ანდრომ ჯერ დალი დასვა და შემდეგ მაგიდას თავადაც მიუჯდა.

ამასობაში სუფრასთან შალვამაც მოირბინა და თან ჭოკივით მაღალი ოფიციანტი მოიყოლა.

— აბა, შენ იცი, ჩემო კაკო, რა მადლიან სუფრას გაგვიშლი! — ყველას გასაგონად შეუძახა შალვამ ოფიციანტს. — ხომ იცი, ჩვენისთანა ხალხის სამსახური არ დაგეკარგება!

ოფიციანტმა მორჩილად დაუკრა თავი შალვას და მაშინვე უკვალოდ გაქრა.

— ცეცხლივით ბიჭია, ცეცხლივით! — სუფრას ხელების ფშვნეტით მიუჯდა შალვა და თან, საქმიანად მოავლო თვალი დანარჩენებს: — უკვე გაიცანით ერთმანეთი უჩემოდ თუ...

— უშენოდ აქ არაფერი მოხდება! — სასწრაფოდ გააწყვეტინა მეგობარს ანდრომ.

— მაშ, თუ ასეა... — უხერხულად შეიშმუშნა შალვა, — ეს ზეზვაა, ეს — გივი, ეს — ანდრო, ეს კი, ჩვენი სამშენებლო ფირმის მშვენება და ანდროს უახლოესი მეგობარი დალი გახლავთ, ბიჭებო! — ბოლოს ისევ დამხვდურებს მიუბრუნდა შალვა.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალის
უბის წიგნაკიდან:

1. კუმისი ყაზახების ეროვნული სასმელია.

2. სანაშენო საქონელს ტამაზლუხს ეძახდნენ.

3. პირველი ვოკმენი კომპანია „სონიმ“ გამოუშვა.

4. ლუქსემბურგის სახელმწიფო სამი მოსკოვისხელაა.

5. პაბლო პიკასო 19 წლის იყო, როცა პარიზში ჩავიდა.

6. ამერიკელების კოსმოსურმა ხომალდმა „ჩელენჯერმა“ 1986 წლის 28 იანვარს განიცადა კატასტროფა.

7. მოურეველი მარტინი არყით, ჯეიმს ბონდის საყვარელი სასმელი იყო.

8. წყლის დრაკონი დაგვესხაო თავს, – ამბობენ ჩინელები წყალდიდობის დროს.

9. მონიკა ლევინსკი საკუთარი ესკიზებით შესრულებულ ხელის ჩანთებს ყიდის.

10. სიტყვა „ფოლკსვაგენ“ (Volkswagen) გერმანულ ენაზე „სახალხო ავტომობილს“ ნიშნავს.

11. ალფრედ ნობელის ახირების გამო, მათემატიკოსები ვერ მოხვდნენ ნობელის ლაურეატთა სიაში.

12. პირველი ფიჭური ტელეფონი, რომელიც გასაყიდად გამოვიდა, 1 კილოგრამს იწონიდა და 35.000 დოლარი ღირდა.

13. პოპულარული ანსამბლი – GORILAZ – თვალით არავის უნახავს. მისი საარსებო გარემო ინტერნეტია.

14. დასტინ ჰოფმანი, რობინ უილიამსი, ჯეკ ლემონი, ოლეგ ტაბაკოვი, ალექსანდრ კალიაგინი, ჩარლი ჩაპლინი – აქ ჩამოთვლილ ყველა მსახიობს ეკრანზე ქალის როლი აქვს ნათამაშები.

15. რომანი, რომლის მიხედვითაც ფილმი „ცხრანახევარი კვირა“ გადაიღეს, ელიზაბეტ მაკნილის დაწერილია.

16. მანტი, პელმენი, რავიოლი და ცზიაოცზი – ყველა ზევით ჩამოთვლილი კერძი ხინკლის „ბიძაშვილია“.

17. „მიგ 21“, „სუ 25“, „სუ 27“ – ამ დასახელების თვითმფრინავებს უშვებდა თბილისის საავიაციო ქარხანა.

18. პრუსიაში იარაღი ქალაქ პოტსდამში მზადდებოდა, რუსეთში – ტუ-

შალვას ჯერ სიტყვა ბოლომდეც არ ჰქონდა დასრულებული, რომ ოფიციანტი მოულოდნელად საიდანღაც „ამოიზარდა“ და სუფრაზე ღვინით სავსე დოქი, ყველით, პურით და მწვანილით სავსე ორ-ორი თეფში დაალაგა. შალვა მაშინვე დოქს ეცა, ღვინო ჩამოასხა და ჭიქა პირველად ზეზვას მიუჭახუნა:

– ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს, ჩემო ზეზვა!

– გაუმარჯოს! – უგულოდ აჭყვა ზეზვა, თან, გვერდულად გახედა ანდროს.

ამასობაში, ოფიციანტმა ერთდროულად რამდენიმე ცხელი კერძი შემოამატა სუფრას.

– ე, ბიჭო, რამდენჯერ უნდა გთხოვო – ყველაფერს ერთად ნუ მოგვაყრი-მეთქი?! – ხელები უკმაყოფილოდ გაშალა შალვამ, მაგრამ ანდრომ შეაჩერა:

– სხვა დროს არ ვიცი, მაგრამ ახლა ეს ბიჭი ნამდვილად სწორად იქცევა! ჩვენ აქ ნება-ნება საქეიფოდ კი არა, საქმეზე სალაპარაკოდ ვართ მოსულები!

– მერე, რომელი საქმე გაკეთებულა საქართველოში უპურმარილოდ?!. – ბოლომდე უკან მაინც არ დაიხია შალვამ. – ერთი-ორი ჭიქა ავწიოთ და მერე გადავიდეთ საქმეზე!

...მაგრამ საქმიანი საუბარი სუფრის წევრებს შორის არაფრით აეწყო, ცოტა ხანში კი, საქმის გარჩევაშიც გადაიზარდა. დალი მამაკაცების ნერვიულ საუბარს დაძაბული უგდებდა ყურს, მაგრამ საქმის არსში ბოლომდე ჩაწვდენას მაინც ვერაფრით ახერხებდა. ზეზვა და გივი შალვას რაღაც დიდ თანხას ედავებოდნენ, შალვა ჯიუტად თავს იკატუნებდა, ანდრო კი გაოცებული აკვირდებოდა სამივეს. ბოლოს კი, თეფში, რომელზეც მთელი ამ ხნის მანძილზე, მწვანილის გარდა, საერთოდ არაფერი გადმოუღია, გვერდზე ხმაურით გასწია. ხმაურზე სამივემ მისკენ მოიხედა და კამათიც უმალ შეწყდა.

– რას გეტყვით, იცით, ბიჭებო?.. – შალვას ნაცნობებს თვალი გამომცდელად მოავლო ანდრომ. – შალვამ მე აქ თქვენს საქმიან წინადადებაზე სალაპარაკოდ მოსვლა მთხოვა, მაგრამ რადგან ვატყობ, რომ აქ, საქმის გარდა, ყველაფერზე იქნება ლაპარაკი, მე წავედი!

ამ სიტყვების შემდეგ, ანდრო სუფრიდან წამოდგა და დალისაც ანიშნა, ადექიო.

– მოიცა, რა, ძმურად! – მაშინვე ფეხზე წამოხტა შალვა. – წელან ხომ აგიხსენი, რომ ამ ხალხთან პირადად მე, რაღაც სხვა საქმეც მაქვს გასარკვევიმეთქი?..

– მერე, დარჩი და არკვიე, მე რა შუაში ვარ?

– შუაშიც ხარ და მთლად თავშიც! ეს საქმე ჩვენს ფირმასაც ეხება.

– ჩვენს ფირმას?.. – გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ანდროს, სასწრაფოდ ისევ მაგიდას მიუჯდა და თან, ზეზვას მიუბრუნდა: – ძმურად, ერთი ცოტა უფრო გასაგებ ენაზე ამიხსენი, რა ხდება.

– რა ხდება, ჩემო ძმაო, და... – დაიწყო ზეზვამ, თან, თვალები გადაუბრიალა შალვას. – მთელი წელია, რაც შენს „პადელნიკს“ „ტავარით“ „პოსლეზე“ ვამარაგებთ... ახლა დროა, ნაღდიც დაგვანახვოთ, გაიგე?.. თუ არა და...

– ვერაფერიც ვერ გავიგე! – გააწყვეტინა ანდრომ. – ამიტომ, ჯერ ის ამიხსენი, რა „ტავარზეა“ ლაპარაკი?

– წამალზე, ძმაო, წამალზე... – ხმას დაუწია ზეზვამ. – ხომ იცი, ეს რა საშარო რამეცაა! მარა შენი ძმაკაცი რამდენჯერაც კარზე მოგვადგა, ისეთ „ლომკაში“ იყო, რომ უარი ვეღარ ვუთხარით... მაყუთის მოცემაზე რომ მიდგა საქმე – აი, ღღეს მოგცემთ და აი, ხვალო, – დაგვიწ-

ყო „რიჟა ბაზარი“, ბოლოს კი — მთელი ჩემი მაყუთი ჩემს „პადელნიკს“ აქვს და ჯერ არ იძლევაო, — არ „გაგვიიასნა“?! ჰოდა, ჩვენც შენი აქ მოყვანა დავავალეთ, რა!.. ხომ გამიგე, რაც ხდება?

— ყველაფერი გასაგებია!.. — უცბად სახის ყველა კუნთი ნერვიულად აუთამაშდა ანდროს. — მაინც რამდენზეა ლაპარაკი?

— ასი ათასზე... ძმაო... „მწვანეზე“...

— რამდენზე? — თვალები გაუფართოვდა ანდროს. — მაგდენი მთელი ჩემი ბიზნესი არ ღირს!

— ეგ შენი პრობლემაა, ძმაო... — საუბარში მოულოდნელად ჩაერია გივი და პირში მთლიანი ხინკალი გადაუძახა. — ჩვენ ჩვენი უნდა მივიღოთ!..

გივის ჯერ ხინკალი ბოლომდე ჩაყლაპულიც არ ჰქონდა, რომ მეორეს წაეტანა. დალი მას გაოცებული აკვირდებოდა და ის იყო, მოშორებით მდგარი, ხინკლით სავსე თეფშიც მიუმარჯვა, რომ ვიღაცამ შინაურულად დააწყო მხრებზე ხელები და ზედ ყურის ძირში, ნასვამი მამაკაცისგან წამოსული ოხშივარიც იგრძნო:

— ჩემს დალიკოს გაუმარჯოს!..

უამისოდაც უკვე საკმარისზე მეტად დაზაფრულმა დალიმ მამაკაცს ფეთიანივით ახედა და მაშინვე შვებით ამოისუნთქა:

— კახა?!. შენ აქ საიდან გაჩნდი? — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა იგი, მამაკაცს ხელი ჩამოართვა და ანდროს მოუბრუნდა: — ანდრო, ეს კახა სუთიძეა, ჩემი სტუდენტობის მეგობარი... ახლა მოსკოვში ცხოვრობს...

— ვცხოვრობდი, დალიკო, ვცხოვ-რობდი! — დამარცვლით წარმოთქვა კახამ და გამომცდელად შეათვალიერა სუფრის წევრები: — იცით, რა სტუდენტობა გვქონდა?.. რა დრო გვაქვს ერთად ნატარები!..

— სტუდენტობა მართლა მაგარი რამეა... — მორიგ ხინკალს წაეტანა გივი და თან, ხმადაბლა გადაულაპარაკა ზეზვას: — დროზე მოვრჩეთ „ბაზარს“, თორემ, აქ ნაღდად მაგარი „ბათქი“ ატყდება...

ამასობაში, დაუპატიჟებელ სტუმარს ანდროც ფეხზე წამოუდგა, გაეცნო და სუფრასთან დაჯდომა შესთავაზა. კახას ერთხელაც კი არ უუარია, სუფრას ისე მიუჯდა, თან დალის მხარზე ხელი შინაურულად გადახვია:

— სულ არ შეცვლილხარ, დალიკო... შენი დაქალიც ისევ ისეთი ნორჩი და შუშპარა დარჩა თუ?..

— რომელი დაქალი? — ვითომ ვერ მიუხვდა დალი და ცოტა არ იყოს, შეშინებული სახით მიუბრუნდა ანდროს.

— ძალიან კარგად იცი, რომელიც... — არხეინად განაგრძო კახამ. — მეგიზე გეუბნები... მეორე თვეა, რაც თბილისში ვარ და მაგის ასავალ-დასავალი მაინც ვერაფრით დავადგინე. ამიტომ, შენ რომ დაგინახე, მეგონა, ცა გამეხსნა... ხომ მიმიყვან მეგისთან, დალიკო?..

— ჩემი მიყვანა რად გინდა? — თავი ისევ შორს დაიჭირა დალიმ. — მეგი უკვე იმდენად ანგარიშგასაწევი ადვოკატია, რომ ნახევარი თბილისი პირადად იცნობს...

— ადვოკატი?! — გაოცდა კახა. — კი, მაგრამ შენ და მეგი ფილოლოგიურზე არ სწავლობდით?

— მე დღესაც ფილოლოგი ვარ, — უპასუხა დალიმ. — მეგიმ კი მერე, იურიდიულიც დაამთავრა და...

— ყოჩაღ, ქალო! — გახალისდა კახა. — არ მითხრა ახლა, კიდეც გათხოვდაო, თორემ, მაგრად მეწყინება...

— არა, არ გათხოვილა, — დაამშვიდა დალიმ, — შენ ვერაფრით დაგივიწყა...

უეცრად, მეზობელ მაგიდასთან, სადაც მანამდე, სხვებთან ერთად კახაც ილხენდა, ხმამაღალი ლაპარაკი და აურზაური ატყდა.

— ერთი წუთით უნდა მაპატიოთ! — მაშინვე ფეხზე წამოდგა კახა. — გავიგებ ერთი, რა დაემართათ და ისევ თქვენთან გავჩნდები.

მაგრამ სანამ კახა მაგიდასთან მივიდოდა, იქ ვიღაცამ იარაღიც დააძრო და უმისამართო სროლა ატეხა. ერთმა ტყვიამ ანდროს ზედ ყურთან გაუშხუილა და რესტორნის ხის კედელში ჩაერჭო. ანდრო უმალ ფეხზე წამოიჭრა, თავისი „მაკაროვი“ ამოიღო და რამდენჯერმე ჰაერში ისროლა.

— ანდრო, რას შვრები?!. — ყურებზე ხელი აიფარა დამფრთხალმა დალიმ, რასაც მეზობელ სუფრასთან მჯდარი ერთ-ერთი ქალის კივილიც მოჰყვა:

— ვაიმე, მოკლეს!.. გიგი მოკლეს!..

ანდრომ მაშინვე იქით გაიხედა, საიდანაც ქალის კივილი მოისმა და იარაღიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა: ქალის გვერდით, იატაკზე გასისხლიანებული ახალგაზრდა კაცი ეგდო და ხრიალებდა. მის ირგვლივ ნელ-ნელა სისხლის გუბე იზრდებოდა...

ამის შემდეგ, ყველაფერი ელვისებური სისწრაფით განვითარდა და სანამ გაოგნებული ანდრო იარაღიანი ხელის ძირს დაშვებას მოიფიქრებდა, რესტორანში იარაღმომარჯვებული პოლიციელები შემოცვივდნენ, ორი მათგანი მაშინვე ანდროს ეცა, ხელები ოსტატურად გადაუგრიხა და იატაკზე პირქვე დასცა...

გაგრძელება იქნება

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ლაში, გერმანიაში — აუგსბურგში, ავსტრიაში — ფერლახსა და ვენაში, იტალიაში — მილანსა და ფლორენციაში.

19. პერსონალური კომპიუტერების განვითარებასთან ერთად, დადგა არასანქცირებული შეღწევისგან მათი დაცვის პრობლემა. საამისოდ უფრო და უფრო რთულ პაროლთა სისტემას იგონებენ. „ნოუთბუქის“ კლასის კომპიუტერების გამყიდველები ირწმუნებიან, რომ ამ კლასის კომპიუტერთათვის პრობლემა გადაჭრილია. ისინი თავისუფლად ეტევა სეიფში.

20. ერთ-ერთი ამერიკული რესტორნის კლიენტები უკმაყოფილონი იყვნენ ზედმეტად გამომშრალი ბიფშტექსით. რესტორნის მეპატრონემ გაითვალისწინა თავისი თანამემამულეების ფსიქოლოგია და საჩივრების აღსაკვეთად ბიფშტექსის ხარისხზე ზრუნვის ნაცვლად, შესასვლელში დაკიდა აბრა: „ჩვენი ბიფშტექსი ნამდვილი მამაკაცებისთვისაა განკუთვნილი და არა უკბილო დოყლაპიებისთვის!“ საჩივრები მაშინვე შეწყდა.

21. შვეიცარიის მეტეოროლოგიურმა ცენტრმა გადაწყვიტა, გამოეცა ქარების ატლასი. საამისოდ ქვეყანაში შეიქმნა 3000-კაციანი რაზმი, რომლის წევრებიც 2 თვის განმავლობაში სახლების საკვამურებიდან ამომავალი კვამლის მიმართულებას უნდა დაჰკვირვებოდნენ.

22. ებრაელთა ბიბლიურ მამას, აბრაამს ძალზე ლამაზი ცოლი ჰყავდა. უცხო მხარეში გადახვწილისადმი შური რომ არ გასჩენოდათ და არ მოეკლათ, აბრაამი ცოლს დად ასაღებდა.

23. წინათ ბეწვეულის წამოსასხამებს, სითბოსა და სილამაზის გარდა, კიდევ ერთი დანიშნულება ჰქონდა: ისინი დიდებული მანდილოსნების თმიდან რწყილებსა და ტილებს იზიდავდნენ.

24. ამერიკის ქალაქ ლინკოლნში ადგილობრივმა ბიბლიოთეკარებმა უჩვეულო გამოფენა მოაწყვეს. მასზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის ნივთები: ძეხვის ნაჭრები, სამზარეულოს დანები, ქირურგიული ხელთათმანები, სამართებლები და სხვა. ეს ის ნივთები იყო, რომლებიც მკითხველებს სანიშნედ ჰქონდათ გამოყენებული. ■

ᲐᲒᲔᲜᲢᲘ 007-ᲘᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ ᲦᲔᲚᲐᲕᲔᲜ: ᲕᲘᲜ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ „ᲑᲝᲜᲓᲘᲐᲜᲘᲡ“ 21-Ე ᲤᲘᲚᲛᲨᲘ? ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲘ ᲙᲚᲐᲕ ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ �პᲘᲠᲡ ᲑᲠᲝᲡᲜᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ.

ᲞᲘᲠᲘᲡ ᲑᲠᲝᲡᲜᲐᲜᲘ:

„ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲛᲔᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲗᲛᲝᲑᲡ!“

ᲞᲠᲝᲓᲘᲣᲡᲘᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲘᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ 51 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲘ ᲡᲣᲞᲔᲠᲛᲔᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲛᲝᲑᲔᲠᲓᲐ

თავგადასავლების, ქალების, სპირტიანი სასმელებისა და ავტომობილით სწრაფად ქროლის მოყვარული, ყოველთვის მოწესრიგებული ჯეიმს ბონდისგან განსხვავებით, მისი როლის შემსრულებელი მსახიობები, სამწუხაროდ, მის უდიდებულესობა დროზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ 1999 წელს „ბონდიანის“ ახალი ფილმის – „მთელი სამყაროც კი არ კმარა“ – ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ, კინოსამყაროში 47 წლის ბროსნანის შეცვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. აგენტი 007-ის როლის შემსრულებლებად რეიფ ფაინსისა და რასელ ქროუს კანდიდატურებს ასახელებდნენ, მაგრამ ირლანდიელი მსახიობის თაყვანისმცემელთა არმიამ მედგარი წინააღმდეგობა გასწია: ისინი იმუქრებოდნენ, რომ ბოიკოტს გამოუცხადებდნენ ფილმს, თუკი მასში მთავარ როლს მათი საყვარელი მსახიობი არ ითამაშებდა. მაშინ, პროდიუსერებმა ამჯობინეს, არ გაერისკათ... ამჯერად კი, სიტუაცია შეიცვალა: პირსთან დადებული ოთხფილმიანი კონტრაქტის ვადა ამოიწურა; წამოიზარდა ნიჭიერი მსახიობების ახალი თაობა, რომლებიც მორიგი Aston martin-ის საჭესთან პირსზე არანაკლებ ეფექტურები იქნებიან. პროდიუსერები ჯუდ ლოუს, კოლინ ფარელის, შონ ბინის, კოლინ ფერტისა და ჰიუ ჯეკმანის კანდიდატურებს უკვე განიხილავენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირსის კანდიდატურაზე უარი ოფიციალურად არავის უთქვამს.

„მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, თითქოსდა ბურანში ვცხოვრობდი“

„ბონდიანის“ ახალი ფილმის გადაღებების დაწყება 2005 წლისთვისაა დაგეგმილი, ამიტომ პროდიუსერები ბროსნანთან ურთიერთობის დაძაბვას ერიდებიან. ამის საწინააღმდეგო კი, პირსსაც არაფერი აქვს: „თუკი როლზე მიმიწვევენ, სიამოვნებით ვითამაშებ კიდევ ერთხელ ჯეიმს ბონდს; ხოლო თუკი არ მიმიწვევენ, ჩემთვის ტრაგედია არც ეს იქნება“. თუმცა სავარაუდოა, რომ მას მაინც მიიწვევენ. ამ ვარაუდის საფუძველს კი, სტატისტიკა იძლევა. პირსის მონაწილეობით გადაღებულმა პირველივე ფილმმა – „ოქროს თვალი“ – ბევრად დიდი მოგება მოიტანა, ვიდრე ერთად აღებულმა წინა ორმა სურათმა, სადაც მთავარ როლს ტიმოთი დალტონი ასრულებდა. ხოლო ფილმმა – „მოკვდი, მაგრამ ახლა არა“, „ბონდიანის“ ყველა რეკორდი მოხსნა: სურათის გაქირავებით მიღებულმა სუფთა მოგებამ 300 მლნ დოლარს გადააჭარბა! პირს ბროსნანმა თავისი მონაწილეობით მხოლოდ ფილმის შემოსავალი კი არ უზრუნველყო, არამედ მან „ბონდიანის“ სულის აღორძინება მოახერხა. საყოველთაოდ

ᲛᲐᲠᲒᲝᲗᲔᲚᲐ ᲑᲝᲜᲓᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗ, ᲑᲠᲝᲡᲜᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲛᲐᲛᲐᲐ

„ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲙᲛᲐᲠᲐ“ – ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲘᲨᲣᲠᲔᲑᲓᲐ, ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲛᲮᲘᲑᲚᲐᲕᲘ ᲡᲝᲤᲘ ᲛᲐᲠᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲙᲚᲐᲕᲔᲑᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲮᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘ – ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ

ცოლის სიკვდილის შემდეგ, ჰოლივუდის ვარსკვლავის დეპრესიიდან გამოყვანა მხოლოდ ამერიკელმა კილი შეი სმიტმა შეძლო

მამაა და ხელახლა მოპოვებული ოჯახური ბედნიერებით ტკბობას განაგრძობს.

აღიარებულია, რომ მისი აგენტი 007 ყველაზე ახლოს დგას შონ კონერის მიერ ნათამაშებ ჯეიმს ბონდის ეტალონთან. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი თავისი გმირივით იხიბლება ძვირად ღირებული ავტომობილებით, მათ შორის მსგავსება აქ მთავრდება. ჟურნალისტების ფრაზაზე – „ახლა თქვენ ჯეიმს ბონდი ხართ და მთელი სამყაროს გოგონები თქვენ გეკუთვნით!“ – ბროსნანს მყისიერი რეაქცია ჰქონდა: „ყველა გოგონა ჩემი კი არა, მისია, ეს კარგად დაიმახსოვრეთ!“ მომხიბლავი პირს ბროსნანი ხომ ცოლის ერთგული და პატრიარქალური ღირებულებების თავდადებული დამცველია. მისი პირველი ქორწინება ტრაგიკულად დასრულდა: 1991 წლის 28 დეკემბერს, მათი ქორწინების 11-წლიანი იუბილეს მეორე დღეს, მსახიობი კასანდრა ჰარისი კიბოსგან გარდაიცვალა. კასანდრა მოსიყვარულე მეუღლეს ჩააკვდა ხელში. ბროსნანმა ამის შემდეგ რამდენიმე წელი თითქოსდა ბურანში გაატარა. მსახიობის თქმით, მას არ ახსოვს, როგორ შესრულდა 40 წლის. ვარსკვლავი დეპრესიული მდგომარეობიდან ამერიკელმა კილი შეი სმიტმა გამოიყვანა, რომელმაც მოგვიანებით პირსს ორი ვაჟიშვილი აჩუქა (მსახიობს კასანდრასთან მანამდეც ჰყავდა ვაჟიშვილი და გარდა ამისა, ის პირველი ცოლის ორ შვილსაც ზრდიდა). ასე რომ, ვარსკვლავი მრავალშვილიანი

„ჩემი ჩამოწერა ჯერ ადრეა!“

მისი ლეგენდარული გმირის არ იყოს, შეიძლება ითქვას, რომ პირს ბროსნანისთვის მთელი სამყაროც არ კმარა. აი, ის აუქციონში მონაწილეობს, სადაც უელსში მდებარე პაბი (რომლის ხშირი სტუმარიც იყო მისი კერპი – პოეტი დილან ტომასი) იყიდება. ტიბეტში სკოლის ასაშენებლად საკმაოდ სოლიდურ თანხას გამოყოფს, სადაც ის მეგობრის – დალაი-ლამას მიწვევით იმყოფება. მრისხანებით აღსავსე წერილს წერს, სადაც თავის აღშფოთებას გამოხატავს იაპონიის მთავრობის მიერ ვეშაპებზე ნადირობის განახლების განზრახვასთან დაკავშირებით. დედოფალი ელისაბედი ბრიტანეთის იმპერიის ორდენს საკუთარი ხელით გადასცემს მას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კი, ასეთ კომენტარს აკეთებს: „აგენტი 007-ის თამაშით ბატონმა ბროსნანმა საზღვარგარეთ ბრიტანული სტილისა და იმიჯის დამკვიდრებაში უდიდესი წვლილი შეიტანა“. სხვათა შორის, საკუთარ სტილს, იმიჯს, უდიდეს ფინანსურ შესაძლებლობებსა და კავშირებს მსახიობი ძირითადად სწორედ აგენტ 007-ს უნდა უმადლოდეს. ასე რომ, 51 წლის პირსი წინააღმდეგი არ არის, ჯეიმს ბონდის სმოკინგი მეხუთედაც მოირგოს... ■



„მოკვდი, მაგრამ ახლა არა“ – ამ ფილმის შემოსავალმა 300 მლნ-ს გადააჭარბა და „ბონდიანის“ ყველა რეკორდი მოხსნა!

ედი მერფი რომეოსა და ჯულიეტას გამხიარულებას აპირებს

შავკანიანი ვარსკვლავი შექსპირის ტრაგედიის მიხედვით კინოკომედიაში გადაღებას დათანხმდა. ფილმისთვის სახელი ჯერ არ შეურჩევიათ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ტრაგიკული სიყვარულის ამბავი იქ გაშუქებული იქნება იმგვარად, როგორც ეს ახალშეუღლებულების მშობლებს შეიძლებოდა აღექვათ... ფილმის სცენარი ბარი ბლაუშტეინსა და დევიდ შეფილდს ეკუთვნით, რომლებიც ედი მერფისთან ერთად, გასული საუკუნის 70-იან წლებში მუ-



შაობდნენ. ავტორთა ამ წყვილს ეკუთვნის აგრეთვე მერფის მონაწილეობით გადაღებული რამდენიმე ფილმის სახელწოდება, მათ შორის – „შერეკილი პროფესორი“.

■

კეტრინ ზეტა-ჯონსმა ახალი მუხლომი იყიდა

ცნობილმა მსახიობმა კეტრინ ზეტა-ჯონსმა აღიარა, რომ საყვარელ ბებიას ძალზე საჭირო რამ – „სხეულის სათადარიგო ნაწილები“ უყიდა. კეტრინმა და მისმა ქმარმა მაიკლ დუგლასმა ბებიას, რომლის მოსახელეც არის კეტრინი, უჩვეულო საჩუქარი – წყვილი ხელოვნური მუხლი მიართვეს. ამ ცოტა ხნის წინ ვარსკვლავმა ერთ-ერთ ცნობილ ტელეშოუში – „დღე ჯეი ლენოსთან ერთად“ – იყო მიწვეული. სწორედ ამ გადაცემაში სტუმრობისას ისაუბრა მან საყვარელ ბებიაზე. „ის ისეთი ბედნიერია... ახლა უკვე სიარული შეუძლია!“ – თქვა კეტრინმა და დასძინა: „ის ახლა პატარა ლეკვივით დადის!“

■

ფემინისტმა მომღერალმა გათხოვება გადაწყვიტა

ფემინისტური შეხედულებებით ცნობილმა, 30 წლის ვარსკვლავმა — ალანის მორისეტმა ამ ცოტა ხნის წინ გამოაცხადა, რომ მსახიობ რაიან რეინოლდსზე თხოვდება. „გაცნობიდან სულ მალე მივხვდი, რომ რაიანი ის ადამიანია, რომლის გვერდით მთელი ცხოვრების გატარება მსურს, — თქვა მორისეტმა. — მას იმთავითვე, როგორც ძალზე ახლო-

ბელ ადამიანს, ისე აღვიქვამდი. საოცრად გულისხმიერი, სერიოზული და მხიარული ადამიანია და კარგად ვუგებთ ერთმანეთს“, — დასძინა ალანისმა, რომელსაც რეინოლდსი თურმე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაუცნია. ■

მეგ რაიანი ჯენს ერთგულობას ეფიცება

გერმანული ჟურნალისთვის — „თქვენთვის“ — მიცემულ ინტერვიუში კინოვარსკვლავმა უარყო ხმები იმის შესახებ, თითქოს მასზე ახალგაზრდა მსახიობთან — ჯონ კუსაკთან გაუბამს რომანი და განაცხადა, რომ მისთვის მხოლოდ ერთი მამაკაცი — სახელად ჯეკი არსებობს. მსახიობმა აგრეთვე დასძინა, რომ ის საერთოდ ცდილობს, ახალი სასიყვარულო თავგადასავლებისგან თავი შორს დაიჭიროს. „საკმარისია, მხოლოდ გავიხსენო დენის ჯუიდთან ჩემი გაყრის ამბავი, რომ უმალ შევყვირებ ხოლმე — ღმერთო ჩემო!.. მაშინ სულ არ ვიყავი მზად ჩემდამი საზოგადოების გამახვილებული ყურადღებისთვის და უამრავი შეცდომა დავუშვი. ახლა ვცდილობ, პირში წყალი ჩავიგუბო და რაც შეიძლება ნაკლები ვილაპარაკო...“ ■

მრიუს უილისს პარტნიორომას ქალიშვილი გაუჩნდა



ახალ ფილმში, რომლის პრემიერა 2005 წლისთვის არის დაგეგმილი, ცნობილი მსახიობის ბრიუს უილისის პარტნიორი მისი და დემი მურის ქალიშვილი იქნება. ეს არის ახალი კრიმინალური თრილერი — „მძევალი“, რომელიც რობერტ კრაისის ამაკე სახელწოდების ბესტსელერის ეკრანიზაციაა.

უილისს, რა თქმა უნდა, გმირის როლი აქვს, რომელიც ჩაგრულებს ეხმარება. მისი გმირის ქალიშვილის როლს კი მისი ღვიძლი შვილი — რუმერ უილისი შეასრულებს. 16 წლის რუმერისთვის ეს უკვე მეოთხე ფილმია. აქამდე ეპიზოდურ როლებს ასრულებდა, ამ შემთხვევაში კი მეტად გაუმართლა.

რუმერი უკვე თამაშობდა ეპიზოდურ როლს დედასთან — დემი მურთან ერთად ფილმ „სტრიპტიზში“, მამის გვერდით კი უკვე სრულფასოვან როლს ითამაშებს. „მძევალი“ ფრანგი რეჟისორის ფლორან სირის ამერიკული დებიუტი იქნება. ■

ვარსკვლავების შვილებმა რომანი გაამეს



ბრიტანული ტაბლოიდები აჭრელებულია წერილებით ახალ „ვარსკვლავურ“ წყვილზე — ჯონ ლენონის ვაჟსა და მიკ ჯაგერის ქალიშვილზე. ერთ-ერთი ჟურნალისტის თქმით, The Beatles და The Rolling Stones თავის დროზე კონკურენტები იყვნენ, მათი შვილები კი ახლა, ამ „შეცდომის გამოსწორებას“ აპირებენ. 28 წლის შონ ლენონი და 20 წლის ელიზაბეტ ჯაგერი თურმე, მარტიდან ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ ახლა ჩათვალეს საჭიროდ, ეს ამბავი საზოგადოებისა და პრესისთვის გაემჟღავნებინათ. როგორც გაზეთი „სანი“ იუწყება, ამ ცოტა ხნის წინ, წყვილი ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინოთეატრში გამოჩნდა და ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, „როგორც ჩანს, ძალზე უხაროდათ ის, რომ ყველა ხედავდა, თუ რა ბედნიერები არიან ერთურთის გვერდით“. ■

ქერათმიანი ლამაზმანი საიმრად ემზადება

ჰოლივუდელი ვარსკვლავი რიზ უიზერსპუნი სამხედრო თრილერის გადაღებებში მიიღებს მონაწილეობას და როგორც ამბობენ, ძალზე კმაყოფილია ახალი როლით, რადგან სურს, თავი დააღწიოს ვარდისფერ პენიუარში გამოწყობილი, „ტკბილი“, ქერათმიანი გოგონას („ქერათმიანი ადვოკატი“) ამპლუას. ის შეასრულებს პრესის გიგანტის — The New York Times — კორესპონდენტის როლს, რომელიც მაგარ ბიჭებთან ერთად კამბოჯაში, ამერიკელი ჯარისკაცების დასახსნელად მიემგზავრება. საინტერესოა, რომ მსახიობი ამ პროექტის პროდიუსერადაც მოგვევლინება. ფილმს ამერიკელი ავტორის ჯეფ ლონგის წიგნის — „წინადადების“ მიხედვით იღებენ, რომელიც მაღაზიების დახლებზე ივლისში გამოჩნდება. ■

ზოგჯერ, კრიტიკულ სიტუაციაში მოხვედრისას, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დროს, უფრო სწორად, კვანძის გახსნამდე დარჩენილ პერიოდს. ხშირად ერთი სული გაქვს, როდის გავა დღეები თუ საათები, ხშირად კიდევ გინდა, რაც შეიძლება გაიჭიმოს დრო. მე კი არც ერთი მინდოდა და არც — მეორე. უბრალოდ, გაურკვეველ მდგომარეობაში ვიყავი. უფროსის კაბინეტში შესვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი და ისე ამერია გონება, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ისიც ვიცოდი, რომ ამერიკა ყოფილი საბჭოთა კავშირი არ გახლდათ, სადაც მილიონიან საქმეებს ატრიალებდნენ ქართველები თითო ყუთი „ვარციხით“ ან „ხვანჭკარით“. მე კი ახლა ღომით, საცივითა და უნგრული შავი ღვინით ვაპირებდი ფონს გასვლას. უნგრული ღვინო „ხვანჭკარას“ მივამსგავსე და ამიტომ ვიყიდე.

წინამდებარე წერილი იხ. „გზა“ № 24

ბრაიტონზე ამერიკელ გოგონებთან „გაფდაგაფა“ იმედია...

აკაკი გეგენავა

როგორ შეხვდებოდა კომპანიის უფროსი ჩემს „ძღვენს“ და საერთოდ რა მელოდა ებრაელ კლიენტთან თავს გადამხდარი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ, დღეს უნდა გადაწყვეტილიყო. ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, მოდი, ყველაფერ ამას თავს დავანებებ და ბედს სხვაგან ვცდი-მეთქი, მაგრამ რადგან ნაბიჯი უკვე გადავდგი, ხელი ჩავიქნიე. მოკლედ, ფორტუნას მივენდვე.

ბოსის კაბინეტში

— რას აკეთებს, ლანა, ჩვენი ბოსი? — ვკითხე მოხდენილ მულატ გოგონას და პასუხს იმედიანად დაველოდე.

— არ ვიცი, შედი და ნახავ. მიდი, მიდი, ნუ ღელავ, ყველაფერი კარგად იქნება!.. — დამამშვიდა ლანამ, რომელიც ისე იყო ჩემთან გაშინაურებული, რომ კართან მისულს მსუბუქად ხელი მიბიძგა. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ თავი ველარ შევიკავე და ხმაურით შევვარდი კაბინეტში. ედმონდი მაგიდასთან იჯდა, რაღაცას გაფაციცებით კითხულობდა. ხმაურზე თავი ასწია და გაოცებულმა შემათვალიერა. ძალაუნებურად გვერდით მდგარი მომცრო მაგიდისკენ გავიხედე, სადაც ჩემი „ნობათი“ უნდა ყოფილიყო. ლანას ისე ლამაზად გაეშალა სუფრა, რომ გამიკვირდა კიდეც. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, ედმონდს საცივისა და ღომისთვის ხელი არ ეხლო. არადა, ღომი უკვე ცივდებოდა...

„ეეჰ, კაკო, კაკო, შენი საქმე ვერ არის კარგად!“ — გავიფიქრე და ხელი ჩავიქნიე. უბრალოდ, მოვლენათა დინებას მივენდვე. მივხვდი, ედმონდის მკაცრი გამომეტყველება კარგს არაფერს მიქადდა.

— როგორც იქნა, მოაღწიე აქამდე, გამაგებინე, აკაკი, რა გინდა ჩემგან? — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ედმონდი. ეს ხომ მისი სტილი იყო.

— რას გულისხმობთ, მისტერ ედმონდ? — გავიოცე.

— რით დავიწყო, კოლუმბუსის შემთხვევით თუ ამ „ლანჩით“? — და ედმონდმა ალმაცერად გადახედა სუფრას, სადაც ქართული დელიკატესი იწონებდა თავს.

— „ლანჩით“ დაიწყეთ, ბოს, უეჭველად მოგეწონებათ... — ერთბაშად გავმხიარულდი.

— ხუმრობ, არა? მე კიდევ სულაც არ მეხუმრება. კომპანიას, სადაც შენ მუშაობ, მთელი ცხოვრება შევალიე, რა არ გადავიტანე, რამდენ კონკურენციას გავუძელი. ეს ერთი წელია, რაც მოგებაზე წავედი და შენი რაღაც უპრინციპო საქციელით კომპანიის ავტორიტეტი შეილახა, ყველაფერი ლამის თავზე დამემსხვრა!..

არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ვგრძნობდი, რომ სახეზე ფერი აღარ მედო. საქმე არც ისე იოლად ყოფილა!

— ჩემი კომპანია უტაქტო და აგრესიულ მუშაკებს ვერ აიტანს, დაშორება მოგვიწევს! — მკაცრად განმიმარტა ედმონდმა და მანიშნა, რომ ამით ამთავრებდა ჩემთან ურთიერთობას. გავშრი, სამუშაოს დაკარგვას იმდენად არ ვნაღვლობდი, უტაქტო რომ მიწოდა, ეს ვერ ავიტანე. არა, ასეთ დამცირებას ნამდვილად ვერ ავიტანდი.

— მისტერ ედმონდ, მე არც თქვენთან და არც არსად, უტაქტოდ არ მოვქცეულვარ. თქვენ თავმოყვარეობა შემილახეთ. თუ დამიმტკიცებთ, რომ უტაქტოდ მოვიქეცი, ხმას არ ამოვიღებ, ისე წავალ, თუ არა და, სანამ ბოდიშს არ მომიხდით, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი... მოკლედ, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ!.. — ცოტაც და წონასწორობას დავკარგავდი. კომპანიის მეპატრონე ასეთ რეაქციას არ მოელოდა. შევამჩნიე, როგორ აუკანკალდა ქვედა ყბა.

— ჩემი კომპანია უტაქტო და აგრესიულ მუშაკებს ვერ აიტანს, დაშორება მოგვიწევს! — მკაცრად განმიმარტა ედმონდმა

— მსგავსი საქციელი მართალია, არ შემიმჩნევია, მაგრამ ისაკმა იმდენი ცუდი რამ მითხრა შენზე, რომ...

— ისაკმა კი გითხრათ, მაგრამ თქვენ ხომ უნდა გქონდეთ თქვენი აზრი. დღეს ხომ არ გამიცანით? — შევაწყვეტინე ბოსს და განვაგრძე: — გეთანხმებით, რომ ის ფულის ტომარა ტრაილერიდან არ უნდა ჩამომესვა, მაგრამ ისე დამამცირა, ადგილზე რომ არ ჩავქოლე, მადლობა უნდა გადამიხადოს!.. თქვენ მართალი ხართ, კომპანიისთვის შეიძლება უკეთესი იყო, თავი დამეხარა კლიენტისთვის, მაგრამ მე ქართველი ვარ, ქართველები კი ვინმეს თავს ასე იოლად არ დაჩაგვრინებენ!.. — ეს ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. ედმონდი ჩემზე ადრე წამოხ-

ტა. მოულოდნელად დაძაბული გამომეტყველება შეეცვალა.

— დამშვიდდი, აკაკი, ყველაფერზე მოვილაპარაკებთ, ყველაფერს გავარკვევთ...

— მე ჩემი სათქმელი გითხარით, ედმონდ, დანარჩენი თქვენ იცით...

— თუ ბოდიში უშველის საქმეს, ერთს კი არა, ათ ბოდიშს მოგიხდი. მოდი, დაჯექი და კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ, რაც მოხდა. არც ისეთი უმერთო ვარ, როგორც შენ ფიქრობ...

ძალაუნებურად დავემორჩილე. ედმონდი ძალიან ნერვიულობდა. ძლივს მოახერხა ლაპარაკის დაწყება.

— აკაკი, მე ადრეც გითხარი, ისრაელში ბევრი ქართველი ებრაელი ამხანაგი მყავს...

— ჰო, მახსოვს...

— ჰოდა, ეს ებრაელები, სხვა ქვეყნებიდან ამოსული ებრაელებისგან ვაჟკაცობით გამოირჩევიან. როდესაც ვკითხავდი, — ასეთი გამორჩეულები რატომ ხართ-მეთქი? — ყოველთვის საქართველოს ახსენებდნენ, თქვენს კულტურას და ტრადიციებს...

სიამაყისგან გავიბადრე. ეს მკაცრი კომერსანტი ახლა თითქმის ჩემს მეგობრად იქცა... რატომღაც მომინდა, პატივი მეცა მისთვის.

აქ უკვე ჩემი გამოგზავნილი ღომი და საცივი გამახსენდა. ედმონდს მსუნაგი ბავშვივით გაეღიმა, როცა შევახსენე, იქნებ ქართული კერძიც გაგესინჯათ-მეთქი.

ბოსი გამომიტყდა, ლამის სულმა წამძლია, მაგრამ შენზე ისე ვიყავი გაბრაზებული, ჭამა საერთოდ არ მახსოვდაო.

...და მართლაც, საცივმა „გამოცდა“ ფრიადზე ჩააბარა. გურმანი ედმონდი აღფრთოვანებული დარჩა, ასეთი გემრიელი კერძები თუ გქონდათ ქართველებს, ვერც წარმომედგინაო. მოკლედ, ეს ჩვენი „ლანჩ-თაიმი“ ერთის ნაცვლად სამი საათი გაგრძელდა. ედმონდმაც გამოიდო თავი, ახლომდებარე რესტორნიდან კერძები მოატანინა და მის კაბინეტში ისეთი სუფრა გაიშალა, თქვენი მოწონებული. ოღონდ ეგაა, სასმელი არ დაგვიმატებია. ორი ბოთლი უნგრული შავი ღვინო სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ორი მამაკაცის ხასიათზე მოსაყვანად. თან ღვინოს ვწრუპავდით და თან საქმეზე ვმსჯელობდით. გადავწყვიტეთ, ერთმანეთისთვის არაფერი დაგვემალა (ჩვენი ურთიერთობა, რაღა თქმა უნდა, სამსახურით შემოიფარგლებოდა). დამოუკიდებლად არაფერი არ უნდა გადამეწყვიტა. მართალია, ქართველი ვიყავი და ბევრი არაფერი შემეშლებოდა (ეს ედმონდის შეფასება გახლავთ!), მაგრამ ბუნებრივია, ედმონდი ამერიკას ჩემზე ბევრად უფრო კარგად იცნობდა და რაღაც უბრალო გაურკვევლობის გამო კომპანიაში საქმეს ვერ გავაფუჭებდით...

ბოსის კაბინეტიდან რომ გამოვედი, ლანას გაოცებულ და ერთიანად გაბადრულ სახეს შევეფეთე.

— აკაკი, როგორ არის საქმე? მგონი, ყველაფერი მოგვარდა, არა? — მკითხა.

— It's Okey! — ტინეიჯერივით წამოვიძახე (საქმე მაგრადაა-მეთქი). ლანამ სიხარულით ხმამაღლა შეკივლა და გვერდით ოთახში გავარდა. ჩემს საგულშემატკივროდ შეკრებილ გოგონებს ახარა ჩემი წარმატება. ისინიც სიცილ-კისკისით გამოიქცნენ და ერთდროულად დამეტაკნენ — აი, ისე, სამშობიაროში ორი გოგოს შემდეგ მესამე ბიჭის გაჩენას რომ ულოცავენ ბედნიერ მამას.

იმის გამო, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და თანაც ამდენმა მშვენიერმა გოგონამ მაკოცა, სიხარულით მეშვიდე ცაზე დავფრინავდი. გოგონებს გამოვუცხადე, ძალიან მიყვარხართ-მეთქი

ლანამ სიხარულით ხმამაღლა შეკივლა და გვერდით ოთახში გავარდა. ჩემს საგულშემატკივროდ შეკრებილ გოგონებს ახარა ჩემი წარმატება

და საღამოს ყველანი რესტორანში დავპატიჟე. როგორ ფიქრობთ, სად შემეძლო ამერიკელი გოგონებისთვის ამერიკაშივე მომეწონებინა თავი — რა თქმა უნდა, „Золотое кольцо“-ში. თანაც, დავპირდი, იქ ისეთ ქართველ ბიჭებს დაგახვედრებთ, ბრედ პიტი და ჯორჯ კლუნი მოგონილი იქნება-მეთქი!

„განდაგანა“ ბრაიტონზე

— ან ამდენი გოგო სად მოძებნე, ან ამდენი ბიჭი საიდან მოვიყვანო?! — საგონებელში ჩავარდა ჩემი მეგობარი დიმა, როდესაც შეიტყო, რომ საქმეც მოვაგვარე და კომპანიის მშვენიერ თანამშრომლებსაც რესტორანში ვეპატიჟებოდი. მართლაც, ჩემი მშვენიერი მულატის, ლანას ჩათვლით, ათი გოგო იქნებოდა, ათივე ერთმანეთზე უკეთესი...

— გივის დავურეკოთ, დიმა, ხომ იცი, თამადა გივი უნდა იყოს!..

— გივი ერთი კვირაა, რაც მაიამიში წავიდა. ასე რომ, ჩაგეშალა წნორელი ლომით თავის მოწონება (მკითხველს ალბათ ახსოვს ჩემი თანამემამულე წნორელი გივი, რომელიც ამერიკაში განსაკუთრებული პოპულარობით მშვენიერ ქალთა შორის სარგებლობდა და რომლის შესახებაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოგითხრობდით ჩემს დღიურებში)!..

— არა უშავს, შენი ძმაკაცები ხომ არიან! — იხტიბარი არ გავიტეხე.

— ყველა სადღაც მიმოიფანტა. ახალჩამოსულებს კი შენ არ იცნობ.

— მერე რა, ქართველები ხომ არიან!

— ქართველები კი არიან, მაგრამ „თენქიუ, ვერი მაჩის“ მეტი არაფერი იციან ინგლისურად...

მოკლედ, მაინც „შევაგროვეთ“ ექვსიოდე ბიჭი (ჩვენი ჩათვლით) და ჩვენი შესაძლებლობის შესაფერისად, საგანგებოდ გამოწყობილები კისას სამფლობელოს მივადექით.

— Что, Акакий, мужиков не хватает?.. — გაეღიმა კისას.

— შენ დარდი ნუ გაქვს, — დავამშვიდე ძველი მეგობარი და მანაც მრავალმნიშვნელოვნად შეათვალიერა ჩვენი კომპანია. რესტორნის დიდ დარბაზში მიგვიპატიჟეს, სადაც ჩვენთვის უკვე წინასწარ იყო გაშლილი სუფრა.

ამერიკელები რესტორანში არც ცეკვავენ და არც თვრებიან, საამისოდ დისკოთეკები და ღამის ბარები აქვთ.

ამერიკელები რესტორანში არც ცეკვავენ და არც თვრებიან, საამისოდ დისკოთეკები და ღამის ბარები აქვთ

თუმცა რესტორანში ყოველთვის სოლიდურად და თეატრალიზებულადაც კი აცვიათ. ხშირად შემომჩნევია ამერიკელი, როგორი გაოცებით უყურებდა რუსულ რესტორანში მოცეკვავე წყვილებს... ამერიკელს ურჩევნია, რესტორანში მშვიდად ივჯდეს, კერძებს შეექცეს, ცოტაც დალიოს და მელოდიურ მუსიკას ან მომღერალს უსმინოს, საცეკვაოდ კი დისკოთეკაზე წავიდეს.

ჩემი სტუმრებიც ამერიკელები იყვნენ და როდესაც რესტორანში საცეკვაო სცენა შეამჩნიეს, გაუკვირდათ. თუმცა, ჩათვალეს, რომ კონცერტი უნდა ჩატარებულიყო და ესიამოვნათ კიდეც.

სუფრაზე ძირითადად ქართული კერძები იყო: შემწვარი წიწილა ბაჟეში, ხაჭაპური, მწვადი, ქაბაბი... სხვადასხვაგვარი ტკბილეული და შუშხუნა ღვინო... მიუხედავად ამისა, მაინც უხერხული ატმოსფერო შეიქმნა. ათ ამერიკელ გოგონას ექვსი ქართველი ბიჭი ვუმშვენებდით გვერდს და ამ ექვსიდან მხოლოდ მე და დიმა ვლაპარაკობდით ინგლისურად. დანარჩენები კი ჩუმად იყვნენ. სადღეგრძელოზე თავს იქნევდნენ და ღვინოს ისე ეტანებოდნენ, თითქოს პირველად სვამდნენ. რომ იტყვიან, ქეიფი არ გამოგვდიოდა.

— ე, ბიჭო, ზურა, უთხარი რამე იმ მშვენიერ გოგოს, მე რას მიყურებ!.. — ვეღარ მოვითმინე და ლამის წავუთაქე ბათუმელ ზურას, რომელსაც რემბოსგან ვერ გამოარჩევდი, ისეთი ალნაგობა ჰქონდა, თანაც გვერდით მართლა ანგელოზი ეჯდა.

— რა ვუთხრა, კაკო, ინგლისური მე არ ვიცი და ამან კიდევ — ქართული, თვალის ჩაკვრას ხომ არ დავუწყებ? — მიპასუხა დარდიანად და ღვინით სავსე უზარმაზარი ბოკალი მოიყუდა.

— მოდი, ზურა, ეცეკვე. ცეკვა ხომ იცი? — არ შევეშვი ბათუმელს.

— ცეკვა როგორ არ ვიცი?! ბათუმის ანსამბლში ვცეკვავდი. მაგრამ ამათ ჩვენი საცეკვაო მუსიკა ეცოდინებათ? — საცოდავად გაიხედა მუსიკოსებისკენ.

— ნუ გეშინია, ეგენი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულები არიან, ეცოდინებათ!.. — დავამშვიდე ზურა.

თუმცა სხვებიც ზურას დღეში იყვნენ. ჩვენს ლაპარაკს ძალაუნებურად ყური მოჰკრეს და ცოტა არ იყოს, გათამამდნენ, იმედი მოეცათ.

ბოლოს, ყველას ზურამ აჯობა, „თავის გოგონას“ ხელი გადახვია და ჩემკენ გამოიხედა:

— კაკო, ახლა მინდა შენი დახმარება. მოდი, რა, ჩვენებური საცეკვაო დააკვრევინე ამ მუსიკოსებს.

ვითომ არ ვიცოდი, რა უნდა შემეკვეთა. ზურამ ხმამაღლა წამოიძახა, „განდაგანა“ დააკვრევინეო და მეც მუსიკოსებისკენ წავედი...

P.S. როგორ ვიცეკვეთ „განდაგანა“ და როგორ ავაცეკვეთ ამერიკელი გოგონები, ამას „გზის“ 28-ე ნომრიდან შეიტყობთ.

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები

☎822 009 005
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სპორტის რა სახეობაში იყო ჩემპიონი ნინო ანანიაშვილი?

ა) ტანვარჯიშში;
ბ) ფიგურულ სრიალში;
გ) მძლეოსნობაში.

2. სიტყვა, „სტუდენტი“ ლათინური STUDEO-დან მომდინარეობს, რაც ქართულად ასე ითარგმნება:

ა) ბეჯითად ვმეცადინეობ;
ბ) გამოცდებისთვის ვემზადები;
გ) პროფესიას ვეუფლები.

3. რას ამბობდა დიდი რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი: „არაყი აწითლებს ცხვირს და

ა) ამხიარულებს გონებას“;
ბ) ახალისებს ცხოვრებას“;
გ) აშავებს რეპუტაციას“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გია ბაღაშვილს მიაჩნია, რომ მისი სახელგანთქმული მამა — ბატონი ჯემალი საოცრად ბრძნულად მოიქცა, როცა ის პატარაობისას სცენაზე არ გამოიყვანა, თუმცა გიას მაშინ უკვე სიმღერაც შეეძლო და გიტარზე დაკვრაც. ამით, სხვა ყველაფერთან ერთად, მან ჩემი ფსიქიკა დაინდოო... — აღნიშნა გიამ, რომელიც იაფფასიან პოპულარობას არც დღეს მისდევს.

კიდევ რა აკავშირებს მამა-შვილს, შემოქმედებასა და ყოფაში და რაში ვერ თანხმდებიან? ამას მათი გულახდილი პასუხებიდან შეიტყობთ.

ბაღაშვილების ჰარმონიულ უერთიერთობას მხოლოდ ერთი საკითხი აჩლევს

მარი ჯაფარიძე

— ბატონო ჯემალ, მოდით, ახალგაზრდობა გაიხსენეთ. როგორ დაიწყო თქვენი მუსიკალური კარიერა?

— ბავშვობიდანვე მუსიკალურ გარემოში გავიზარდე. დედით დაწყებული, ყველა მღეროდა. მამაჩემი ვიოლინოზე უკრავდა. მაგრამ არ დასცალდა, რადგან 24 წლის ასაკში დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში. მუსიკალური ნიჭი ჩემში გენეტიკურად იყო ჩადებული. მუსიკა თავდაპირველად ჩემი ჰობი გახლდათ და არასოდეს მიფიქრია, რომ განსაკუთრებული ნიჭით ვიყავი დაჯილდოებული. მეგონა, რომ მუსიკალური სმენა ჩვეულებრივი მოვლენაა, რომელიც ყველა ადამიანს აქვს. თურმე, ასე არ ყოფილა. ვიდრე მუსიკოსი გავხდებოდი, რამდენიმე პროფესიის დაუფლებამ მომიწია. სამი უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე და მერე მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება მუსიკა იყო. ამიტომ, შეცდომა გამოვასწორე და ჩემს ერთადერთ პროფესიად ვაქციე.

— გია, მამისგან განსხვავებით, თქვენ ალბათ, თავიდანვე განსაზღვრული გქონდათ პროფესიული გზა. როგორ დაიწყო თქვენი მუსიკალური კარიერა?

— გადმოცემით ვიცი, რომ ძალზე მოუსვენარი ბავშვი გახლდით და ჩემი დაშოშმინება შეგონებებითა და დატუქსვით შეუძლებელი ყოფილა. ჩემს დაინტერესებას მხოლოდ ცალკეული მუსიკალური ნაწარმოებები იწვევდა ხოლმე. ბავშვობიდანვე ზუსტად მცოდნია, რა მომწონდა და რა — არა. არ ვუსმენდი ყველა სიმღერას და არც ერთსა და იმავეს რამდენჯერმე. ძალზე ადრე დამიწყია სიმღერა. ორი წლის ასაკში მამასთან და ვახტანგ ტატიშვილთან ერთად სამ ხმაში ვმღეროდი „25-სა დეკემბერსა“, მაგრამ ჩემი მშობლები არასოდეს მაქებდნენ გადამეტებულად. მამამ უკვე გითხრათ, რომ რამდენიმე პროფესია გამოიცვალა და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რომ მისი საქმე მუსიკოსობა, რეჟისორობა და კომპოზიტორობა გახლდათ. მე კი თავიდანვე მირჩია, რომ მიმეღო აკადემიური მუსიკალური განათლება და თუ მივხვდებოდი, რომ ეს საქმე არ მაინტერესებდა, პროფესია შემეცვალა. მამას მუსიკალური განათლება არ მიუღია. მას მხოლოდ ვიოლონჩელის ოთხი კლასი აქვს დამთავრებული. ამიტომ უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე პროფესიონალად ჩამოყალიბდებოდა. მას ძალიან ვემადლიერები იმისთვის, რომ ყოველი დღის რაციონალურად გამოყენება მასწავლა.

— ეი. თქვენი პირველი პედაგოგი მამა იყო?

— 5 წლისაც არ ვიყავი, როდესაც პირველად ავიღე ხელში გიტარა. ძალზე ჯიუტი ბავშვი გახლდით და დავიჩემე — უნდა დავუკრა-მეთქი. თანაც, მინდოდა, მაშინვე ისეთი ჟღერადობისთვის მიმეღწია, როგორსაც მამისგან ვისმენდი. ჯერ ჩემით ვცდილობდი, მესწავლა, მერე ტვინი წავუღე — მასწავლე-მეთქი, — და იძულებული გახდა, რამდენიმე გაკვეთილი ჩაეტარებინა. მამა ყოველთვის მოუცლელი იყო, ამიტომ სწრაფად უნდა ამეთვისებინა. ეს ჩვენად გადამექცა და ყველაფერს იოლად ვსწავლობდი. 7 წლის ასაკში უკვე საკმაოდ რთულ ნაწარმოებებს ვასრულებდი. „ივერიის“ შვილების თაობა კულისებში ვართ გაზრდილი და კარგად ვიცით მუსიკოსის პროფესიის ავ-კარგი. მამა რეპეტიციის შემდეგ საათობით მუშაობდა თითოეულ პასაჟზე. მან პირადი მაგალითი მომცა, როგორ უნდა მიაღწიო სასურველ შედეგს.

— კიდევ რითი ჰგავხართ ერთმანეთს?

— ორივეს ძალზე გვიყვარს კითხვა. გურამ დოჩანაშვილის ერთ პერსონაჟს ვგავართ, რომელსაც დიდჯიბეებიანი ქურთუკი უყვარდა. ჩვენ გვაქვს მომცრო ზომის წიგნების დიდი კოლექცია და დიდჯიბეებიანი ქურთუკები, რომლებშიც ეს წიგნები ეტევა... საერთოდ, ყოველთვის ვგრძნობდი მის მხარდაჭერას და ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ყველა მისი რჩევა. თვითონ უმამოდ გაიზარდა. სულ ცდილობდა, რაც თვითონ დააკლდა, ჩემთვის სრულად მოეცა. ერთ მაგალითს მოვიყვან: ბავშვობაში სპორტით ვიყავი გატაცებული და კარატეს შესწავლა მოვისურვე. 5 წლისამ პირველად ჩავიცვი

ჯემალ და გია ბაღაშვილები თემურ ყვითელაშვილთან ერთად

კიმონო. იმისათვის, რომ ჩემთვის სტიმული მოეცა, არ დაიზარა, აიყოლია თემურ წიკლაური და ნუგზარ კვაშალი, ჩაიცვა სამივემ კიმონო და ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ ორი წლის მანძილზე. სხვათა შორის, მამა პირველთანრიგოსანია სპორტის რამდენიმე სახეობაში — ძალოსნობაში, კრივში...

— ბატონო ჯემალ, თქვენ მოღვაწეობა კომუნისტური მმართველობის დროს დაიწყეთ და კარგად ხედავთ სხვაობას დღევანდელ და მაშინდელ შოუბიზნესს შორის...

— მაშინდელ მოღვაწეობას შოუბიზნესს ვერ დაარქმევ, ამას საკონცერტო მოღვაწეობა უფრო ჰქვია. მაშინ ამ საქმით ფული არ კეთდებოდა. სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებდა ყველა ხარჯს, რაც ხელოვნების დაფინანსებას სჭირდებოდა. შესაბამისად, ვისაც ნიჭი ჰქონდა, შეეძლო, წარმოეჩინა თავისი შესაძლებლობები. ხელოვნისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა არც ტანისამოსი, არც აპარატურა და საგასტროლო მოგზაურობის ხარჯი. წარმოგიდგენიათ, ეს როგორი შეღავათია? სწორედ ამიტომ იყო, რომ მთელ საბჭოთა კავშირს გარშემო უვლიდნენ ჩვენი ნიჭიერი მომღერლები თუ ანსამბლები. ვინაიდან ყველა ხარჯს სახელმწიფო იღებდა, უცხოელ იმპრესარიოს უადვილდებოდა ჩვენი შესყიდვა, შემოქმედებითი ჯგუფის დაბალი თვითღირებულების გამო, მაგრამ მეორე მხრივ, ის ისევე ძვირად ყიდდა თავის მაყურებელზე ბილეთს, როგორც ახლა. შესაბამისად, უცხოელი მაყურებელი ისეთივე მომთხოვნი იყო, ჩვენ მიმართ, როგორიც დღესაა. ამრიგად, მოგებული რჩებოდა იმპრესარიო, რომელიც ჩალის ფასად ყიდულობდა და ძვირად ყიდდა მუსიკალურ კოლექტივს. ჩვენ გვიწევდა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში მოღვაწეობა. ყოფილა შემთხვევა, რომ იმ დარბაზში, სადაც ჩვენ გაგვიმართავს კონცერტი, შემდეგ „ქუინი“ გამოსულა. რაში აინტერესებდა მაყურებელს, იმპრესარიომ იაფად გვიყიდა თუ ძვირად? — არ მოვეწონებოდით და დაგვისტვენდა, მოვეწონებოდით და ტაშს დაგვიკრავდა... ეს კონკურენტუნარიანი გარემო დღეს დაიკარგა, რადგან ამ უდიდეს ხარჯს სახელმწიფო ვეღარ კისრულობს და ყველა ნიჭიერ ადამიანს არ გააჩნია იმის საშუალება, რომ საკუთარი თავი წარადგინოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშე. აქედან გამომდინარე, მოგვეძალნენ ფულით „გამოჩეკილი“, უნიჭო ვარსკვლავები. ძველთაგან მოყოლებული, ნიჭიერ კაცს ფული არ ჰქონდა. გაიხსენეთ ფიროსმანი, მოდილიანი, ვაჟა... ვისაც ფული აქვს, ხარჯავს იმისათვის, რომ „შვილიკო“, „ძმისშვილიკო“ თუ „ახლობელიკო“ გააპოპულარულოს. იღებენ კლიპებს, ყიდულობენ სიმღერებს, აკეთებენ მაგარ „რასკრუტკას“. ამას ჰქვია შოუბიზნესი.

— გია, თქვენც ამავე აზრის ხართ ქართულ შოუბიზნესზე?

ხანდახან ვკამათობთ, მაგრამ ეს საქმეს სჭირდება

— თანამედროვე ქართული საესტრადო მუსიკა რომ კარგ დღეში არაა, ამას დღეს უკვე ყველა ამჩნევს. ეს ლოგიკური შედეგია იმ არაჯანსაღი ტენდენციებისა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ დაედო სათავე და რომელთა დამღუპველ შედეგებზე ადრე თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები ვამახვილებდით ყურადღებას: ეს გახლავთ უცხოური მდარე პროდუქციის „კოპირება“, რომელიც ქართულ ენაზე ამღერებისას ორჯერ უფრო მდარე ხდება ხოლმე, ამას დაუმატეთ დღეს უკვე ყბადაღებული, ფონოგრამის პრობლემა, უნიჭობის პროპაგანდა, ხშირი ტელე თუ რადიოტრანსლირებით, შეკვეთილი „ცხელი ათეულები“ და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ მანკიერ ფასეულობათა სისტემა, როცა მუსიკალური სუბკულტურა ელიტარულ ხელოვნებად საღდება და უსმენო და უხმო შემსრულებელი ელიტარულ მომღერლად ითვლება. დღეს სამართლიანი კრიტიკისგან შეწუხებული ბევრი ქართველი პოპმომღერალი ჩივის — რას გადაგვეკიდეთ? ქართული ესტრადის პრობლემების მეტი სატკივარი არ გვაქვსო?! ქართველებს შეიძლება, მართლაც გვაქვს ბევრი სხვა გასაჭირი, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებულად მტკივნეული თემაა. „ხასანბეგურასა“ და „გრძელი კახური მრავალჟამიერის“ შემქმნელი ერი, რომელმაც შვა ზაქარია ფალიაშვილი, რევაზ ლაღიძე, სულხან ცინცაძე და რომლის საესტრადო მუსიკა წლების მანძილზე სხვისთვის მისაბაძი იყო, ასეთ სავალალო მდგომარეობას ნამდვილად არ იმსახურებს. თუმცა, დრო ყველაზე ობიექტური მსაჯულია და დროთა განმავლობაში, მხატვრულად უვარგისი, იაფფასიანი მუსიკის შემქმნელიცა და შემსრულებელიც დავიწყებას მიეცემა. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

— როგორც ჩანს, მამა-შვილი საკმაოდ კარგად უგებთ ერთმანეთს. თუ არსებობს საკითხი, რაზეც ვერ თანხმდებით?

ბატონი ჯემალი:

— ყველაზე დიდი დავა გვაქვს იმის გამო, რომ გია ცოლის მოყვანას აგვიანებს. მინდა, შვილიშვილებს დროზე ვუთხრა ორიოდე სიტყვა, თორემ, როცა მე თვითონ მისახედი ვიქნები, იმათ რაღა უნდა ვასწავლო?!. დანარჩენი ყველაფერი რიგზეა. ხანდახან ვკამათობთ, მაგრამ ეს საქმეს სჭირდება. საერთოდ, უფროს-უმცროსის დამოკიდებულება ყოველთვის პატივისცემას უნდა ეყრდნობოდეს. არსებობს ასეთი ფენომენი — უხუცესთა საბჭო. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოსვლიათ აზრად, შეექმნათ ლაწირაკთა ან ტინეიჯერთა საბჭო...

გია:

— მამაჩემთან ჰარმონიული ურთიერთობა რომ არ მქონდეს, უბრალოდ, ერთად ვერ დავუკრავდით. მამას ვემადლიერები თუნდაც იმისთვის, რომ ადრეულ ასაკში ამარიდა სცენაზე გამოსვლებს და იოლად მოხვეჭილი ტაშის გემო არ გამაგებინა. 9-10 წლის ასაკში შემეძლო, შემესრულებინა ის რეპერტუარი, რომელსაც დღეს ვასრულებ, მაგრამ მამამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ჯერ პროფესიული დაოსტატების გზაზე დავმდგარიყავი, კარგად გავცნობოდი კლასიკას — ბახი, მოცარტი და რახმანინოვი მესწავლა. ამით, სხვა ყველაფერთან ერთად, მან ჩემი ფსიქიკა

თვითონ უმამოდ გაიზარდა. სულ ცდილობდა, რაც თვითონ დააკლდა, ჩემთვის სრულად მოეცა. ერთ მაგალითს მოვიყვან...

დაინდო. თორემ, მეც შემეძლო, ადრეულ ასაკში გავმხდარიყავი პოპულარული და მელაპარაკა – თაყვანისმცემლების ზარები მაწუხებს და აღარ ვიცი, რა ვქნა-მეთქი... ვფიქრობ, მშობლის ამბიციებს არ უნდა გადააყოლონ ბავშვის მომავალი. ნუ დაგვავიწყდება რობერტინო ლორეტის მაგალითი, რომელიც გენიალური ბავშვი იყო და რომ გაიზარდა, მესამეხარისხოვან მომღერლად იქცა. რაც შეეხება იმას, თუ რაში ვერ ვთანხმდებით – ეს ჩემი დაოჯახების საკითხია. რა ვქნა? – ყველაფრის დაჩქარება და დაგეგმვა შეიძლება, დაოჯახების გარდა. მის სურვილს ძალზე დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჯერ 32 წლის ვარ და არ მიმაჩნია, რომ ძალიან ვაგვიანებ. მამას ჰყავს 2 შვილიშვილი – ჩემი დისშვილები, ასე რომ, ამ მხრივ გულნაკლული არ უნდა იყოს.

— საინტერესოა, დედათქვენი როგორ აფასებს ქმარ-შვილის შემოქმედებას? ალბათ თავის შთაბეჭდილებებს გიზიარებთ ხოლმე, არა?

– თუ შეიძლება არსებობდეს ფარული მუსიკალური ნიჭი და სმენა, ამას დედაჩემის მაგალითი ადასტურებს. საოცარი მსმენელი და ზუსტი შემფასებელი გახლავთ. მეც და მამასაც ყოველთვის, პირველ რიგში, მისი აზრი გვაინტერესებს. დედა გურულია, მაგრამ ვეუბნები – ნამდვილი კახელი ხარ-მეთქი, – რადგან ყოველგვარი დიპლომატიის გარეშე, პირდაპირ მოგახლის სიმართლეს. ისიც მინდა ვთქვა, რომ გმირი ქალია, რადგან კარგია, როცა მზა მუსიკალურ ნაწარმოებს ისმენ, მაგრამ მისი დამუშავების პროცესის მოსმენამ, წლების მანძილზე, შესაძლოა გაგაგიჟოს. თანაც, თუ ადრე, მარტო მამაჩემი უკრავდა, მერე მე დავემატე... მაინც ოლიმპიური სიმშვიდით იტანს ყოველივეს. ■



მამას ჰყავს 2 შვილიშვილი – ჩემი დისშვილები, ასე რომ, ამ მხრივ გულნაკლული არ უნდა იყოს

„არ გეშინია? — არა... მე მაოცებენ ლამპიონები“... ალბათ ყველას კარგად ახსოვს ის თმახუჭუჭა პატარა ბიჭი, რომელიც წკრიალა ხმით არაჩვეულებრივად ასრულებდა რობერტ ბარძიმაშვილის სიმღერებს. მოულოდნელად იგი სცენიდან გაქრა და წლების შემდეგ თმახუჭუჭას ნაცვლად თმაშეთხელებული ლევან ლაზარიშვილი იმავე სიმღერით დაგვიბრუნდა, თუმცა, როგორც მომღერალი, იგი არც ახლა აქტიურობს. „ანო სტუდიაში“ ხმის რეჟისორად მუშაობს. სწორედ იქ ვეწვიე ინტერვიუსთვის ლევანსა და მის კომპოზიტორ მეუღლეს მაიკო კაჭკაჭიშვილს, იმ ბედნიერ დღემდე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ახალგაზრდა წყვილი დედ-მამა გახდებოდა. მათ წინასწარ იცოდნენ, რომ ტყუპი ბიჭი შეეძინებოდათ...

ტყუპი ბიჭის დაბადებამ

ახალი ჭგუფის ასპარეზზე

გამოსვლას დაასწრო

ნათია ქივიძე

— როგორ გაიცანით ერთმანეთი და როგორ დაქორწინდით?

ლევანი:

– ერთმანეთი იმ ხმის ჩამწერ სტუდიაში გავიცანით, სადაც მე ვმუშაობდი, მაიკო კი იქ სიმღერის ჩასაწერად მოვიდა. შემდეგ ხშირად გვიწევდა ერთად მუშაობა და ერთმანეთს შევეჩვიეთ კიდეც. რა თქმა უნდა, ჩვენს ურთიერთობაში მუსიკამ დიდი როლი ითამაშა, თუმცა მაიკოს პიროვნებამ თავიდანვე მომხიბლა.

მაიკო:

– მართალია, ჩვენ ერთმანეთის მუსიკალური შესაძლებლობებით მოვიხიბლეთ. ლევანს ჩემთვის სიყვარული არ აუხსნია და არც იყო ამის საჭიროება. ყველაფერი თავისთავად და ბუნებრივად მოხდა. გადავწყვიტეთ, რომ ოჯახი უნდა შეგვექმნა და ასეც მოვიქეცით.

— ლევან, ოჯახის შექმნამ ხომ არ განაპირობა ის, რომ სცენაზე აღარ ჩანხარ?

– რა თქმა უნდა, არა. ამას თავისი მიზეზი აქვს. ჩამოვაყალიბეთ ჯგუფი და ახლა რეპეტიციები გვაქვს. ჯერ გარკვეული რაოდენობის სიმღერებს ჩავწერთ და მერე ერთბაშად წარვდგებით მაყურებლის წინაშე. ჯგუფის სახელწოდება ჯერ არ მოგვიფიქრებია. ჩვენი ორი წევრი ძველი ჯგუფიდან – „მოდუსიდან“ არის და შესაძლებელია ეს სახელწოდება დავტოვოთ. მე ჯგუფის სოლისტი ვარ. სინქრონული რეპეტიციები გვაქვს და ვეცდებით, ყოველთვის ცოცხლად დავუკრათ. ჯერ გაურკვეველია, ვინ იქნება ჯგუფის პროდიუსერი.

— რა მიმდინარეობის მუსიკას შეასრულებთ?

– ვეცდებით, რომ მაქსიმალურად თანამედროვე მუსიკა შევასრულოთ. ალბათ როკის გავლენასაც ვერ ავცდებით, მაგრამ ეს არ იქნება მძიმე როკი.

— მაიკოს სიმღერებს როგორ აფასებ? ყოველთვის მოგწონს მის მიერ დაწერილი სიმღერა?

– ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ მაიკოს სიმღერა ინსტრუმენტთან მომისმენია, მაგრამ ვერ აღმიქვამს. მერე კი, როცა არანჟირება უკეთდება და იგივე სიმღერა ვინმეს შესრულებით მომისმენია, მომწონებია. ამის გამო გული მწყდება და სულ ვეკითხები ჩემს თავს, რატომ თავიდანვე ვერ აღვიქვი-მეთქი?..

მაიკოს ბევრი ისეთი სიმღერაც აქვს, რომელიც ქართულ ესტრადას არ შეესაბამება.

მაიკო:

— ბევრი ჩემი სიმღერა არ მოსწონს. რაც მართლა გულით მაქვს დაწერილი და ჩემია, ის ხიბლავს, ხოლო შეკვეთილი სიმღერები მე თვითონაც არ მომწონს.

— შენ თუ მოგწონს ლევანის რეპერტუარი? როგორც კომპოზიტორი, როგორ აფასებ მის ახალ ჯგუფს?

— დიდად აღფრთოვანებული არ ვარ. მართალია, ლევანის ვოკალური მონაცემები ძალიან მომწონს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან ჯაზ-როკი, ბლუზი უნდა იმღეროს და არა — როკი. ვფიქრობ, რომ მას როკისთვის შესაფერისი ხმა არა აქვს, მაგრამ რატომღაც იბრალებს როკმენობას და ვნახოთ, რას იზამს...

— მაიკო, როგორ ფიქრობ — რომელია შენი ყველაზე წარმატებული სიმღერა?

— საკუთარ თავს პოპულარულად არ ვთვლი, წარმატება კი მომიტანა ლელა წურწუმიას სიმღერამ — „ღამის სიჩუმე გაფანტე“, ნინას „მატირემ“, ნინი ბადურაშვილის როკსიმღერამ და ლევანის „სამბამ“.

— ლევან, ბავშვობაში შესრულებული „ლამპიონების“ შემდეგ, სცენიდან გაქრი და იმავე სიმღერით საკმაოდ გვიან დაბრუნდი. სად იყავი ამ დროის მანძილზე, რას საქმიანობდი და ახლა რამ განაპირობა შენი სცენაზე დაბრუნება?

— რა ვიცი, კონკრეტულ პასუხს ვერ გაგცემთ. ამ ყველაფერს დრომ შეუწყო ხელი. ჩემი სცენაზე დაბრუნება კი, რობერტ ბარძიმაშვილის დამსახურებაა... სხვა საქმიანობა ვერც წარმომიდგენია — მუსიკა ჩემი შინაგანი სამყაროა. 6 წლიდან ვმღერი. რაც სცენიდან ვიყავი წასული, იმ დროის განმავლობაშიც კი მუსიკით ვიყავი დაკავებული და ჩემთვის ვმუშაობდი. დღეს შემიძლია ვთქვა: საკმაო გამოცდილება მაქვს საიმისოდ, რომ საკუთარ თავს სცენაზე დგომაში დავეხმარო. ჩემი მხრიდან, რაც საჭირო იქნება, ყველაფერს გავაკეთებ. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ალბათ, პროდიუსერია, რომელმაც სწორი მიმართულებით უნდა განავითაროს ჩვენი შემოქმედება. საერთოდ, როცა ადამიანი რაიმეს ქმნი, გინდა, რომ შენი შემოქმედება სწორად იყოს შეფასებული, თუნდაც ამას საყოველთაო აღიარება არ მოჰყვეს. მთავარია, გარკვეულმა წრემ გაგიგოს. მომავალში თუ მწვავედ დადგება მუსიკის ხარისხის პრობლემა და მსმენელიც უფრო კრიტიკული გახდება, ალბათ, მუსიკაც შეიცვლება. ვეცდები, პუბლიკის ყველა მოთხოვნა დავაკმაყოფილო.

ლევანს ჩემთვის სიყვარული არ აუხსნია და არც იყო ამის საჭიროება

— მაიკო, გარეშე თვალით, ლევანს საკმაოდ სერიოზული და სევდიანი იმიჯი აქვს. შინაც ასეთია?

— არა, ასეთი იმიჯი ალბათ, მისი ხმის ტემბრიდან გამომდინარე აქვს. ისე, მხიარული და გაწონასწორებული ადამიანია. არც ჯუჯღუნაა, არც ბუზღუნა. ხანდახან ცუდ ხასიათზე კი არის, მაგრამ ჩემთან შედარებით თბილია.

ლევანი:

— ყველაფერი შედარებითია. როცა ცოლი ორსულად არის, რა თქმა უნდა, მამაკაცმა ბევრი რამ უნდა მოითმინოს. მეც, როგორც შემიძლია, ვუძლებ...

— როგორი შეგრძნება გაქვთ იმის გამო, რომ სულ მალე მშობლები გახდებით, თანაც — ორი შვილის ერთად?

მაიკო:

— ცოტა მეშინია, რადგან ტყუპის გაზრდა საკმაოდ რთულია. ისინი ხომ ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან. ამასთანავე, არ მინდა, რომ ბავშვების გამო შინ დავჯდე, ვერ შევეგუები. ლევანი ალბათ, ჩემზე უკეთესი მშობელი იქნება, რადგან მე ცოტა რთული ხასიათი მაქვს...

ლევანი:

— ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ტყუპის მამა გავხდებოდი. ჩემთვის ეს ღმერთის დიდი საჩუქარია. ვეცდები, კარგი მამა ვიყო. ჯერ უნდა გამოვცადო ეს გრძნობა, რომ მერე მისი გემო გავიგო...

ვაცალოთ ლევანს ტყუპი ბიჭის მამობის საფუძვლიანად „დაგემოვნება“ და შემდეგ მივაკითხოთ მის მუსიკალურ ოჯახს, რათა დავადგინოთ, ასრულებს თუ არა პირობას, იყოს კარგი მამა, ეხმარება თუ არა კომპოზიტორ დედას შვილების მოვლაში და ხომ არ მოაკლო ამ ყველაფრის გამო ყურადღება შემოქმედებით საზრუნავს — ჯგუფს, რომლის „აგორებასაც“ უახლოეს მომავალში აპირებს. ■

სულ ვეკითხები ჩემს თავს, რაგომ თავიდანვე ვერ აღვიქვი?...

სტერეოტიპებს დაამსხვრევს და ახალგაზრდებს წიგნისკენ შემოაბრუნებს

„გზის“ წინამორბედი ნომრიდან ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის იმ პროექტის შესახებ, რომელიც „ეტალონის“ სახელით ჟურნალ „რეიტინგთან“ პარტნიორობით ტელეკომპანია „მზის“ ეთერში სექტემბრიდან განხორციელდება. მხარდამჭერების რიცხვი დღითი დღე იზრდება, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მიესალმებიან იმ წამოწყებას, რომელიც მოზარდთა ერუდიციის ამაღლებას, ახალგაზრდებში წიგნისა და ცოდნის კულტის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ამჯერად საკუთარ შეხედულებას მწერალი ლაშა ბულაძე გვიზიარებს.

ლელა ჭანკოტაძე

„ეტალონი“ გონიერი, ჭკვიანი, წინდახედული და განათლების სისტემაში კარგად ჩახედული ადამიანების შემუშავებული პროექტია

— ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია, ადამიანი წიგნს დაუახლოვდეს არა როგორც სავალდებულო საგანს, ფეტიშს, სტეროტიპს, არამედ როგორც გართობის საშუალებას. სწავლა უნდა გაიგივდეს გართობასთან. სწავლის დროს მოზარდი გასართობ სფეროში თუ აღმოჩნდება, წიგნი მისთვის სულიერი კომფორტის გამომხატველი გახდება. „ეტალონი“ რამდენადაც ფუნქციურია განათლების თვალსაზრისით, იმდენად ეფექტური იქნება ცოდნის მიღების მხრივ. მოზარდს ამ გადაცემაში მონაწილეობის სურვილი გართობის მიზნით გაუჩნდება. ამგვარი გართობისთვის კი საჭირო ატრიბუტი წიგნია. რადგან ამ პროექტით თამაშთან გვაქვს საქმე, ეს შედეგს გამოიღებს. მასში ჩადებულია გართობის პროვოკაციის ელემენტი, რაც ყველაზე მეტად მომწონს. განა შესანიშნავი და მაცდუნებელი არ არის, გართობით ცოდნის მიღების იდეა?! იმის ჭკუისა მშურს, ვინც ეს პროექტი მოიფიქრა...

— არადა, ჩვენში ამ ფორმით — თამაშის ფორმით ცოდნის გადაცემა ჯერ მხოლოდ მკვიდრდება.

— მე არაჩვეულებრივი მასწავლებელი მყავდა. მან გვერდი აუარა პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას და სწავლების განსხვავებული მეთოდი აირჩია. ის გვიამბობდა ბერძნულ მითებს და ძველ ქართულ ხალხურ თქმულებებს. სულგანაბულები ვუსმენდით და გაგონილით ვიხიბლებოდით... სწორედ ამ სიუჟეტებით შეგვიტყუა ცოდნის სამყაროში. სხვათა შორის, არსებობს ასეთი აზრი: შეუძლებელია, მასწავლებელმა ბავშვს ასწავლოს მშობლიური ლიტერატურა, მასწავლებლის ვალია ერთი კონკრეტული ავტორი, რომელიც თვითონ უყვარს, გააცნოს ბავშვს, ამ ავტორის სიყვარული გადასდოს თავის მოსწავლეს, ეს ავტორი კი მას მეორე ავტორთან მიიყვანს, მეორე — მესამესთან და ა.შ. ე.ი. თუ მასწავლებელს გალაკტიონი უყვარს, შეუძლია, სწორედ მისი პოეზიით მოხიბლოს ბავშვი და ამ გზით პოეზიის მაგიური კარი შეაღებინოს. ამ დროს მოზარდი არ აღიქვამს გალაკტიონს, როგორც სავალდებულოდ შესასწავლ ავტორს... საერთოდ, ბავშვი არ უნდა აიძულო, ლექსები დაიზეპიროს, ამით შეიძლება, ის კონკრეტული ავტორი შეაძულო. უამრავი ადამიანი მინახავს, რომელსაც მუსიკა შესძულდა ცუდი მასწავლებლის გამო. ვფიქრობ, რომ „ეტალონი“ გონიერი, ჭკვიანი, წინდახედული და განათლების სისტემაში კარგად ჩახედული ადამიანების შემუშავებული პროექტია, რადგან ამ პროექტის „ოინები“ სტერეოტიპებს დაამსხვრევს და მხოლოდ პოზიტიურ შედეგს მოგვიტანს.

— ე.ი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ეტალონის“ მაყურებლებს შორის თქვენც იქნებით?

— ნამდვილად ველოდები, როდის დაიწყება ეს გადაცემა. ბუნებრივია, გულდასმით ვუყურებ, თუნდაც იმიტომ, რომ მოზარდი თაობის უკეთ გაცნობა შევძლო. კარგი იქნება, თუ ამ ტიპის ექსპერიმენტები სხვა ტელეარხებზეც განხორციელდება. საქართველოში ცუდი ტენდენცია დამკვიდრდა: ჩვენში მოზარდისთვის წიგნი და ცოდნის მიღება რაღაც ძალდატანებითი ვალდებულებაა... დროა, ამ სტერეოტიპის მსხვრევა ვცადოთ. ამას „ეტალონი“ იოლად მოახერხებს. ეს პროექტი ხომ სწორედ ძველი სტერეოტიპების დასამსხვრევადაა გამიზნული. სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას კითხვების შედგენაში. სწორედ შეკითხვის ორიგინალურობის შედეგად უნდა გაიღვიძოს ბავშვში ინტერესმა იმ ავტორის ან ნაწარმოების მიმართ, საიდანაც კითხვა იქნება აღებული. სამწუხაროდ, კონკურსებში, რომლებიც ჩემს ცოდნას გამოავლენდა, მონაწილეობა არასდროს მიმიღია. მხოლოდ გამოცდებში ვმონაწილეობდი, რაც ჩემზე ყოველთვის დამორგუნველად მოქმედებდა. ახალ თაობას კი ცოდნის მიღების და გამომჟღავნების შესანიშნავი შანსი ეძლევა.

— ე.ი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ეტალონი“ მოზარდს წიგნისკენ შემოაბრუნებს, ხომ?

— ბოლო პერიოდში ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რომ მოზარდები წიგნებს არ წყალობენ. ჩემს ბავშვობაში, გოგონები უფრო მეტს კითხულობდნენ, ვიდრე ვაჟები, ეს თითქოს ტრადიციად დამკვიდრდა. დღევანდელი თაობა ინფორმაციის თვალსაზრისით უფრო დიდ ცოდნას ფლობს. არა აქვს მნიშვნელობა, წიგნებიდან იღებენ ამ ინფორმაციას თუ ინტერნეტით ან მედიით. „ეტალონის“ პროექტი სწორედ წიგნიდან ინფორმაციის მიღების აუცილებლობას გამოიწვევს. დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი ბავშვი დაიწყებს ზაფხულში წიგნის კითხვას — თუნდაც, მაცდუნებელი ერთწლიანი სტიპენდიის გამო. პროექტი გამართლებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ ბავშვს მაინც შემოაბრუნებს წიგნისკენ. დაბოლოს: ყველაზე მთავარი ის არის, რომ ქართველი ბავშვები „ეტალონის“ წყალობით მიხვდებიან, რომ მათი ცოდნა ქვეყნისთვის აუცილებელია. დარწმუნებულები იყავით, ამ გადაცემას ყოველთვის მაღალი რეიტინგი ექნება. ■

ცოცა რამ თმის დაბანისა და ფენის შესახებ

თმის დაბანისა და გაშრობის პროცედურის დროს, თუ გარკვეულ წესს არ დავიცავთ, შეიძლება დიდი ზიანი მივაყენოთ თავს. გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც თქვენს თმას ბუნებრივი სიჯანსაღისა და ელვარების შენარჩუნებაში დაეხმარება.

1) დაბანისას თმას საშუალება მიეცით თავისუფლად დაეშვას. მოერიდეთ სველი თმის სარჭებით დაჭიმვას.

2) სანამ თმა სველია, ჯაგრისით ან მსხვილკბილებიანი სავარცხლით თმის ვარცხნა ბოლოებიდან დაიწყეთ და თანდათან ადით ზემოთ – თმის ძირებისკენ. ამით თქვენ დაიცავთ თმის ბოლოებს გაყოფისა და დაზიანებისგან.

3) უმჯობესი იქნება, თუ თმას საშრობის გარეშე გაიშრობთ. მათ კი, ვინც ფენს იყენებს, რამდენიმე რჩევას ვთავაზობთ: საშრობის გამოყენებამდე პირსახოცით კარგად შეიმშრალეთ თმა. ნუ გამოიყენებთ საშრობს, თუ წყალი თმიდან წურწურით ჩამოგდით.

საშრობი დაბალ სიხშირესა და დაბალ ტემპერატურაზე დააყენეთ და გამუდმებით ამოძრავეთ ისე, რომ ჰაერის თბილი ნაკადი თანაბრად განაწილდეს თავზე. ნუ მიმართავთ ჰაერის ნაკადს დიდხანს ერთი მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თმას დაიზიანებთ.

ყოველთვის გამორთეთ საშრობი მანამდე, სანამ თმა ბოლომდე გაშრება. ახლა კი ცოტა რამ თმის საშრობის შესახებ. კარგი იქნება თუ მისი შეძენისას ქვემოთ ჩამოთვლილ რჩევებს გაითვალისწინებთ.

პირველი თმის საშრობი 1900 წელს გერმანიაში გამოჩნდა. ის დიდ კონსერვის ქილას ჰგავდა, რომლის შიგთავსსაც, ისევე როგორც თანამედროვე ფენის შემთხვევაში, ძრავა და სპირალი წარმოადგენდა. ის დაახლოებით 2 კილოგრამს იწონიდა. ჰაერის ნაკადის ტემპერატურა კი 90 გრადუსი იყო. ხელსაწყო საკმაოდ ძვირი – 39 მარკა ღირდა. ეს იმ დროს, როცა პარიკმახერთან ვიზიტი მხოლოდ 2 მარკა ღირდა. ამის მიუხედავად, ფენის პირველი პარტია (2 ათასზე მეტი) ერთ კვირაში გაიყიდა. თანამედროვე ფენს პირველყოფილს ნამდვილად ვერ შევადარებთ. თუმცა მისი შეძენისას მაინც ყურადღებით უნდა იყოთ და შეეცადოთ ისეთი ფირმის მიერ დამზადებული ხელსაწყო შეიძინოთ, რომელიც არა მარტო საყოფაცხოვრებო, არამედ პროფესიონალურ ხელსაწყოებსაც აწარმოებს. ასეთი ფირმების მიერ გამოშვებული ფენი, შედარებით ძვირი ღირს, მაგრამ დიდხანს მოგემსახურებათ. ყურადღება მიაქციეთ მის სიმძლავრესაც (საერთოდ, თმის საშრობის სიმძლავრე 200-დან 1800 ვოლტამდეა). რაც უფრო მეტსიმძლავრიანია ფენი, მით უფრო სწრაფად შრება თმა. მოკლე თმის შემთხვევაში 400-800 ვ სიმძლავრის ფენიც საკმარისია. გრძელი თმისთვის კი უმჯობესია 1600-1800 ვ სიმძლავრის ფენი შეარჩიოთ. ■

ინგლისელ ქალებს სექსს ფული უორჩევნიათ

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ინგლისელი ქალების 98% სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში, „თავის გადარჩენის“ მიზნით, მუდმივად მიმართავს ტყუილს. 10% კი მზად არის, ერთი წლით უარი თქვას სექსზე, თუ მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაუხდიან.

ერთ-ერთ ბრიტანულ ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხვაში სახელწოდებით – „სიცრუე და სინდისის ქენჯნა“ 5 ათასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა საშუალო ასაკი 36 წელს შეადგენდა.

გამოკითხვის თანახმად, ბრიტანეთის თითქმის ყველა ქალს (2%-ის გარდა), შეუძლია იცრუოს იმ პირობით, თუ ეს სიცრუე ზიანს არავის მოუტანს. მათგან 35% ყოველდღე იტყუება. 78% კი ტყუილს, მხოლოდ გამოუვალი სიტუაციიდან თავის დასაძვრენად კი არა, მიზნის მისაღწევად ამბობს.

ქალებმა აღიარეს, რომ ისინი ყველაზე ხშირად იტყუებიან, როცა ამბობენ, „შენ შესანიშნავი საყვარელი ხარ“, ან „ეს ფეხსაცმელი სულ რაღაც 10 გირვანქად ვიყიდე“, ხოლო მამაკაცთან სასიყვარულო კავშირის სურვილის უქონლობისას ხშირად დაღლილობას ან თავის ტკივილს იმიზეზებენ.

იმავდროულად გაირკვა, რომ ინგლისელი ქალების 70% თავის პარტნიორზე არ განაწყენდება, თუ იგი ამა თუ იმ მიზეზით არ მოისურვებს ინტიმურ კავშირს. გარდა ამისა, ინგლისელი ქალების 46%-მა განაცხადა, რომ არ ეტყოდა საყვედურს ქმარს, მის მიერ წარმატებულად განხორციელებული ბანკის გაძარცვის გამო. გამოკითხულთა 32%-მა განაცხადა, რომ მზად არის, თანაუგრძნოს მამაკაცს, რომელსაც ხანდახან ქალის ტანსაცმლის ჩაცმის სურვილი უჩნდება.

გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გათხოვილი ქალების 29%-ს ჰქონდა ფარული სასიყვარულო კავშირი, მათგან 62% არ ნანობს ამას, ხოლო 10% ამბობს, რომ წუხს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ დროს უფრო მოხერხებულად არ მოიქცა. ■

ზოგი რამ ნაღვლის ბუშტის დაავადებებზე

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ნაღვლის ბუშტის დაავადებებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება ქოლეცისტიტი, ნაღველ-კენჭოვანი დაავადება, პოსტქოლეცისტექტომიური (ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის შემდგომი) სინდრომი და პარაზიტული ანთებები. შემდეგ მოდის დისკინეზიები — ბუშტის მოტორული ფუნქციის დარღვევა, რომელიც ადამიანს მრავალ თავსატეხს უჩენს.

ნორმალური ბუშტი იტევს 60-70 მლ ნაღველს, რომელიც ღვიძლის უჯრედებში – ჰეპატოციტებში გამომუშავდება. იგი შედგება ნაღვლის მჟავების, ბილირუბინის, ქოლესტერინის, ფოსფორის ნაერთებისა და ნაღვლის პიგმენტებისაგან. მდიდარია მინერალებით: ნატრიუმით, კალიუმით, კალციუმით, რკინით, მაგნიუმით. ღვიძლის სადინარებით ნაღველი ჩაედინება ბუშტში, სადაც ინახება, კონცენტრირდება და საჭმლის მონელების საჭირო ფაზაში თორმეტგოჯა ნაწლავში გადადის – ხელს უწყობს მონელებას და ცხიმების შეწოვას სისხლში.

დისკინეზია ნაღვლის ბუშტის ტონუსისა და მამოძრავებელი ფუნქციის დარღვევაა, ანთების ნიშნების გარეშე. მას საფუძვლად უდევს ვეგეტაციური ნერვული სისტემის დისბალანსი, რის გამოც მცირე აღელვების დროსაც კი სანაღვლე გზები თავს გვახსენებს.

განასხვავებენ ჰიპოტონიური და ჰიპერტონიული ტიპის დისკინეზიებს. ***ჰიპოტონიურის*** დროს ნაღვლის ბუშტი ნაღვლისაგან გაფართოებული და მოდუნებულია, კედლები კი გათხელებული აქვს. ადამიანს მარჯვენა ფერდქვეშა არეში აწუხებს ყრუ ხასიათის, გახანგრძლივებული ტკივილი, რომელიც მხრისა და კისრის მიმართულებით გადაეცემა. მას თან ახლავს მწარე გემოს ამოქარვება, პირის სიმშრალე, უმადობა, ხასიათის გაუარესება.

ჰიპერტონიული დისკინეზიის დროს ტკივილი მწვავე, შეტევისებური ხასიათისაა და ზოგჯერ თან ახლავს გულისრევა, პირღებინება, თვალების შეყვითლება. კუჭის მოქმედება არასტაბილურია – აშლილობას ფაღარათი მოსდევს თან. ასეთი პაციენტები მწვავე შეტევისას შესაძლოა საოპერაციო მაგიდაზეც კი აღმოჩნდნენ. შეტევებს შორის პერიოდში, როგორც წესი, მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ მცირე ნერვიულობისას ყველაფერი თავიდან იწყება.

სიმპტომების განსხვავებულობის გამო, განსხვავდება დისკინეზიათა მკურნალობის მეთოდების ნიუანსებიც. ***ჰიპოტონიური*** ფორმის დროს ***არ ინიშნება*** ნო-შპა, პაპავერინი, ჰალიდორი. საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის კარგია მასტიმულირებელი საშუალებები (მაგალითად, ჟენ-შენი). კვების რაციონიდან უნდა გამოირიცხოს შებოლილი, ცხიმიანი, მჟავე, ცხარე, ნიგვზიანი საკვები. სასარგებლოა მცენარეული და რძის პროდუქტები, მჭლე ხორცი, თევზი, ნატურალური წვენები. ნაღველმდენი ბალახების (კრაზანის, უკვდავას, სიმინდის თმის) გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო. ისედაც გაწელილ ნაღვლის ბუშტში მათ მიერ გადმოდევნილი ნაღველი ზედმეტი იქნება. სამაგიეროდ, სასარგებლოა ბუშტის ზონდირება ან ყრუ გამორეცხვები. ზონდირება ტარდება თვეში ორჯერ, ზოგჯერ, უფრო ხშირადაც. ყრუ გამორეცხვისთვის უნდა დაწუწნოთ 1 ს/კ თაფლი, 10 წუთის შემდეგ დაწვეთ მარჯვენა გვერდზე, დაიდოთ თბილი სათბურა მარჯვენა ფერდქვეშა არეში და 1 საათის განმავლობაში ყლუპ-ყლუპად დალიოთ 1 ბოთლი (0,5) თბილი, გაზგასული „ბორჯომი“.

ჰიპერტონიული დისკინეზიის დროს ***ნიშნავენ*** ნო-შპას, ჰალიდორს და სხვა სპაზმოლიტიკებს. შეტევის დროს ტკივილგამაყუჩებლების გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო, რათა არ გამოგვეპაროს სხვა ხასიათის ტკივილი.

ბუშტის მომატებულ ტონუსზე დადებითად მოქმედებს დამამშვიდებელი ბალახები და ფესვები. აიღეთ თანაბარი რაოდენობით კატაბალახასა და კულმუხოს ძირები, პიტნა, შავბალახა, ასკილის ნაყოფი. ნარევის 2 ს/კ-ს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, წამოადუღეთ, შემდეგ გააცივეთ, გადაწურეთ და სვით 1/2 ჭიქა ძილის წინ. თუ ტკივილს მუცლის შებერვაც ახლავს თან, გამოიყენეთ კამის თესლი, გვირილა, უკვდავა, არყის ხის კვირტები.

ბუშტის სპაზმს ხსნის მინერალური წყალი შემთბარ მდგომარეობაში.

ნაღვლის ბუშტის კენჭები ხშირად წარმოიქმნება ბუშტის ანთების, მისი ტონუსის დაქვეითების, ნაღვლის შესქელების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, სიმსუქნის, ჰიპოდინამიის ფონზე. ამ პროცესს ხელს უწყობს კალციუმის პრეპარატების უკონტროლოდ მიღება, მინერალური წყლების ბოროტად გამოყენება. მემკვიდრულობა, ალკოჰოლი, სიგარეტი, ისევე როგორც ლამბლიოზი და ოპისტორქოზი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნაღველ-კენჭოვანი დაავადების განვითარებაში. კენჭების წარმოქმნისთვის ხელსაყრელ ფონს ქმნის: ნიკრისის ქარი, შაქრიანი დიაბეტი, პოლიართრიტები, ორსულობა. ასევე ხელშემწყობი ფაქტორებია: ცხიმიანი საკვები, ხორცი, ნაღების კარაქი, კვერცხი, შოკოლადი, კაკაო, ისპანახი, მჟაუნა, პამიდორი, ცომეული.

კენჭები შეიძლება იყოს მრავლობითი ან ერთი – და ავსებდეს მთელ ბუშტს. ნაღველ-კენჭოვანი დაავადების სადიაგნოსტიკო მეთოდია ულტრაბგერითი გამოკვლევა.

■

მზის აბაზანები

მზე, ჰაერი და წყალი რომ ადამიანის საუკეთესო მეგობრები არიან, ბავშვმაც კი იცის. ზაფხული წლის ერთადერთი დროა, როცა სამივე ეს ფაქტორი კომპლექსურად მოქმედებს ჩვენს ორგანიზმზე და აჯანსაღებს მას.

მზის სხივების გონივრულად გამოყენებისას მათში არსებული მაცოცხლებელი ენერგიის მეშვეობით ადამიანს შეუძლია გაიკაჟოს ორგანიზმი და ზოგიერთი დაავადებისგან განიკურნოს კიდეც.

● *მზე სასიკეთო გავლენას ახდენს ნერვულ სისტემასა და ნივთიერებათა ცვლაზე, რაც შინაგანი ორგანოებისა და კუნთების მუშაობის გაუმჯობესებას იწვევს, შედეგად კი მატულობს იმუნიტეტი.*

● *მზის სინათლის ზემოქმედებით უმჯობესდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობა: საკვები უკეთ გადამუშავდება, ცხიმები სწრაფად იშლება, ცილებიც ადვილად შეიწოვება.*

● *მზის ენერგია ააქტიურებს თავის ტვინსაც: მზეზე ხანმოკლე ყოფნის შემდგომაც კი უმჯობესდება მეხსიერება, შრომის უნარი, მატულობს შემოქმედებითი აქტიურობა.*

● *მზე ხელს უწყობს ორგანიზმში D ვიტამინის გამომუშავებას, რომელიც ძვლებისა და კბილების საშენ მასალას წარმოადგენს. მის გარეშე ძვლის ნორმალური განვითარება შეუძლებელია. დადგენილია, რომ ოსტეოპოროზის (ძვლების გამოფიტვა ასაკოვან ადამიანებში) ერთ-ერთი მიზეზი მზეზე იშვიათად ყოფნაა.*

● *მზის აბაზანების მიღებისას სტაბილური ხდება სისხლის მიმოქცევა, ხშირდება გულისცემა და პულსი, ფართოვდება სისხლძარღვები. შედეგად ძლიერდება კანის სისხლით მომარაგება და ივი გაცილებით უკეთ გამოიყურება, კუნთები კი უფრო ელასტიკური ხდება.*

● *მზის სინათლის ზემოქმედებისას ორგანიზმში გამომუშავდება ჰორმონი მელატონინი. ივი ბოჭავს თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებს მთელ ორგანიზმს, ათხელებს სისხლძარღვებს, ხელს უწყობს ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას, შლის უჯრედთა ბირთვების გენეტიკურ ინფორმაციას. მელატონინის რაოდენობაზეა დამოკიდებული ორგანიზმის დაბერების ტემპიც.*

მზის აბაზანების მიღება უკუნაჩვენებია ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი წარმონაქმნების, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების დროს. მზეზე დიდხანს ყოფნა არ შეიძლება მათთვის, ვისაც აქვს ფარისებრი ჯირკვლის, ღვიძლის დაავადებები, ანემია, ლეიკემია, კანის დაავადებები. მზეზე ხანგრძლივად ყოფნამ კი შეიძლება გამოიწვიოს გადახურება, კანის დამწვრობა და სითბური დაკვრა. იმისათვის, რომ მზის აბაზანებმა არ ავნოს ორგანიზმს, არსებობს მარტივი წესები:

● *დაუშვებელია მზეზე ყოფნა თავსაბურავის გარეშე. ეს წესი მაშინაც უნდა დაიცვათ, თუ მზეზე დიდხანს არ იმყოფებით და არაპირდაპირი სხივების ზემოქმედების ქვეშ ხართ. ამ წესის დაუცველობამ შესაძლოა, მზის დაკვრა გამოიწვიოს.*

● *კარგად დაიმახსოვრეთ საათები, როცა მზის აბაზანის მიღება ორგანიზმს მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს. ზაფხულში მზეზე ყოფნისათვის საუკეთესო დროა დილის 8-დან 11 საათამდე. შემოდგომაზე კი, მზის აბაზანის მიღება უსაფრთხოა 11-დან 14 საათამდე.*

● *ნამზეურის მიღების ვადა თანდათანობით უნდა გაზარდოთ. მზის აბაზანის ხანგრძლივობა ზამთრის შესვენების შემდგომ პირველ ხანებში 20 წთ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ყოველდღიურად შეგიძლიათ გაზარდოთ ეს დრო 5 წუთით. მზეზე ყოფნის მაქსიმალური დასაშვები დროის ხანგრძლივობა 3 საათია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიახლოებითი მაჩვენებელია ჯანმრთელი ადამიანისათვის. ივი შეიძლება შეიცვალოს ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. ამ საკითხთან დაკავშირებით კარგი იქნება, თუ ექიმს გაესაუბრებით. თვითკონტროლისას კი, საკუთარ შეგრძნებებს უნდა დაეყრდნოთ. თუ კანი შეგიწითლდათ და ტკივილს გრძნობთ, უნდა შეწყვიტოთ მზის აბაზანა და სპეციალური (გარუჯვის შემდგომ გამოსაყენებელი) საცხი შეიზილოთ.*

იმის მიუხედავად, რომ მზის სხივები რაქიტის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა, ბავშვებისთვის მზის აბაზანის მიღებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ეს უპირველეს ყოვლისა სამ წლამდე ასაკის პატარებს ეხება.

წლამდე ბავშვის გაყვანა შეიძლება მხოლოდ გაფანტულ სხივებზე (ნახევრად ჩრდილში), სადაც პატარა მზისა და ჰაერის აბაზანებს იღებს. აქ ტემპერატურა 23 გრადუსზე დაბალი არ უნდა იყოს, აბაზანის ხანგრძლივობა კი, დასაწყისში 3-10 წუთს არ უნდა აღემატებოდეს. შემდეგ დროს თანდათანობით გაზრდით.

1-დან 3 წლამდე პატარა კი უმჯობესია, ასეირნოთ ისეთ ადგილას, სადაც მზისა და ჩრდილის (ჯობს მცენარეული) მონაცვლეობაა.

ახლა კი რჩევები მხოლოდ ქალბატონებისათვის:

● *მზის აბაზანის მიღებისას რეკომენდებულია კანის დაცვა ულტრაიისფერი სხივებისგან, რადგან მათ კანის ზედაპირზე არასასურველი ცვლილებების გამოწვევა შეუძლია. კანი შრება, დუნდება და ნაოჭები წარმოიქმნება.*

● *შუბლისა და ცხვირისთვის მზე განსაკუთრებით საშიშია. სხივები ამ უბნებზე მომენტალურად იწვევს დამწვრობას.*

● *მზის აბაზანის მიღებისას რეკომენდებული არ არის დეკორაციული კოსმეტიკის გამოყენება. მხოლოდ ცხიმიანი ტუჩის საცხი შეგიძლიათ გამოიყენოთ ტუჩის კანის გამოშრობის თავიდან ასაცილებლად.*

● *სახეზე დღეში ორჯერ წაისვით მკვებავი საცხი. არ გამოიყენოთ ტუტოვანი საპონი – მხოლოდ ნეიტრალური ან მჟავა რეაქციის მქონე საშუალებები იხმარეთ.* ■

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ (28 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ – 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ)

ᲯᲐᲠᲯᲘ – 21/III-20/IV

ᲥᲐᲚᲘ: თუ აქამდე თქვენი შემოსავლით უკმაყოფილო იყავით, ნუღარ დაღონდებით – ფული თითქოს „თავისი ფეხით“ მოვა თქვენთან. ოღონდ მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ. უქმეები ახლობლებთან ერთად გაატარეთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: შფოთიანი კვირა გელით. თქვენ მიერ გამოთქმული თითოეული აზრი გარშემომყოფთა მოსაზრებებისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება და ნებისმიერი საუბარი პოლემიკაში გადაიზრდება.

ᲙᲣᲠᲗ – 21/IV-21/V

ᲥᲐᲚᲘ: დაიოკეთ ემოციები და გაიხსენეთ, რომ დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა ყოველთვის სიკეთის მომტანი როდია. უქმე დღეებში ჯობს, განმარტოვდეთ და ის პრობლემები, რომლებიც ამ ეტაპზე გაწუხებთ, კარგად გააანალიზოთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: ქვეცნობიერად, რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენისთვის ემზადებით. თუ თავად ვერ გარკვეულხართ იმაში, რა გსურთ, ნუ შეშფოთდებით – ყველაფერს დრო გიჩვენებთ.

ᲛᲐᲠᲩᲮᲔᲕᲘ – 22/V-21/VI

ᲥᲐᲚᲘ: ზედმეტი ნერვიულობა არც თქვენ გარგებთ და ამით გარშემომყოფებსაც გააღიზიანებთ. ამიტომ ჯობს, დამშვიდდეთ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოთ და გამოსავალი ისე მოძებნოთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: მართალია, ახალი ნაცნობობა ბევრ სარგებელს მოგიტანთ, მაგრამ ნურც ძველ მეგობრებს დაივიწყებთ. ყური მიუგდეთ მათ რჩევებს – ძველი მეგობრები ხომ უფრო საიმედონი არიან.

ᲙᲘᲠᲩᲮᲔᲕᲘ – 22/VI-22/VII

ᲥᲐᲚᲘ: თავი მოგაბეზრათ რუტინულმა სამუშაომ. კარგა ხანია, იმის სურვილი გკლავთ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაიმე განსაკუთრებული მოხდეს. ზედმეტად ხართ ჩაფლული ყოველდღიურ საზრუნავში და უმჯობესი იქნება, განტვირთვის დღეები მოიწყოთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: კვირის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი, კვირის მეორე ნახევარში კი შესაძლოა, თანამშრომლებთან წვრილმანი უსიამოვნება მოგივიდეთ. შემდეგი კვირა უფრო წარმატებული იქნება.

ᲚᲝᲛᲘ – 23/VII-23/VIII

ᲥᲐᲚᲘ: თქვენი წარუმატებლობის ხანა ამ კვირაში დასრულდება – ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. ოღონდ ნუ ეცდებით მოვლენების დაჩქარებას, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: უამრავი სიამოვნება გელით – დროს ტარება მეგობრების წრეში, მომხიბლავი ქალის მოულოდნელი ვიზიტი და მომგებიანი ფინანსური ოპერაციები. დატკბით ცხოვრებით, მაგრამ გაჭირვებაში მყოფი მეგობრებიც გაიხსენეთ.

ᲥᲐᲚᲬᲐᲚᲘ – 24/VIII-23/IX

ᲥᲐᲚᲘ: თუ საყვარელ ადამიანთან განშორება მოგიწევთ, ეცადეთ, ამ საკითხს ფილოფოსიურად მიუდგეთ. ეგებ ეს არც ისე ცუდია? ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერად ხდება – ამიტომ, მალე ახალი მეგობარი გამოგიჩნდებათ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: თბილი და გულწრფელი ურთიერთობის დეფიციტი გაქვთ, მაგრამ დაფიქრდით, ამაში თავად ხომ არ ხართ დამნაშავე? ჯობს, პირველმა გაუწოდოთ ხელი ადამიანებს. ამით ნამდვილად არაფერს წააგებთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ – 24/IX-23/X

ᲥᲐᲚᲘ: ემოციები, რომლებიც ასე ჭარბად მოგეძალათ უახლოეს წარსულში, საბოლოოდ დაცხრება. მეტი მობილიზება და სიმშვიდე გმართებთ ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისას. აჩქარება სიკეთეს არ მოგიტანთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, ყურადღებით მოეკიდეთ ყველანაირ წვრილმანს. გაფრთხილდით: საწარმოო ტრავმის საშიშროება გელით. იაქტიურეთ სამსახურში, რადგან ამ კვირაში წამოწყებული საქმე წარმატებული იქნება.

ᲓᲠᲝᲨᲐᲜᲯᲐᲚᲘ – 24/X-22/XI

ᲥᲐᲚᲘ: მტკიცედ მიიწევთ დასახული მიზნისკენ, ხელმძღვანელობაც გაოცებულია თქვენი განსწავლულობითა და კომპეტენტურობით. სავარაუდოა, მალე დაგაწინაურონ კიდეც.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: მოემზადეთ ხანგრძლივი მოგზაურობისთვის. თუ ეს საქმიანი ვიზიტი იქნება, გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ნუ მიიღებთ და თითოეული ნაბიჯი ხელმძღვანელებთან შეათანხმეთ.

ᲛᲬᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ – 23/XI-21/XII

ᲥᲐᲚᲘ: თავი მოგაბეზრათ ყოფითმა პრობლემებმა. დასვენება გჭირდებათ. დროებით მოსწყდით ყოველდღიურობას და ისეთ ადგილას გაემგზავრეთ, სადაც არც ერთი ნაცნობი არ შეგხვდებათ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: დროებით ყველანაირი საქმე გვერდზე გადადეთ და რომანტიკული თავგადასავლისთვის მოემზადეთ. ამ კვირაში არც ფინანსური ოპერაციების ჩატარებას გირჩევთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ – 22/XII-20/I

ᲥᲐᲚᲘ: ამ მომენტისთვის სითბო და ყურადღება გაკლიათ, მაგრამ ნუ დაღონდებით – სასიამოვნო სიურპრიზი გელით! ყურადღებით იყავით, ბედის საჩუქარი არ გამოგეპაროთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: მომქანცველი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. დიდი ხანია, დასვენებასა და პირადი ცხოვრების მოწყობაზე ოცნებობთ, მაგრამ თქვენი ოცნება ამ კვირაშიც ოცნებად რჩება. ფრთხილად იყავით, ცხოვრებისეული სიძნელეების გამო ბუზღუნა არ გახდეთ.

ᲛᲐᲠᲬᲕᲘᲚᲘ – 21/I-19/II

ᲥᲐᲚᲘ: თუ ჯერ კიდევ არ გიშოვიათ ბევრი ფული, ის ხომ მაინც კარგად იცით, თუ როგორ უნდა მიაღწიოთ ამას?! ჰოდა, იფიქრეთ იდეების განხორციელებაზე და დასახული მიზნის განსახორციელებლად შრომას ნუ დაიზარებთ.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: თქვენს გონებაში სრული ქაოსია. თქვენ თვითონაც არ იცით, რა გსურთ. ზედმეტად ნუ იქოთქოთებთ და მოთმინებიდან ნუ გამოხვალთ. სიფიცხისა და უხეშობის გამო სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲗ – 20/II-20/III

ᲥᲐᲚᲘ: ამ კვირაში გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგაწუხებთ. თუ დიეტის დაცვა გჭირდებათ, ნუ გადადებთ. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი, შეიარეთ სილამაზის სალონში და შეიცვალეთ ვარცხნილობა.

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ: დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოეკიდოთ სამსახურს, ოჯახური წვრილმანების მოგვარება კი, შემდეგი კვირისთვის გადადეთ. ამ ეტაპზე მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოთ, რომ თქვენს კარიერას საფრთხე არ დაემუქროს.



მთის მდინარეების და ტბების თევზი
პირველი სამეცნიერო წოდება
ქართველი კრეიესორი ... ღონღობერიძე
ქალის ძვირფასი გულსაკიდი
აჭარის რაიონული ცენტრი
ჰომეროსის პოემა
ლ. ტოლსტოი „... კარენინა“
... გიბსონი
უმდ. შეფ. ძიუდოში
ძვ. სანათი საშუალება
ვენახის ნასხლავი
ევროპის ჩემპიონატის აღმოჩენა
პეტრარკას სატრფო
„მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი
ძვირფასი ქვა
მასალა ტეკილასათვის
ცხოველის ზურგის ნაწილი
საჭადრაკო ფიგურა
ტროპიკული მახრჩობელა
ატმოსფერული ნალექი
„ჩვენი დროის გმირი“ (ლერმონტი)
ალიგატორი
მსახიობის სცენური სახე
სისხლისმწოველი მკურნალი
ბავშვურის ნაირსახეობა
ტრ ჰეიერდალის ნავი
გერმანიის პრეზიდენტი
ლაბირინთში მცხოვრები
ქოქოსის მკვრივი შიგთავსი
აქლემთა ჯიშის ცხოველი
კიევის ლეგენდარული დამაარსებელი
ტრიგონომეტრიული ფუნქცია
სახელმწიფო აზიაში
ისტორიის მუზა
ბრიტ. მომღერალი და ფუტბოლელი ... ფოქსი
მომღერლის კონცერტი უცხო ქვეყანაში
კათოლიკური ღვთისმსახურება
საკვებად ვარგისი სოკო
სტალონეს კინოგმირი
გერმანელი მწერალი
ყვავილი
წვრილი ტყვია
შეიზმის მიმდევარი
საკაზმი მწვანილი
ფული გურულად
ჯ. გოლზუორთის „ფორსაიტების ...“
შეადგინა რამაზ ალანიამ

25-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.
51-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.

ჭაბორჭენილი აღამიანების მოსწრებული ჭამონათქვამები

ჩამორჩენილობა

ერთხელ, იოჰან შტრაუსი, როცა უკვე ცნობილი კომპოზიტორი იყო, ვენაში შეხვდა ძველ ამხანაგს, რომელთან ერთადაც ოცი წლის წინ სკოლის მერხთან იჯდა.

— ოჰ, იოჰან, როგორ გამახარე! კაცმა რომ თქვას, მთელი ამ წლების განმავლობაში რას აკეთებდი, ჰა?

სენსაცია

ლისტმა ბერლინში თავისი გამოსვლის წინ თავისთან მიიწვია ორი ადგილობრივი კრიტიკოსი, რომლებიც ცნობილი იყვნენ იმით, რომ ყოველთვის აბსოლუტურად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდნენ.

მათ წინაშე საკონცერტო პროგრამა რომ შეასრულა, ავტორმა კრიტიკოსებს სთხოვა:

— ბატონებო, გინდა მაძაგეთ, გინდა მაქებთ, თქვენი საქმეა, მაგრამ ჩემთვის გამონაკლისი გააკეთეთ: რაღაც მაინც დაწერეთ ჩემს კონცერტზე.

და ბერლინის მუსიკალური წრის ნამდვილი სენსაცია ის გახლდათ, რომ ლისტის კონცერტის შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა კრიტიკოს-ანტაგონისტების ერთნაირად საქებარი გამოხმაურება.

სიმღერის დედოფალი

ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა კატერინა გაბრიელიმ ეკატერინე მეორეს ხუთი ათასი დუკატი მოსთხოვა, ორი თვის მანძილზე კონცერტები რომ ჩაეტარებინა პეტერბურგში.

— მე ჩემს ფელდმარშლებს გაცილებით ნაკლებს ვუხდი.

— ძალიან კარგი, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ, — მიუგო გაბრიელიმ, — დაე, მაშინ თქვენმა ფელდმარშლებმა გიმღერონ.

მოსწრებული პასუხის შემდეგ, ეკატერინე მეორემ ხუთი ათასი დუკატი გადაიხადა.

კომპოზიტორის მასწავლებლები

რობერტ შუმანი კონცერტზე თავის საკუთარ ნაწარმოებებს ასრულებდა. ოდნავ გაღებული ფანჯრებიდან ფრინველების საამური ჭიკჭიკი შემოიჭრა.

ვიღაცამ სწრაფად დახურა ფანჯრები. კომპოზიტორმა შეამჩნია ეს და, როცა დაკვრა დაამთავრა, წამოდგა ადგილიდან და ყველა ფანჯარა გამოაღო.

— ბატონებო, — მიმართა შუმანმა მსმენელებს, — აქამდე მე ხელს ვუშლიდი ამ საუცხოო პაწია მუსიკოსებს. ახლა მათ მოვუსმინოთ ყურადღებით, ისინი ამად ღირან, თანაც ეგენი ჩემი მასწავლებლები არიან...

ანეკდოტები

***

დედა ვაჟის სასკოლო ჩანთას ამოწმებს და იქ სადომაზოხისტურ პორნოგრაფიულ ჟურნალს იპოვის. გულგახეთქილი მიირბენს ქმართან:

— ნახე, რა ვუპოვე ჩვენს ბიჭს ჩანთაში!.. რა უნდა ვქნათ?..

ქმარი ჟურნალს ათვალიერებს და ცოტა ხანში ჩაფიქრებული პასუხობს:

— მდაა... ცემა, გამორიცხულია...

***

ბავშვი ექიმთან მიიყვანეს:

— აბა, ბიჭუნი, მითხარი, რა გაწუხებს?

— მე კი არა... პაპაჩემს აწუხებს, მაგის საათი რომ გადავყლაპე...

***



ერთი პატიმარი — მეორეს:

— რისთვის დაგიჭირეს?

— კონკურენციისთვის...

— ი... ეგ... როგორ?

— ქურდობა დავიწყე და... მთავრობამ არ მაპატია...

***

ორი დაქალი საუბრობს:

— გუშინ საღამოს ქუჩაში, ჩემ გვერდით „ჟიგული“ გაჩერდა... უცნობმა მამაკაცმა კარი გამიღო და გასეირნება შემომთავაზა... ფუუჰ... თავხედი!..

— რატომ მაინცდამაინც თავხედი?

— შენ რომ მისი ბინა გაჩვენა...

***



კოწია პოლიციაში შევიდა:

— გუშინ თქვენთან ავტომანქანის გატაცების განცხადება შემევიტანე...

მორიგე:

— მახსოვს...

— უკან მინდა გევიტანო...

— ვაა... რატომ?

— ვიპოვე... ცოლს წოუყვანია...

— არაა... არ გამოვა... ჩვენ უკვე გამტაცებლები დავაკავეთ და აღიარებაც დავაწერინეთ...

***

მიხო მინიმარკეტში მივიდა და მოლარეს ეუბნება:

— ერთი... ისა... „აღფრთოვანების წიგნი“ მამეცით.

— ეგეთი წიგნი არცა გვაქვს და არცა გვქონია...

— თუ მაგრეა... გახსენით და პირველი მე ჩამწერეთ... ხო, ხო... ჩაწერეთ რომ, აქ ნაყიდი ძეხვითა ჩემი სიდედრი მაიწამლა... — спа-си-бо!..

***

ერთი პოლიტიკოსი მეორეს ეტრაბახება:

— ძალიან მაგარი თუთიყუში ვიყიდე!..

— ლაპარაკი იცის?

— არა, მაგრამ... უნდა ნახო, როგორ მისმენს...

***

კოჩია ეუბნება ძუკუს:

— ახალი პარტია მინდა შევქმნა მე... ყველაზე დიდი და... მრავალრიცხოვანი იქნება... დაგენაცვლე...

— რა ერქმევა... მაგალითად?..

— „ექსუფროსების პარტია“...

რამდენად განვითარებული გაქვთ ინტუიციის გრძნობა?

1) თამაშისას იოლად პოულობთ თუ არა პასუხებს შეკითხვებზე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

2) ფულზე თამაშისას ზედიზედ რამდენჯერმე თუ გაგმართლებიათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

3) გიგრძნიათ ოდესმე, რომ თქვენი სახლი მყუდროა და ბედნიერების მომტანი?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

4) ოდესმე გაგჩენიათ თუ არა სულ რამდენიმე წამით ნანახი ადამიანის უფრო ახლოს გაცნობის სურვილი?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

5) გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა ყურმილის აღებამდე წინასწარ გცოდნიათ ვინ გირეკავთ ტელეფონით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

6) შინაგან ხმას ოდესმე ხომ არ უკარნახია თქვენთვის ამა თუ იმ სიტუაციაში როგორ უნდა მოქცეულიყავით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

7) ბედ-იღბლის არსებობისა თუ გჯერათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

8) გქონიათ ისეთი შემთხვევა, როცა წინასწარ გცოდნიათ რის თქმას აპირებს თქვენი თანამოსაუბრე?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

9) ოდესმე ცუდი სიზმარი თუ დაგსიზმრებიათ, რომელიც წინასწარმტყველური გამომდგარა და მოგვიანებით აგხდენიათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

10) წერილის გახსნამდე მისი შინაარსის შესახებ წინასწარ თუ მიმხვდარხართ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

11) გჩვევიათ თუ არა თანამოსაუბრის ნაცვლად წინადადების დასრულება?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

12) გქონიათ შემთხვევა, როცა დიდი ხნის უნახავ ახლობელზე ფიქრობდით და მოულოდნელად ის გამოგეხმაურათ (წერილით, ტელეფონით) ან უბრალოდ შეგხვდათ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

13) თუ ხდება ისე, რომ რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო არ ენდობით ზოგიერთ ადამიანს?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

14) შეგიძლიათ თუ არა იამაყოთ იმით, რომ ერთი შეხედვით ადამიანის ხასიათის განსაზღვრა ძალგიძთ?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

15) გეუფლებათ თუ არა ისეთი შეგრძნება, თითქოსდა ოდესღაც მსგავსი რამ უკვე გადაგხდენიათ თავს?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

16) თვითმფრინავით მგზავრობაზე უარი ხომ არ გითქვამთ იმ მიზეზით, რომ შესაძლოა მან კატასტროფა განიცადოს?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

17) ღამე ხომ არ გეღვიძებათ ხოლმე ნათესავის ან მეგობრის ჯანმრთელობასა თუ უსაფრთხოებაზე დარდით?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

18) გახასიათებთ თუ არა, რაღაც აუხსნელი მიზეზის გამო ადამიანის ათვალისწუნება?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

19) გქონიათ შემთხვევა, როცა რაღაც აქსესუარი ან სამოსი გინახავთ და გიგრძნიათ, რომ რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, აუცილებლად უნდა შეიძინოთ ის?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

20) გჯერათ თუ არა ერთი ნახვით სიყვარულის?
ა) დიახ – 1; ბ) არა – 0.

ტესტის პასუხები

10-20 ქულა: უნდა გითხრათ, რომ განსაკუთრებული ინტუიციური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით. გასაოცარი ინტუიცია გაქვთ და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის თამამად ეყრდნობით მას.

1-9 ქულა: ინტუიცია განვითარებული გაქვთ, მაგრამ საკუთარ ინტუიციურ მონაცემებს სრულყოფილად არ იყენებთ. გირჩევთ, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას უფრო ხშირად მიენდოთ საკუთარ ინტუიციას. არცთუ ისე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ეცადეთ, რომ თავში გაელვებული პირველსავე აზრის მიხედვით იმოქმედოთ. თუკი ძალზე საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებას აპირებთ, ეცადეთ მოდუნდეთ, მაგალითად, მიიღეთ აბაზანა ან სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ. ამ გზით ახალი აზრებისა და იდეების გაჩენის საშუალება მიეცით საკუთარ თავს. სხვათა შორის, იმდენი შესაძლო ვარიანტი მოგივათ თავში, რომ თავადაც გაკვირვებული დარჩებით. ჩაიწერეთ ყოველი მათგანი და შემდეგ საკუთარი ჩანაწერი ყურადღებით გადაათვალიერეთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საუკეთესო ვარიანტის შერჩევა არ გაგიჭირდებათ.

0 ქულა: ვერავის დაადანაშაულებთ იმაში, რომ ინტუიციის გრძნობა საერთოდ არ განვითარეთ. მაგრამ მშვიდად ბრძანდებოდეთ, თუკი მოინდომებთ, ჯერ კიდევ არ არის გვიან, რამეთუ თქვენი ინტუიცია სადღაც ღრმად, თქვენს ქვეცნობიერში თვლემს. ეცადეთ, ხშირად გამოამჟღავნოთ და აქტიურად გამოიყენოთ ის. გარკვეული ხნის შემდეგ კი, თქვენ უკვე იგრძნობთ განვითარებული და ძლიერი ინტუიციის უპირატესობას.

ფეხბურთელებს წმინდანები დაიფარავენ

ერთ-ერთმა პორტუგალიურმა გაზეთმა უჩვეულო სტატია დაბეჭდა: გამოქვეყნდა იმ წმინდანების სია, რომელთაც ფეხბურთის გულშემატკივრებმა სასურველი გუნდის წარმატება უნდა შესთხოვონ.

ევროპის ჩემპიონატის მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება. ტელევიზორთან მიჯაჭვული ფეხბურთის ფანები თუ უბრალოდ, პატრიოტულად განწყობილი მოქალაქენი თავთავიანთ ნაკრებს გულშემატკივრობენ და მათ გამარჯვებას წმინდანებს ავედრებენ. მაგრამ როგორც გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის ავტორები აღნიშნავენ, ლოცვას მეტი ძალა ექნება, თუ გულშემატკივრები მათ რჩევას გაითვალ-

ისწინებენ: ჟურნალისტების აზრით, პორტუგალიელ მოთამაშეებს წარუმატებლობისგან მადონა იხსნის; ბერძნებს ურჩევენ, შეწევნისათვის წმინდა ნიკოლოზსა და წმინდა ანდრიას მიმართონ; ინგლისელებმა უმჯობესია, გუნდის წარმატება წმინდა გიორგის შესთხოვონ, ხოლო გერმანელებს – წმინდა ბონიფაციუსი დაიცავს. აი, რუსეთის ნაკრებთან დაკავშირებით კი, პორტუგალიელები უკიდურესად პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი: მათ მიაჩნდათ, რომ ნაკრებისთვის ფიასკოს თავიდან აცილება არც ერთ წმინდანს არ ძალუძდა. ■

ბულგარეთში გალაქტიკათაშორისი ფულის ეროვული გამოიგონეს



ბულგარეთში ფულის ახალი ერთეული – „გალაქტოსი“ შექმნეს. ბულგარეთის კოსმოსური გამოკვლევის ფონდის წევრების აზრით, ეს ვალუტა საჭირო გახდება მაშინ, როცა არამიწიერ ცივილიზაციასთან ვაჭრობის აუცილებლობის საკითხი დადგება. ახალ მონეტას ოქროსა და ნიკელის შენადნობისგან ამზადებენ და მისი წონა სულ 3 გრამს შეადგენს. „ფული – დედამიწაზე ცნობილი ერთადერთი უნივერსალური ეკვივალენტია. ამიტომაც ის ერთ-ერთი პირველი საგანი იქნება, რომელიც უცხოპლანეტელებთან ურთიერთობის მოგვარებაში დაგვეხმარება“, – დარწმუნებულია ფონდის თავმჯდომარე კერილ კანევი.

რაც შეეხება ახალი ვალუტის კურსს, კანევმა ვერ შეძლო ზუსტი მონაცემის დასახელება და განაცხადა, რომ უპრიანი იქნებოდა, დაინტერესებულ პირებს საკონსულტაციოდ „გალაქტიკათაშორისი ექსპერტებისათვის“ მიემართათ.

ჯერჯერობით, სულ 50 ცალი მონეტაა დამზადებული, რომლის ნაწილი ქვეყნის ხელმძღვანელობას გაუგზავნეს. ■

ქმრის მაგივრად შინ ცოლი დაბრუნდა

ხანდაზმული იაპონელი წყვილი, რომელმაც მთელი ცხოვრება სიამტკბილობაში გაატარა, იყრება. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ქმარმა, რომელიც სადაცაა ოთხმოცს მიუკაკუნებს, სქესის შეცვლა გადაწყვიტა.

ერთ მშვენიერ დღეს, მამაკაცის მაგივრად შინ ქალი დაბრუნდა, რამაც მისი მეუღლის უსაზღვრო გაოცება გამოიწვია.

ქალმა თავდაპირველად იფიქრა, – ყოფილ მეუღლესთან როგორც დასთან, ისე ვიცხოვრებო. თუმცა, მალევე მიხვდა, რომ ქმრის ახალ ამპლუას ვერაფრით შეეგუებოდა. ■

ავსტრიელი პატარძალი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა

ავსტრიელი პატარძალი ევა ხოფბაუერი, რომლის ფატა სიგრძით 2812,55 მ იყო და 130 კგ-ს იწონიდა, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

22 წლის პატარძალმა ჯვრისწერის შემდეგ, ქალაქ კორნობურგის (ვენიდან 20 კმ) ქუჩებში გაისეირნა, ქალაქის ისტორიული ადგილები მოინახულა, შემდეგ კი გზა კაბრიოლეტით განაგრძო, რომელიც მას ბურგომისტრმა მიართვა. პატარძლის შლეიფიანი ფატა 800 მოსწავლეზე მეტს ეჭირა.

ახალდაქორწინებული წყვილი არ დაელოდა ლონდონიდან ინფორმაციის მიღებას იმის თაობაზე, მოხვდა თუ არა ევა ხოფბაუერი გინესის რეკორდების წიგნში. მათ ფატა კორნობურგში დატოვეს, თვითონ კი, თაფლობის თვის გასატარებლად მალდივიში გაფრინდნენ. ■

უკმაყოფილო მოქალაქეებმა ქალაქის მერი დაწვეს

დაახლოებით ერთი კვირის წინ, ბოლივიელმა ინდიელებმა ქალაქის მერი ცოცხლად დაწვეს, მიზეზად კი მისი კორუმპირებულობა დაასახელეს.

ქალაქის მერი ბენჯამინ ალტამირანო ბოლივიის დედაქალაქ ლა-პასიდან ღამით მოიტაცეს და 90 კმ-ით დაშორებულ, თავის მშობლიურ პატარა ქალაქ აიო-აიოში ჩაიყვანეს. ქალაქის მერი საკუთარ სახლში ცოცხლად გამოწვეს, მერე მისი დასახიჩრებული სხეული ქუჩა-ქუჩა ათრიეს და ბოლოს მთავარ მოედანზე მიაგდეს.

შემდეგ ალტამირანოს გვამი განათების ბოძს მიაბეს და ცეცხლი ხელახლა წაუკიდეს.

პროვინციის გუბერნატორმა განაცხადა, რომ მსგავსი აქტების მოწყობა დაუშვებელია და დამნაშავეები კანონის ძალით დაისჯებიან. ■

ფოტოკუჩიოზები







ბ 99/22

№13(73) 24.VI-7.VII 2004

ოჯახის მეუღლეები

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

რა საჭირო წვნიანი?

ყელი გტკივა, პატარავ?

მთავარი თემა: კანის სეზონური პრობლემები

მწვავე ნაწლავური ინფექციები

ვიზიტი ენდოკრინოლოგთან

მალარია, ლეიშმანიოზი, ბორელიოზი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის